

მიშელ მუსხელი

„ერთიანობა მრავალფეროვნებაში“

მიშელ მუსხელი

წარმოშობით ქართველი მეცნიერი მიშელ მუსხელი ერთ-ერთი პირველია მათ შორის, ვინც ერთიანი ევროპის იდეას ჩაუყარა საფუძველი. მისი ხედვა ძლიერი, ინდივიდუალური და ეროვნული იდენტობების მქონე ფედერალური ევროპის შექმნაში მდგომარეობდა.

მიშელ მუსხელი 1903 წლის 21 ივლისს დაიბადა ქალაქ თბილისში. მან განათლება გეტინგენში, მიუნხენში, ლიონსა და პარიზში მიიღო, კაიროში მასწავლებლად მუშაობის პერიოდი კი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის საფუძვლიანი გაცნობისთვის გამოიყენა. კონფერენციებისა და ლექციების კურსის ჩასატარებლად მას ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, შვეიცარიაში და სკანდინავიაში იწვევდნენ. 1931 წელს მიშელ მუსხელს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა და პროფესორად დაინიშნა პარიზის უნივერსიტეტის უმაღლესი საერთაშორისო ურთერთობების კვლევით ინსტიტუტში.

1940-1945 წლებში მიშელ მუსხელი ფუადის უნივერსიტეტის ლექტორია კაიროში. 1948 წლიდან ის სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის, პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების ფაკულტეტისა და ამავე უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების კვლევითი ინსტიტუტის პროფესორია.

1953-1964 წლებში მიშელ მუსხელი მიწვეული პროფესორის სტატუსით ლექციებს კითხულობს შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში. 1959 წელს მან სტრასბურგში დააარსა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კვლევითი ცენტრი და ამ ცენტრის უცვლელ ხელმძღვანელად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

1950 წელს სტრასბურგში ევროპული კონფერენცია გაიხსნა, რომელსაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული 300 სტუდენტი დაესწრო. სამ სხვა პროფესორთან ერთად მიშელ მუსხელმა საფრანგეთ-გერმანიის საზღვრის გაუქმებაზე ისაუბრა და „საზღვარი ევროკავშირის დროშით ჩაანაცვლა“. მისი სიტყვები იყო: „ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგან უახლოეს მომავალში სტრასბურგი ევროპის გული გახდება“ (მ. მუსხელი, 1953).

მიშელ მუსხელი 1964 წლის 11 ივლისს ვალ დ'აოსტში უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. ამ საბედისწერო დღეს მთებზე შეყვარებული პროფესორი ფედერალისტური კვლევების საუნივერსიტეტო კოლეჯის სტუდენტების ექსპედიციას გაჰყვა მთაში, სადაც ფეხი დაუცურდა და რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლიდან ხევში გადაიჩეხა. ამ ფაქტში ბედის ირონიაც აისახა, რადგან მიშელ მუსხელს მანამდე არაერთხელ უთქვამს, რომ მთაში უბედური შემთხვევით დაღუპვა ერჩივნა ყველა სხვა სახის სიკვდილს.

სამართლის, პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანმა ალექს ვეილმა გამოსამშვიდობებელ სიტყვაში აღნიშნა: „ჩვენი მეგობარი მიშელ მუსხელი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ადამიანი იყო. ის იმ პირველ მოაზროვნეთა ნაკადიდანაა, ვისაც ევროკავშირის შექმნის იდეა ეკუთვნის და ამ იდეისთვის იბრძოდა კიდეც სტრასბურგში. ჩვენ ყველას - მათ შორის მათაც, ვინც მის იდეებს არ იზიარებდა - გვხიბლავდა მისი გულწრფელობა, ელეგანტურობა და პატიოსნება“.

ფედერალიზმი მიშელ მუსხელის მიხედვით

ევროტრანსფორმაციის მის მიერ შემუშავებულ პროექტში ავტორი საუბრობს პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის პრინციპებზე. ეს პრინციპები მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობის იდეას ეფუძნება ფედერაციული ერთობის ფარგლებშიც და ფედერირებული სახელმწიფოების ნაირფეროვნებაშიც.

ფედერალური მოწყობა ხანგრძლივი და ნაყოფიერი არსებობის ფორმაა. ის ასოცირების გაწონასწორებულ სისტემას ქმნის გადაწყვეტილებისა და აღსრულების შესაძლებლობების მქონე ძალაუფლების ცენტრის ჩამოყალიბებით, ნაციონალური ავტონომიების პატივისცემით, ძალაუფლების გონივრული გადანაწილების სისტემით, ფედერალური მექანიზმების მოქნილი სტრუქტურით, კონტროლის გონივრული მექანიზმების დანერგვით. მისი შემადგენელი ჯგუფები თავიანთ ინდივიდუალობას სრულად ინარჩუნებენ. ამავე დროს, თავიანთი თავდაცვისუნარიანობისა და ეკონომიკური განვითარების გასაძლიერებლად, ისინი ექვემდებარებიან უმაღლეს ძალაუფლებას და სწორედ ამ მიზნით, თავიანთი სუვერენული უფლებების ერთ ნაწილს ერთმნიშვნელოვნად უთმობენ უმაღლეს ორგანოს.

ფედერალიზმი, რომელსაც ერთ ფორმულაში ჩამოსხმული სახით მოიხსენიებენ, როგორც „ერთიანობას მრავალფეროვნებაში“, ან „თავისუფლებას წესრიგში“, გულისხმობს გარკვეული წონასწორობის დამყარებას ასოცირების კანონებსა და ფედერაციის წევრთა უფლებებს შორის. მასში ასოცირებული სახელმწიფოების ავტონომიის პატივისცემა ისეთივე პრიორიტეტულია, როგორც თავად ასოცირების მნიშვნელობის პატივისცემა. ფედერაცია ჰარმონიულად ათანხმებს ერთმანეთთან სახელმწიფოთა საერთო და კერძო ინტერესებს.

განათლება და პროფესიული გამოცდილება:

- 1927: ლისანსი სამართალში, პარიზი.
- 1931: სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, პარიზი. დისერტაცია: „ფედერალური სახელმწიფოს სამართლის თეორია“. ნაშრომი ფაკულტეტმა დეშანელის პრიზით დააჯილდოვა.
- 1932-1933: პროფესორი პარიზის უნივერსიტეტის უმაღლესი საერთაშორისო ურთიერთობების კვლევით ინსტიტუტში.
- 1932-1935: ეროვნული სამეცნიერო კვლევების ფონდის სტიპენდიანტი.
- 1937: ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის სამეცნიერო საბჭოს (კურატორიუმის) სტიპენდიანტი.
- 1935-1939: სასწავლო მისია ეგვიპტეში, ლექტორი სამართლის სამეფო ფაკულტეტზე.
- 1939: გაწვევა სამხედრო სამსახურში საფრანგეთში. 1940 წლის მარტში საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააუქმა გაწვევის ბრძანებულება, რის შემდეგაც მიშელ მუსხელი თავის პოსტს დაუბრუნდა ეგვიპტის უნივერსიტეტში.
- 1940-1946: ასისტენტ-პროფესორი კაიროს სამართლის ფრანგულ სკოლაში და დელეგატი პროფესორი კაიროს ფუად პურველის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე.
- 1946: სამართლის ფრანგული ფაკულტეტების ასოცირებული პროფესორი.
- 1946-1948: კაიროს სამართლის ფრანგული სკოლის ასოცირებული პროფესორი; კაიროს ფუად პირველის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დელეგატი პროფესორი.

შრომები

- ფედერალური სახელმწიფოს იურიდიული საფუძველი, 1931, 302 გვ.
- ავტონომია, 1934.
- საჯარო სამართლის ელემენტები, მ. დუბუა-რიშარდთან და ე. გორდონთან თანამშრომლობით, კაირო, 1937.
- კანონი და რეგლამენტი (კომპარატივისტული კვლევა საჯარო სამართალში), კაირო, 1943.
- სახელმწიფო ინტერვენციები და საჯარო სამსახურის ცნება, კაირო, 1945, 127 გვ.

- ევროპა ფედერალიზმის პირისპირ, 1949 (გასტონ სტეფანისთან თანაავტორობით), 183 გვ.
- კრებული, 1954 (ავტორები: პუი ფრედერიკი, მიშელ მუსხელი, ჟორჟ ვედელი): „საბჭოთა ფედერალიზმი“, მიშელ მუსხელი, 162 გვ.
- კონფედერაცია და ფედერაცია: ანტითეზა. 1949-1960 წლებში ჟურნალებსა და ბროშურებში გამოქვეყნებული ტექსტების კრებული, 163 გვ.
- ს.ს.რ.კ-ის მთავრობა, 1961, 431 გვ.
- ს.ს.რ.კ: სამართალი, ეკონომიკა, სოციოლოგია, პოლიტიკა, კულტურა, 1962.
- ს.ს.რ.კ კომუნიზმის ზღვარზე?, 1962.
- კანონი და რეგლამენტი, 1943, 310 გვ.

ძირითადი სტატიები:

- სამართლიანობა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში: Revue Générale de D.P.I. [D.I.P-ის ზოგადი ჟურნალი], 1933.
- ზოგიერთი მოსაზრება ფედერალური სახელმწიფოს რეფორმის შესახებ: Annales du droit et des Sciences Sociales [სოციალური მეცნიერებებისა და სამართლის წელიწდეული], 1934.
- სარის პლებისციტი: Revue Générale de Droit Internatioanl Public [საერთაშორისო საჯარო სამართლის ზოგადი ჟურნალი], 1935.
- პარლამენტარიზმი, დემოკრატია და დიქტატურა: Revue du Droit public et des Sciences politiques [საჯარო სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერებების ჟურნალი], 1937.
- იურისდიქციული აქტი საერთაშორისო საჯარო სამართალში : Revue de la Faculté de Droit du Caire [კაიროს სამართლის ფაკულტეტის ჟურნალი], 1939.
- საპარლამენტო შეუთავსებლობები: Revue de la Faculté de Droit du Caire [კაიროს სამართლის ფაკულტეტის ჟურნალი], 1941.
- სახელმწიფოს მეთაურის კანონების აღსრულების მისია: Revue de la Faculté de Droit du Caire [კაიროს სამართლის ფაკულტეტის ჟურნალი], 1942.
- კომენდანტის საათი და სამხედრო რეჟიმი ეგვიპტეში: Égypte Contemporaine [თანამედროვე ეგვიპტე], 1944.
- საგანგებო რეჟიმის კანონმდებლობა ეგვიპტის საჯარო სამართალში : Égypte Contemporaine [თანამედროვე ეგვიპტე], 1944.

- საერთაშორისო მშვიდობის ფრანგული კონცეფცია :Revue des Conférences Françaises en Moyen-orient [ახლო აღმოსავლეთის ფრანგული კონცეფციების ჟურნალი], 1945.
- არაბულ სახელმწიფოთა ლიგა: Revue Générale de Droit International Public [საერთაშორისო საჯარო სამართლის ზოგადი ჟურნალი], 1945.
- ფედერალიზმის თეორია: Mélanges Georges Scelle [ჟორჟ სელის კრებული], პარიზი, 1949.
- ტრაქტატი და კანონი 1946 წლის საფრანგეთის საკონსტიტუციო სისტემაში, 1950.
- ვრცელდება თუ არა დიპლომატიური იმუნიტეტი მინისტრის არაოფიციალურ ამაღლაზე?: Revue Générale du Droit international [საერთაშორისო სამართლის ზოგადი ჟურნალი], 1950.
- ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის პრეზიდენტი: Revue du Droit public et des Sciences politiques [საჯარო სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერებების ჟურნალი], 1952.
- ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენლის მანდატი, 1952, 25 გვ.
- ფრანგული სახელმწიფო, 1950, 10 გვ.
- ფედერალური სტრუქტურები, 164, 28 გვ.

ფედერალიზმი ნამდვილი დემოკრატიის დამყარებასაც ითხოვს, მაშასადამე, ის საზოგადო საქმეების მართვაში მოქალაქეთა რეალურ მონაწილეობას ეფუძნება. პოლიტიკური ფედერაცია ორმაგ მიდგომას უნდა ემყარებოდეს - ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და მასში მცხოვრებ მოქალაქეთა შორის და, მეორე მხრივ, ასოცირების ფაქტსა და ფედერაციის ხალხებს შორის. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ფედერაციის ყოველმა წარმომადგენელმა ორმაგი სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს: აღიაროს საკუთარი ბმა როგორც საერთო სახელმწიფოებრივ ასოციაციასთან, ისე მოსახლეობის უფრო ვიწრო ჯგუფთან, რომლის უშუალო წარმომადგენლადაც მოიაზრებს თავს.

ფედერაცია, ამასთანავე, კანონის უზენაესობასაც გულისხმობს, ამიტომ ის იმ ორგანოებსაც საჭიროებს, რომლებიც ამ უზენაესობას გაახმოვანებენ და უზრუნველყოფენ. სუბსიდირების პრინციპით უფლებამოსილებების გადანაწილება და დელიკატური წონასწორობა ფედერაციასა და მასში შემავალ სახელმწიფოთა შორის გარკვეულ დამაბულობას წარმოქმნის, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა კონფლიქტების წყაროდ იქცეს. ასეთი კონფლიქტებისთვის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზების მოძებნაა საჭირო, თუმცა დამაბულობაც უნდა შენარჩუნდეს, როგორც სიცოცხლისა და განვითარების წყარო. კანონი ერთადერთი იარაღია, რომელიც ამ მწვავე ვითარებას გაანეიტრალებს, თუმცა მას ვერ აღმოფხვრის, რადგან მხოლოდ ფედერალურ სახელმწიფოს შესწევს უნარი იმისა, რომ კანონს ასეთი სასარგებლო როლის შესრულების შესაძლებლობა მისცეს.

ფედერალური სახელმწიფო ავტონომიის პრინციპის გამოცხადებით იწყება: ადამიანთა ყველა დაჯგუფება, პოლიტიკური ხასიათის იქნება ის, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული, სარგებლობს ავტონომიურობის სტატუსით. ეთნოსები, მუნიციპალიტეტები და რეგიონები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, პროფკავშირული და პროფესიული გაერთიანებები, უნივერსიტეტები და სკოლები, კულტურული და საქველმოქმედო ასოციაციები და სხვანი, წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, რომელთაც ფედერალური კონსტიტუცია ანიჭებს მათი მიზნების განხორციელებლად საჭირო ყველა უფლებას. ძირითადი დაჯგუფებები თავისუფალი წესით ქმნიან საკუთარ სტატუსს და სარგებლობენ მისით. მათი სრული უფლებაა, ჰქონდეთ იურიდიული ძალაუფლება. ფედერალური კანონმდებლობის ფარგლებში არ არსებობს არცერთი პირობა, რომელიც მათ ხელს შეუშლიდა თავიანთი ფუნდამენტური უფლებების მოხმარებაში.

ამრიგად, ფედერალური მოწყობის წესი ადამიანს საშუალებას აძლევს, თვითონ მართოს საკუთარი ინტერესები.

თუმცა ავტონომია არ ნიშნავს დამოუკიდებლობას. ყველა ავტონომიური დაჯგუფება ფედერალიზმის პრინციპების საფუძველზე უკავშირდება უფრო ფართო ფორმირებებს საერთო ფედერალური საზოგადოების ჩათვლით. ამ კავშირს მართავს თანამონაწილეობის პრინციპი: საბაზისო დაჯგუფებები მონაწილეობენ მათზე მაღლა მდგომი ორგანოების მუშაობაში და მათ შემადგენლობაში შედიან. ასე ყალიბდება მრავალრიცხოვანი და კომპლექსური ფედერალური კავშირები, რომელთა მოქმედების შედეგებიც ყველა დონეზე ვლინდება, როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ ჭრილში.

მსგავსი კომპლექსური სტრუქტურის მქონე საზოგადოების ისე სამართავად, მისი შემადგენელი ნაწილები ავტონომიურ ცხოვრებასაც რომ ეწეოდნენ და, იმავდროულად, ერთმანეთის ძალისხმევასაც იზიარებდნენ და საერთო კეთილდღეობისთვის თანამშრომლობდნენ, უნდა შემუშავდეს ამ სტრუქტურის მმართველი პრინციპი. ფედერალური დემოკრატია კანონის უზენაესობას ეფუძნება და მისი ბუნებრივი გარანტის - მოსამართლის ავტორიტეტს აღიარებს.

ამრიგად, ფედერალიზმი, საკუთარი ინსტიტუციონალური ხერხებითა და განხორციელების ორიგინალური მექანიზმებით, მოქნილი დიალექტიკის მატარებელი ძლიერი ფილოსოფიაა, რაც სამომავლოდ დიდ იმედს გვისახავს. მისი წყალობით ევროპა ადამიანთა მიწა გახდება, დასავლური ცივილიზაცია კი - ჰუმანიზმის ახალი კერა.

მიშელ მუსხელი

გასტონ სტეფანი

კონფედერაცია და ფედერაცია:

ანტითეზა

ტექსტები შერჩეულია ჟან-ფრანსუა ბილიონისა და ჟან-ლუკ პრეველის მიერ

წინასიტყვაობა დაურთო ლუსიო ლევიმ

შენიშვნა მკითხველთათვის - შენიშვნები მიშელ მუსხელის, ანრი ფრენეს და ალექსანდრ მარკის შესახებ - ამონარიდი ტექსტები ნაშრომიდან „ევროპაფედერალიზმის პირისპირ“ (1949, დაწერილი გასტონ სტეფანისთან ერთად) - ევროპული კონფედერაცია და ფედერაცია (1953, ანრი ფრენეს წინასიტყვაობა) - ფედერალური სრუქტურები (1964, ალექსანდრ მარკის წინასიტყვაობა) - ფედერალიზმი: ცნება - ტექნიკა - ფორმები - ფედერირებული ევროპა: ფედერალური სახელმწიფო, ფედერაციაში გაერთიანებული სახელმწიფოები, ინდივიდები, ძალაუფლებების ორგანიზაცია - ევროპის კონსტიტუციის პროექტი (1949) - ფედერაციული გაერთიანებების ტიპები: კონფედერაცია, ფედერაცია, სუპრანაციონალური გაერთიანებები - ფედერაციის უპირატესობა - ფედერაციიდან ფედერალურ საზოგადოებამდე: ავტონომია - მონაწილეობა - სუბსიდირება - სამართლის უზენაესობა

Presse fédéraliste

fédérop

ფედერალისტური ტექსტების კოლექცია

კონფედერაცია და ფედერაცია:

ანტითეზა

ნაშრომი გამოქვეყნდა პრესფედერალისტის დახმარებით

© Presse Fédéraliste

www.pressefederaliste.eu

მიშელ მუსხელი

გასტონ სტეფანი

კონფედერაცია და ფედერაცია:

ანტითეზა

ტექსტები შეარჩიეს ჟან-ფრანსუა ბილიონმა და ჟან-ლუკ პრეველმა

წინასიტყვაობა დაურთო ლუსიო ლევიმ

გამომცემლობა fédérop

Le Pont du Rôle – 24680 Gardonne

www.federop.com

შენიშვნა მკითხველთათვის

ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად, ვერ აღმოვაჩინეთ წიგნის *ევროპა ფედერალიზმის პირისპირ* (1949) ორი ავტორიდან ერთ-ერთის, ბ-ნი გასტონ სტეფანის, კვალი, საიდანაც არის ამოღებული შემდგომში გამოცემული პირველი ტექსტები. მიშელ მუსხელის ყველა გამოკითხულმა კოლეგამ და მეგობარმა დაგვიდასტურა, რომ არცერთ მათგანს იმ პერიოდში არასოდეს უნახავს ბ-ნი სტეფანი და არც სადმე შეხვედრიან მას. ავტორის აღმოსაჩენად ჩატარდა სხვა კვლევებიც იმ პიროვნებებს შორის, რომელთაც გასტონ სტეფანი ერქვათ, მაგრამ ამ დრომდე დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით. არ არის გამორიცხული, რომ ის ცნობილი იურისტი იყო, რომლის მთავარი სპეციალობაც სისხლის სამართალი გახლდათ, მაგრამ დღესდღეობით ვერც ამას დავადასტურებთ. ამ ნაშრომის ხელმძღვანელები, საგამომცემლო ჯგუფი *Presse Fédéraliste* (რომელმაც მონაწილეობა მიიღო მის დაფინანსებაში) და გამომცემლობა *fédérop* კვლავაც აპირებენ დაწყებული ძიების გააგრძელებას და დაინტერესებული არიან ნებისმიერი უმნიშვნელო დეტალით, რომელიც მოცემულ საკითხს უკავშირდება.

წიგნში შესულია 1949 და 1960 წლებით დათარიღებული სხვადასხვა ტექსტები:

ამონარიდები მიშელ მუსხელის მიერ 1949 წელს დაწერილი წიგნიდან *ევროპა ფედერალიზმის პირისპირ*, ბ-ნი გასტონ სტეფანის დახმარებით, გამომცემლობა F. W. Le Rous ; Strasbourg : Avant-propos, Introduction, Chapitre I (le fédéralisme), chapitre III (l'Europe) ევროპის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ასევე 1949 წლით თარიღდება;

- მიშელ მუსხელის ბროშურა *ევროპის კონფედერაცია თუ ფედერაცია?* (1953) სრული სახით;

- მიშელ მუსხელის ბროშურა *ფედერალური სტრუქტურები* სრული სახით, ევროპული სწავლების საერთაშორისო ცენტრის (CIFE) მიერ მრავალგზის გამოქვეყნებული ტექსტი ჟურნალის *ევროპა ჩამოყალიბებისას* პირველ ნომერში 1960 წელს, შემდგომ კი, 1964 წელს,

ბროშურის სახით. გამომცემლობა fédérop და ასოციაცია Presse Fédéraliste მადლობას უხდის CIFE-ს, რომელმაც წინამდებარე ნაშრომში მისი ხელახალი გამოქვეყნების უფლება მოგვცა.

ამ ტექსტებში მკითხველი შეხვდება უკვე არაერთხელ ნათქვამ იმ ცნებებს, რომელთა განმარტებაც ხშირად სრულყოფილი არ არის. თუმცა ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ მათი გამოყენება, რადგან ისინი თავად ევროპული მშენებლობის ისტორიაშია შესული. პირველი ტომი დაიწერა პირველი ევროპული ინსტანციების ბუტბუტში, ევროპის საბჭოს შექმნიდან ძალიან მალე; მეორის დაწერა ემთხვევა ქვანახშირისა და რკინის ევროპული თანამეგობრობის დაფუძნებას და ბრძოლას თავდაცვის ევროპული თანამეგობრობისთვის; რაც შეეხება მესამეს, იგი საერთო ბაზრის დაბადების შემდეგ დაიწერა და მასში იხილავთ ამ დროისთვის ჯერ კიდევ დაუსრულებელი ევროპული მშენებლობის პირველი ნაბიჯების ნიუანსებს, რომლებიც სხვადასხვა ცნებების განმარტებას უწყობს ხელს.

ბოლოს გადავწყვიტეთ, წიგნში დაცული ყოფილიყო ორიგინალი გამოცემების პუნქტების (მიუხედავად მათი არასრული სახისა) ნუმერაცია, რითაც აიხსნება ქვემოთ მოცემულ პირველ ტექსტში მათი არათანმიმდევრულობა.

მიშელ მუსხელსა და ალექსანდრ მარკს წარადგენს ჟან-პიერ გუზი

ანრი ფრენეს წარადგენენ ჟან-ფრანსის ბილიონი და ჟან-ლუკ პრეველი

ჟან-ფრანსის ბილიონი - საფრანგეთის ევროპელი ფედერალისტების კავშირის, ევროპელი ფედერალისტების კავშირის ინსტანციებისა და World Federalist Movement-ის ვიცეპრეზიდენტი; fédérop-ის მიერ გამოცემული წიგნისა და ფედერალიზმის ისტორიის შესახებ დაწერილი არაერთი ესესა თუ სტატიის ავტორი; საგამომცემლო ასოციაცია პრესფედერალისტის ერთ-ერთი ანიმატორი.

ჟან-ლუკ პრეველი - საფრანგეთის ევროპელი ფედერალისტების კავშირის ინსტანციების წევრი, მთარგმნელი და მრავალი სტატიის ავტორი; ტრიმესტრული ჟურნალის *ფედეშოზი* - *ფედერალიზმისთვის* (Fédéchoses – Pour le fédéralisme) დირექტორი და საგამომცემლო ასოციაცია პრესფედერალისტის ერთ-ერთი ანიმატორი.

წინასიტყვაობა

ფუნდამენტური თეზისი, რომელსაც მიშელ მუსხელი ავითარებს ამ გვერდებზე, არის ევროპის ფედერაციის აქტუალობა და კვალში მიჰყვება ვანტოტენის მანიფესტის მიერ 1941 წელს გავლემულ ხნულს. პირველი ესე, რომელსაც აქ ვაქვეყნებთ და რომელიც დაწერილია მიშელ მუსხელისა და გასტონ სტეფანის მიერ, 1949 წლით თარიღდება, ე.ი. ევროსაბჭოს დაბადების თარიღით, როცა ევროპული თანამეგობრობა ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული. მასში ნათლად ჩანს, რომ ავტორები უკვე ბოლომდე აცნობიერებენ ეროვნული სახელმწიფოების ეპოქის დასასრულს. ამავდროულად, ეს ესეები წარმოადგენს ჯანსაღი ნააზრევის ცოცხალ დოკუმენტებს, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტის გაცნობიერებას, რომ ეროვნული სახელმწიფოები უმთავრესი დაბრკოლებაა ევროპის ფედერაციისკენ მიმავალ გზაზე და რომ ეროვნული სუვერენიტეტების დასაძლევად ენერგიული და ხანგრძლივი ქმედებაა საჭირო. ამ მიზეზებმა მუსხელი მიახვედრა, რომ აღარ კმაროდა ევროპული საზოგადოების ევოლუციაზე დაკვირვება, დრო იყო, ევროპის ფედერაციისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაბმულიყო. ეს ესეები წარმოადგენს მეზრძოლი ფედერალიზმის მიერ მიღწეული შედეგების ძალზე მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალას.

ევროპის ფედერაციის მიზნის გასაგრძელებლად მუსხელი ორ ფუნდამენტურ თეორიულ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. ესენია: ფედერალიზმის ცნების განმარტება და ევროპის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

--

რაც შეეხება ფედერალიზმის ცნებას, იგი ამტკიცებს, რომ მისი სურვილია, ფედერალიზმი დოქტრინულ ასპექტზე უფრო, ტექნიკური ასპექტით განისაზღვროს, ანუ შემოიფარგლება ფედერალური ინსტიტუტების ორგანიზაციული ფორმით. მუსხელის მიერ დასახელებულ ფედერალისტ ავტორებს - ყველაზე მეტად კი პრუდონსა და დე რუჟმონს - თუ დავეყრდნობით, დოქტრინა, რომელსაც იგი ემხრობა, არის სრული ფედერალიზმი, ხოლო ფედერალიზმის მის მიერ მიღებული განმარტება, შეიძლება *grosso modo* მოქცეული

იყოს ფორმულაში „ერთობა მრავალფეროვნებაში“, რომელიც შეიძლება გამოვყოთ აქ ხელმეორედ გამოქვეყნებული მეორე ესეიდან - „*ევროპული კონფედერაცია თუ ფედერაცია?*“.

საუბარია ისტორიულად განუსაზღვრელ, ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას გამოსადეგ ვერსიაზე. მმართველობის საუკეთესო ფორმის ძიება - ეს არის დრომოჭმული მიდგომა, რომელიც ძველი კულტურული ტრადიციის ჩარჩოში ჯდება და წინ უსწრებს ისტორიზმის დასაწყისს. ისტორიზმის მიდგომის მიხედვით ნებისმიერი პოლიტიკური პროექტი, ნებისმიერი იდეოლოგია, წარმოადგენს პასუხს გარკვეული ეპოქის ისტორიულად განსაზღვრულ პრობლემებზე.

ამ სფეროში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა მარიო ალბერტინი¹. მან გამოიყენა ისტორიული მატერიალიზმის თეორიული ობიექტივი, რომელმაც ურთიერთობა დაამყარა წარმოების ფორმებსა და პოლიტიკურ ინსტიტუციებს შორის. ამ თეორიის საფუძველზე ალბერტინიმ დაადასტურა, რომ სამრეწველო რევოლუციასა და საფრანგეთის რევოლუციას შორის არსებობს კავშირი, რომელმაც განამტკიცა ერი-სახელმწიფოს მოდელი. იმ ისტორიული ფაზის განმავლობაში, რომელიც იწყება საფრანგეთის რევოლუციით და მთავრდება პირველი მსოფლიო ომით, ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმულას ალტერნატივა არ ჰქონდა ევროპაში. ამ პერიოდში მხოლოდ ოთხმა სახელმწიფომ - შვედეთმა, შტატებმა, შვეიცარიამ, კანადამ და ავსტალიამ - შეძლო ფედერალური ინსტრუმენტების მიღება მათი ისტორიული და გეოგრაფიული მარგინალობის წყალობით. უფრო ზუსტად, ის ისტორიული ფაქტორები, რომლითაც აიხსნება ამ სახელმწიფოებში ფედერალური ინსტიტუტების ფეხის მოკიდება, ალბერტინის აზრით, არის მაცენტრალიზებული ბიძგის სისუსტე, რომელიც განსაზღვრულია კლასებს შორის ბრძოლითა და დიდ ძალაუფლებებს შორის პოლიტიკური და სამხედრო შოკით.

ეს არის სამრეწველო წარმოების მეორე ფაზა, რომელიც სამონტაჟო ჯაჭვით და სერიული წარმოებით, ავიაციითა და რადიოთი ასაზრდოებს ინტეგრაციის პროცესებსა და მაკრორეგიონალური დონის ბაზრებს და ამ გზით კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ეროვნული

¹მარიო ალბერტინი, *Il federalismo*, ბოლონია, გამომცემლობა ილ მილანო, Biblioteca federalista-ს კოლექცია ლუჩიანო ბოლის ფონდის მფარველობის ქვეშ გვ. 294, 1993 წ. გამომცემლობა ფედეროპში იმავე ავტორისგან, ეროვნული სახელმწიფო, რობერტ ლაფონტის წინასიტყვაობა, კოლექცია ფედერალისტური ტექსტები, ლიონი, 1978 წ., გვ. 167. (იტალიური გამოცემა, *Lo Stato Nazionale*, გამ. Diuffrè, Università degli Studi di Pavia, Pubblicazioni dell'Is di Scienza.

სახელმწიფოების დამოუკიდებლობას. ფედერალიზმი, გაგებული როგორც მსოფლიოს დიდი რეგიონების სივრცეებზე სახელმწიფოს ორგანიზებისთვის ადაპტირებული პოლიტიკური ფორმულა, მოცემულ პერიოდში იკიდებს ფეხს. სწორედ ამ საჭიროებამ აიყვანა მსოფლიო ძალაუფლების იერარქიის მწვერვალზე შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი და გამოიწვია ევროპული ერების დაცემა, რომლებიც იძულებული იყვნენ, ფედერაციით მიეღწიათ მშვიდობისთვის და ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის.

მე-20 საუკუნის ბოლოსკენ წარმოების ფორმის ევოლუციაში ახალმა შემობრუნებამ - სამეცნიერო და ტექნოლოგიურმა რევოლუციამ - რომელმაც დასაბამი ჩაუყარა გლობალიზაციას, მაკრორეგიონული დონის სახელმწიფოების კრიზისი გამოიწვია და ისტორიის დღის წესრიგში ჩაწერა მსოფლიო მმართველობის პრობლემა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაერთიანებული ერების გაძლიერებისა და დემოკრატიზაციის პრობლემა.

მიშელ მუსხელის მოსაზრებები წარმოადგენს ევროპის ფედერაციის მშენებლობასთან დაკავშირებული იურიდიული და პოლიტიკური საკითხების შესანიშნავ და ჯერ კიდევ აქტუალურ თვალსაჩინოებას. ამ მიდგომის გამო ავტორი სიტყვებს „ფედერალიზმი“ და „ფედერაცია“ როგორც სინონიმებს, ისე იყენებს. საუბარია რედუქციულ მიდგომაზე, რადგან ფედერაცია, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფედერალური სტრუქტურები წარმოადგენს ფედერალიზმის ინსტიტუციონალურ ასპექტს.

დღესდღეობით ეს ფედერალიზმის ყველაზე უკეთ შესწავლილი ასპექტია. მაგრამ როგორც ალბერტინიმ აღნიშნა, ფედერალიზმი არის პოლიტიკური ფორმულა, რომელიც ვარგისია ისტორიის განსაზღვრულ ფაზაში: ფედერალიზმი მსოფლიოს დიდი რეგიონების ფარგლებში სამრეწველო რევოლუციის მეორე ფაზის ეპოქაში და მსოფლიო ფედერალიზმი სამეცნიერო და ტექნიკური რევოლუციის დროს. ასე რომ, შეიძლება მოხდეს ფედერალიზმის ისტორიულ-სოციალური ასპექტის იდენტიფიცირება, რომელიც შეიძლება განიმარტოს, როგორც სიტუაცია, რომელშიც დაძლეულ იქნა კლასებსა და ერებს შორის დაყოფა.

მეორე მხრივ, იმ ურთიერთობის გათვალისწინებით, რომელიც არსებობს პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და ღირებულებებს შორის, შეიძლება მოხდეს კონკრეტული ურთიერთობის იდენტიფიცირება ძალაუფლების ორგანიზების სხვადასხვა ფორმებსა და იმ პოლიტიკურ

მიზნებს შორის, რომლის მიღწევაც გვინდა. მაგალითად, თუ თავისუფლების მიზანს ავირჩევთ, საჭირო იქნება სახელმწიფოს ორგანიზება სხვადასხვა კონსტიტუციურ ორგანოებს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო და ცენტრალურ მთავრობასა და ადგილობრივ მთავრობას შორის) შორის ძალაუფლების განაწილების პრინციპზე იმგვარად, რომ ძალაუფლებამ შეზღუდოს ძალაუფლება. თუ, მეორე მხრივ, მშვიდობის მიზანს ავირჩევთ, სახელმწიფო ორგანიზებული უნდა იყოს ფედერალური პრინციპის ბაზაზე, რომელიც იძლევა საშუალებას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებიდან გამოიდევნოს ძალადობა და ამ ურთიერთობების მართვა მოხდეს სამართლითა და დემოკრატიული პროცედურების ბაზაზე. ასე რომ, ფედერალიზმის ინსტიტუციონალური ასპექტის გვერდით შეგვიძლია განვასხვაოთ ისტორიულ-სოციალური ასპექტი (კლასებსა და ერებს შორის დაყოფის დაძლევა) და ღირებულების ასპექტი (მშვიდობა).

*

რაც შეეხება ევროპის კონსტიტუციის პროექტს, რომელსაც აქ გამოქვეყნებული სამი ესეიდან პირველის დანართში ვხვდებით, მუსხელი და სტეფანი მის შესახებ იძლევიან მითითებებს და მოსაზრებებს, რომელთა უმრავლესობაც ჯერ კიდევ აქტუალურია, რადგან ევროპის ფედერაცია კვლავ დაუსრულებელია. მუსხელის მსჯელობები ევროპული თანამეგობრობის კონფედერალურ ბუნებაზე მართებულია იმ ეპოქის გათვალისწინებით, რომელშიც ისინი დაიწერა. მაგრამ ევროკავშირის ბევრად ახალი ინსტიტუციონალური განვითარების ბაზაზე, ევროპის თანამეგობრობა და ევროკავშირი შეიძლება განგვემარტა, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის შუალედური ტიპი ფედერაციასა და კონფედერაციას შორის, რაც ამ ინსტიტუტების კონფედერალური მოდელიდან ფედერალურ მოდელზე გარდაქმნის გამოხატულებაა.

პირველ რიგში, დასაფასებელია, თუ როგორ ნათლად გვიჩვენებენ კონფედერაციასა და ფედერაციას შორის განსხვავებას და ფედერაციაში ახდენენ ინსტიტუციონალური სტრუქტურის იდენტიფიცირებას, რომელიც პოლიტიკური ერთობის გარანტიას იძლევა წევრი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის შენარჩუნებასთან ერთად. ერთობის ფაქტორი მდგომარეობს წევრი სახელმწიფოების კომპეტენციების ფედერალურ დონეზე გადაცემაში

სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში, უფრო ზუსტად კი საბაჟოების, ფულისა და საგადასახადო სფეროში. ამ ძალაუფლების გადაცემის გარეშე ევროპული ინსტიტუტები დარჩებოდა წევრ სახელმწიფოებზე დაქვემდებარებული და დაყოფის ფაქტორი გარდაუვლად გაიმარჯვებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ განსხვავებას მიეყვართ პოლიტიკური პროპაგანდის 85 სტატიისგან შემდგარ კრებულთან, რომელიც ალექსანდრე ჰამილტონის, ჯონ ჯეისა და ჯეიმს მედისონის² მიერაა დაწერილი და 1787-88 წლებში ნიუ-იორკის გაზეთებში ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მხარდასაჭერად გამოქვეყნდა. აღნიშნული ნაშრომი სათაურით - *The Federalist*, პოლიტიკური აზროვნების კლასიკად იქცა. იგი შეიცავს საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია კონფედერაციასა და ფედერაციას შორის განსხვავებაზე. გასაკვირია, რომ ამ წიგნს მუსხელი და სტეფანი არ ახსენებენ.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები უპირატესობას ანიჭებენ კომპეტენციების განაწილების პრინციპზე დაფუძნებულ ფედერაციის მოდელს. ეს მოდელი მკვეთრად განსხვავდება შეერთებული შტატების ფედერალური მოდელისგან, რომელიც ექსკლუზიური კომპეტენციების პრინციპზე უფროა ორიენტირებული. განაწილებული კომპეტენციების მოდელი უფრო ჰარმონიულად ერგება ერი-სახელმწიფოებით შემდგარ ისეთი ფედერაციის მოთხოვნებს, როგორც იქნება ევროპის ფედერაცია, რომელიც წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური დამოუკიდებლობის საჭიროებით იქნება დომინირებული.

ავტორები ამ მოდელს სამხედრო კომპეტენციასაც არგებენ. განსაკუთრებით გვირჩევენ, ავიაცია მოვაქციოთ ფედერალური მთავრობის კონტროლქვეშ და წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის ქვეშ დარჩეს სახმელეთო ჯარი (როგორც შვეიცარიაში) და სამხედრო საზღვაო ძალები. საგარეო პოლიტიკაც მიჩნეულია, როგორც განაწილებული კომპეტენცია, ისე, რომ წევრ სახელმწიფოებს ჰქონდეთ სხვა სახელმწიფოებთან გამორჩეული დიპლომატიური ურთიერთობების, ხელშეკრულებების გააფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ინდივიდუალურად მონაწილეობის უფლება.

²ალექსანდრე ჰამილტონი, ჯონ ჯეი, ჯეიმს მედისონი, *ფედერალიზმი, ფრანგული გამოცემა, სამართლისა და იურისპრუდენციის მთავარი წიგნის მაღაზია - ევროპის ფედერალისტთა კავშირის პატრონაჟის ქვეშ, პარიზი, 1957, გვ. 788.*

გარდა ამისა, ფედერალური სახელმწიფოები შეძლებდნენ დასთანხმებოდნენ თავიანთი სუვერენიტეტის შეზღუდვას საერთაშორისო ორგანიზაციების სასარგებლოდ, ურთიერთმიმართების პირობით, გაეროს ფედერალური მიმართულებით განვითარების პერსპექტივაში, რომელიც აჟამად კონფედერაციას წარმოადგენს. ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალურ კომპეტენციებში ავტორები ენერგეტიკულ პოლიტიკას აერთიანებენ, რომელიც ევროკავშირის კომპეტენცია გახდა მხოლოდ ლისაბონის ხელშეკრულებით.

რაც შეეხება ფედერაციის იურიდიულ ბუნებას, ავტორები მას განმარტავენ როგორც „ერთდროულად სახელმწიფოებისა და ინდივიდების კავშირს“. ფედერალური ინსტიტუტების სირთულე გამოიხატება ორპალატიანი საკანონმდებლო სისტემით, რომელიც შედგება უშუალოდ მოქალაქეების მიერ არჩეული წარმომადგენელთა პალატისგან და სახელმწიფოთა პალატისგან, რომელშიც შედიან წევრი სახელმწიფოების მიერ დანიშნული წარმომადგენლები. ორივე პალატას მინიჭებული აქვს საკანონმდებლო ძალაუფლება. კანონებს კენჭი ეყრება ხმათა უმრავლესობით ორივე პალატის მიერ. ეს არის მიზანი, რომლისთვისაც ევროკავშირს ჯერ სრულად არ მიუღწევია, გამომდინარე იქიდან, რომ ევროპის პარლამენტსა და საბჭოს შორის საკანონმდებლო თანაგადაწყვეტილება ეფუძნება კვალიფიციურ უმრავლესობას და არა „დამსწრე წევრთა აბსოლუტურ უმრავლესობას“, როგორც ამას გულისხმობს ევროპის კონსტიტუციის მათი პროექტი.

აღმასრულებელი ხელისუფლების ღერძი არის ფედერაციის პრეზიდენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები საბოლოო არჩევანს არ აკეთებენ საპარლამენტო და საპრეზიდენტო რეჟიმებს შორის. სისტემა, რომელიც მკვიდრდება ევროკავშირის წიაღში, ახლოსაა საპარლამენტო რეჟიმთან, მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციები გარდაუვალია. მართლაც, ევროპის პარლამენტს აქვს უფლებამოსილება ნდობა გამოუცხადოს ევროპის აღმასრულებელ ორგანოს (კომისიას) და პირიქით, ნდობა არ გამოუცხადოს მას და ჩააგდოს კომისია. ევროკავშირის თავმჯდომარის როლი, რომელიც ნიშნავს კომისიის თავმჯდომარეს, მინიჭებული აქვს კოლეგიურ ორგანოს, სახელმწიფოსა და მთავრობათა მეთაურების ევროპულ საბჭოს, რომელსაც, ლისაბონის ხელშეკრულებით, ჰყავს თავმჯდომარე ორნახევარი წლით და ეს ვადა შეიძლება განახლდეს საბჭოს მანდატის ამოწურვამდე. ევროპული საბჭოსთვის მინიჭებული ძალაუფლების გათვალისწინებით, კერძოდ, საგარეო ურთიერთობების სფეროში, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ჰიპოთეზა, რომ ევროკავშირის

მთავრობა განვითარდება ისეთი ბიკეფალური აღმასრულებელი ფორმისკენ, რომელიც გარკვეულ ასპექტებში ფრანგულ და რუსულ სისტემებს ჩამოჰგავს, სადაც აღმასრულებელი უფლებამოსილებები განაწილებულია.

ფედერაციის უფლებამოსილებათა არტიკულაცია შექმნილია ამერიკული ორდონიანი მთავრობის მოდელის საფუძველზე, მაშინ როცა ევროკავშირი ცდილობს თავისი უფლებამოსილებების ორგანიზება სამ დონეზე მოახდინოს: ევროპულ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე.

რაც შეეხება ევროპის კონსტიტუციის რატიფიცირებას: პროექტი ადგენს, რომ კონსტიტუცია შეიძლება შევიდეს ძალაში, როცა მის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფოების უმრავლესობა მოახდენს მის რატიფიცირებას. აქ საუბარია ფუნდამენტურ პრინციპზე, რომელიც ფედერალურ ინსტიტუტებს არეგულირებს, თუმცა ის ჯერ არ მიუღია ერთსულოვნების პრინციპში ჩაფლულ ევროკავშირს.

*

ევროკავშირის ინსტიტუციონალური სტრუქტურის ყველა ეს მახასიათებელი, რომელთაგან გარკვეული ნაწილი მუსხელის და სტეფანის მიერ იყო იდენტიფიცირებული, აჩვენებს, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს შორის კავშირის შექმნის საჭიროება მოითხოვს ღრმა ინტიტუციონალურ ინოვაციებს.

რეზიუმეს სახით წარმოგიდგენთ მათ მოკლე ჩამონათვალს:

- საპარლამენტო რეჟიმი აადვილებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების პოლიტიკურ ხაზს და გადაწყვეტილების მიღების პროცესის პარალიზების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა, რაც ახასიათებს ზოგადად ისეთ საპრეზიდენტო რეჟიმებს, როგორიცაა შეერთებული შტატები, სადაც პრეზიდენტი და პარლამენტი ცალ-ცალკეა არჩეული;

- ფედერაციის თავმჯდომარეობის მინიჭება კოლეგიური ორგანოსთვის კონტინენტის ყველა ეროვნების ევროპულ დონეზე წარმოდგენილობის გარანტიას იძლევა, რაც ძალაუფლებების ცენტრალიზებას უშლის ხელს;

- სახელმწიფოთა პალატისთვის საკანონმდებლო თანაგადაწყვეტილების მიღების (ევროპის პარლამენტთან ერთად) უფლებამოსილების მინიჭება წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს ფედერალური კანონმდებლობის ფორმულირებაში მიიღონ მონაწილეობა. მეტიც, სახელმწიფოების დამოუკიდებლობა გაცილებით ეფექტიანად გამოიხატება სახელმწიფოთა პარლამენტებისა და მთავრობების წარმომადგენლების მიერ, ვიდრე ხალხის რჩეულთა მიერ;

- ფედერალური საზოგადოებების წიაღში ეკონომიკური და სოციალური ურთიერთდამოკიდებულების განვითარებამ განაპირობა თანამშრომლობითი ფედერალიზმის განმტკიცება. მართლაც, ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მთავრობის ორი განცალკევებული დონის თანაარსებობა შეუძლებელი აღმოჩნდა თანამშრომლობის რაიმე ფორმის გარეშე. აქედან გამომდინარე, ექსკლუზიური კომპეტენციების რეჟიმს გაუსწრო განაწილებული კომპეტენციების რეჟიმმა, თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით, რაც პრივილეგირებულ სივრცეს წარმოადგენს და სადაც სახელმწიფოების დამოუკიდებლობა გამოიხატება;

- მთავრობის უფლებამოსილებების სამ დონეზე (ევროპული, ეროვნული და რეგიონალური) არტიკულირება არის ეროვნული სახელმწიფოს კრიზისულ ვითარებაზე ყველაზე ეფექტიანი პასუხი, რომელიც მოითხოვს უფლებამოსილების გადაცემას ევროპისა და რეგიონების და სახელმწიფოთა სხვა უფრო პატარა ტერიტორიული გაერთიანებებისთვის;

- ევროპის ფედერაცია წარმოდგენილია, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ისტორიის მანძილზე პირველად იძლევა ისტორიულად კონსოლიდირებული ერების მშვიდობიანი თანაარსებობისა და გლობალიზაციის ეპოქაში კაცობრიობის პოლიტიკური გაერთიანებისთვის საფუძვლის ჩაყრის საშუალებას. ამ მიზნისა და გაერთიანებული ერების ფედერალური მნიშვნელობის რეფორმის ხელშეწყობისთვის ევროპის კონსტიტუციამ უნდა დაამტკიცოს ევროპის ფედერაციის მზაობა, გაერთიანებული

ერების სასარგებლოდ უარი თქვას თავისი უფლებამოსილებების ნაწილზე, პირველ რიგში კი, თავისი შეიარაღებული ძალების ნაწილი მსოფლიო პოლიციის კორპუსის რიგებში უნდა ჩააყენოს;

- წვერი სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ კონსტიტუციის რატიფიკაცია შეესაბამება დემოკრატიისა და ფედერალიზმის პრინციპებს და იმ წინააღმდეგობების დამარცხების საშუალებას იძლევა, რომელიც ეროვნულ ვეტოს უფლებაში იმალება.

ლუსიო ლევი

(შედარებითი პოლიტიკური ინსტიტუტების პროფესორი - ტურინის უნივერსიტეტი - მრავალი ნაშრომის ავტორი, რომელთაგან ორი გამოქვეყნებულია გამომცემლობა fédérop-ის მიერ. იტალიის *Movimento Federalista Europeo*-ს პრეზიდენტი, ჟურნალ *The Federalist Debate*-ის დირექტორი.

მიშელ მუსხელი

მიშელ მუსხელი, სტრასბურგის სამართლისა და პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, მოულოდნელად გარდაიცვალა ვალ დ'აოსტში 1964 წლის 11 ივლისს. იმ დღეს, ეს მთით გატაცებული ადამიანი ფედერალისტური კვლევების საუნივერსიტეტო კოლეჯის სტუდენტების ჯგუფთან ერთად ექსკურსიაზე წავიდა. ექსკურსია მისთვის ფატალურად დასრულდა. მიშელ მუსხელს ფეხი დაუცდა და რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმის ნაპრალში ჩავარდა.

მის სიკვდილს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა... მიშელ მუსხელს უყვარდა ახალგაზრდობა, ევროპა და რისკი. წარმოშობით ქართველი პროფესორი (დაიბადა თბილისში, 1903 წლის 21 ივლისს), ხშირად ამბობდა, რომ ყველა სხვა სახის სიკვდილს მთაში შემთხვევით გაუჩინარება ერჩივნა. გეტინგენის, მიუნხენის, ლიონის, პარიზის უნივერსიტეტებში სწავლის შემდეგ, 1931 წელს იგი გახდა სამართლის დოქტორი, შემდეგ ლექტორი - პარიზის უნივერსიტეტის უმაღლესი საერთაშორისო სწავლების ინსტიტუტში.

1940 წლიდან 1945 წლამდე მიშელ მუსხელი ასწავლიდა ფუად პირველის უნივერსიტეტში, კაიროში. 1948 წელს ის დაასახელეს სტრასბურგის სამართლისა და პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სტრასბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის პროფესორად. 1950-1957 წლებში ინტენსიურად მართავდა კონფერენციებს გერმანიის, შვეიცარიის, ნორვეგიისა და იტალიის მთავარ საუნივერსიტეტო დაწესებულებებში. 1953 წლიდან 1964 წლამდე *visiting professor*-ის ხარისხში ასწავლიდა ამერიკის უნივერსიტეტებში. 1959 წელს მან დააფუძნა და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კვლევის ცენტრს სტრასბურგში.

მიშელ მუსხელის ძირითად ნაშრომებს შორის, გარდა მისი სადოქტორო ნამუშევრისა, რომელიც ეძღვნება „ფედერალური სახელმწიფოს იურიდიულ თეორიას“ და რომელიც 1932 წლის 11 ივლისს პარიზის სამართლის ფაკულტეტმა გვირგვინით შეამკო, ალექსანდრე მარკის მიერ გამოცემული წიგნის - *ფედერალური სტრუქტურები: საბჭოთა ფედერალიზმი*

(სტრასბურგის შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამოცემები, გამ. Dalloz, პარიზი, 1955წ.) წინასიტყვაობაში მოხსენიებულია მისი სხვა ფედერალისტური ტექსტებიც: *საბჭოთა კავშირის მთავრობა*, მ. ჟადრიკასთან თანამშრომლობით (საფრანგეთის საუნივერსიტეტო პრესა, პარიზი, 1960 წ.), ასევე *საბჭოთა ფედერალიზმის წინააღმდეგობები* (გამ.Sirey, პარიზი 1962 წ.).

მიშელ მუსხელი მხოლოდ ჟორჟ სელის სკოლაში ჩამოყალიბებული სახელოვანი იურიტი არ ყოფილა. იგი ყველაზე პროგრესულ ფედერალისტებს შორის მოიაზრებოდა უშუალოდ ომის შემდგომი პერიოდისა და მთელი 1950-იანი წლების განმავლობაში. მაგალითად, უნივერსიტეტთაშორისი ფედერალისტური კავშირის თავმჯდომარედ ყოფნისას (რომლის შექმნაშიც ჟორჟ რენკისთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა), ის მონაწილეობდა სტუდენტურ აქციებში, რომლის დროსაც სიმბოლურად წვავდნენ სასაზღვრო ბოძებს; თავმჯდომარეობდა ევროპის უნივერსიტეტის პროფესორთა ასოციაციას; მას შემდეგ, რაც წამოიწყო პირველადი არჩევნები ევროპელი ხალხის კონგრესისთვის, რომლის სულის ჩამდგმელი და გენერალური დელეგატი იყო ალტიერო სპინელი³ ბრწყინვალედ უძღვებოდა მის სხდომებს.

თავისი მოულოდნელი გარდაცვალების წელს იგი გახდა ევროპული განათლების საერთაშორისო ცენტრის ვიცეპრეზიდენტი, დღიდან ამ პოსტზე დანიშვნისა, აქტიურად თანამშრომლობდა ცენტრის ჟურნალთან და იყო მისი სარედაქციო კომიტეტის წევრიც. *ფედერალურ სტრუქტურებში* - ერთდროულად ანგაჟირებულ და იურიდიული კულტურით გაჯერებულ სამეცნიერო ბროშურაში, რომელიც 1964 წელს გამოქვეყნდა *ევროპის პრესის* მიერ, იგი დაუბრუნდა თავისი ბრწყინვალე კონფერენციების რჩეულ თემას. რეზიუმე ამის შესახებ წარმოდგენილი იყო ჟურნალის *ევროპა ფორმირებაში* პირველ ნომერში, რომელიც 1960 წლის მარტში გამოიცა. *ფედერალური სტრუქტურები* მომხიბვლელად ავსებს მის პირველ წვლილს „კონფედერაციას“ და „ევროპულ ფედერაციას“ შორის არსებული ფუნდამენტური განსხვავებების გაგებაში, რომელიც გამოსცა უნივერსიტეტთაშორისმა ფედერალისტურმა კავშირმა *ახალგაზრდობის ევროპული კამპანია და ფედერალისტების ევროკავშირი*, მაშინ როცა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული თანამეგობრობის ექვსი

³ალტიერო სპინელი, ერნესტო როსი, ვანტოტენის მანიფესტი - თავისუფალი და დემოკრატიული ევროპისთვის, ფრანგული გამოცემა, ფედერალისტური კვლევების ალტიერო სპინელის ინსტიტუტი, ვანტოტენის დღიურები 1, ვანტოტენი 1988, გვ. 70.

ქვეყანა, რომლებიც იყვნენ პირველი ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებლები და თავდაცვის თანამეგობრობის ინიციატორები, მოწოდებული იყვნენ გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგათ პოლიტიკური სუპრანაციონალური ევროპული თანამეგობრობის სასარგებლოდ, ნათქვამია ანრი ფრენეს წინასიტყვაობაში.

ამ წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტები, მათი შესანიშნავი და ნათელი მსჯელობის გამო, ძვირფასი და ფასდაუდებელია. ის შეიქმნა მათი ავტორების, უნივერსიტეტის თავდადებული პროფესორების პატივსაცემად, რომელთა გატაცება იყო ევროპელი ხალხისთვის ავთენტური ბრძოლა, და იმედით იმისა, რომ ისინი კვლავაც შეიტანენ წვლილს ახალი თაობების მშენებლობაში.

ჟან-პიერ გუზი

ევროპა ფედერალიზმის პირისპირ (1949)

მიშელ მუსხელი და გასტონ სტეფანი

წინასიტყვაობა

ეს წიგნი არც დოქტრინული ნაშრომია და არც პროპაგანდისტული ნაწარმოები.

მისმა ავტორებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის უცხო არ იყო იურიდიული და პოლიტიკური საკითხების განხილვა, არ ისურვეს წმინდა სამეცნიერო კუთხით შესდგომოდნენ ევროპული ფედერალიზმის კვლევას. თუმცა ეკონომიკური ასპექტები, რომლებსაც ეს პრობლემა მოიცავს, არ მისცემდა მათ მსგავსი ჭირვეულობის რეალობად ქცევის საშუალებას.

წიგნის ავტორებმა არც ის ისურვეს, რომ ფედერალისტური დოქტრინის პროპაგანდისტები ყოფილიყვნენ.

შეშინებულებმა იმ სერიოზული საფრთხეებით, რომელიც დღეს მათ საკუთარ ქვეყნებს და მთელ ევროპას ემუქრება, მონდომებულებმა, დაეცვათ დასავლური ცივილიზაციის სულიერი და მორალური ფასეულობები, უბრალოდ ასე გადაწყვიტეს, რომ რეალობებისა და შესაძლებლობების გულწრფელი ანგარიში შეედგენათ და ყველა ევროპელი ადამიანისთვის გაეზიარებინათ როგორც თავიანთი საწუხარი, ისე - იმედი.

სენ-ნიკოლა-დე-ვეროსი, 1949 წლის 21 თებერვალი

შესავალი

„მეოცე საუკუნე ფედერაციების ერას მაშინ გახსნის, როცა კაცობრიობა ათასწლიან განსაწმენდელს თავიდან დაიწყებს“.

პიერ-ჟოზეფ პრუდონი, *ფედერაციული პრინციპის შესახებ*

ევროპის ერების „თვალწარმტაცი იზოლაციის“ ერა ამიერიდან შეიცვალა. იწყება ახალი ერა, ფედერალიზმის ერა. მისი დადგომა, როგორც პრუდონმა იწინასწარმეტყველა დაახლოებით ერთი საუკუნის წინ, გამოიხატება იდეებისა და მოსაზრებების ფართოდ გაშლილ მოძრაობაში. ამ მხრივ წამახალისებელ ნიშნებს იძლევა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების სრულიად ახალი პოლიტიკაც, თუმცა შესაძლოა ცოტა მოკრძალებული ფორმით.

უდავოა, რომ ევროპის ფედერაციის იდეა ახალი არ არის. თუმცა ორი ომი გახდა საჭირო (და ორივე ევროპაში დაიწყო) იმისათვის, რომ მას ხალხის ყურადღება მიეპყრო და ევროპის ელიტა თავისი მიზნისთვის დაექვემდებარებარებინა. 1946 წლის აგვისტოში ჰერტენშტეინის (შვეიცარია) კონგრესზე მისი მიმდევრების დათვლა შეიძლებოდა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, მონტრეს კონგრესზე (შვეიცარია, 1947 წლის აგვისტო), ფედერალისტთა ევროპის კავშირი შეიქმნა, რომელიც ორმოცზე მეტ ასოციაციას აერთიანებდა. იმავდროულად მონტრუჟში, პარიზთან ახლოს, იმართებოდა ევროპის სოციალისტური შეერთებული შტატების პირველი კონგრესი, გსტაადში (შვეიცარია) კი ევროპის რამდენიმე ქვეყნის საკანონმდებლო ასამბლეის ფედერალისტი პარლამენტარების კონფერენცია. ამავე პერიოდში ინგლისში უინსტონ ჩერჩილი აფუძნებდა ახალ მოძრაობას *United Europe*, პოლ ვან ზეელანდი ბელგიაში ქმნიდა ეკონომიკური თანამშრომლობის დამოუკიდებელ ლიგას, ხოლო საფრანგეთში რენე კურტენის ინიციატივით ყალიბდებოდა

გაერთიანებული ევროპის ფრანგული საბჭო რაულ დოტრის ხელმძღვანელობითა და ედუარდ ჰერიოტის მაღალი პატრონაჟით.

საჭირო იყო ამ სხვადასხვა ჯგუფის მოქმედების კოორდინაცია, რისთვისაც 1947 წლის დეკემბერის თვეში პარიზში შეიქმნა ექვსი ყველაზე დიდი ფედერალისტური მოძრაობის კოორდინაციის საერთაშორისო კომიტეტი. ახალდაარსებულმა კომიტეტმა მალევე გადაწყვიტა ჰააგაში შეეკრიბა სხვადასხვა კერძო და საჯარო დაჯგუფების მრავალი წარმომადგენელი და ასევე უამრავი პოლიტიკური პირი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. ევროპის კონგრესმა, რომელიც 1948 წლის მაისში შედგა, სამი კომისიის მიერ წარმოდგენილ მოხსენებებზე ცხარე მსჯელობის შემდეგ კენჭი უყარა კულტურულ რეზოლუციას, პოლიტიკურ რეზოლუციასა და ეკონომიკურ რეზოლუციას. ნამდვილი გადაწყვეტილებების მიღებისა და მათ აღსრულებაზე პასუხისმგებლობის აღების ნაცვლად, იგი სურვილების მთელი სერიის ფორმულირებითა და საინტერესო წინადადებების წამოყენებით დაკმაყოფილდა. მან განსაკუთრებული კატეგორიულობით მოითხოვა ეროვნული პარლამენტების მიერ არჩეული ევროპული ასამბლეის „სასწრაფო“ მოწვევა. სოლიდარობის ამ მნიშვნელოვან გამოხატულებას ფუჭად არ ჩაუვლია. მან ერთდროულად ევროკავშირის იდეის პროგრესიც გამოავლინა და საზოგადოებრივი აზრი და ზოგიერთი მთავრობაც შეაშფოთა.

ევროპული მოძრაობის დიდი საბჭო, რომლის საპატიო თავმჯდომარეები იყვნენ მისტერ ჩერჩილი, პოლ ანრი სპაკი, ლეონ ბლუმი და ალსიდ დე გასპერი, შეიქმნა 1948 წლის ოქტომბერში კერძო ორგანიზაციების მოქმედების შემჭიდროვებისა და განვითარებისთვის. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჰააგის კონგრესის შემდეგ.

ევროპაში ეკონომიკური მდგომარეობის უწყვეტად მზარდმა გაუარესებამ, აღმოსავლეთ ევროპის ბევრ სახელმწიფოში კომუნისტური პარტიის მიერ ძალაუფლების ხელში აღებამ, გერმანიის პოლიტიკურად ორად გაყოფის გარდაუვლობამ, საბჭოთა კავშირის ბერლინში ყოფნამ დასავლეთ ევროპის პოლიტიკური მმართველები მიახვედრა, რომ აუცილებელი იყო გაერთიანება. მათ ამ მიმართულებით მოქმედებაც კი დაიწყეს.

მაშინ როცა საერთო ეკონომიკური ინტერესებით უკვე დაკავშირებული ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი 1947 წელს აყალიბებდნენ ბენილუქსის, საფრანგეთის და

იტალიის საბაჟო კავშირს, თავის მხრივ, 1948 წლის მარტში, ხელს აწერდნენ ტურინში პროტოკოლს, რომელიც აყალიბებდა საბაჟო კავშირის პრინციპს. იმავე დროის საფრანგეთის მთავრობა ბენილუქსის ქვეყნებს სთავაზობდა, მათ კავშირში შესულიყო საფრანგეთი. უფრო ფართო თვალსაზრისით, ამერიკელების ინიციატივის წყალობით (მარშალის გეგმა), ევროპის თექვსმეტი ქვეყანა ეკონომიკური თანამშრომლობის გზას დაადგა.

წმინდად პოლიტიკურ ასპარეზზე დასავლეთ ევროპის მთავრობები, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ყოყმანობენ ასეთი მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებაზე. აზრთა სხვაობა გერმანიის მომავალ ორგანიზებაზე, ევროპის ზოგიერთი ქვეყნის განსაკუთრებული მდგომარეობა, ზოგიერთის კავშირი ევროპის მიღმა ხალხებთან, ლონდონის ლეიბორისტული მთავრობის თავშეკავებული დამოკიდებულება - ასეთი იყო ამ ყოყმანის მთავარი მიზეზები. მიუხედავად ყველაფრისა, საერთო საფრთხის გარდაუვლობამ და სერიოზულობამ ბევრი მათგანი მიიყვანა იქამდე, რომ გაეთვალისწინებინათ თავიანთი საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია და სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობა. 1948 წლის 18 მარტის ბრიუსელის შეთანხმებები ინგლისს, საფრანგეთსა და ბენილუქსის ქვეყნებს შორის ამის პირველი კოლექტიური მანიფესტაციაა.

უფრო მეტიც, 1948 წლის 18 აგვისტოს, საფრანგეთის მთავრობამ, ჰააგის კონგრესის მოწოდების საპასუხოდ, ინიციატივა აიღო, შეეთავაზებინა ამ შეთანხმებების ხელმომწერთა კონფერენციის ჩატარება, რომელსაც დაევალებოდა ევროპის ასამბლეის შექმნა. ამ შეთავაზებისა და დამღლეი მოლაპარაკებების შედეგად, ხუთეულის კონფერენციამ 1949 წლის 29 იანვარს გადაწყვიტა ევროპის საბჭოს შექმნა, რომელიც შედგებოდა მინისტრთა კომიტეტისა და დამფუძნებელი ასამბლეისაგან. ამ ასამბლეის წევრები თავისუფლად დასახელდებიან თითოეული ქვეყნის მიერ. რამდენიმე კვირის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის შემოთავაზებით, ხუთეულის კომიტეტმა სტრასბურგი ახალი ორგანოების სათავე ოფისად აირჩია.

ამგვარად, მოვლენების წნეხქვეშ, ევროკავშირი ჩვენს თვალწინ ყალიბდება ნელ-ნელა, გარკვეულწილად ემპირიული ფორმით. საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც ფედერალისტებიც იზიარებენ, ასეთია: ევროპისთვის ჯერ კიდევ ძალიან ადრეა კონსტიტუციითა და ფედერალური მთავრობით აღჭურვა. ევროპის ფედერაციის დაუყოვნებელი ფორმირება მას ნაადრევად და მარცხისთვის განწირულად ეჩვენება.

ეროვნული მთავრობები, რომლებიც მიჯაჭვული არიან თავიანთ უფლებებსა და სეკულარულ პრივილეგიებს, მზად არ იქნებიან ისინი ფედერალიზმის სამსხვერპლოს შესწირონ. მისი მტკიცებით, აუცილებელია ხანგრძლივი ენერგიული ქმედება იმისათვის, რომ მათ ასეთი მსხვერპლის გაღება გადაწყვიტონ.

ხანგრძლივი ქმედება! საჭირო იქნება თუ არა წლების განმავლობაში ლოდინი იმისათვის, რათა საჯარო აზრი მთლიანად დაპყრობილი იყოს და თავად უკარნახოს ევროპის პოლიტიკურ მმართველებს საჭირო უარი და დათმობა? თითქოს ევროპას, რომელსაც პოლიტიკურად დამორჩილება და ეკონომიკურად ჩახშობა ემუქრება, მოცდა შეეძლოს! თუ ევროპის, მისი თავისუფლებებისა და ცივილიზაციის გადარჩენა გვინდა, მყისიერი მოქმედებაა საჭირო. მისი წამოწყება ქიმერული არ არის. იმის შიშით, რომ მორცხვები დაფრთხებიან და სკეპტიკოსები გაიცინებენ, ჩვენ არ მოგვერიდება ვამტკიცოთ, რომ ევროპის ფედერაცია ამიერიდან შედგება.

ფედერალური გაერთიანების რამდენიმე პროექტიც კი შემუშავდა, რომელთაგან ერთი, ყველაზე ახლებს შორის, პანევროპული კონფერენციის იურიდიული კომისიის შემოქმედებაა. ყველა ეს გეგმა - და ეს არის მათი უმთავრესი ნაკლი - დოგმატური და აბსტრაქტული სულისკვეთებით შეიქმნა, ისე, რომ ამჟამინდელი ევროპის მდგომარეობისთვის საკმარისად არ გაუწევიათ ანგარიში. თითქოს საუბარია მხოლოდ ფორმულის დაკმაყოფილებაზე, მათმა ავტორებმა, უდავოდ ზედმეტად დოქტრინულებმა, მოისურვეს ევროპა უკვე გამზადებულ ფედერალისტურ ჩარჩოში შეეყვანათ.

მოქმედება სულ სხვაგვარადაა საჭირო. უნდა გამოვიდეთ ევროპული რეალობებიდან და ფედერალიზმი ამ რეალობებს მოვარგოთ. რადგანაც ევროპამ კი არ უნდა მოუხაროს ქედი ფედერალისტური პრინციპის მოთხოვნებს, არამედ ფედერალიზმი უნდა მოერგოს ევროპის რეალობას.

ასევე, უწინარეს ყოვლისა, ეს წიგნი შეიქმნა რეალისტური მიდგომით. სწორედ ფედერაციული პრინციპის რეალობებთან დაპირისპირებით გამოყვეს მისმა ავტორებმა ევროპის ფედერაციის ფუნდამენტური საფუძვლები. ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ამ ფედერაციის დაუყოვნებლივ ჩამოყალიბება ამიერიდან უკვე შესაძლებელია და ის დასავლური ერების გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

დილემა „გაერთიანება ან გაქრობა“ ევროპისთვის გარდაუვალია.

პირველი თავი

ფედერალიზმი

რა არის ფედერალიზმი? კითხვა შეიძლება შეეხოთ ორ ასპექტს: დოქტრინულსა და ტექნიკურს, ანუ პრინციპთა ერთობლიობას, ანდა პოლიტიკური ორგანიზების რეცეპტს. აქ ფედერალისტურ დოქტრინას სრულად არ შევეხებით. განხილული იქნება მხოლოდ ფედერალიზმის ცნება, ტექნოლოგია და მისი გამოყენების შემთხვევები.

ნაწილი 1 - ფედერალიზმის ცნება

1.

პრუდონმა ასე განსაზღვრა ფედერალიზმი: „შეთანხმება, რომლის თანახმადაც რამდენიმე სახელმწიფო ერთიანდება ორმხრივად და, ასევე, ერთიმეორისადმი ვალდებულების ფარგლებში, ერთი ან რამდენიმე კონკრეტული საგნის ირგვლივ, რაზეც პასუხისმგებლობა ექსკლუზიურად ფედერაციის დელეგატებს ეკისრებათ“.

მართლაც, თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, სიტყვა ფედერაცია ლათინური *foedus, foederis*-დან მოდის, რაც ალიანსს, ტრაქტატს ნიშნავს და იწარმოება სიტყვიდან *fidere*, რაც მინდობას ნიშნავს. მაშასადამე, ფედერაცია ქმნის კავშირს.

კავშირი (*union*) არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ერთობა (*unité*).

ერთობა გულისხმობს ყველა იმ ელემენტის შესისხლბორცებას, რომლისგანაც ის შედგება. მას ახასიათებს „ერთი“ ნება და „ერთი“ ხელმძღვანელობა, რომელიც

აბსოლუტურად სუვერენული ცენტრიდან მომდინარეობს. როდესაც არსებობს კავშირი, აზრთა თანხედრა სავალდებულოა და შენარჩუნდება დომინაციის გზით. თუკი ეს დომინაცია ადამიანური საქმიანობის ყველა ფორმაზე ვრცელდება, საქმე გვაქვს ტოტალიტარიზმთან.

როგორც ერთობა, კავშირიც ერთი მთლიანის არსებობას გულისხმობს, მაგრამ მისი შემადგენელი ნაწილები თავიანთ განსხვავებულ ინდივიდუალიზმს ინარჩუნებენ. კავშირი საკუთარი წევრებით შემოიფარგლება. ის მათთვის იმანენტურია. წევრების მიერ ფორმირებული კავშირი მხოლოდ მათ ხარჯზე არსებობს. შესაბამისად, კავშირი და მისი წევრები უდავოდ ორგანულად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და მათ შორის ფუნქციონალური ურთიერთობებია. კავშირი გამორიცხავს დომინაციის იდეას, თანამშრომლობა მის არსს წარმოადგენს.

ფედერალიზმი, როგორც კავშირი და არა ერთობა, ნებაყოფლობით ასოცირებული სხვადასხვა სახის ავტონომიური დაჯგუფებისაგან შედგება. მასში წონასწორობა ფედერაციასა და მის წევრებს შორის სუვერენიტეტის გადანაწილების საფუძველზე მყარდება. აღნიშნული განსაზღვრება ნათელს ჰფენს ფედერალიზმის ორ უმნიშვნელოვანეს თვისებას: *მოქნილობას და კომპლექსურობას*.

2.

ფედერალიზმი არ წარმოადგენს სისტემატურ გამოსავალს, უძრავ ფორმულას, რომელიც ზეგავლენის მოსაპოვებლად ძალადობს რეალობაზე ან ანგრევს მას. მოქნილობა მას საშუალებას აძლევს ადვილად მოერგოს მთელ რიგ რეალურ სიტუაციებს. „ფედერირება“, როგორც შესანიშნავად აღნიშნა დენი დე რუჟმონმა, „ეს უბრალოდ კონკრეტული და განსხვავებული ტიპის რეალობების ერთობლივად, ავად თუ კარგად მოგვარებას, პარტიკულარულ თავისებურებებთან მისადაგებულ შეთანხმებას, ურთიერთდაფასების პირობებში არსებობას ნიშნავს“. ფედერალიზმი, რომელიც სათუთად ეპყრობა და ადაპტირდება რეალობასთან, გმობს „უხეშ სიმარტივეს“, რომელიც ცხოვრების

კომპლექსურობის უგულებელყოფით სრესს ყველაფერს, რაც შეიძლება გადაეღობოს ან შეეწინააღმდეგოს მზა კონცეფციის განხორციელებას.

ამ მხრივ იგი ემიჯნება არატოლერანტ ტოტალიტარიზმს, რომელიც ცდილობს გამარტივებას უნიფორმიზაციის მისაღწევად. იმისათვის, რომ არ დაშრეს ცივილიზაციის ცოცხალი წყაროები, ფედერალიზმი უფრთხილდება სხვადასხვა ტრადიციასა თუ კონცეფციაზე დამყარებულ კერძო წამოწყებებს და ამგვარად კულტურას მრავალფეროვანი, ორიგინალური კონტრიბუციებით ხელახალი გამდიდრების საშუალებას აძლევს. ამავე დროს ფედერალიზმის პრინციპს შესაძლოა დიდი სირთულეებიც ახლდეს. მას საათის მოძრაობასაც ადარებენ რთული და ფაქიზი მექანიზმით, რომლის ამუშავებაც მრავალი პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და კულტურული ინსტიტუციის არსებობას გულისხმობს. ისინი ერთმანეთთან არიან გადაჯაჭვულები და ამ ინტეგრირების პროცესში თავიანთ ავტონომიურ არსებობასაც ავითარებენ.

3.

ამგვარად, ფედერალიზმი ზედმიწევნით აკმაყოფილებს ორ ფუნდამენტურ, თვისობრივად ანტინომიურ, ყველა საზოგადოებაში არსებულ მოთხოვნილებას - ხელისუფლებას და თავისუფლებას. „არ არის საზოგადოება, წერს პრუდონი, ხელისუფლებისა და თავისუფლების გარეშე. საზოგადოება ხელისუფლების გარეშე ანარქიაა; საზოგადოება თავისუფლების გარეშე ყმობა“. ხელისუფლებისა და თავისუფლების ერთდროულად დასამკვიდრებლად, ისინი გაწონასწორებულ სისტემაში უნდა მოექცნენ, სადაც ურთიერთშეზღუდვის მეშვეობით ერთმანეთს გაუმაგრებენ ზურგს.

ერებისთვის თავისუფლება მათი ინდივიდუალურობის შენარჩუნებას, მათი განსაკუთრებულობის გადარჩენას, ტრადიციებისა და საკუთარი კულტურის კონსერვაციას ნიშნავს. მათთვის ხელისუფლება საყოველთაო წესრიგისადმი ნებაყოფლობით დაქვემდებარებას წარმოადგენს. აღნიშნული წესრიგი უზენაესი კანონის დამკვიდრებისა და მის გამოყენებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მოქმედების შედეგია. მისი აღიარებით, სულაც არ თმობენ ერები თავისუფლებას. ისინი კვლავ თვითმყოფადად რჩებიან და ინარჩუნებენ

განსხვავებულობის უფლებას. სავარაუდოდ, ისინი უნდა დაეთანხმონ, რომ გაიღებენ მსხვერპლს და თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილს შესწირავენ. სანაცვლოდ სარგებლობენ ფედერალური გარანტიით და დამოუკიდებლობაც უკეთ აქვთ დაცული.

წონასწორობას ხელისუფლებასა და თავისუფლებას შორის ქმნის თანხმობა ეროვნულ ავტონომიასა და ზოგადი წესრიგისადმი დაქვემდებარებას შორის. ორი რამ უზრუნველყოფს მის შენარჩუნებას. ეს საყოველთაო წესრიგი ერების მიერ გამოწრთობილი, „პირობითი“ კანონის შემოქმედებაა, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან, ხოლო ორგანო, რომელიც მის აღსრულებაზეა პასუხისმგებელი, მათივე დელეგატებისაგან შედგება. ერების მონაწილეობა იმდენად მჭიდროა, რომ კავშირის არსებობა და ფუნქციონირება მათ გარეშე წარმოუდგენელია. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფედერალური ქვეყნები ერთდროულად დაქვემდებარებულებიც არიან და სუვერენულებიც.

ნაწილი II - ფედერალიზმის ტექნიკა

როგორ განვამტკიცოთ ხანგრძლივი ვადით დამოუკიდებლობას დახარბებული, თავის ინდივიდუალიზმს მიჯაჭვულ საზოგადოებათა ერთობები? ფედერალიზმი თავად გვთავაზობს საშუალებებს და მხოლოდ გარკვეული პროცედურებით მიღწევადი გზით არ იფარგლება.

იგი ამის მისაღწევად საჭირო მის ხელთ არსებულ მეთოდებზე მიგვითითებს. გვთავაზობს არა მხოლოდ თეორიას, არამედ ტექნიკასაც. ის მოიცავს ორგანიზების საკუთარ პრინციპებს, კერძოდ: ფედერაციის წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციურ ავტონომიას, წევრი ქვეყნების მონაწილეობას კავშირის მისწრაფების ფორმირებაში, ინსტიტუციურ, სამთავრობო ურთიერთმიმართებას და ძალაუფლების გადანაწილებას.

4.

ზოგადად, გაერთიანების გადაწყვეტილებას პოლიტიკური სისტემის მქონე ერთობები იღებენ. ცხადია, კავშირის შექმნისას, მათ სურვილს წარმოადგენს არსებული პოლიტიკური სისტემის შენარჩუნება და საკუთარივე ნებით მისი შეცვლის უფლება. სურთ, რომ დაცული იყოს მათი *კონსტიტუციური ავტონომია*. ფედერალიზმს, რომელსაც გაერთიანება და არა უნიფიკაცია უნდა, მის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ამავე დროს იგი აღიარებს ქვეყნების უფლებას, აირჩიონ მართვის მოდელი, საჯარო ხელისუფლების ტიპი და თავისუფლად აწარმოონ თვითმმართველობა.

რა თქმა უნდა, ფედერაციაში გაერთიანებული სახემწიფოების კონსტიტუციური ავტონომია აბსოლუტური ვერ იქნება. კავშირის არსებობა მას გარკვეულწილად ამცირებს. მართლაც, ვერცერთი კავშირი ვერ იქნება მდგრადი, თუკი მისი წევრები არ დაეთანხმებიან კავშირის მაკონსოლიდირებელ რამდენიმე საერთო პოლიტიკურ პრინციპს. სახელმწიფოები ფედერაციაში გაერთიანებისას თავად იღებენ ვალდებულებას მიუსადაგონ ეროვნული კონსტიტუცია ფედერალური პაქტის დებულებებს, რომელიც ამ პრინციპების მატარებელია.

ამგვარად, კონსტიტუციური ავტონომია მხოლოდ ფედერალური კონსტიტუციის ფარგლებში მოიაზრება. სამაგიეროდ, ამავე ფარგლებში ის იღებს გარანტიას და დაცვას. ასევე, იგი ერთი მხრივ დათმობაზე მიდის, მაგრამ, მეორე მხრივ, კონსოლიდირდება, გარკვეულ სიძლიერეს იძენს.

5.

ფედერაციულ კავშირში წევრი ქვეყნები ყოველთვის იღებენ აქტიურ მონაწილეობას ფედერალური ხელისუფლების დაგეგმვასა და მართვაში. შესაძლოა კავშირის წევრი ქვეყნებისაგან განსხვავებული საკუთარი მისწრაფება ჰქონდეს, რომელიც ამავე ქვეყნების ინდივიდუალური, მუდმივად განახლებადი იდეების წყალობით არსებობს. სწორედ ამ იდეებით საზრდოობს ფედერაცია და მათი მონაწილეობა ქმნის მას.

მაინც რაში მდგომარეობს ეს მონაწილეობა? როგორ ხორციელდება ის?

მათი შემოქმედების ნაყოფია ფედერალური პაქტი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები ერთმანეთს ანიჭებენ უფლებას აქტიურად ითანამშრომლონ ფედერალური ორგანოების ჩამოყალიბებაში. ეს ყოველთვის საჭირო თანამშრომლობა შეიძლება მეტნაკლებად ფართო იყოს. როდესაც ფედერალური კავშირები მოსუსტებულია, როგორც, მაგალითად, გაეროში, ყველა ფედერალური ორგანო წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან არის შემდგარი. ხოლო როდესაც ფედერალური კავშირები მეტად მტკიცეა, როგორც ეს თანამედროვე ფედერალურ სახელმწიფოებშია, წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები მხოლოდ რამდენიმე უწყებაში გვხვდება.

ყველა წევრის მონაწილეობა აუცილებელი პირობაა როგორც კავშირის არსებობისათვის, ასევე მისი ფუნქციონირებისათვის. კანონის გატანა იქნება კენჭისყრაზე თუ მისი აღსრულება, შიდა ფედერაციული წესრიგის დაცვა თუ ფედერაციის ტერიტორიის თავდაცვა, ყველა წევრის თანადგომის გარეშე შეუძლებელია.

ფედერალური უწყებების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, კონსტიტუციური ავტონომიის შესანარჩუნებლად, სახელმწიფოები იტოვებენ უფლებას, ითანამშრომლონ ფედერალურ პაქტში ცვლილებების შეტანის მიზნით. ისინი თანხმდებიან, რომ არცერთი ცვლილება არ შევა მასში ყველა წევრის ან უმრავლესობის თანხმობის გარეშე.

ასევე, სახელმწიფოების მონაწილეობა ფედერაციის მისწრაფების ჩამოყალიბებაში ფედერალიზმის დამახასიათებელი თვისება და მისი შემადგენელი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

6.

კავშირი, რომელიც არანაირ ზიანს არ აყენებს წევრების ინდივიდუალიზმს, ორმაგი ორგანიზაციის ფატალურ არსებობას გულისხმობს - ერთი მხრივ, წევრი ქვეყნების და, მეორე მხრივ, თვით ფედერაციისა.

წვერი სახელმწიფოები მართლაც ინარჩუნებენ საკუთარ სამთავრობო ინსტიტუციებს; მათ განსხვავებული პოლიტიკური ცხოვრება აქვთ და მათი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აპარატი არაფერს არ დაესხება კავშირის სისტემას. თუკი ეს უკანასკნელი გაუქმდება, წევრები მაშინათვე განაგრძობენ დამოუკიდებლად არსებობას უცვლელი პოლიტიკური სისტემით, ან იმ ორგანოების აღდგენით, რომლებზეც უარი ჰქონდათ ნათქვამი.

ნაციონალურ ორგანოებზე ზემდგომია ფედერალური ორგანო, რომელიც, მიუხედავად საფეხურეობრივი უპირატესობისა, არ შთანთქავს მათ. მისი სიძლიერე და სრულყოფილება დამოკიდებულია ფედერალური კავშირების ინტენსიურობაზე. როდესაც ფედერალური კავშირები სუსტია, როგორც წესი, ფედერაცია დაიყვანება ასამბლეის დონეზე, რომლის შემადგენლობაშიც შედიან წვერი ქვეყნების მთავრობების მიერ დელეგირებული წარმომადგენლები; ხოლო როდესაც კავშირი მტკიცეა, ის განვითარების გზას გადის და სულ უფრო უახლოვდება ერთიანი სახელმწიფოს მოდელს, ამავდროულად კი ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ თვისებებს.

ფედერაცია, როგორც სახელმწიფოთა და ინდივიდთა კავშირი, ვერ იქნება ორგანიზებული როგორც ჩვეულებრივი, ინდივიდებისაგან შემდგარი საზოგადოება. ის უფრო რთულ მოწყობას მოითხოვს, სადაც ფედერალური ინსტიტუციების ზედა საფეხურზე ეროვნული ინსტიტუციები დგას.

7.

კავშირის შიგნით ორი პოლიტიკური, ერთიმეორეზე მდგარი ორგანიზმის არსებობა ფედერაციასა და მის წევრებს შორის სხვადასხვა სახელმწიფო ვალდებულებების გადანაწილებას გულისხმობს.

სახელმწიფოები, რომელთაც სურთ მაქსიმალურად შეინარჩუნონ საკუთარი ძალაუფლება, მაგრამ იძულებული არიან გაერთიანდნენ, ხელისუფლების ასეთ

გადანაწილებას კეთილგანწყობილი არ ხვდებიან. ფედერალური შეთანხმების დადებით კი მინიმალურ დათმობებზე უკვე მიდიან.

სახელმწიფოების მიერ თავიანთ პრეროგატივაზე უხალისოდ უარის თქმა თავს იჩენს გადანაწილების პრინციპშიც. ისინი კვლავ ინარჩუნებენ თავიანთ სუვერენიტეტს და ფედერაციისათვის მხოლოდ შეზღუდულ, ჩამოთვლილ უფლებებს აღიარებენ. სახელმწიფოების კომპეტენცია კანონად რჩება, ფედერაციისა კი გამონაკლისს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ფედერაცია სარგებლობს მხოლოდ მისთვის მინიჭებული უფლებებით, ხოლო ყველა დანარჩენი უფლება კვლავ წევრ სახელმწიფოთა განკარგულებაშია.

მიუხედავად მათი პრინციპის კომპეტენციისა, სახელმწიფოები ზოგჯერ ფორმალური სახით ზოგიერთ წინასწარ განსაზღვრულ უფლებამოსილებას (სარეზერვო ძალაუფლება) იტოვებენ, რომელიც, როგორც წესი, მათთვის ყველაზე მეტად ღირებულია და მათ დათმობას არცერთ შემთხვევაში არ შეეგუებიან. ფედერალური კონსტიტუციის დებულებაც კი ვერ ჩამოართმევს მათ ამ უფლებას მათივე თანხმობის გარეშე.

იმისთვის, რომ გააძლიერონ და კიდევ უფრო ეფექტიანი გახადონ თავიანთი სუვერენიტეტი, სახელმწიფოები ასევე იტოვებენ ბოლო ინსტანციად გადაწყვეტილების მიღების უფლებას. მათ სურთ, რომ ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც საკუთარი ძალაუფლების ფარგლებში იღებენ, იყოს საბოლოო და არ იქნეს შეცვლილი ფედერალური ხელისუფლების მიერ.

გადანაწილების პრინციპისადმი თავშეკავებას იჩენენ სახელმწიფოები, თუმცა სხვადასხვა უფლებამოსილებების ეფექტიან გადანაწილებას მეტნაკლებად თავისუფლად უდგებიან. ფედერალური კავშირების ინტენსივობისა და სიძლიერის მიხედვით, სახელმწიფოები მისი უფლებამოსილებების მეტ-ნაკლებად ფართო საზღვრებს აღიარებენ. ნებისმიერ შემთხვევაში მათსავე ინტერესშია, რომ ქვეყნებმა თანხმობა განაცხადონ ფედერაციისათვის მინიმალური პრეროგატივებისა და ძალაუფლების მინიჭებაზე, ამ უკანასკნელის არსებობის საგარანტიოდ.

ძალაუფლების გადანაწილებისას უკიდურესი სიფრთხილის გამოჩენის შემთხვევაშიც კი, კონფლიქტი კომპეტენციებს შორის გარდაუვალია. მაშინ როგორ უნდა მოგვარდეს ის? ამ

საკითხთან დაკავშირებითაც გამოსავლის შესაძლებლობები დამოკიდებულია ფედერაციის სიმძლავრეზე. ეჭვგარეშეა, რომ ყველაზე მიუკერძოებელი და ფედერალიზმის არსისთვის მახლობელი გამოსავალია კონფლიქტების მოგვარება დამოუკიდებელი იურისდიქციის მიერ.

ნაწილი III - ფედერალიზმის ფორმები

8.

ტრადიციულად, ფედერალიზმის სხვადასხვა ფორმულები დაიყვანება ორ ძირითად ტიპამდე: *სახელმწიფოების კონფედერაცია* და *ფედერალური სახელმწიფო*.

ეს განსხვავება ადრე ემყარებოდა აბსოლუტური სუვერენიტეტის ცნებას, რომელიც იმ დროს სახელმწიფოს უმთავრეს თვისებად მიიჩნეოდა. სახელმწიფოების კონფედერაციაში სუვერენიტეტით კონფედერაციის წევრი სახელმწიფოები სარგებლობენ; ფედერალურ სახელმწიფოში ქვეყნების სუვერენულობა ფედერაციაზეა ტრანსფერირებული.

უფრო თანამედროვე დოქტრინამ, კლასიკური დაყოფის შენარჩუნების შემდეგ, შეცვალა მისი ფუნდამენტი სახელმწიფოს ახალ კონცეფციასთან დასაახლოებლად. ამჟამად აბსოლუტური სუვერენულობის თეზისს ბევრი დამცველი აღარ ჰყავს. ზოგადად მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისება საერთაშორისო სამართლისადმი პირდაპირი და უშუალო სუბორდინაციაა. სახელმწიფოების კონფედერაციაში ქვეყნები უშუალოდ ექვემდებარებიან საერთაშორისო სამართალს, ფედერალურ სახელმწიფოში მხოლოდ ფედერაცია ექვემდებარება საერთაშორისო სამართალს, სახელმწიფოები კი მხოლოდ მისი მეშვეობით ექვემდებარებაში.

გერმანული იურიდიული ტერმინოლოგია შედგენილი სიტყვებით შესანიშნავად გამოხატავს განსხვავებას ფედერალიზმის ამ ორ ფორმას შორის: *Staatenbund* - ნიშნავს „სახელმწიფოთა ერთობას“, ხოლო *Bundesstaat* - „შეერთებულ სახელმწიფოებს“.

რა დამახასიათებელი თვისებებით გამოირჩევა ფედერალიზმის პრინციპის ეს ორი სახესხვაობა?

9.

სახელმწიფოების კონფედერაციას ზოგადად ასე განმარტავენ: „სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოების ასოციაცია იურიდიული პირის სტატუსის მქონე ცენტრალური ორგანოთი“.

მისი უპირატესი მახასიათებელი არის ის, რომ ასოცირებული სახელმწიფოები ინარჩუნებენ სრულ სუვერენიტეტს და კვლავ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად მიიჩნევიან, ხოლო მათი ცენტრალური ორგანიზაცია შეზღუდული კომპეტენციით სარგებლობს კონფედერაციული პაქტის საზღვრებში. აქ წონასწორობა კავშირსა და მის წევრებს შორის დარღვეულია წევრი სახელმწიფოების სასარგებლოდ. წესით, ისინი სუვერენულებად რჩებიან, თუკი პაქტი არ ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს; მაგრამ ეს პაქტი არ უნდა დავივიწყოთ, ის თვით სახელმწიფოების შემოქმედებაა და საერთაშორისო კონვენციას წარმოადგენს. მისი ერთადერთი ფუნქცია მათი უცხოურ სახელმწიფოებთან ურთიერთობების რეგულირებისას, სპეციალური საერთაშორისო სამართლის ზოგადი საერთაშორისო სამართლით ჩანაცვლებაა. ცვლილება, რომელიც ამას მოსდევს, ძირითადად ძალის გამოყენებისა და ხელშეკრულებების დადების უფლებას ეხება.

კონფედერაციაში შემავალი ქვეყნები კატეგორიულ უარს აცხადებენ ერთმანეთის მიმართ ომის წარმოებაზე. ისინი იღებენ ვალდებულებას ერთმანეთს შორის უთანხმოებები საერთო უწყების ან რომელიმე საერთაშორისო პროცედურის (შერიგება, არბიტრაჟი) მედიაციას დაუქვემდებარონ. ისინი უარს აცხადებენ აგრეთვე უცხო ქვეყნებთან საომარ დაპირისპირებაზე; ამავდროულად, უფლებას იტოვებენ იარაღის გზით განდევნონ მათ წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი აგრესია.

რაც შეეხება საერთაშორისო შეთანხმებებს, მათი მოქმედების თავისუფლება ნაკლებად შეზღუდულია. მხოლოდ პოლიტიკური ხელშეკრულებების დადება ეკრძალებათ (ალიანსი,

ორმხრივი დახმარების ხელშეკრულება), რომლითაც კავშირის მთლიანობა შეიძლება იყოს კომპრომეტირებული. თუმცა ნებისმიერი სხვა ტიპის ხელშეკრულების გაფორმება შეუძლიათ (ვაჭრობა დაწესებულებებს შორის და ა.შ.) იმ პირობით, თუკი კონფედერაციისა და მისი წევრი სახელმწიფოების ინტერესები იქნება დაცული.

ყველა კომპეტენცია, რომელზეც სახელმწიფოები თანხმდებიან, საერთო ორგანოს ფუნქციებში შედის. კონგრესი ერქმევა მას თუ ყრილობა, სახელმწიფოების პირდაპირ ასარჩევი წევრებისაგან შემდგარი უწყება, რეალურად, მუდმივ დიპლომატიურ კონფერენციას წარმოადგენს. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მას შეუძლია მიიღოს წევრი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებები, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს მათ დაცვასა და აღსრულებას. გამომდინარე იქიდან, რომ არ გააჩნია არც შეიარაღებული ძალა, არც ფინანსური რესურსები, არც თანხები აღსრულებისათვის და უძლურია იმოქმედოს ინდივიდთა წინააღმდეგ, მისი ძალაუფლება წევრი სახელმწიფოების მიერ მისთვის მინიჭებულ უფლებას არ აღემატება. მისი ძალაუფლება მხოლოდ მის წევრებზეა დამოკიდებული.

ეს თანდაყოლილი სისუსტე აუძლურებს კონფედერაციას და ხელს უშლის იმ მიზნის მიღწევაში, რომლისთვისაც ის შეიქმნა. რეალური ძალაუფლების არქონა მას ხელს უშლის ეფექტიანად უზრუნველყოს წევრების საგარეო და შიდა უსაფრთხოება. შესაძლოა, ამ მოცემულობით იგი ფედერალური ორგანიზაციის არასრულყოფილი და დროებითი ფორმა იყოს; მოკლე ვადით ის განწირულია დაშლისთვის ან უფრო მყარ კავშირად გარდაქმნისთვის.

10.

ფედერალური სახელმწიფო არის „ის, რომელიც შედგება ერთდროულად ინდივიდებისა და სახელმწიფოებისაგან, რომელშიც წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ კონსტიტუციურ ავტონომიურობას და მონაწილეობას იღებენ ფედერალური ნების ჩამოყალიბებაში“.

სახელმწიფოთა კონფედერაციისაგან განსხვავებით, ფედერალური სახელმწიფო სუვერენულია და მხოლოდ ის მიიჩნევა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. აქ წონასწორობა კავშირსა და მის წევრებს შორის უკეთ არის დამყარებული. ფედერალური სახელმწიფოები საკუთარი თავის ბატონად რჩებიან; ისინი ფედერაციას მხოლოდ მათი უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის აუცილებელ, საჭირო ძალაუფლებას უთმობენ. ამ მიზნით ისინი საკუთარ სამთავრობო სისტემაზე ზემდგომ, საერთო სამთავრობო ორგანიზმს ქმნიან.

ფედერალური სახელმწიფო ნამდვილი სახელმწიფოა, საკუთარი ტერიტორიითა და სუბიექტებით; მას ყველა ატრიბუტი აქვს: ატარებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და იურიდიულ უფლებამოსილებას. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნამდვილ კანონებს წარმოადგენს - ისინი ყველაზე ვრცელდება, როგორც ინდივიდებზე, ისე სახელმწიფოებზე - და აქვს უნარი თავადვე უზრუნველყოს მათი აღსრულება. კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებში მისი ნება წევრი სახელმწიფოების ნებაზე მაღლა დგას; ფედერალური სამართალი ეროვნულ სამართალთან უპირატესობით სარგებლობს. თუ ფედერაციასა და მის წევრებს შორის კონფლიქტი გაღვივდა, სწორედ ფედერალური სამართალი უკარნახებს სიტუაციიდან გამოსავალს ფედერალური ტრიბუნალის მეშვეობით.

მიუხედავად სრულფასოვანი პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობისა, ფედერალური სახელმწიფო არ წარმოადგენს ერთ, უნიტარულ სახელმწიფოს. მისი უფლებები შეზღუდულია, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობებში; ფედერაციის ფარგლებში კი მისი ძალაუფლება მხოლოდ საყოველთაო ინტერესის ზოგიერთ ისეთ ობიექტზე ვრცელდება, როგორიცაა ფინანსები, ჯარი, ვაჭრობა და სხვ. ყველა სხვა უფლებამოსილება ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს განეკუთვნება, რომლებიც პრინციპის კომპეტენციას ინარჩუნებენ.

რაც ფედერალურ სახელმწიფოსა და უნიტარულ სახელმწიფოს შორის სხვაობას აღრმავებს, არის წევრი ქვეყნების ის წვლილი, რომელიც მათ ფედერაციის ორგანიზებისა და ფუნქციონირების საქმეში შეაქვთ. იგი პირდაპირი წესით ახდენს ფედერალური კონსტიტუციის რევიზიას. ფედერალური პალატის მეშვეობით, რომელშიც წარმოდგენილია ყველა წევრი სახელმწიფო, ისინი ირიბად იღებენ მონაწილეობას ფედერალური კანონის

შემუშავებაში. ხშირ შემთხვევაში მათ მიერ დანიშნულ აგენტებს ეკისრებათ ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა.

ეროვნული ავტონომიებისადმი პატივისცემით, უფლებამოსილებების გონივრული გადანაწილებით, ერთიანი ორგანოს შემადგენელი ნაწილების ხელსაყრელი განლაგებით, ფედერალური სახელმწიფო აშკარად ფედერალისტური ფორმულის ბევრად უკეთესი ფორმაა, ვიდრე სახელმწიფოთა კონფედერაცია. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ის ყველანაირ სიტუაციას ერგება? რეალობა თავისი კომპლექსურობითა და მრავალფეროვნებით ყოველთვის ვერ ირგებს მხოლოდ ერთ ფორმას, რაც უნდა დახვეწილი იყოს ის.

11.

სახელმწიფოთა კონფედერაცია და ფედერალური სახელმწიფო ახერხებენ კი რეალურად ამოწურონ ფედერირების პრინციპის განხორციელების პოტენციალი? სახელმწიფოებს მხოლოდ ამ ორ მოდელს შორის აქვთ გასაკეთებელი არჩევანი? ფაქტები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მსგავსი არაფერი ხდება და განსხვავებას სახელმწიფოთა კონფედერაციასა და ფედერალურ სახელმწიფოს შორის ცალსახად დიდაქტიკური სახე აქვს. მისი, როგორც დოქტრინის ღირებულება ერთობ საეჭვოა და ფედერალისტური გამოცდილების მხოლოდ არასრულყოფილ და დამახინჯებულ სურათს გვთავაზობს.

12.

ვხვდებით თუ არა, მაგალითად, სახელმწიფოთა კონფედერაციას მცირე ანტანტაში (1933 წ. 16 თებერვალი), ბალკანეთის ანტანტაში (1934 წ. 9 თებერვალი) და არაბული ქვეყნების ლიგაში (1945 წ. 12 მარტი)? არცერთი მათგანი სახელმწიფოთა კონფედერაციის ძირითად მახასიათებლებს არ აერთიანებს. ბალკანეთის ანტანტა მხოლოდ ორგანიზებული ალიანსი იყო; მას არ გააჩნდა ერთიანი, პერმანენტული ორგანო, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისა და საზღვრებს გარეთ მისი წევრების წარდგენაზე იქნებოდა უფლებამოსილი.

მიუხედავად იმისა, რომ ბალკანეთის ანტანტაზე უკეთ იყო ორგანიზებული, არც მცირე ანტანტა იყო სახელმწიფოთა კონფედერაცია. მას ამისათვის აკლდა სამართალსუბიექტობა, როგორც საკუთარ წევრებთან, ასევე უცხო სახელმწიფოებთან მიმართებაში. არაბული ქვეყნების ლიგა, რომელიც კიდევ უფრო უკეთ არის ორგანიზებული, მაინც კონფედერაციის მიღმა რჩება. ის მართლაც სამართალსუბიექტია, მაგრამ მხოლოდ წევრებთან მიმართებაში. იურიდიულად მას უცხო სახელმწიფოები არ აღიარებენ. მას არც დიპლომატიური წარმომადგენლობა აქვს და არც ომის გამოცხადებისა და ხელშეკრულების დადების უფლება.

აი, სახელწიფოთა გაერთიანების სამი ნიმუში, რომელთაგან არცერთი არ განეკუთვნება „კონფედერაციის“ ჯგუფს და თითოეული მათგანი ორიგინალური თვისებებით გამოირჩევა.

13.

უფრო ფართო საერთაშორისო ასოციაციების ორიგინალურობა, როგორიც იყო, მაგალითად, ერთა ლიგა, ამჟამად გაერო, იურიდიულ კვალიფიკაციას დელიკატურს ხდის. ისინი ფორმით სახელმწიფოთა კონფედერაციას უახლოვდებიან ერთიანი ორგანოების (საბჭო - ასამბლეა) შემადგენლობითა და ფუნქციებით, მაგრამ სცილდებიან თავიანთი უნივერსალური მისწრაფების, ფართო უფლებამოსილებების, ინსტიტუციების ზრდის, განსაკუთრებით კი საკუთარი წევრებისათვის მინიჭებული ძალზე ფართო ძალაუფლების გამო. ისინი სახელმწიფოთა კონფედერაციას აღემატებიან და ჩამორჩებიან.

14.

იგივე შეიძლება ითქვას ბრიტანული ერების საზოგადოებაზე, რომელიც დღეს *Commonwealth*-ის სახელწოდებით არის ცნობილი. ის ალბათ დამოუკიდებელი ქვეყნების ასოციაციაა რამდენიმე საერთო ორგანოთი (გვირგვინი და საიმპერატორო კონფერენციები), რითაც სახელმწიფოთა კონფედერაციას ჰგავს. მაგრამ ეს მსგავსება მოჩვენებითი უფროა, ვიდრე რეალური, რეალობის მახვილი თვალით დაკვირვებას ვერ უძლებს. *Commonwealth* არ

შექმნილა საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. 1931 წლის 24 ნოემბრის ვესტმინსტერის სტატუსი თავისუფალი ასოცირების შესახებ წარმოადგენს არა შეთანხმებას, არამედ ინგლისის პარლამენტის ჩვეულებრივ კანონს; მას საკონსტიტუციო კანონის ხასიათიც კი არ აქვს. ის ბრიტანულ ერებს შორის არსებული ერთგულების კავშირების კონსტატირებითა და საზოგადოებისათვის საინტერესო, რამდენიმე თეორიული და პრაქტიკული საკითხის მოგვარებით შემოიფარგლება.

Commonwealth-ს, რომლის საფუძველიც ემოციური უფროა, ვიდრე იურიდიული, ბრიტანელები შიდა ტიპის ასოციაციად უფრო მიიჩნევენ, ვიდრე საერთაშორისო ხასიათის კავშირად. აღნიშნული ასოციაციის უფრო მეტად კონსტიტუციური ბუნების საერთო ორგანოები სრულებით არ ჩანს საერთაშორისო სცენაზე.

15.

პანამერიკული კავშირი გვთავაზობს ასევე სახელმწიფოების ასოციაციის იმ ნიმუშს, რომელიც უფრო ბუნებრივია, ვიდრე პირობითი. ამგვარი ასოციაციები იზადებიან და იზრდებიან ფიზიკური ელემენტების მიხედვით, მცენარეების მსგავსად, რომლებსაც ადამიანები უვლიან და ზრუნვით ალამაზებენ. მისი ორგანიზების ფორმა განვითარებულია, მაგრამ ჯერ არ გააჩნია საერთაშორისო იდენტობა.

ჰავანისა (1928 წ.) და ლიმის (1938 წ.) კონფერენციების შემდეგ იგი ოთხ ძირითად ორგანოს შეიცავს: პანამერიკულ კონფერენციას - განსახილველი ორგანო, დირექტორთა საბჭოს, რომლის შტაბ-ბინაც ვაშინგტონშია, აღმასრულებელ ორგანოს - თვით პანამერიკულ კავშირს და პოლიტიკურ ორგანოს, საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო კონფერენციას. შემადგენლობა მცირედ შეიცვალა 1948 წელს ბოგოტის კონფერენციაზე. მანამდე მისი უფლებები ძალიან შეზღუდული იყო. მასში შემავალი ქვეყნები ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას სწორედ მორალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ჭრილში ავლენენ და არა პოლიტიკურ-იურიდიულში. ეს კი, როგორც თეოდორ რუზველტი იტყოდა, „ამერიკის ერთა ოჯახია“.

მას შემდეგ, რაც ბოგოტის კონფერენციამ ერების ამ ოჯახს ახალი იურიდიული სტატუსი მიანიჭა და ამერიკის კონტინენტის დაცვისა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საქმეში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფუნქციები მიაკუთვნა, ის ჭეშმარიტ „ამერიკის ერთა საზოგადოებად“ იქცა. იგი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ რეგიონულ ორგანოდ, რომელზეც საუბარია გაერთიანებული ერების ქარტიის 52-ე მუხლში. თუმცა მისი იურიდიული ბუნება კვლავ გადაუწყვეტელი რჩება. ის სუვერენული სახელმწიფოების ასოციაციას წარმოადგენს, მაგრამ სახელმწიფოთა კონფედერაციის არც სტრუქტურა და არც უფლებამოსილება არ გააჩნია.

ეს ფედერალისტური ფორმულის კიდევ სამი ნიმუში გახლავთ. თუმცა მათ ვერ შევადარებდით ნამდვილ კონფედერაციებს, ისეთებს, როგორიც არსებობდა გერმანიაში 1815-დან 1866 წლამდე და შვეიცარიაში 1815-დან 1848 წლამდე.

16.

არსებობს აგრეთვე სახელმწიფოთა კონფედერაციაზე უფრო განვითარებული ფედერალისტური მოდელები, რომლებიც ფედერალურ სახელმწიფოს ჩამორჩებიან და ამ ორ მოდელს შორის იკავებენ ადგილს. ზოგიერთი მათგანი, ჰოლანდიის გაერთიანებული პროვინციები (1579), ამერიკის კონფედერირებული სახელმწიფოები (1861) უფრო ახლოს დგანან საერთაშორისო ასოციაციასთან; სხვები, რომელთა შორისაცაა 1874 წლის გერმანიის იმპერია, მეტად ენათესავება ფედერალურ სახელმწიფოს, თუმცა მაინც განსხვავდება მისგან.

კონფედერაციისაგან განსხვავებით, რომელიც ხშირად მხოლოდ ერთ საერთო ორგანოს შეიცავს, ჰოლანდიის გაერთიანებული პროვინციების ორგანიზაციამ შექმნა თითქმის ისეთივე განვითარებული ცენტრალური ორგანო, როგორიც ფედერალურ სახელმწიფოს აქვს. ყოველი პროვინციის დეპუტატებისაგან შემდგარი გენერალური შტაბის გვერდით მას ჰქონდა სახელმწიფო საბჭოც, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა. ჰყავდა სახელმწიფოს მეთაური - „*Staatboudier*“-ი, უამრავი სახელმწიფო და სამხედრო მოხელე და ექვემდებარებოდა მრავალი „კოლეჯი“, რომელთაც სამინისტროს ფუნქცია ეკისრათ. კავშირის უფლებამოსილება ასევე სცილდებოდა კონფედერაციის სეიმის

უფლებამოსილებათა ფარგლებს. კავშირს მართლაც ჰქონდა არა მხოლოდ უამრავი საერთაშორისო უფლება, არამედ მნიშვნელოვანი შიდა ფუნქციებიც, როგორცაა გადასახადების დაწესება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში კანონებისთვის კენჭისყრის უფლება. ყველა ამ თვალსაზრისით გაერთიანებული პროვინციები საგრძნობლად შორდება სახელმწიფოთა კონფედერაციას; მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების დროს ერთსულოვნების აუცილებლობით და მათივე აღსრულების შეუძლებლობით ჰგავდა მხოლოდ მას.

17.

1871 წლის გერმანიის იმპერიას კი პირიქით, ფედერალური სახელმწიფოს მსგავსი ორგანიზება და ძალაუფლება ჰქონდა, მაგრამ საერთაშორისო თვალსაზრისით მისმა წევრებმა გაფართოებული უფლებები შეინარჩუნეს. მიუხედავად იმპერიაში ინტეგრირებისა, ბოლომდე არ განუცხადებიათ მათ უარი სახელმწიფოს სტატუსზე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. მათ შორის ყველაზე ძლიერებს დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდათ ერთმანეთთან და უცხო ქვეყნებთან; შეეძლოთ დამოუკიდებლად დაედოთ შეთანხმებები მათსავე ფართო კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით. ამ მხრივ მათი და კონფედერაციის წევრი სახელმწიფოების მდგომარეობა ერთმანეთს ჰგავს.

ამ ვითარებაში გასაკვირი არაა, რომ სახელმწიფო სამართლის ავტორები ვერ შეთანხმდნენ ფედერალიზმის ამ ორი მოდელის იურიდიული ხასიათის განსაზღვრაზე. ორივე შემთხვევაში მოცემული მომენტის პოლიტიკური პირობებიდან გამომდინარე, თითოეულმა თავისებურად გააერთიანა სახელმწიფოთა კონფედერაციისა და ფედერალური სახელმწიფოს ნიშან-თვისებები.

18.

იმავე სირთულემ იჩინა თავი ფედერალიზმის ბოლო ახალ, რამდენიმე გამოცდილებაში, როგორცაა, მაგალითად, გერმანიის 1919 წლის და ავსტრიის 1920 წლის გამოცდილება. ფედერალიზმის პრინციპები არ დავიწყებიათ, თუმცა უნიტარულ ფორმას მიუახლოვდნენ. წევრმა სახელმწიფოებმა ინდივიდუალობა და საკუთარი პოლიტიკური ინსტიტუციები შეინარჩუნეს, მაგრამ იმდენად იყვნენ დამოკიდებული ფედერაციაზე და მათი მონაწილეობა ფედერალური ნების ჩამოყალიბებაში იმდენად შეზღუდული იყო, რომ ფედერალური სახელმწიფოს ძლიერება თითქმის უტოლდებოდა უნიტარული სახელმწიფოს ძალაუფლებას. ფედერაციას არსებობისათვის არ სჭირდებოდა საკუთარი წევრები: სწორედ ერი ასაზრდოებს მას და არა ისინი. ამიტომ აღარ უნდა იყოს გასაკვირი, რომ იურისტები რეალურად დაფიქრდნენ, თუ როგორი იურიდიული კვალიფიკაცია უნდა მიეცათ ფედერალიზმის ამ რამდენიმე შემთხვევისათვის.

19.

საქმე ისაა, რომ ფედერალიზმის პრინციპი მისი გამოყენების მრავალ საშუალებას იძლევა, დაწყებული რაც შეიძლება ზედაპირულითა და არაორგანულით, დამთავრებული ყველაზე პერფექციონისტულითა და უკეთ ორგანიზებულით. ყოველ მათგანს საკუთარი, იმ მომენტში პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოებებით ნაკარნახევი აგებულება აქვს.

ფედერალიზმი არ არის მყარი ფორმულა, წინასწარ დადგენილი წონასწორობა, უკვე შექმნილი მუსიკა. ის ხელოვნებაა. მსგავსად მუსიკოსისა, რომელიც ნოტებსა და ბგერებს იყენებს, რომ მელოდია შთაგონების თემას მიუსადაგოს, ფედერალისტი მოხერხებულად იყენებს ტექნოლოგიის სახეობებს ორიგინალური ნაწარმოების შესაქმნელად, რომელიც რეალობებთან დაპირისპირების გარეშე პატივს სცემს მათ და სხვაგვარად დაბალანსებულ წესრიგში ახდენს მათ ინტეგრირებას.

ფედერალიზმი რეალობების ჰარმონიულად მოწესრიგების ხელოვნებაა.

თავი IV

გაერთიანებული ევროპა

1948 წელს ჰააგაში შეკრებილმა ევროპის კონგრესმა ხმა მისცა შემდეგ გადაწყვეტილებას: „კონგრესი მოითხოვს, რომ სასწრაფოდ იქნეს მოწვეული ევროპული ასამბლეა, მათივე წიაღში ან მონაწილე სახელმწიფოების პარლამენტების მიერ არჩეული წარმომადგენლებით, რომელიც სასწრაფო ზომების რეკომენდაციას გასცემს, რათა ეტაპობრივად შეიქმნას ევროპის საჭირო ერთობა, როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ჭრილში. ასამბლეამ უნდა განიხილოს კავშირისა თუ ფედერაციის შექმნით გამოწვეული იურიდიული და საკონსტიტუციო პრობლემებიც, ასევე თანმდევი ეკონომიკური, სოციალური შედეგები და მოამზადოს გეგმა ამ საკითხებთან დაკავშირებით.

მწვავე დებატების შემდეგ მიღებული აღნიშნული რეზოლუცია წმინდა საკონსულტაციო კომპეტენციის მქონე ევროპული ასამბლეის მოწვევას ითხოვს, რომლის მისიაც ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოების კონსტიტუციური მოწყობის განხილვა და მასთან დაკავშირებული გეგმის მომზადება იქნება. დასავლური ერების გასაერთიანებლად მართლაც საჭიროა ყველა ქვეყნის დელეგატისგან შემდგარი ასამბლეის შეკრება, რომელსაც დაეკისრება ფედერალური კონსტიტუციის პროექტის შედგენა, მოგვიანებით კი პროექტს სახელმწიფოები დამტკიცებენ.

145.

რა წარმოდგენბა და პრინციპებმა უნდა მართოს ეს სამუშაო პროცესი? თუკი პოზიტიური და მდგრადი კონსტრუქციის შექმნას ვისახავთ მიზნად, საჭიროა თვალი გავუსწოროთ ამ გზაზე არსებულ რთულ რეალობებსა და საშიშ წინაღობებს. მცდარი გზა იქნება ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობა, წინაღობების უგულვებელყოფა და რეალობაზე ძალადობა. სახელმწიფოები მას ამის ნებას დართავენ, მაგრამ შემდგომ უყოყმანოდ

გაკიცხავენ მის ქმედებას. მას არ უნდა დაავიწყდეს ფრანკფურტის *Vor-parlament*-ის სამწუხარო მარცხი, როდესაც 1848 წელს უშედეგოდ სცადა გერმანიის შტატების ფედერირება. მისთვის განსაკუთრებული შთაგონების წყარო უნდა იყოს 1787 წლის ფილადელფიის კონვენცია, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი კონსტიტუცია მოამზადა. კონვენციამ, რომელშიც ისეთი გამორჩეული პიროვნებები შედიოდნენ, როგორებიც იყვნენ ჯორჯ ვაშინგტონი, ალექსანდერ ჰამილტონი, ტომას ჯეფერსონი და ბენჯამინ ფრანკლინი, შეძლო დაერწმუნებინა ამერიკის ცამეტივე შტატი, შეეტანათ საკონსტიტუციო პროექტში ახლანდელი ფედერალური კავშირების ჩანასახები.

146.

ფედერალური კონსტიტუციისათვის უმთავრესია იყოს *მოკლე*. რაც უფრო მეტი ტექსტია, მით უფრო მეტი შეზღუდვა ახლავს მის უფლებებს, ვინც მას ექვემდებარება; რაც უფრო მეტი დეტალია მოცემული, მით უფრო ზღუდავს ამ უფლებების აღსრულებას. ზედმეტად გრძელი და დაზუსტებული ფედერალური კონსტიტუცია ნამდვილად წააწყდება ქვეყნების მხრიდან შეურიგებელ წინააღმდეგობას ეროვნული დამოუკიდებლობის მაქსიმალურად შესანარჩუნებლად, რამაც კავშირის პროექტის ჩაშლა შეიძლება გამოიწვიოს. უმჯობესია, იგი რაც შეიძლება მოკლე იყოს. ამ სახით მასში უკეთ გაეწევა ანგარიში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ რეალობებს; ნაცვლად მათი გამომფიტველ ფორმულებში მოქცევისა, კონსტიტუციამ მათ ბუნებრივად განვითარების საშუალება უნდა მისცეს, რაც ევროპის ხალხთა შორის სოლიდარობასთან ერთად განვითარდება. კავშირი, რომელიც საერთო ემოციებსა და საჭიროებებს ეფუძნება და სულიერ ნათესაობას გულისხმობს, რამდენიმე ფუნდამენტური პრინციპის ნებაყოფლობითი და თავისუფალი მიღების რეზულტატს წარმოადგენს. ტექსტები კი არ ამყარებს მას, არამედ ის მათი გამოხატულებაა. ასევე, ევროპული კონსტიტუცია *კოდს* კი არა, *შეთანხმებას*, *პაქტს* უნდა წარმოადგენდეს. მხოლოდ მაშინ იქცევა იგი ევროპის ერებისათვის იმად, რასაც გვირგვინი წარმოადგენს ბრიტანული ერებისათვის: ერთობის სიმბოლოდ.

147.

გარდა იმისა, რომ მოკლე უნდა იყოს, ფედერალური კონსტიტუცია სახელმწიფოს ძალაუფლების გაფართოებისა და უფლებამოსილების გაძლიერების ელემენტებს უნდა შეიცავდეს. ფედერალურ ერებს შორის სოლიდარობის განვითარება, მათი დამახლოებელი სულიერი კავშირის განმტკიცება ფედერალურ სახელმწიფოსა და მის წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ახლებურ მოწყობას მოითხოვს. იმისათვის, რომ ეს ადაპტაცია უფრო მარტივი და სრულყოფილი გახდეს, ფედერალური მთავრობის ფუნქციები არ უნდა იყოს ხისტად ფორმულირებული და ზედმეტად შეზღუდული. ტექსტები მოქნილი და განვრცობილი უნდა იყოს და ფებს უწყობდეს პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების ტრანსფორმაციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალურ პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობასთან შესაბამისობა წესად უნდა იქცეს და ჰარმონია უნდა შენარჩუნდეს რეალობასა და ტექსტებს შორის, რომლებშიც ის კრისტალდება.

148.

ნუთუ ფედერალურმა კონსტიტუციამ არ უნდა შემოგვთავაზოს ძირითადი პრინციპები, არ უნდა დააფუძნოს ფედერალური მთავრობა და ლაკონურად და მოქნილად არ უნდა ჩამოაყალიბოს ურთიერთობები ფედერაციასა და მის წევრებს შორის? ამ დოკუმენტის მნიშვნელობის იურიდიულ ჩარჩომდე დაყვანა მისი ჭეშმარიტი მისიის უგულებელყოფა იქნებოდა. დემოკრატიული ქვეყნისათვის კონსტიტუცია მხოლოდ „პოლიტიკური თავისუფლების ტექნოლოგიას“ არ წარმოადგენს, ის რწმენისა და საერთო იდეალის გამოხატულება და სიმბოლოც არის. მაშინ როდესაც ევროპის ერები მატერიალური არსებობისათვის ბრძოლით ისე არიან გადაღლილი, თითქოს გადაიწურეს სულიერი და მორალური რენესანსის იმედი, საჭიროა, როგორც არასდროს, კვლავ გავუჩინოთ მათ ნდობა და გავუღვივოთ რწმენა. მაშასადამე, აუცილებელია, რომ ფედერალურმა კონსტიტუციამ მათ საერთო იდეალი შესთავაზოს.

არის კი ამისათვის საჭირო, როგორც ეს ჰააგის კონგრესმა შესთავაზა, რომ თვით კონსტიტუციაში შევიდეს ადამიანის პოლიტიკური და სოციალური უფლებების ქარტია?

უფლებების დეკლარაცია რამდენიმე ფუნდამენტური პრინციპების სრულ და ზოგად გაზიარებას გულისხმობს. ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში ევროპის ქვეყნებში არსებული სტრუქტურების მრავალფეროვნება და მათი გამომხატველი თეორიული კონცეფციების სიმრავლე დასავლურ ერებს შორის სრული თანხმობის არარსებობაზე მეტყველებს. თუკი, მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, კონსტიტუცია ერთ რომელიმე ეკონომიკურ, სოციალურ იდეოლოგიას მიემხრობა, ეს ფედერაციაში უთანხმოების მოტივებს აღძრავს და კავშირის შენარჩუნებისთვის ფატალური აღმოჩნდება.

პოლიტიკურ სფეროში კი, სადაც მნიშვნელოვანი განსხვავებები არ აღინიშნება და მხოლოდ დემოკრატიის ყველას მიერ აღიარებული პრინციპისადმი საკუთარი, ორიგინალური მიდგომით გამოირჩევიან ქვეყნები, ფედერალური კონსტიტუცია ყოველგვარი უხერხულობის გარეშე შეიძლება შეიცავდეს პოლიტიკური უფლებების დეკლარაციას. იმისათვის, რომ ეს უფლებები აღიარების დონეზე არ დარჩეს და დაცული იყოს, დარღვევის შემთხვევაში საქმის ფედერალური სასამართლოსათვის გადაცემა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. არის თუ არა მართებული, მაშინ როდესაც ქვეყნები საკუთარ ავტორიტეტს უფროთხილდებიან მათ დაქვემდებარებაში მყოფ სუბიექტებთან მიმართებაში, ღიად მივაყენოთ ზიანი მათ ნაციონალურ თავმოყვარეობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ფედერაციის ყველა მოქალაქეს, ნებისმიერი უმნიშვნელო მიზეზით, მიეცეს ფედერაციის იურისდიქციისადმი მიმართვის ფორმალური უფლება.

149.

აქ საუბარი არ ეხება ინდივიდებისთვის პოლიტიკური ან სოციალური უფლებებით სარგებლობაზე უარის თქმას და არც ამ უფლებების დაცვის მიზნით ფედერალური ორგანოებისათვის მიმართვის საშუალების ჩამორთმევას. იმისათვის, რომ სახელმწიფოებისთვის მისაღები გახდეს მათი სუვერენულობისა და ღირსების საკითხებში ჩარევა, უნდა გამოიძებნოს ნაკლებად უხეში გზა და ყველაზე მეტად მოქნილი პროცედურა. მამასადამე, საქმე შინაარსში კი არა, მეთოდში მდგომარეობს. ასევე, მოცემულ მომენტში, როგორც ჩანს, სასურველია, ევროპული კონსტიტუციის ტექსტში არ შევიდეს უფლებების დეკლარაცია. უმჯობესი იქნებოდა, პრეამბულაში შეგვეტანა ზოგადი და საკმარისად ზუსტი

ტერმინებით ასახული დეკლარაცია საერთო რწმენისა და იდეალის შესახებ, რათა მან სახელმწიფოების ძალაუფლებასთან დაპირისპირებისა და არსებული მრავალფეროვნების უგულებელყოფის გარეშე იგივე როლი შეასრულოს, რასაც ნამდვილი დეკლარაცია ასრულებს. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ პრეამბულაშია აღიარებული საკონსტიტუციო ტექსტების ბაზისად მიჩნეული ფუნდამენტური პრინციპები, რომლითაც გამსჭვალულია კონსტიტუცია და რაც მისი ინტერპრეტაციისა და გამოყენების ამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს.

ამ ზოგადი მოსაზრებებით უნდა ისაზრდოს ასამბლეამ, როდესაც ის ევროპისათვის ფედერალური კონსტიტუციის შექმნას შეეჭიდება.

ნაწილი I

ფედერალური ევროპის აგებულება

150.

ევროპული ფედერაცია - სახელმწიფოთა და ინდივიდთა ასოციაცია - სამ ელემენტს გააერთიანებს: ფედერალური სახელმწიფო, წევრი სახელმწიფოები და ინდივიდები.

I-ფედერალური სახელმწიფო

ფედერალური სახელმწიფო იქნება ნამდვილი სახელმწიფო თავისი კონსტიტუციური რეჟიმით, საკუთარი ფორმის მმართველობით და სრული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციით.

151.

კონსტიტუციური რეჟიმი დემოკრატიულ პრინციპს დაემყარება. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო ასამბლეის ერთ-ერთი პალატა უნდა აირჩეს პირდაპირი წესით ხალხის მიერ. მაგრამ რა ფორმის პოლიტიკური მმართველობის არჩევაა საჭირო: საპრეზიდენტო (შეერთებული შტატები), კონვენციური ან დირექტორიალური (შვეიცარია) თუ საპარლამენტო (ინგლისი, საფრანგეთი და ა.შ.)? საკითხი, თუ რა ფორმის იქნება ფედერალური მმართველობა, საპრეზიდენტო, დირექტორიალური თუ საპარლამენტო, აქ განხილვის საგანი არ უნდა იყოს, ვინაიდან იგი მხოლოდ ფედერალურ სახელმწიფოს არ ეხება, ის ყველა ტიპის პოლიტიკურ გაერთიანებებში დაისმის. მაშასადამე, ევროპულ, დამაარსებელ ასამბლეას დასავლური ერების ტრადიციებსა და საჭიროებებზე მორგებული მმართველობის სისტემის შერჩევის ნება უნდა მიეცეს. ხოლო ფედერალური სახელმწიფოს მოწყობა ისეთი განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება, რომ საჭიროა მისი აღწერა. ისევე როგორც უნიტარულ სახელმწიფოში, მასში შევა საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება და სასამართლო.

152.

საკანონმდებლო ხელისუფლება, თვით ფედერაციის სტრუქტურიდან გამომდინარე, ორი პალატისაგან შემდგარი ფედერალური ასამბლეის დაქვემდებარებაში შევა. ეს არის ფედერალური, ანუ წარმომადგენელთა პალატა, რომელიც უშუალოდ წარმოადგენს ფედერაციის ხალხს, და სახელმწიფოების პალატა, რომელიც, როგორც სახელწოდება მიუთითებს, ფედერალურ სახელმწიფოებს წარმოადგენს. ფედერალური პარლამენტის ამგვარი, ორ ასამბლეად დაყოფა, თვით ფედერალიზმის არსიდან მომდინარეობს.

153.

ფედერალური, ანუ წარმომადგენელთა პალატა ოთხი ან მეტი წლით აირჩევა ფედერაციის ხალხის მიერ, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს საერთო ინტერესის გამოკვეთისა და მისი დაცვის უზრუნველყოფისათვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ის არჩეულ იქნეს საყოველთაო, პირდაპირი ხმის მიცემის პრინციპით და ყოველი ქვეყნის წარმომადგენელთა რაოდენობა მისი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციული იყოს (მაგალითად, ერთი ან ორი წარმომადგენელი მილიონ მცხოვრებზე და თითო წლით მეტი ყოველი 500 000-ის ზემოთ). ევროპის მცირერიცხოვან სახელმწიფოებს უმცირესობაში ყოფნის და საკუთარი პოზიციის გატანის შეუძლებლობის არ უნდა შეეშინდეთ. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ძლიერი სახელმწიფოები არ ახდენენ ხმების კოალიციას. ერთი ქვეყნის წარმომადგენელთა პოზიციაც კი არ არის ხშირად იდენტური.

ფედერაციის საარჩევნო კანონმა უნდა დაარეგულიროს არჩევისა და არჩევითობის, საარჩევნო უბნების, ხმის მიცემის სისტემის, დეპუტატებისა და სხვა პირობები.

154.

ფედერალური პალატისგან განსხვავებით, რომელიც ფედერაციაში შემავალ ხალხს მთლიანობაში წარმოადგენს, სახელმწიფოთა პალატამ უშუალოდ წევრი სახელმწიფოები უნდა წარმოადგინოს. ცხადია, რომ ისინი არასდროს დაეთანხმებოდნენ გაერთიანებას, საკუთარი წარმომადგენლობა რომ არ ჰყოლოდათ. ეს მათთვის საკუთარი ინდივიდუალიზმის დაცვისა და ეროვნული ინსტიტუციების შენაჩუნების გარანტი იქნება.

155.

იმისათვის, რომ ამ ასამბლეაში დიდ ქვეყნებს არ ჰქონდეთ უდიდესი უმრავლესობა, ალბათ საჭიროა სახელმწიფოებს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები ჰყავდეთ. ამით გარკვეულწილად გამოსწორდებოდა ფედერალურ პალატაში გარდაუვალი

წარმომადგენლობითი უთანასწორობა. მაგრამ განა მისაღებია წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობის დადგენა გერმანიისათვის, ინგლისისათვის ან ლუქსემბურგისათვის?

მათემატიკური თანასწორობა შექმნიდა რეალურ უთანასწორობას, რადგან დიდი სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აღემატება პატარებისას.

სიტუაციის ამ უთანასწორობის გათვალისწინებით, უფრო სამართლიანი და პოლიტიკურად მოქნილი იქნებოდა ისეთი პრაქტიკის დანერგვა, სადაც წარმომადგენლობა მოსახლეობის რაოდენობის პროპორციული კი არ იქნებოდა, არამედ მას იმგვარად შეადგენდნენ, რომ პატარა სახელმწიფოების ხმათა საერთო რაოდენობა უტოლდებოდა დიდი სახელმწიფოებისას. ამ გზით, მცირე ქვეყნები არ მოექცეოდნენ ძლიერი სახელმწიფოების მიერ ნაკარნახევი კანონების ქვეშ. სამაგიეროდ, ვერც მცირე ქვეყნები შეძლებდნენ თავიანთი კანონების თავს მოხვევას.

156.

სახელმწიფოთა პალატაში დელეგატების დანიშვნა შესაძლებელია შედარებითი საკონსტიტუციო სამართლისათვის ცნობილი სამი ტიპით: ან გერმანული *Reich*-ის მსგავსად მთავრობის მიერ, ან პარლამენტის მიერ როგორც არგენტინაში, ან თვით ხალხის მიერ შეერთებული შტატების მოქმედი პრაქტიკისამებრ. ამ სამი ტიპიდან საუკეთესოა მეორე, რადგან ყველაზე უკეთ წარმოადგენს ქვეყანაში არსებულ ყველა პოლიტიკურ ტენდენციას. თუმცა ევროპული ფედერაციისთვის უმჯობესი იქნებოდა, რომ კონსტიტუციას, შვეიცარიის მაგალითის მსგავსად, თითოეული ქვეყნისათვის მიეცა წარმომადგენელთა დანიშვნის მოდელის არჩევანი.

157.

ფედერალური სახელმწიფოების მანდატით აღჭურვილ სახელმწიფოთა პალატას შესასრულებელი ექნება მოდერატორის, არბიტრის როლი, რაც უნიტარულ სახელმწიფოებში, ძირითადად, უმაღლესი პალატის ფუნქციებში შედის. სწორედ ამ როლის გამო უნდა განისაზღვროს მისი წევრების მანდატის ხანგრძლივობა და მისი განახლების წესი (ფედერალური პალატის მანდატის ვადაზე უფრო გრძელვადიანი მანდატი და მისი ნაწილობრივი განახლება).

158.

საკანონმდებლო ძალაუფლების განხორციელებაში ორივე პალატას თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეს. ვერცერთი ფედერალური კანონი და მიღებული გადაწყვეტილება ვერ შეიცვლება ორივე პალატის მიერ დამოუკიდებლად განხილვისა და კენჭისყრის გარეშე. აპრობაციის იმავე პროცედურას გაივლის ფედერალური მთავრობის მიერ მოლაპარაკებული საერთაშორისო ხელშეკრულებები. მთავარი პრინციპი სრული თანასწორობის წესია. იგი ფედერაციის ორმაგ, ერთდროულად სახელმწიფოთა ასოციაციისა და ინდივიდთა რესპუბლიკის ბუნებას შეესაბამება.

თუმცა ბიუჯეტის საკითხში თანასწორობის პრინციპი შეიძლება შესუსტდეს. მისი გამოყენება ფედერაციის ფინანსური სისტემის ტიპზეა დამოკიდებული. თუ ფედერალური სახელმწიფოს რესურსები წევრი ქვეყნების სავალდებულო შენატანებისაგან შედგება, ბუნებრივია, რომ ორივე პალატის ფინანსური შესაძლებლობები ერთნაირი იქნება. ხოლო თუ ფედერალურ სახელმწიფოს თავისი სუბიექტებისათვის გადასახადების დაკისრების უფლება აქვს, წარმომადგენელთა პალატისათვის პრიორიტეტის მინიჭება იქნება საჭირო.

იმ შემთხვევაში თუ ორი პალატა ვერ შეძლებს შეთანხმებას, როგორ უნდა მოგვარდეს ეს კონფლიქტი? თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, რომ საკითხის მოგვარების პროცედურა თითოეული მათგანის გადაწყვეტილების თავისუფლებას იცავდეს ან „მაკავშირებლის“ პროცედურის გამოყენებით სრული თანხმობის მიღწევამდე, ან შეერთებულ შტატებში გამოყენებული პარიტეტული კომისიის მეშვეობით.

159.

აღმასრულებელი ძალაუფლება სახელმწიფოს მეთაურს, ფედერაციის პრეზიდენტს და ფედერალურ საბჭოს გადაეცემა, რომელსაც სხვადასხვა საბჭო და ტექნიკური ორგანო დაემატება.

160.

ფედერაციის პრეზიდენტის დანიშვნის მოდელი, მისი როლი და უფლებამოსილება ფედერალური კონსტიტუციის მიერ მიღებული მმართველობის სისტემაზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, უშუალოდ ხალხის მიერ იქნება ის არჩეული, როგორც შეერთებულ შტატებში, ფედერალური ასამბლეის მიერ, როგორც საფრანგეთში, ან კიდევ, ფედერალური საბჭოს მიერ, როგორც შვეიცარიაში, რაც უნდა შედიოდეს მის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობის არეალში, აუცილებელია, რომ ფედერაციას ჰყავდეს მეთაური, რომელსაც *უალტერ ბეგჰოტის* თანახმად, სახელმწიფოს „საპატიო ფუნქციები“ ეკისრება.

პრეზიდენტი ფედერაციას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებში, წარადგენს ფედერაციის ელჩებს უცხო ქვეყნებში და მასთან გაივლიან აკრედიტაციას დიპლომატიის მოხელეები. იგი ფედერალური სახელმწიფოს სახელით წარმართავს მოლაპარაკებებს და მოახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას. ქვეყნის შიგნით კი მას დაეკისრება კანონების შესრულება; მის მიერ ან მისი სახელით დაინიშნებიან ფედერალური მოხელეები და მის დაქვემდებარებაში შევა ფედერალური ჯარი. იგი ევროპული გაერთიანების ერთგვარი პერსონიფიცირებული სახე იქნება და მის ირგვლივ მოხდება ფედერაციის სამსახურში მდგარი ყველა ძალისა და მასთან დაკავშირებული ნების გაერთიანება.

161.

ფედერალური საბჭო მართვის ორგანოა. მისი არჩევის სტილი, სახელმწიფო მეთაურის მსგავსად, მოქმედ მმართველობის სისტემაზე იქნება დამოკიდებული. საპარლამენტო რეჟიმში მხოლოდ ფედერალური საბჭოს პრეზიდენტს აირჩევს ქვეყნის პრეზიდენტი ან ასამბლეა, სხვა წევრებს თავად საბჭო შეარჩევს საპარლამენტო მმართველობის ორდინარული წესების თანახმად. საპრეზიდენტო რეჟიმის შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაური ამავე დროს მთავრობის მეთაურიცაა; იგი თავისუფლად შეარჩევს მისდამი დაქვემდებარებულ თანამშრომლებს, რომლებიც მხოლოდ მის მიმართ იქნებიან პასუხისმგებელნი. ეს სისტემა ამაყმად მოქმედებს შეერთებულ შტატებში. თუ შვეიცარიულ რეჟიმს ვიღებთ, ყველა ფედერალურ მრჩეველს ფედერალური ასამბლეა ნიშნავს, ორი პალატა ცალ-ცალკე ან პლენარულ სხდომაზე იკრიბება.

ისევე, როგორც დანიშვნის სისტემა, საბჭოს წევრების თანამდებობების ვადაც დამოკიდებული იქნება მმართველობის მოქმედ სისტემაზე. საპარლამენტო რეჟიმში მინისტრები მანამდე დარჩებიან ხელისუფლებაში, სანამ ასამბლეის ნდობით ისარგებლებენ. საპრეზიდენტო რეჟიმში პრეზიდენტს უფლება ექნება ნებისმიერ დროს გამოიწვიოს ისინი, იმდენად, რომ ხანგრძლივობის საკითხი მხოლოდ ასამბლეის რეჟიმის შემთხვევაში დაისმება. ამ შემთხვევაში ფედერალური პალატის ყოველი განახლებისას მრჩეველები ხელახლა უნდა იქნენ წარდგენილი თანამდებობაზე.

ფედერალური სახელმწიფოს არსებობის დასაწყისში ლიმიტირებული ფუნქციების გამო ფედერალური მრჩეველების რაოდენობა უნდა შეიზღუდოს (თითო მრჩეველი სამინისტროს თითო დეპარტამენტზე). რაოდენობა შეიძლება თანდათან გაიზარდოს ფედერალური მთავრობის აქტიურობის განვითარებასთან ერთად.

162.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია საბჭოს შემადგენლობის საკითხი. თუ ფედერაციის ყველა ქვეყნის წარმომადგენლის შეყვანა არ არის აუცილებელი, სასურველი იქნებოდა, რომ ქვეყნებს, რომელთა მოსახლეობაც 30 მილიონს აღემატება, საკუთარი ფედერალური მრჩეველი ჰყოლოდათ. სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით შეიძლება დავესესხოთ გაეროს

უსაფრთხოების საბჭოს ამჟამინდელ პრაქტიკას. ამ უკანასკნელის მიხედვით, ერთი სავარძელი უნდა დაეთმოს გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეთნიკური და კულტურული სიახლოვის მქონე დაჯგუფებებს. ამგვარად, ევროპის ფედერალურ საბჭოში გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლების გვერდით, სკანდინავიისა და ბენილუქსის ქვეყნების, ასევე იბერიის ნახევარკუნძულის მრჩეველიც შეიძლება შედიოდეს. ისეთი იზოლირებული ქვეყნებისთვის, როგორებიცაა ავსტრია, ირლანდია, საბერძნეთი და შვეიცარია, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს როტაციის სისტემა.

163.

ფედერალური საბჭოს მთავარი მისია იქნება სახელმწიფოს მეთაურის სახელით ყველა ფედერალური კანონისა და ბრძანების, ასევე ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება. იგი ასევე წარმართავს ფედერაციის საგარეო პოლიტიკას და ახორციელებს ზედამხედველობას, რათა წევრი სახელმწიფოების მიერ გატარებული პოლიტიკა არ შეეწინააღმდეგოს მისას. მას დაეკისრება ფედერალური ტერიტორიის სამხედრო დაცვა; იგი ადგენს ფედერალურ სამხედრო, საავიაციო და, შესაძლოა, საზღვაო შტაბს; ის კოორდინაციას გაუწევს ეროვნულ ჯარს და ომის შემთხვევაში მოახდენს საბრძოლო მოქმედებების გასატარებლად აუცილებელ, ადამიანური რესურსის, აღჭურვილობისა და სატრანსპორტო საშუალებების რეკვიზიციას.

სწორედ მის მოვალეობებში შედის წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ფედერაციის შიგნით და წევრი სახელმწიფოებისთვის ფედერალური გარანტიების მიცემა. გარდა ამისა, სახელმწიფოს მეთაურის სახელით იგი დაასახელებს ყველა ფედერალურ მოხელეს; თუმცა უზენაესი სასამართლოს ყველა წევრის, სრულუფლებიანი ელჩებისა და მინისტრების დანიშვნა მხოლოდ სახელმწიფოთა პალატის მიერ აპრობაციით მიიღწევა.

დაბოლოს, ფედერალურ საბჭოს დაეკისრება ევროპის ეკონომიკის დაგეგმვა. ამ დელიკატური მისიის განხორციელებაში მას ფედერალური ტექნიკური ორგანიზაციები დაეხმარება.

164.

ფედერალური კანონის საფუძველზე შექმნილი ეს ტექნიკური ორგანოები დაფუძნებული და მართული იქნება ფედერალური საბჭოს მიერ.

მათ შორის ორი, ყველაზე მნიშვნელოვანი, თავდაცვის საბჭო და ევროპული ეკონომიკის საბჭო სამთავრობო ხასიათის იქნება. მათი ფუნქცია, უპირველესად, სამხედრო დაცვის გეგმის შემუშავება, ხოლო შემდეგ მისი წარმოება, სისრულეში მოყვანა და განხორციელებაზე მეთვალყურეობა იქნება.

სხვა ადმინისტრაციული ხასიათის უწყებებს, მოქმედი საერთაშორისო კონვენციების დაცვით სახელმწიფო საწარმოების მართვა-გამგეობა (ატომური ენერგიის, ქვანახშირის, ფოლადის, ჰიდროელექტროენერგიის ფედერალური ოფისები) ან ზოგიერთი ნაციონალური საწარმოს კოორდინირება (ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციების ოფისები) დაევალებათ.

165.

სასამართლო სისტემა ფედერალური უზენაესი სასამართლოს დაქვემდებარებაში შევა. ფედერალური იურისდიქციის არსებობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფოთა პალატა. ყოველი ფედერაცია გულისხმობს უფლებამოსილებების გადანაწილებას ფედერალურ სახელმწიფოსა და წევრ სახელმწიფოებს შორის. როგორი გულისხმიერებითაც უნდა მოხდეს ეს გადანაწილება, რა გონივრულიც უნდა იყოს იგი, კომპეტენციათა კონფლიქტი გარდაუვალია. სახელმწიფოთა კონფედერაციაში ეს კონფლიქტები, როგორც ცნობილია, გაუქმების უფლებით გვარდება. სახელმწიფოებს შეუძლიათ გაუქმებულად მიიჩნიონ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მათ მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც, მათი შეხედულებით, ეწინააღმდეგება ფედერალური პაქტის პირობებს. სუვერენულ სახელმწიფოთა ამგვარი ასოციაციისათვის მისაღები გამოსავალი ვერ იქნება მისაღები ფედერაციისათვის, რომლის წევრებსაც აღარ აქვთ სრული სუვერენიტეტი.

მაგრამ, რადგან ფედერალური სახელმწიფოები ინარჩუნებენ საკუთარ ავტონომიურობას, მნელია ფედერალურ სახელმწიფოს ამ კონფლიქტების მის მიერვე მოგვარების უფლება მივანიჭოთ. იგი იმავდროულად მსაჯულიც იქნება და მხარეც.

166.

სასამართლო, საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალების მსგავსად, უპირატესად საარბიტრაჟო იურისდიქციის როლს შეასრულებს. ისევე როგორც ეს სასამართლოები სუვერენულ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებს განიხილავენ საერთაშორისო, საჯარო სამართლის კანონების მიხედვით, ფედერალური სასამართლო პაქტის ჭეშმარიტი ღირებულებისა და ძალის მქონე ფედერალური კონსტიტუციის დებულებების თანახმად გადმოცემულ საკუთარ დავებს გადაწყვეტს. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინება იქნება სავალდებულო როგორც ფედერალური სახელმწიფოს, ისე წევრი სახელმწიფოებისთვის.

ფედერალური კონსტიტუციის მიერ ფედერაციის უმთავრეს ორგანოდ შექმნილ უზენაეს სამართლოს უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო, სასამართლო და ადმინისტრაციული იურისდიქციის ფუნქცია.

ამ რანგში მისი მთავარი მისია კონსტიტუციისა და ფედერალური კანონების ინტერპრეტაციაა. მისეული ინტერპრეტაციით იხელმძღვანელებენ ფედერალური სახელმწიფოების იურისდიქციები. მათთან მიმართებაში იგი გარკვეულწილად ნამდვილი საკასაციო სასამართლო იქნება. მოწოდებული კონსტიტუციისა და ფედერალური კანონმდებლობის გამოყენებისათვის, იგი ვალდებულია უზრუნველყოს მათი დაცვა ყველა ფედერალური თუ ეროვნული უწყების მიერ. ის შეაფასებს ასევე ფედერალური თუ ეროვნული კანონების ფედერალურ კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს. დაბოლოს, მან უნდა შეაფასოს ფედერალური ადმინისტრაციების გადაწყვეტილებების სამართლიანობა. მაშასადამე, იგი სუვერენული იქნება კონსტიტუციისა და ფედერალური კანონების ინტერპრეტაციაში და, ამავე დროს, ადმინისტრაციის მოსამართლეც იქნება. მისი მოვალეობა კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა იქნება.

ნიშნავს კი ეს იმას, რომ იურისდიქციული სასამართლოს მსგავსად უზენაესი სასამართლო კონსტიტუციის დებულებების მკაცრი დაცვითა და მათი ზედმიწევნითი სიზუსტის ინტერპრეტაციით უნდა შემოიფარგლოს? ეს განსაკუთრებულად შეამცირებდა მისი როლის მნიშვნელობას და მცდარად წარმოგვიდგენდა მისი ფუნქციების რეალურ განზომილებას. მოკლე და მოქნილ ტექსტებზე დამყარებული მისი იურისდიქცია ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში მომხდარ ცვლილებებს. ამგვარად, იგი შეძლებს მიუსადაგოს ფედერალური კონსტიტუცია მუდმივად ცვალებად რეალობას. ამ განუწყვეტელი ადაპტაციის პროცესში საკონსტიტუციო პაქტის ფუნდამენტური პრინციპებისა და მის კვალდაკვალ სახელმწიფოთა მუდმივი უფლებებისა და ფედერაციის უწყვეტად მზარდი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, იგი ყოველთვის ეცდება არსებული ინტერესების სასიკეთო თანხვედრის გზით საჭირო ბალანსი დაიცვას კავშირის შესანარჩუნებლად.

კონსტიტუციის სადარაჯოზე მდგარი უზენაესი სასამართლო ამავე დროს ფედერალური კავშირის მოქნილი და მიუკერძოებელი დამცველი იქნება.

167.

ამ დელიკატური და დახვეწილი როლის შესასრულებლად ფედერალურმა სასამართლომ ღია, ინტელექტუალურ, გულწრფელად ევროპული სულისკვეთების, იურიდიული და პოლიტიკური განათლების მქონე გამოცდილ ადამიანებს უნდა მიმართოს. მისი წევრები - მაქსიმუმ თერთმეტი - უნდა მიეკუთვნებოდნენ როგორც საერთაშორისო სასამართლოს, ასევე ევროპის სხვადასხვა, კონცეფციითა და კანონის გამოყენებით განსხვავებულ იურიდიულ სისტემას, კერძოდ კი სამ ძირითად ევროპულ იურიდიულ სისტემას - ანგლო-საქსურს, გერმანულსა და ლათინურს.

მოსამართლეებს ირჩევს ფედერალური საბჭო, თითოეული სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ოთხი კანდიდატის სიიდან, რომელიც დიდ სასამართლო ორგანოებთან, უნივერსიტეტებთან და აკადემიებთან კონსულტაციის შემდეგ დგება. ისინი სახელმწიფო მეთაურის დეკრეტით ინიშნებიან სახელმწიფოთა პალატაში კენჭისყრის შემდეგ.

სასამართლოს პრეზიდენტს ირჩევენ მოსამართლეები შეთანხმებითი ვადით (მაგალითად, სამი წლით). ვადის ამოწურვისას მოქმედი პრეზიდენტი შეიძლება ხელახლა იქნეს არჩეული. სასამართლოს ყველა მოსამართლე, პრეზიდენტის ჩათვლით, თანამდებობაზე რჩება 70 წლის ასაკამდე. ფედერალური კანონი განსაზღვრავს მათი დამოუკიდებლობისა და შეუცვლელობის გარანტიას, მათ სტატუსსა და ანაზღაურებას.

168.

სასამართლო კომპეტენტური იქნება ფედერალურ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის, ფედერალურ სახელმწიფოსა და ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოს შორის კონფლიქტის მოგვარებაში. იგი ფედერაციის მოქალაქე ან უცხოელი კერძო პირების მიმართვესაც განიხილავს ფედერალური ქვეყნების სასამართლო სისტემებში მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ საქმეებში, რომლებშიც ფედერალური კონსტიტუციისა და კანონების ინტერპრეტაციითაა მიღებული დადგენილებები. ის განიხილავს ასევე წევრი სახელმწიფოებისა და კერძო პირების სარჩელებს არაკონსტიტუციური საკანონმდებლო აქტებისა და ფედერალური ხელისუფლების არასათანადო კანონიერებით გამორჩეული ადმინისტრაციული აქტების წინააღმდეგ. მისი განსახილველი იქნება ასევე ფედერალური მთავრობის მაღალჩინოსნების მიერ პროფესიულ საქმიანობაში ჩადენილი დანაშაულები და კანონდარღვევები. დაბოლოს, უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში შევა ყველა სხვა საკითხი, რომელთა დავის საგანსაც ფედერალური კანონმდებლობა არეგულირებს.

169.

ევროპული ენების მრავალფეროვნება ქმნის დელიკატურ პრობლემას ფედერალური სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ ენასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ მისი ხელისუფლება მოიცავდეს ყველა სუბიექტს, საჭიროა განისაზღვროს „*ფედერაციის ოფიციალური ენა*“. ნაციონალური გრძნობები კრძალავს მხოლოდ ერთის არჩევას. რადგან

რთულია ყველა მათგანის მიღება, საჭიროა შუალედური გამოსავლის მოძებნა, როგორც ეს ხდება გაეროში. ოფიციალურ ენებად შეგვიძლია ვცნოთ, მაგალითად, გერმანული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური, ისევე როგორც ესპანური, ენები, რომლებზეც საუბრობენ ევროპის მრავალ ქვეყანაში, ხოლო სამუშაო ენებად - ინგლისური და ფრანგული. ყველა მოხსენება და დოკუმენტი უნდა ითარგმნოს ამ ორიდან ერთ-ერთ ენაზე.

II - ფედერაციის წევრი სახელმწიფოები

170.

ფედერალური სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს ამ ტერმინის სრული მნიშვნელობით, უნიტარული სახელმწიფოსაგან განსხვავებით არ შთანთქავს მასში შემავალი სახელმწიფოების პოლიტიკურ და იურიდიულ თავისებურებებს. ევროპულ ფედერაციაში წევრი სახელმწიფოები შეინარჩუნებენ თავიანთ ინდივიდუალურ, განმასხვავებელ მდგომარეობას. ფედერალური სახელმწიფოს გვერდით წევრი სახელმწიფოები იქნება. ისინი ერთდროულად ავტონომიური გაერთიანებებიც იქნებიან და ევროპული გაერთიანების წევრებიც, რომლის ჩამოყალიბებისა და არსებობისთვისაც მჭიდროდ ითანამშრომლებენ.

171.

მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციის წევრები არიან, ევროპის სახელმწიფოები სახელმწიფოებრიობის თითქმის სრული ატრიბუტიკის მატარებელ დამოუკიდებელ კოლექტივებად დარჩებიან.

პირველ რიგში ექნებათ პიროვნული განმასხვავებელი ნიშანი, ეროვნება. მათი სუბიექტები შეინაჩუნებენ თავდაპირველ ეროვნებას და სწორედ ამის მეშვეობით გახდებიან ფედერალური სახელმწიფოს მოქალაქეები. ეროვნული ვინაობა წინ უსწრებს და განაპირობებს ფედერაციასთან კავშირს. რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს ორი რამ უწყვეტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან: სახელმწიფო ეროვნების მქონე ყველა მოქალაქე არ ისურვებს ფედერალური მოქალაქეობის მიღებას. ამგვარად, მიუხედავად წევრი სახელმწიფოს მოქალაქის სტატუსისა, კოლონიებიდან და დამოკიდებული ქვეყნებიდან გამოსული პირები ვერ ისარგებლებენ ფედერაციის მოქალაქის უფლებებით. სამაგიეროდ ფედერაციის მოქალაქის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ეროვნული კუთვნილების მიუხედავად ფედერალური სახელმწიფოს ფუნქციონერებს და ფედერალური მთავრობის შტაბ-ბინის ტერიტორიაზე მცხოვრებლებს.

შიდა და საერთაშორისო თვალსაზრისით, ფედერაციის წევრი სახელმწიფოები კვლავ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არსებობას გააგრძელებენ.

როგორც წარსულში, კვლავაც ექნებათ საკუთარი კონსტიტუცია, რომელშიც ცვლილებების შეტანას შეძლებენ საკუთარი თვალსაზრისის მიხედვით იმ ერთადერთი პირობით, რომ გათვალისწინებული იქნება ფედერალური კონსტიტუციის დებულებები. მათ ექნებათ საკუთარი პარლამენტი, მთავრობა, სასამართლოები და სამოქალაქო ადმინისტრაცია. თუკი ფედერალური სახელმწიფოს უფლებები საწინააღმდეგოს არ ითვალისწინებს, მათ განკარგულებაში დარჩება ეროვნული ჯარები და ქვეყნის ეკონომიკის მართვა.

რაც შეეხება უცხო ქვეყნებთან მათ ურთიერთობებს, ევროპის სახელმწიფოები არც ამ სფეროში დაკარგავენ იდენტობას. კვლავ თვითონ უზრუნველყოფენ დიპლომატიურ წარმომადგენლობას. ისინი ფედერალური კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში შეძლებენ დადონ შეთანხმებები და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ასოციაციებში. მათი ეროვნული ემბლემატიკის შენარჩუნება ყველას თვალში განამტკიცებს მათ სახელმწიფოებრიობას.

მაგრამ რაში შეიძლება გამოადგეთ მათ საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფო იდენტობა და ატრიბუტიკა, თუკი ევროპულ ფედერაციაში შესვლითა და ფედერალური სახელმწიფოს ძალაუფლებისადმი დაქვემდებარებით წევრი სახელმწიფოები მათი ჩამორთმევის რისკის ქვეშ დადგებიან? რისკი დიდი იქნებოდა, თუკი ფედერალური სახელმწიფოს სურვილი აბსოლუტურად განსხვავებული იქნებოდა მისი წევრების სურვილებისაგან, როგორც ეს უნიტარული სახელმწიფოს შემთხვევაშია. რეალურად რისკი მცირე იქნება, რადგან ევროპის სახელმწიფოები გაერთიანებისას ფედერალური ნების ჩამოყალიბებაში მჭიდრო თანამშრომლობის უფლებას დაიტოვებენ.

ამ უფლების წყალობით ისინი ფედერალური სახელმწიფოს შემადგენლობაში ეწერებიან. ფედერალური ასამბლეა იქნება ეს, ფედერალური საბჭო თუ უზენაესი სასამართლო, ქვეყნები ყოველთვის ითანამშრომლებენ ამ ორგანოების შექმნასა და ფუნქციონირებისთვის. ფედერალურ ასამბლეაში მათ საკუთარი პალატა ექნებათ; მთავრობაში თითოეული მათგანი იქნება წარმოდგენილი პერმანენტულად ან რიგრიგობით. მოსამართლეები მხოლოდ მათი თანხმობით შეირჩევიან. ფედერალური სახელმწიფო თავისთავად არ იარსებებს, იგი ევროპულ სახელმწიფოთა ერთგვარი განსახიერებაა. მათ გარეშე ის გაქრებოდა.

გარდა იმისა, რომ მათ გარეშე ვერ იარსებებს, ფედერალური სახელმწიფო ვერც იმოქმედებს მათ გარეშე. ფედერალური სახელმწიფოები მონაწილეობას მიიღებენ ფედერალურ კანონმდებლობასა და ადმინისტრაციაში. იმისათვის, რომ სრულყოფილი იყოს ფედერალური კანონი, მას კენჭი უნდა ეყაროს სახელმწიფოთა პალატაში. ფედერალური გადაწყვეტილებების განხორციელება ნაციონალურ წარმომადგენლებს დაეკისრებათ. წევრი სახელმწიფოების გარეშე ფედერალური სახელმწიფო პარალიზებული იქნებოდა.

ეს ორმაგი, ორგანული და ფუნქციონალური თანამშრომლობა გვირგვინდება ფედერალური პაქტით, რომელიც წარმოადგენს ევროპული დამფუძნებელი ასამბლეის შრომის შედეგს, რატიფიცირებულს თითოეული ერის მიერ. მისი ერთიანობის

შესანარჩუნებლად სახელმწიფოები ფედერალური კონსტიტუციის ნაწილობრივი ან სრული გადახედვის უფლებას იტოვებენ. ვერცერთი ცვლილება ვერ შევა კონსტიტუციაში წევრ სახელმწიფოთა ორი მესამედის ან სამი მეოთხედის მიერ აპრობაციის გარეშე.

175.

გარდა ამ პრეროგატივებისა, რომლებსაც ფედერალური ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობისას დაიცავენ, ევროპის სახელმწიფოებს გარანტირებულად შეუძლიათ უზრუნველყონ ზოგიერთი მათთვის უმნიშვნელოვანესი უფლებით სარგებლობა. კერძოდ კი ის უფლებები იგულისხმება, რომლებიც დასავლეთის რამდენიმე ერსა და ზღვისიქითა გაერთიანებებს შორის არსებული კავშირების შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია სრულად ითვალისწინებს ამ უფლებას, მასში შეტანილი მცირე ცვლილებაც კი საკმარისი იქნებოდა მათ გასაუქმებლად. ასევე, დაინტერესებულ ერებს უნდა ჰქონდეთ ამ უფლებებით საგანგებოდ სარგებლობის უნარი. ამ გზით მათ ვეღარ ჩამოერთმეოდათ ეს უფლებები მათი თანხმობის გარეშე. მათ შესახებ ტექსტები ფედერაციასა და ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის შეთანხმების გამოხატულება უფროა, ვიდრე საკონსტიტუციო დადგენილება. მათი ამგვარი შეცვლა კი ორივე მხარის თანხმობის შემდეგ არის შესაძლებელი.

176.

ის, რაც ხელს შეუწყობს ასეთი მნიშვნელოვანი უფლებების კონსოლიდაციას და შესაძლებელს გახდის წევრი სახელმწიფოების იდენტობისა და ავტონომიის შენარჩუნებას, ფედერაციისათვის სავალდებულო, მისი წევრებისათვის მიცემული ფედერალური გარანტიაა. ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს უფლება ექნებათ სთხოვონ ფედერალურ სახელმწიფოს დაიცვას ისინი ყოველგვარი აგრესიისაგან, დაეხმაროს მათ საკუთარ ან მათ მფლობელობაში არსებულ ზღვისიქითა ტერიტორიაზე წესრიგის აღდგენაში და მათთან ასოცირებულ ქვეყნებში ავტორიტეტის შენარჩუნებაში.

177.

უფლებების ამგვარი შთამბეჭდავი ნუსხის პირისპირ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გაერთიანებით ევროპის ერები მხოლოდ მოგებული დარჩებიან და არაფერს დაკარგავენ. სინამდვილეში კი კავშირი მათგან რაიმეს შეწირვასაც მოითხოვს. იმისათვის, რომ ფედერაციამ მათი სუვერენულობა და თავისუფლება უზრუნველყოს, მათ უარი უნდა თქვან ამ სუვერენიტეტისა და თავისუფლების გარკვეულ ნაწილზე.

178.

ვერცერთი ფედერაცია ვერ იარსებებს მისი წევრების მიერ რამდენიმე ფუნდამენტური პრინციპის მიღების გარეშე. რადგან ფედერალური სახელმწიფოს მთავრობა დემოკრატიულია, მხოლოდ დემოკრატიული რეჟიმის მექანე ევროპის სახელმწიფოებს შეუძლიათ მასში გაერთიანება. არ აქვს მნიშვნელობა, მონარქიული იქნება ის თუ რესპუბლიკური, საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა იქნება, საპარლამენტო თუ კონვენციური, აღიარებს თუ არა პირდაპირი მთავრობის ინსტიტუციებს (სახალხო ინიციატივა, რეფერენდუმი, *recall*); ყველა ამ მოსაზრებით ისინი სრულ თავისუფლებას შეინარჩუნებენ. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ყველა წევრ სახელმწიფოში ხალხი იყოს სუვერენული და შეეძლოს საკუთარი ხმის სხვისთვის გაგონება. ამისათვის ევროპის ფედერაცია მოითხოვს, რომ ყველა მისმა წევრმა აღიაროს საყოველთაო ფარული არჩევნების, თავისუფალი არჩევნების, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების, პოლიტიკური ოპოზიციის თავისუფალი ქმედების და ბოლოს, ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპი.

179.

ფედერალური სახელმწიფოს ხელისუფლების ავტორიტეტი დაცული რომ იყოს, საჭირო იქნება, წევრმა სახელმწიფოებმა ეროვნული კანონმდებლობა ფედერალურს შეუსაბამონ. კონფლიქტურ შემთხვევებში, „ფედერალურმა“ უნდა სძლიოს „ნაციონალურს“. საერთაშორისო სამართალიც კი, მიუხედავად სახელმწიფოების სრული სუვერენიტეტისა, ტრაქტატის უპირატესობას აღიარებს შიდა კანონთან მიმართებაში. მაშ, რატომ უნდა გაგვიკვირდეს ფედერალური სამართლის უზენაესობა ფედერაციაში, სადაც წევრ ქვეყნებს აღარ აქვთ სრული სუვერენიტეტი? ესე იგი, ვერცერთი სახელმწიფო ვერ გააუქმებს საკუთარი ძალაუფლების ფარგლებში ფედერალურ გადაწყვეტილებას; „ანულირების უფლება“ არ იარსებებს ევროპის ფედერაციაში.

180.

ფედერალური კავშირის ერთიანობა კიდევ მეტად იქნება კომპრომეტირებული, თუკი მასში გაერთიანებულ სუბიექტებს მისი დაშლის უფლება ექნებათ. ევროპის სახელმწიფოებს, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ ან შევიდნენ ან არ შევიდნენ ფედერაციაში, გამოსვლის უფლება აღარ ექნებათ. მათ, როგორც ეს სახელმწიფოთა კონფედერაციაშია, არ აქვთ, გამოყოფის უფლება. ისინი ისევე მტკიცედ იქნებიან მიმაგრებული ფედერალურ სახელმწიფოსთან, როგორც პროვინციები უნიტარულ სახელმწიფოსთან.

181.

ფედერალური კავშირის ერთიანობის რღვევა არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება, თუკი გაერთიანებისას ევროპული სახელმწიფოები უარს არ განაცხადებენ ერთმანეთს შორის კერძო პოლიტიკური კავშირებისა და ალიანსების შექმნის უფლებაზე. ფედერალური კონსტიტუციების უმრავლესობა კრძალავს პოლიტიკური ხელშეკრულებების დადებას წევრ სახელმწიფოებს შორის. დაიშვება თუ არა ამგვარი აკრძალვა ევროპულ ფედერაციაში, რომელიც პატივს მიაგებს ქვეყნების საერთაშორისო იდენტობას, უფლებას აძლევს მათ დადონ ხელშეკრულებები უცხო ქვეყნებთან და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო

ორგანიზაციებში? არაფერი წინააღმდეგობრივი არ არის იმაში, რომ ევროპის ქვეყნებს, ფედერალური კონსტიტუციის ფარგლებში ჰქონდეთ უცხო ქვეყნებთან ხელშეკრულებებში ჩართვის უფლება და არ ჰქონდეთ იგივე უფლება ერთმანეთთან მიმართებაში. ფედერაციის მიერ საკუთარი წევრების საერთაშორისო ურთიერთობების პატივისცემა ამართლებს ამ უფლებას პირველ შემთხვევაში; მეორე შემთხვევაში მისი აღიარება არა მხოლოდ აზრს დაკარგავს, რადგან ფედერალური სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს ყველას უსაფრთხოება, არამედ კავშირის შენარჩუნებასაც შეუშლის ხელს.

182.

ფედერაციის არსებობის მიზნით ევროპის სახელმწიფოებმა უარი უნდა თქვან კონფლიქტების მოსაგვარებლად ძალის გამოყენებაზე. მათ აბსოლუტურად უნდა გამორიცხოთ - აგრესიისას კანონიერი თავდაცვის შემთხვევის გარდა - ომის წარმართვის უფლება. უცხო სახელმწიფოებთან მიმართებაში ფედერაციას განსაკუთრებული დამოკიდებულება ექნება. ერთმანეთთან ურთიერთობისას ძალადობის გამოყენების აკრძალვას წევრი სახელმწიფოები დაამატებენ მათი დავების უზენაესი სასამართლოსთვის საარბიტრაჟოდ გადაცემის ვალდებულებას. ამ გზით ფედერალური სახელმწიფო შეძლებს თავისი იურისდიქცია გაავრცელოს წევრებზე. სასამართლოს გადაწყვეტილებების დაცვის უზრუნველსაყოფად მას იძულებითი აღსრულების უფლება ექნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ძალის გამოყენებას შეძლებს ფედერაციის წევრი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც მის განკარგულებებს არ დაემორჩილება.

III - ინდივიდები

პიროვნებები ფედერაციის მესამე ელემენტს ქმნიან. მათ მიერ შესასრულებელი როლის მნიშვნელობა ფედერალური კავშირის ძლიერებასა და ფედერირებული ხალხების

ერთიანობის ძალაზეა დამოკიდებული. დასაწყისში, როდესაც კავშირი და ერთიანობა ჯერ კიდევ სუსტია, ფედერაცია მხოლოდ სახელმწიფოებზე დაყრდნობით შეიძლება შენარჩუნდეს; ის მათი თანადგომით იძენს ავტორიტეტს. მაგრამ, რაც უფრო მტკიცდება კავშირი და ერთიანობა და ნაციონალურ თვითშეგნებას ემატება ფედერალური კუთვნილების განცდა, მით უფრო იზრდება პიროვნებების როლი. „ფედერირებულ ხალხებად“ პიროვნებათა გაერთიანებას ერთვის მათი „ფედერალურ ხალხად“ გაერთიანება.

183.

ექვგარეშეა, რომ ევროპულ ფედერაციაში ინდივიდები დიდი ხნის განმავლობაში ყველაზე უმნიშვნელო ადგილს დაიკავებენ. ერთიანი ევროპა თავდაპირველად სახელმწიფოთა ასოციაცია უფრო იქნება, ვიდრე ინდივიდებისაგან შემდგარი რესპუბლიკა. თუმცა ეს უკანასკნელები არ იქნებიან უგულვებელყოფილნი, როგორც ეს სახელმწიფოთა კონფედერაციაშია. რჩებიან რა საკუთარი ქვეყნის სუბიექტებად, ისინი ფედერალური სახელმწიფოს მოქალაქეები ხდებიან. მათი ნაციონალური კუთვნილების სტატუსით ისინი კვლავ თავიანთი ქვეყნის დაქვემდებარებაში დარჩებიან, ისარგებლებენ ყველა უფლებით და დაეკისრებათ მოქალაქის სტატუსის შესაბამისი ყველა ვალდებულება.

184.

მაგრამ ფედერალური მოქალაქეობის მიღება გააფართოებს მათ სტატუსს. ფედერალური კონსტიტუცია მათ მართლაც ახალ უფლებებს მიანიჭებს - ფედერალურ უფლებებს - რომლით სარგებლობის გარანტიასაც ფედერალური სახელმწიფო იძლევა ფედერაციის მთელი ტერიტორიის მასშტაბით.

პირველი ამ უფლებათაგანი, რომელიც მათ უშუალოდ დააკავშირებს ფედერალური სახელმწიფოს სტრუქტურასთან, წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში პირდაპირი

მონაწილეობა იქნება. ამას ფედერალური კანონი დაარეგულირებს; ფედერაციაში გაერთიანებული ქვეყნები ვერაფერს ვერ მოიმოქმედებენ ამ პროცესის ჩასაშლელად.

ფედერალური მოქალაქის სტატუსით ინდივიდებს ექნებათ ასევე ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება, მათ შორის კოლონიურ ტერიტორიებზე. გადაადგილების თავისუფლება პოლიციური ზომების, კერძოდ კი პასპორტებისა და ვიზების გაუქმებას გამოიწვევს. იგი ასევე უნდა მოიცავდეს თავისუფალი დაფუძნების უფლებას ინდუსტრიის, კომერციის სფეროებსა და ლიბერალურ სფეროში პროფესიონალებისათვის. თუმცა ფედერაციის მოქალაქემ დასამკვიდრებლად არჩეული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით ამ მხრივ გათვალისწინებული პირობები უნდა დააკმაყოფილოს.

დაბოლოს, ფედერაციის მოქალაქეთა უფლებები მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეების უფლებას უნდა უთანაბრდებოდეს. ცხადია, ისინი არ ასიმილირდებიან ამ უკანასკნელებთან, გარდა იმისა, რომ ისარგებლებენ სამოქალაქო უფლებებით. ისინი ვერცერთ შემთხვევაში ვერ მოითხოვენ პოლიტიკური უფლებებით სარგებლობას.

185.

ყველა ეს უფლება, რომელიც ფედერალურ მოქალაქეებს თვით ფედერალური კონსტიტუციის თანახმად ენიჭებათ, ფედერალური სახელმწიფოსა და წევრი ქვეყნებისადმი პატივისცემას ავალდებულებს. სასჯელის წარდგენა პირდაპირი წესით ფედერალურ ორგანოებში ხდება, ან ფედერალური ასამბლეისადმი პეტიციით მიმართვის საფუძველზე, ან უზენაეს სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით. რაც შეეხება უფლებებს, რომლებიც მინიჭებული ექნებათ თავიანთი ეროვნული სახელმწიფოების კონსტიტუციით, მაგრამ ფედერალური კონსტიტუციის დებულების საფუძველზე, როგორიცაა, მაგალითად, აზროვნების, გამოხატვისა თუ შეკრების თავისუფლების უფლება, ისინი ფედერალური სასამართლოს წინაშე მისი გამოყენების შესახებ მოთხოვნას შეძლებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურავენ ეროვნული სასამართლოებისათვის მიმართვის ყველა სხვა გზას.

თუ საუბარია ინდივიდუალურ უფლებებზე, რომლებიც პირდაპირ ფედერალური კონსტიტუციიდან გამომდინარეობს, წევრი სახელმწიფო ვერ შეძლებს დაიჩვილოს ფედერალური სასამართლოს წინაშე წარდგომის შესახებ, რომლის კომპეტენციებსაც წინასწარ დაეთანხმა. პირიქით, თუ საუბარია ინდივიდუალურ უფლებებზე, რომლებიც წევრმა სახელმწიფომ თავად აღიარა ამ საკითხებზე ფედერალური განკარგულების აღსრულებით, საკუთარ ავტორიტეტზე თავდასხმა იქნებოდა, რომ ფედერალურ მოქალაქეებს მიეცეთ საშუალება ფედერალური უზენაესი სასამართლოს წინაშე დაუყოვნებლივ წარდგომისა, ეროვნულ სასამართლოებში მათი სარჩელის წინასწარი განხილვის გარეშე.

ნაწილი II

ფედერალური ევროპის ხელისუფლებები

ფედერაციაში გაერთიანებით ევროპის სახელმწიფოები თანხმობას გამოთქვამენ დაექვემდებარონ ფედერალური სახელმწიფოს ძალაუფლებას. აშკარაა, რომ მას უნდა ჰქონდეს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები თავად ფედერაციის მიზნის - უსაფრთხოება გარეთ და წესრიგი შიგნით - განსახორციელებლად. როგორი იქნება მისი უფლებამოსილებები, ამ უფლებამოსილებებზე წვდომა და მათი ბუნება?

186.

ძალაუფლების გადანაწილება ფედერალურ სახელმწიფოსა და წევრ სახელმწიფოებს შორის, ასევე მისი გამოსავალი, მეტწილად პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოებებზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე რაციონალურ და *a priori* მოსაზრებებზე. იმის მიხედვით,

თუ როგორია საფრთხის სერიოზულობა, საერთო კავშირების სიმრავლე და ინტენსივობა, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტრადიციების გამძლეობის ხარისხი, კერძო ეკონომიკური ინტერესებისა და კიდევ სხვა ინტერესების წინააღმდეგობის ძალა, ფედერალური სახელმწიფო მეტ-ნაკლებად ფართო და ეფექტიან უფლებამოსილებებს შეიძენს. უფლებამოსილებების განაწილება ძირითადად პოზიტიური სამართლის საკითხია; რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებები იცვლება ფედერალური კონსტიტუციების მიხედვით. კონსტიტუციის ტექსტების ანალიზიდან გამომდინარეობს რამდენიმე სასარგებლო სწავლება, გადანაწილების სხვადასხვა პროცედურის განსასაზღვრად. და ეს სწორედ ის გარემოებებია, რომლებიც არჩევანს განაპირობებენ.

187.

ფედერალურმა კონსტიტუციებმა ძირითადად გამოიყენეს შემდეგი მეთოდები: მაგალითად, კანადის კონსტიტუციაში ჩამოთვლილია ფედერალური სახელმწიფოსა და წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებები, მიაკუთვნეს რა ფედერალურს გაუთვალისწინებელი საკითხების დარეგულირების უფლება. ამ სისტემაში, რომელიც სამხრეთ აფრიკაშიც მოქმედებდა, ფედერალურ სახელმწიფოს პრინციპულ საკითხებში აქვს კომპეტენციები, წევრ სახელმწიფოებს კი მხოლოდ საგანგებოდ მინიჭებული უფლებამოსილებები გააჩნიათ. კონსტიტუციების უმრავლესობა სხვაგვარ გადაწყვეტას გვთავაზობს. მათში ზუსტად განსაზღვრული უფლებამოსილებები ენიჭება ფედერალურ სახელმწიფოს, წევრ სახელმწიფოებს კი ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად, პრინციპული საკითხების კომპეტენცია. ფედერალური სახელმწიფოს უფლებამოსილებათა ფარგლები მისი ფუნქციების ფორმულირების ტიპზეა დამოკიდებული: რაც უფრო მრავლის მომცველია ფორმულირება, მით უფრო ფართოა მისი კომპეტენცია, ხოლო რაც უფრო დახვეწილი და ზუსტია, მით უფრო შეზღუდულია იგი. ყველაზე ხშირად გამოყენებულ ამ მეთოდებს შორის გვხვდება კიდევ ორი, რომელიც დანარჩენებს ავსებს: ექსკლუზიური კომპეტენციის მეთოდი, რომლის თანახმადაც კონკრეტულად აკუთვნებენ რიგ საკითხებს ფედერალურ სახელმწიფოს ან წევრ სახელმწიფოს და პარალელური კომპეტენციების მეთოდი, რომლის მიხედვითაც ფედერალურ სახელმწიფოსა და წევრ სახელმწიფოებს ერთნაირი უფლებამოსილებები აქვთ, სანამ ფედერალური სახელმწიფო არ გამოიყენებს რომელიმეს.

გარდა უფლებამოსილების არეალისა, ფედერალურ კონსტიტუციებში ფედერალური სახელმწიფოსათვის მინიჭებული ფუნქციების ხასიათია დაზუსტებული. ზოგჯერ იგი რეალური, გადაწყვეტილების მიმღების უფლებით არის აღჭურვილი. ამ შემთხვევაში ის კანონშემოქმედია და მისი კანონი წევრ სახელმწიფოებზე ვრცელდება. ზოგჯერ კი მხოლოდ ინიციატორის უფლებამოსილებას იღებს, რა დროსაც მისი როლი გასატარებელი პოლიტიკის ძირითადი დირექტივების ჩამოყალიბების უფლებით შემოიფარგლება. წევრი სახელმწიფოები სრულ თავისუფლებას იტოვებენ კანონშემოქმედების საკითხში. ფედერალური სახელმწიფო საკუთარ ავტორიტეტს იყენებს, რათა ეროვნულ კანონმდებლობებში გათვალისწინებულ იქნეს მის მიერ დადგენილი პრინციპები. დაბოლოს, ზოგჯერ ის მხოლოდ მაკონტროლებლის უფლებამოსილებითაა აღჭურვილი ფედერაციის ინტერესების დასაცავად.

188.

ძალაუფლების გადანაწილების ყველა ამ სახეობიდან, რომელი მათგანი შეესაბამება ყველაზე უკეთ დასავლეთ ევროპას? ნათელია, რომ ამჟამინდელ გარემოებებში ევროპის კონსტიტუცია შეძლებს მხოლოდ მინიმალური ძალაუფლება მიანიჭოს ფედერალურ სახელმწიფოს და შესაძლებლობების ფარგლებში ხელუხლებელი დატოვოს სახელმწიფოების ხელში არსებული ძალაუფლებანი. შესაბამისად, ფედერაციის წევრი სახელმწიფოებისათვის პრინციპის კომპეტენციის შენარჩუნებისთანავე, ამომწურავად უნდა იქნეს ჩამოთვლილი ფედერალური სახელმწიფოს უფლებამოსილებები. ამ უფლებამოსილებებს შორის ზოგიერთი მას ექსკლუზიური სახით გადაეცემა, დანარჩენი - ფედერაციის წევრ სახელმწიფოებთან ერთად, მანამ, სანამ მათ არ ამოწურავს. ზოგიერთ საკითხთან მიმართებაში ისიც კი იქნება საჭირო, რომ ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს მიენიჭოთ ექსკლუზიური ძალაუფლებანი, რომელთაც ფედერაცია ვერც გააბათილებს და ვერც უმიზეზოდ შეზღუდავს. რაც შეეხება ფედერალური სახელმწიფოსთვის გადასაცემ ძალაუფლებებს, ევროპის ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, რომ ეს ძალაუფლებები იყოს გადაწყვეტილების მიღების, ინიციატივისა და კონტროლის ძალაუფლება იმის მიხედვით, თუ რას შეეხება ისინი.

სწორედ ამ ზოგადი მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს კომპეტენციების გადანაწილება ფედერალურ სახელმწიფოსა და ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო და შიდა საკითხებში.

I - ძალაუფლებების გადანაწილება საერთაშორისო სფეროში

189.

იმ ევროპაში, სადაც სახელმწიფოები, რომლებიც ჯერ კიდევ ძლიერად იცავენ თავიანთი მოქმედების თავისუფლებას, არ არიან მზად უარი თქვან თავიანთ საგარეო კომპეტენციაზე, ფედერალური სახელმწიფოსა და ფედერაციის წევრი სახელმწიფოების შესაბამისი უფლებამოსილებების საკითხი საერთაშორისო სფეროში განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა. ფედერაციების უმრავლესობისგან განსხვავებით, რომლებშიც სხვადასხვა საერთაშორისო უფლებამოსილებანი განხორციელებულია თითქმის ექსკლუზიურად ფედერალური ხელისუფლების მიერ, გაერთიანებულ ევროპაში იგივე უფლებამოსილებანი - ერთის გარდა - გადანაწილდება ფედერალურ სახელმწიფოსა და წევრ სახელმწიფოებს შორის. ისინი ამ უფლებამოსილებებით პარალელურად ისარგებლებენ; აქედან გამომდინარე, გარდაუვალია მათი ურთერთგადაკვეთა - ურთიერთშეჭრაზე რომ აღარაფერი ვთქვათ - ყოველ შემთხვევაში, მათი კონფლიქტის შესაძლო წყაროდ ქცევა. მაშასადამე, მნიშვნელოვანია, ეს გადანაწილება ძალზე გულდასმით მოხდეს, რათა თავიდან ავირიდოთ ყოველგვარი გაუგებრობა და დაპირისპირება, რაც გაერთიანებას ზიანს მოუტანს.

სახელმწიფოს საერთაშორისო უფლებამოსილებანი შემოიფარგლება ძირითადად ომის წარმოების, ხელშეკრულებების გაფორმებისა და დიპლომატიური ურთიერთობების წარმოების უფლებებით.

190.

ომის წარმოების უფლება ფართოდ უნდა იქნეს გაგებული, ისე როგორც ამას თანამედროვე საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს. კელოგ-ბრიანის პაქტი მის განსაზღვრებას შემდეგნაირად გვაწვდის: ეს არის „ძალის გამოყენება, როგორც ეროვნული პოლიტიკის ხელსაწყო“. ის არა მხოლოდ ომს მოიცავს, არამედ სხვა ტიპის საერთაშორისო რეპრესიების ფორმებსაც ეხება, როგორიცაა კონტრიერიში, ბლოკადა და ა.შ...

191.

ეს უფლება უნდა ჩამოერთვას ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს და ექსკლუზიურად უნდა მიენიჭოს ფედერაციულ სახელმწიფოს. ფედერაციის ბედი საფრთხის წინაშე დადგება, თუ მის შემადგენელ სუბიექტებს ერთმანეთში ომის წარმოება შეეძლებათ. გარეშე ძალასთან დამოუკიდებლად ომის გამოცხადების უფლების არქონა ფედერაციული სახელმწიფოს მიერ მათთვის მინიჭებული საგარეო უსაფრთხოების გარანტიაა. ამავდროულად, თითქმის ყველა ფედერაციული კონსტიტუცია, გამონაკლისის სახით, თავის წევრ ქვეყანას თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენების უფლებას აძლევს გარეშე ძალის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში: თუმცა მათ მაშინვე უნდა აცნობონ ფედერაციის მთავრობას. სინამდვილეში აქ გამონაკლისი არ არსებობს, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ფედერაციული სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ექსკლუზიური კომპეტენცია, ეს უბრალოდ გაეროს მიერ ფორმალურად მინიჭებული თავდაცვის უფლებაა.

192.

ფედერაციული სახელმწიფოს მიერ ომის წარმოების ექსკლუზიური უფლების ქონა მის წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, რომ მათ შორის არსებული დავები ფედერაციული კონსტიტუციის ფარგლებში მშვიდობიანად გადაწყვიტონ.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ მაშინ, როცა მათ გარე სახელმწიფოსთან აქვთ კონფლიქტი? ისინი უნდა გაიმიჯნოს. კონფლიქტები, რომლებიც ფედერაციის წევრი სახელმწიფოს კუთვნილი საერთაშორისო უფლებამოსილებების გატარებისას წარმოიშობა, გადაჭრილ უნდა იქნეს საერთაშორისო საჯარო სამართლის ფარგლებში, რადგან ევროპის ქვეყნებმა ამ მხრივ შეინარჩუნეს თავიანთი საერთაშორისო იდენტობა. თუ მაგალითად, ფედერაციულ სახელმწიფოსა და მის წევრ ქვეყანას შორის ფედერაციის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების მოქმედება ან ინტერპრეტაცია წარმოშობს პრობლემას გარეშე ძალასთან, ან თუ ეს შეეხება გარეშე ქვეყნისგან წამოსულ დიპლომატიურ მოთხოვნას, ფედერაციის წევრი ქვეყნის მიერ თავისივე მოქალაქისადმი უსამართლო გადაწყვეტილების მიღების შესახებ, მაშინ ყველა ეს დავა უნდა გადაწყდეს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს, საერთაშორისო სასამართლოს ან ყველა სხვა მშვიდობიან ხალხთა სამართლებრივი საშუალებების დახმარებით. ამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართალი სრულად ამოქმედდება; ერთი გამონაკლისით - ძალის გამოყენება, რომელიც ზოგ შემთხვევაში დაშვებულია, იქნება გამორიცხული. რაც შეეხება ფედერაციული სახელმწიფოს საერთაშორისო უფლებამოსილებების მოქმედების შედეგად გამოწვეულ კონფლიქტებს, მათ მშვიდობიან გადაწყვეტაში მხოლოდ ფედერაციული სახელმწიფოს მთავრობას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, კონფლიქტში გარეული ფედერაციის წევრი ქვეყნის გამორიცხვით.

იქნება ეს ფედერაციული საკონსტიტუციო სამართალი თუ საერთაშორისო საჯარო სამართალი, რომელიც გადამწყვეტ როლს ითამაშებს ფედერაციის წევრი ქვეყნების ინტერესებში შემავალი დავის გადაწყვეტაში, ძალა არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული. მათ არც იმ შემთხვევაში შეუძლიათ მისი გამოყენება, როცა ამას ფედერაციის მიერ აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულება ავალდებულებთ. იქნება ეს ასოცირებულ ქვეყნებთან მიღებული კონვენციის ფარგლებში აღებული პასუხისმგებლობა თუ გაეროს ქარტიის მიერ დაკისრებული ვალდებულება - უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებით კოლექტიური სამოქმედო ზომების მიღება, - ფედერაციის წევრი ქვეყნები ვერასოდეს შეძლებენ ფედერაციული სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ამ ვალდებულებების აღსრულებას.

ფედერაციული გაერთიანებების უმრავლესობაში წევრი ქვეყნების *საერთაშორისო შეთანხმებების* გაფორმების უფლებამოსილება უკიდურესად შეზღუდულია. წესით, მხოლოდ ფედერაციულ სახელმწიფოს აქვს უფლება მოლაპარაკებები აწარმოოს და დადოს ხელშეკრულებები უცხო სახელმწიფოებთან. ამავდროულად, ფედერაციის წევრ ქვეყნებს მინიჭებული აქვთ მეორეხარისხოვანი ხელშეკრულებების მიღების უფლება, როგორცაა სამეზობლო და სასაზღვრო პოლიციის შესახებ ხელშეკრულებები. იშვიათია მოდელები, სადაც ეს კომპეტენციები გაფართოებულია, მაგრამ ისინი მხოლოდ ფედერაციის მთავრობის თანხმობის შემთხვევაში შედის სრულად ძალაში. ასე ვთქვათ, ის თავის თავზე იღებს ან ინაწილებს ხელის მომწერ ქვეყანასთან ერთად ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს. ერთადერთი გამონაკლისი იყო გერმანიის იმპერია, რომელმაც 1871 წელს მასში შემავალ ქვეყნებს ექსკლუზიური უფლება მისცა ეწარმოებინათ შეთანხმებები შიდა კანონებზე დაყრდნობით.

194.

როგორ უნდა გადანაწილდეს ეს უფლებამოსილებანი ევროპული ფედერაციის შემთხვევაში? მიენიჭოს მთავარი კომპეტენცია ფედერაციულ მთავრობას და წევრ ქვეყნებს ნება დავრთოთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი მცირე მნიშვნელობის მქონე შეთანხმებების მიღებისა? თუ გერმანული იმპერიის მსგავსად, ფედერაციის წევრ ქვეყნებს შევუნარჩუნოთ უფლება დადონ შეთანხმებები ნებისმიერ საკითხზე, რაც მათ სუვერენულობას გააძლიერებს?

ამ ორი მოდელიდან არცერთი არ მოუხდება ისეთ ფედერაციულ ევროპას, რომელიც ჩამოყალიბებისა და განვითარების გზაზე დგას. შეგვიძლია ევროპულ ქვეყნებს ჩამოვართვათ უცხო ქვეყნებთან მოლაპარაკებების უფლება, მაშინ როცა მათ შიდა ავტონომია ფართოდ ექნებათ შენარჩუნებული, გაგრძელდება ტრანსატლანტიკურ საზოგადოებასთან ურთიერთობა, რაშიც, სხვათა შორის, ფედერაციული სახელმწიფოს კომპეტენცია შეზღუდულია. სავარაუდოდ, გერმანული მოდელი ყველაზე უკეთ ერგება ევროპის განსაკუთრებულ პირობებს, თუმცადა ის არასრულია, მოუქნელია თავისი გამოხატვის ფორმებით. ამან თავის დროზე გერმანიაში სირთულეები წარმოშვა ზოგიერთი შეთანხმების

დადებისას: იმპერია და მისი შემადგენელი ყველა ქვეყანა თავის მხრივ, ითხოვდა ხელმოწერის უფლებას.

მართლაც, შიდა კომპეტენციების მიხედვით ხელშეკრულების უფლების მინიჭება ადვილია, მაგრამ, თავად კომპეტენციების გადანაწილება არასდროსაა იდეალური. შესაბამისად, ასეთი ზოგადი წესის გატარება აუცილებლად დელიკატური იქნება და წარმოქმნის დავას. შესაძლოა ზოგჯერ ფედერაციულმა მთავრობამ და ერთეული ქვეყნების მთავრობებმა იდავონ ხელშეკრულების დადების უფლებაზე, ზოგჯერ კი ორი ხელშეკრულება მოვიდეს წინააღმდეგობაში ერთმანეთთან, რომელთაგან ერთი გააფორმა ფედერალურმა ხელისუფლებამ, ხოლო მეორე - წევრმა სახელმწიფომ. აქედან გამომდინარე, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეუძლებელია დამატებებისა და დაზუსტებების შეტანის გარეშე.

195.

ფედერაციული სახელმწიფო და მისი წევრი ქვეყნები ერთნაირად უნდა სარგებლობდნენ მოლაპარაკებების წარმოებისა და საერთაშორისო შეთანხმებებზე ხელის მოწერის უფლებით. ამ მიმართულებით მათი კომპეტენციები განსაზღვრული იქნება ფედერაციის კონსტიტუციით, მათი შიდა ძალაუფლების გათვალისწინებით.

196.

ამრიგად, მხოლოდ ფედერაციულ სახელმწიფოს, რომელსაც კონსტიტუციით ევალება ევროპის ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ექნება უფლება მოაწეროს ხელი შეთანხმებებს ალიანსის, ზოგადი გარანტიებისა და ურთიერთდახმარების შესახებ. მასვე ეკისრება ყველა სხვა ხელშეკრულება, რომლებიც ფედერაციის ტერიტორიის თავდაცვას ეხება. განა სავსებით ნორმალური არ არის, რომ ისეთი შეთანხმებების მიღებისას, რომლებმაც

შეიძლება ფედერაციის ომში ჩართვა გამოიწვიონ, თავად ფედერაციის ხელისუფლებამ აწარმოოს მოლაპარაკება?

197.

ფედერაციის წევრი ქვეყნები, რომლებიც აღიჭურვებიან კონსტიტუციის ძალით, საერთაშორისო იდენტობით და ფართო შიდა კომპეტენციებით, შეეძლება უცხო ქვეყნებთან პირდაპირ დადონ შეთანხმებები თავიანთ უფლებამოსილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათ შეეძლება, მაგალითად, მოლაპარაკება აწარმოონ მათზე დამოკიდებული კოლონიების თაობაზე (სამეურვეო ხელშეკრულებები), ასევე მოილაპარაკონ თავიანთი ასოცირებული სახელმწიფოების სახელით (მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყნები, *დომინიონები*). განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთს ექნება უფლება თავისუფლად აწარმოოს მოლაპარაკება თავის *დომინიონებთან* ან მათი სახელით უცხო ქვეყნებთან იმავე პირობებით, რაც ადრე ჰქონდა, გარდა იმ ხელშეკრულებებისა, რომელთა გაფორმების ექსკლუზიური უფლება ფედერალურ სახელმწიფოს ეკუთვნის. ისინი შეძლებენ ასევე ხელი მოაწერონ გაეროს დანართი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

198.

ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკების უფლება ხან თანმიმდევრობით, ხან კი ერთდროულად ექნებათ ფედერალურ სახელმწიფოსა და წევრ სახელმწიფოებს.

სანამ ფედერაცია თავის სრულ ეკონომიკურ განვითარებას არ მიაღწევს და ევროპულ ეკონომიკას განვლილი არ ექნება ყველა გარდამავალი ეტაპი, ფედერაციის წევრ ქვეყნებს აუცილებლად უნდა შეუნარჩუნდეთ სავაჭრო ხელშეკრულებების, საბაჟო შეთანხმებების, მუშახელის იმიგრაციის, დამკვიდრებისა და ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებებისა და კომუნიკაციის საშუალებებთან დაკავშირებული ყველას სხვა ხელშეკრულებების გაფორმების უფლება. იმ დღეს, როდესაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების

ჩამოყალიბება საბოლოოდ დასრულდება, ყველა ამ საკითხებზე მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების გაფორმების უფლება გადაეცემა ფედერალურ სახელმწიფოს.

სამაგიეროდ, ისეთ საკითხებში, როგორიცაა ნავიგაცია, ფინანსები (სესხები), საზღვრები და პოლიცია, შერიგება და არბიტრაჟი, და ა.შ., ფედერალურ მთავრობასა და ცალკეული სახელმწიფოების მთავრობებს ექნებათ პარალელური კომპეტენციები იმ გაგებით, რომ თითოეულს შეეძლება მოლაპარაკება აწარმოოს უცხო ქვეყანასთან.

199.

ევროპის ფედერაციასა და მის წევრებს შორის ამ გადანაწილების სირთულე, ინციდენტები და ინტერესეთა ურთერთგადაკვეთა, რაც აუცილებლად იჩენს თავს, და ბოლოს, ფედერალური სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოება და დაეხმაროს ამ უკანასნელთ შეასრულონ აღებული ვალდებულებები თავიანთი კოლონიური კუთვნილებებისა და ასოცირებული ქვეყნების მიმართ, ყველა ეს გარემოება მოითხოვს, რომ წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ფედერალური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასთან და მოხდეს უცხო ქვეყნებთან არსებული ურთიერთობების მოხერხებული დარეგულირება, რომლებსაც ქვეყნები მომავალშიც შეინარჩუნებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურ სახელმწიფოს ფედერაციის უშიშროებისა და თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაფორმების ექსკლუზიური უფლება აქვს, მან ისინი წევრ სახელმწიფოებთან შეუთანხმებლად არ უნდა გააფორმოს. დაუდევარი და სარისკო ნაბიჯი იქნება მისი მხრიდან იმის დავიწყება, რომ ევროპის ერები მისი ერთადერთი საყრდენი იქნება და მხოლოდ ისინი იტვირთებენ საბოლოო ჯამში მის მიერ შეთანხმებული პოლიტიკური თუ სამხედრო ვალდებულებების შესრულებას. ფედერალური მთავრობის მხრიდან გონივრული იქნება, თუ არცერთ მოლაპარაკებას არ წამოიწყებს ეროვნულ მთავრობებთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე, დისკუსიებში მათი მონაწილეობისა და, შესაძლოა, მასთან ერთად შეთანხმების ხელმოწერის გარეშეც კი.

ამგვარად, ის დარწმუნებული იქნება, რომ მის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებებს ფედერაციის ყველა წევრი ქვეყანა დაიცავს და შეასრულებს.

არანაკლებ დაუდევარი და სარისკო იქნებოდა ფედერაციის წევრი ქვეყნებისთვის მათ კომპეტენციაში შემავალი ხელშეკრულებების გაფორმებისას სრული თავისუფლების მინიჭება. ამგვარი თავისუფლება საფრთხის ქვეშ დააყენებდა თავად ფედერაციის არსებობას და მისი წევრების უსაფრთხოებას და ამით საბოლოო ჯამში სახელმწიფოების ინტერესებს დაუპირისპირდებოდა. ფედერალურ კავშირში შემავალი სახელმწიფოები ერთპიროვნულად აღარ იღებენ პასუხისმგებლობას; მათთან ერთად პასუხისმგებლობას იღებს ფედერაცია და, შესაბამისად, ყველა სხვა წევრი სახელმწიფოც. ისინი აღარ მოქმედებენ, როგორც სრულიად დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები, ისინი მოლაპარაკებაში ერთვებიან როგორც ფედერალური პაქტით დავალდებული ქვეყნები.

ფედერალური კავშირის წევრობა მათ ავალდებულებს, რომ არასოდეს დადონ ხელშეკრულება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა ფედერალურ კონსტიტუციასა და კანონმდებლობასთან ან ზიანს მოუტანს ფედერაციის ან მისი რომელიმე სხვა წევრის ინტერესებს. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როდესაც ფედერაციის წევრი ქვეყნები ფედერალური სახელმწიფოს პარალელურ კომპეტენციებს ფლობენ, მათ მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები არ უნდა შეიცავდეს ფედერალური სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი მსგავსი ხელშეკრულებების დებულებების საწინააღმდეგო არცერთ პირობას. როგორც ფედერალური კანონი იქნება ეროვნულ კანონზე უზენაესი, ისე ფედერალური ხელშეკრულება დადგება კერძო ქვეყნების ხელშეკრულებაზე მაღლა. ამ გზით, ფედერალური კავშირის არსებობა შეზღუდავს წევრი სახელმწიფოების თავისუფლებას ხელშეკრულებების სფეროში და ცენტრალურ ხელისუფლებას მისცემს მათი ყველა საერთაშორისო ვალდებულების გაკონტროლების შესაძლებლობას.

დაბოლოს, ფედერაციას უნდა მიეცეს საშუალება უფრო დეტალურად გააკონტროლოს წევრების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც ზღვისიქითა ტერიტორიებთან მათ კავშირს ეხება (კოლონიური ტერიტორიები, ასოცირებული თუ მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოები). ფედერალური მთავრობის სასარგებლოდ ზედამხედველობის ამ სპეციალური უფლების აღიარება გამართლებულია იმ პასუხისმგებლობით, რომელიც მან იტვირთა, რათა წევრ სახელმწიფოებს დაეხმაროს ამ კავშირების შენარჩუნებასა და დაცვაში,

და ასევე დაეხმაროს მათ, შეასრულონ ამ კავშირებიდან გამომდინარე ვალდებულებები. ევროპის სახელმწიფოები ფედერაციის მიმართ ერთგულებისა და მადლიერების მოვალეობას ვერ მოიხდიდნენ, თუკი ფედერალურ მთავრობას ამ განსაკუთრებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით თავიანთი საგარეო პოლიტიკის შესახებ არ აცნობებდნენ. მათ უნდა ჩართონ კიდეც ფედერალური სახელმწიფო ამ თემასთან დაკავშირებით საერთაშორისო მოლაპარაკებებში.

200.

ფედერაციასა და მის წევრებს შორის ხელშეკრულებების სფეროში თანამშრომლობის მეტი ეფექტურობისა და იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების ხელშემშლელი ნებისმიერი დისკუსია, საჭირო იქნება განისაზღვროს თანამშრომლობის ტექნიკური პირობები არა კონსტიტუციის მოუქნელი ტექსტის საშუალებით, არამედ ჩუმი შეთანხმებით და იმ მომენტის პოლიტიკური საჭიროებების მიხედვით. ბრიტანეთის თანამეგობრობის ერებს შორის ურთიერთობებში გამოყენებული წეს-ჩვეულებები საუკეთესო მოდელია, რომლის მიბაძვაც ურიგო არ იქნებოდა. ეს შეიძლება იყოს უბრალოდ ინფორმირება ან კონსულტაციის მეთოდი, რომელიც მოლაპარაკებების დაწყებამდე უნდა მოხდეს, ან ერთობლივი დელეგაციის კონსულტაცია, რომელშიც შედიან როგორც ფედერალური სახელმწიფოს, ასევე წევრი სახელმწიფოების სრულუფლებიანი წევრები, აღჭურვილნი სრული ძალაუფლებით, რომ წარმოადგინონ ფედერაცია საერთაშორისო სხდომებზე. ფედერაციის თანამეგობრობის უკეთ გამოსახატავად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე მრავლობითი ხელმოწერის მეთოდი. ბოლოს, საგარეო პოლიტიკის საუკეთესოდ კოორდინირებისათვის ფედერაციისა და წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს შეუძლიათ შეიკრიბონ ფედერალური კონფერენციების ფარგლებში, ბრიტანული დომინიონებისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრების მიერ პერიოდულად გამართული კონფერენციების მსგავსად. შედეგად, არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა აღარ დაუპირისპირდება ერთმანეთს, არამედ თავიდან ავიცილებთ რომელიმე წევრი სახელმწიფოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეულ სირთულეებს, რაზეც შეიძლება შემთხვევით ფედერალური სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

201.

დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლება მოიცავს უცხო ქვეყნებში დიპლომატიური და საკონსულო მოხელეების გაგზავნისა და მიღების, ასევე სავაჭრო და კულტურული წარმომადგენლობების ყოლის უფლებას. ეს უფლება მოიცავს ასევე რწმუნებულების სიგელების გადაცემის უფლებას.

საერთოდ, ფედერალურ კონსტიტუციებში, დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლება წევრ ქვეყნებს ფორმალურად ჩამორთმეული აქვთ. მხოლოდ ფედერალური მთავრობა აგზავნის აკრედიტებულ ელჩებსა და მინისტრებს ფედერალური სახელმწიფოსა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლად. მხოლოდ 1871 წლის გერმანულმა კონსტიტუციამ, ისტორიული და დინასტიური მიზეზების გამო, არ ჩამოართვა ზემოხსენებული უფლება სახელმწიფოებს. ეს უკანასკნელნი ტრადიციისამებრ აგრძელებდნენ დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლებით სარგებლობას, თუმცა უფრო მეტად საპატიო წარმომადგენლობის სახით, ვიდრე ეფექტურად.

202.

ევროპის ფედერაციაში ფედერალურ სახელმწიფოს განცალკევებული დიპლომატიური წარმომადგენლობა ეყოლება, მაგრამ წევრი სახელმწიფოები იქ თავიანთ წარმომადგენლობებსაც შეინარჩუნებენ. ამგვარად, ორივეს - ფედერალურ სახელმწიფოსაც და წევრ სახელმწიფოებსაც ექნებათ დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლება. როგორც უნდა იყოს ამ არჩევანის ხელისშემშლელი პირობები, შეუძლებელია მისი უგულებელყოფა. ევროპის სახელმწიფოები, როგორც წარსულში, განაგრძობენ უცხო ქვეყნებთან თავიანთ ურთერთობებს. ზოგიერთი მათგანი მის მფარველობაში მყოფი ან ასოცირებული ერების წარმომადგენლობასაც იტვირთავს. დაბოლოს, მათ პასუხისმგებლობაში შევა მათზე დამოკიდებული კოლონიების ინტერესების დაცვაც. ყველა ამ მიზეზთა გამო აუცილებელია, რომ ისინი საზღვარგარეთის ქვეყნებში საკუთარმა მოხელეებმა წარმოადგინონ.

უდავოდ გაცილებით მარტივი იქნებოდა მათთვის საკუთარი წარმომადგენლობის ყოლის უფლების ჩამორთმევა, მაგრამ სანამ საერთაშორისო იდენტობა შეუნარჩუნდებათ, მანამდე ამ უფლების ჩამორთმევა შეუძლებელი იქნება მათთვის. ამავე დროს, მათ არაფერი შეუშლის ხელს, რომ ფინანსური თუ პოლიტიკური მიზეზების გამო დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლება თავისივე ნებით გადასცენ ფედერალურ სახელმწიფოს.

203.

ორმაგი წარმომადგენლობის არსებობა საჭიროებს ფედერალური სახელმწიფოსა და წევრი სახელმწიფოების დიპლომატიური მოქმედებების გამიჯვნას. როგორც ხელშეკრულებების შემთხვევაში, მისი გამიჯვნა მოხდება ფედერალური კონსტიტუციის მიერ დადგენილი კომპეტენციების განაწილების მიხედვით. მიუხედავად ამისა, განსხვავებული პოლიტიკური სვლების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ფედერაციის შიგნით უთანხმოების წყარო გახდებოდა, მართებული იქნებოდა, ფედერაციის მთავრობისა და წევრი ქვეყნების მთავრობების დიპლომატიურმა მოხელეებმა ხშირად გამართონ კონსულტაციები ერთმანეთთან და თავიანთი მოქმედებები შეათანხმონ. ეს უფრო ტაქტიკისა და თავაზიანობის გამოხატულება იქნება, ვიდრე საერთაშორისო სამართლის საკითხი.

II - შიდა საკითხებში ძალაუფლებების გადანაწილება

204.

ამ სფეროში, უფრო მეტად, ვიდრე საერთაშორისო საკითხებში, ევროპის სახელმწიფოები ისარგებლებენ განსაკუთრებით ფართო ძალაუფლებით. ფედერალური კონსტიტუცია მათ სუვერენული სახელმწიფოს სტატუსს მიანიჭებს. თუმცადა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სუვერენიტეტი მათ პირადად აღარ ეკუთვნით; ის მათ

გადაეცმათ ფედერალური პაქტით. მის გამოყენებას შეძლებენ მხოლოდ ამ პაქტით განსაზღვრულ ჩარჩოებში; სახელმწიფოები ერთპიროვნულად ვეღარ დაადგენენ თავიანთი სუვერენიტეტის საზღვრებს. მაშასადამე, მათ ექნებათ პრინციპული შიდა კომპეტენცია, გარდა ფედერალური სახელმწიფოსთვის ოფიციალურად გადაცემული სფეროებისა. რაც შეეხება ყველა სხვა სფეროს, ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ ძალაუფლებას, მაგრამ ძალიან ფართო საზღვრებში ამ ძალაუფლების გამოყენება დაექვემდებარება ფედერალური სახელმწიფოს მმართველობასა და კონტროლს. მაშასადამე, შესაბამის ტექსტებზე დაყრდნობით, ფედერაციის წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში ფედერალურ სახელმწიფოს ექნება ზოგჯერ გადაწყვეტილების მიღების და ზოგ შემთხვევაში აღსრულების რეალური უფლება, ზოგჯერ კი, უბრალოდ, ინიციატივისა და კონტროლის უფლება.

205.

ფედერალური სახელმწიფო შეძლებს სრული სუვერენულობით დაადგინოს კანონები თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით და მიიღოს ყველა ზომა ფედერალური კანონების აღსრულებისთვის. მისი კანონები და გადაწყვეტილებები სავალდებულო იქნება ფედერაციის წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებებისთვის. ეროვნული კანონმდებლობების ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულება კანონის ძალით გაუქმდება. ფედერალური კანონი ყოველთვის უზენაესია ეროვნულ კანონთან მიმართებაში. ამავე დროს, ინდივიდები, ფედერაციის წევრი სახელმწიფოების დაქვემდებარებული პირები, მაგრამ პარალელურად, ფედერალური სახელმწიფოს მოქალაქეები, შეძლებენ თავიანთი ეროვნული იურისდიქციის წინაშე ამ კანონით ისარგებლონ და ეს უკანასკნელნი იძულებულნი იქნებიან, თავიანთი საკუთარი სახელმწიფოს საწინააღმდეგო საკანონმდებლო დებულებების მიუხედავად, ის გამოიყენონ. ფედერალურის უპირატესობა გარანტირებული იქნება ფედერალურ უზენაეს სასამართლოში სარჩელის აღძვრის რისკით. ფედერაციის ავტორიტეტი თავისი წევრი ქვეყნების მიმართ ამ გზით იქნება ჭეშმარიტი და განმტკიცებული.

თუმცა ევროპის ამჟამინდელი მდგომარეობის გამო, ფედერალური სახელმწიფოსთვის ასეთი ენერგიული ძალაუფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ

ფედერაციის უმთავრესი მიზნის შესასრულებლად: საგარეო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შიდა წესრიგის დასამყარებლად.

206.

ფედერაციის ყველა წევრ სახელმწიფოში სამხედრო საკითხები ცენტრალური ძალაუფლების ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენს. ისინი ძალიან მჭიდრო კავშირშია ფედერაციის უსაფრთხოებასთან, ამიტომ სხვაგვარად ვერც იქნება. ეს არ ნიშნავს, რომ სამი ძირითადი იარაღი - ავიაცია, საზღვაო ფლოტი და სახმელეთო ჯარი ფედერალური უნდა გახდეს. შვეიცარიაში, მაგალითად, სადაც ავიაცია ფედერალურია, სახმელეთო ჯარი კანტონებს ექვემდებარება. უნდა მოვარგოთ თუ არა იგივე სისტემა ფედერალურ ევროპას?

საჭაერო ჯარი უნდა დაექვემდებაროს ფედერალური მთავრობის პირდაპირ ძალაუფლებას გამომდინარე მისი ახლანდელი მნიშვნელობიდან, მოქმედების მასშტაბურობიდან, მოულოდნელ თავდასხმაზე პასუხის სისწრაფიდან და შეტევის სიმძლავრიდან. ამ გზით ევროპის სახელმწიფოები დათმობენ თავიანთ სამხედრო ავიაციას ფედერაციის სასარგებლოდ. სამაგიეროდ, ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ საზღვაო და სახმელეთო ძალებს, შეძლებენ თავიანთი რესურსით მათ შევსებას, ორგანიზებას და აღჭურვას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბოლომდე თავისუფლად ვერ განკარგვენ მათ. ისინი უნდა დაემორჩილონ ფედერალური მთავრობის მიერ გაცემულ დირექტივებს. თავდაცვის ფედერალური მინისტრი თავდაცვის საბჭოსა და ფედერალური შტაბის დახმარებით პასუხისმგებელი იქნება შეიმუშაოს ეროვნული ჯარების კოორდინაციისა და მობილიზაციის, ისევე როგორც შეიარაღების სტანდარტიზაციის გეგმები.

გარდა ამისა, გარეშე აგრესიის ან შიდა არეულობის შემთხვევაში ფედერალური მთავრობის ბრძანებით ფედერაციის წევრი სახელმწიფოების ჯარები ფედერაციის განკარგულებაში გადავა და ფედერალური ხელმძღვანელის მმართველობას დაექვემდებარება. ფედერალურ მთავრობას ექნება უფლება გამოაცხადოს საალყო მდგომარეობა და შეუდგეს ადამიანების, შენობების, ქარხნების, სამოქალაქო აეროდრომების, პორტების, საკომუნიკაციო გზების, სატრანსპორტო და გადამცემი საშუალებების და ყველა

სხვა ობიექტის რეკვიზიტის, რაც საჭირო იქნება სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად. სააღყო მდგომარეობის განმავლობაში ფედერალური სახელმწიფოს უფლებამოსილებები განსაკუთრებულად გაფართოვდება და გაძლიერდება ფედერაციის წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებების ხარჯზე. მაგრამ ეს გაფართოება მხოლოდ დროებითია; ის დასრულდება მშვიდობის ან წესრიგის აღდგენისთანავე.

207.

ეკონომიკის სფეროში ფედერალური სახელმწიფოს გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება, რომელიც პირველ ხანებში საკმაოდ შეზღუდული იქნება, ნელ-ნელა გაფართოვდება ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისკენ მიმავალი სხვადასხვა ეტაპის გავლის პარალელურად.

ამ გაერთიანების ჩამოყალიბებამდე კი ფედერალური სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღებას განახორციელებს მხოლოდ თავიდანვე ფედერალიზებულ წარმოების სფეროებთან, საქონლის მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვების გაუქმებასა და ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე ტრასპორტისა და ტელეკომუნიკაციების კოორდინაციასთან დაკავშირებულ საკითხებში. ნახშირის, ფოლადის, ჰიდროელექტროენერგიისა და ატომური ენერგიის წარმოება თავიდანვე ორგანიზებული იქნება და მას მართავს ფედერალური საბჭო. ამ მიზნით შეიქმნება ფედერალური ოფისები, რომლებიც პირდაპირ დაექვემდებარებიან ეკონომიკის ფედერალურ სამინისტროს, რომელსაც დახმარებას გაუწევს ევროპის ეკონომიკური საბჭო. გარდა ამისა, საქონლის თავისუფალი მიმოსვლის აღსადგენად ცენტრალურ ხელისუფლებას ექნება ძალაუფლება, რომ გააუქმოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ თავისი ეროვნული ინდუსტრიის დასაცავად დაწესებული დაბრკოლება. რაც შეეხება ტრანსპორტსა და ტელეკომუნიკაციებს, რომლებიც ფედერაციის წევრი სახელმწიფოების მმართველობაში რჩება, ფედერალურ სახელმწიფოს საკანონმდებლო მოქმედება შეეძლება მხოლოდ ფედერაციის შიდა კოორდინაციის უზრუნველსაყოფად.

როგორც კი ეკონომიკური გაერთიანება ჩამოყალიბდება, ფედერალურ სახელმწიფოს ექნება გადაწყვეტილების მიღების უფრო ფართო ძალაუფლება. ეკონომიკის ახალი სფეროები

უშუალოდ მას დაექვემდებარება. ის დაარეგულირებს ფედერაციის შიდა და ფედერაციის გარე ვაჭრობას, ფედერაციის შიდა ტრანსპორტს, გარდა ერთი სახეობის შიდა ტრანსპორტისა. მას შეეძლება მიიღოს გადაწყვეტილება საერთო ვალუტის შექმნის ან ქვეყნების მიერ ეროვნული ვალუტის შენარჩუნების შესახებ, ის მართავს ფედერაციის მონეტარულ პოლიტიკას. ფედერალური ბანკი, რომელიც დამოკიდებული იქნება ფედერალურ მთავრობაზე, ნებისმიერ შემთხვევაში გაატარებს მონეტარულ პოლიტიკას და დაარეგულირებს საკრედიტო პოლიტიკას ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისად. დაბოლოს, სწორედ ფედერალური სახელმწიფოს კომპეტენციაში შევა უცხოელი მუშახელის ფედერაციის ტერიტორიაზე იმიგრაციასთან და ასევე წონისა და ზომის აღმნიშვნელი ერთეულების და სტატისტიკური მეთოდების გაერთიანებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავება.

208.

სანამ საფინანსო სფეროში ეკონომიკურ გაერთიანებას ჩამოაყალიბებს, ფედერალურ სახელმწიფოს მანამდეც უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი შემოსავლები, რათა ამ კუთხით მთლიანად არ იყოს დამოკიდებული ფედერაციის წევრ სახელმწიფოებზე. იარსებებს ფედერალური ბიუჯეტი, რომელსაც კენჭს უყრის ფედერალური ასამბლეა. საიდან გაჩნდება შემოსავლები, რომლებიც ხარჯებს დაფარავენ? როგორც შვეიცარიაში, ფედერალური სახელმწიფოს შემოსავლები შედგება ფედერალური კანონით განსაზღვრული ოდენობის შენატანებით. გარდა ამ შენატანებისა, ფედერაცია შემოსავლებს მიიღებს ფედერირებული საწარმოების მოგებიდან, სესხებიდან და ფედერალური გადასახადებიდან. ეკონომიკური გაერთიანების შექმნის შემდეგ კი ამას დაემატება საბაჟო მოსაკრებლები.

209.

ფედერალური სახელმწიფოს მიერ ზემოხსენებულ სფეროებში შემუშავებული კანონებისა და დებულებების ზედმიწევნით შესრულებისათვის იქნება თუ არა საჭირო

ფედერალური აგენტების ინსტიტუტის დაარსება? ფედერალური პოზიტიური სამართალი იძლევა ამ მიმართულებით ადმინისტრირების რამდენიმე სისტემას. ზოგჯერ ფედერალური მოხელეები უფლებამოსილი არიან შეასრულონ ფედერალური მთავრობის ბრძანებები თითოეული სახელმწიფოს ეროვნულ ტერიტორიაზე. ეს არის ადმინისტრირების პირდაპირი სისტემა, რომელიც შეერთებულ შტატებში მოქმედებს. ზოგჯერ მოხელეთა ორმაგი კორპუსის ხარჯების თავიდან ასაცილებლად ფედერალური სახელმწიფო იყენებს წევრი სახელმწიფოების მოხელეებს, ეს არაპირდაპირი ადმინისტრირების სისტემაა, რომელიც გერმანულ კონსტიტუციაში იქნა შეტანილი 1871 წელს. მაგრამ უფრო ხშირად იყენებენ შერეულ სისტემას, რომელშიც ფედერალური ადმინისტრირება ნაწილობრივ უშუალოა და ნაწილობრივ არაუშუალო; სწორედ ეს სისტემაა დანერგილი შვეიცარიაში.

ევროპულ ფედერაციაში, იმისათვის, რომ გათვალისწინებულ იქნეს წევრი ქვეყნების ეროვნული მგრძნობელობა, ყველაზე უკეთესი იქნებოდა დაგვეშვა არაუშუალო ადმინისტრირების სისტემა. ფედერალური მთავრობა საკუთარი სამსახურებისთვის მხოლოდ რამდენიმე მოხელეს დანიშნავს, დანარჩენში კი ის ეროვნულ მოხელეებს გამოიყენებს. მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელნი აღასრულებენ ფედერალურ კანონებსა და გადაწყვეტილებებს, იმოქმედებენ უკვე არა როგორც ეროვნული, არამედ ფედერალური მოხელეების რანგში. მაშინ ფედერალურ მთავრობას უფლება ექნება, პირდაპირ მისცეს მათ ინსტრუქციები და მათზე ზედამხედველობა აწარმოოს. დაუმორჩილებლობისა და უყურადღებობის შემთხვევაში მას შეეძლება წევრ სახელმწიფოს, რომელსაც ეს მოხელეები ექვემდებარებიან, მოსთხოვოს, რომ შეახსენოს მათ თავიანთი მოვალეობა, დაემორჩილონ ფედერაციის ბრძანებებს.

210.

თავისი საინიციატივო და მაკონტროლებელი უფლებამოსილების ფარგლებში ფედერალური სახელმწიფო წარმოჩნდება, როგორც ფედერალური გაერთიანების სიმტკიცის მცველი და მფარველი. ის თავის გადაწყვეტილებებს თავს აღარ ახვევს წევრ სახელმწიფოებს და შემოიფარგლება ეროვნული ინიციატივების გამხსნევებით, ნაყოფიერი თანამშრობლობის ხელშეწყობით, გეგმების შემუშავებით, დირექტივების გაცემითა და წევრი სახელმწიფოების

მოქმედებაზე კონტროლის განხორციელებით. უდავოდ, ევროპის ქვეყნები ფართო ავტონომიით ისარგებლებენ და შეძლებენ მის საზღვრებში გადაწყვეტილებების მიღებას. მაგრამ, ვინაიდან ისინი გაერთიანებული არიან ფედერაციული კავშირით, მათ არ უნდა მიაყენონ ზიანი ფედერაციის ინტერესებს. მათი ავტონომია განმტკიცდება მხოლოდ ფედერალური კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში. ფედერალური სახელმწიფოს კონტროლი, რომელიც ფედერაციის ინტერესიდან გამომდინარეობს და თავად წევრი სახელმწიფოებიდან მოდის, არის ნებისმიერი ფედერალური გაერთიანების არსი.

211.

პოლიტიკის სფეროში, საინიციატივო და მაკონტროლებელი უფლებამოსილება გამოიხატება ძირითადად წევრ სახელმწიფოებს შორის გაფორმებულ შეთანხმებებთან მიმართებაში. თუ პოლიტიკური შინაარსის ხელშეკრულებები მათ საერთოდ აკრძალული აქვთ, ნებისმიერი სხვა შინაარსის ხელშეკრულება მათთვის დასაშვებია (სასამართლოს ადმინისტრირებასთან, კანონმდებლობასთან, ეროვნებასთან, კანონებისა და იურისდიქციების კონფლიქტთან დაკავშირებული შეთანხმება). ფედერაცია დაინტერესებული იქნება წახალისოს ეს პირდაპირი შეთანხმებები, რომლებიც საფუძველს ჩაუყრიან წევრებს შორის სოლიდარობას, და ამით საერთო სოლიდარობას განამტკიცებენ. ფედერალური სახელმწიფო, წევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციის შემდეგ, შეძლებს შეიმუშაოს ხელშეკრულებების მოდელები და ისინი წევრებს გადასცეს დასადასტურებლად. ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულებების გაფორმება ეროვნული სახელმწიფოების ექსკლუზიური მოქმედება იქნება, მას ექნება უფლება გადაამოწმოს მათი ფედერალურ კონსტიტუტციასთან შესაბამისობა და გააკონტროლოს მათი შესრულება. მაკონტროლებლის უფლება აქ აიხსნება როგორც ფედერალური პაქტის დაცვის აუცილებლობით, ასევე წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთგაგების დამაზიანებელი ნებისმიერი კონფლიქტის წარმოშობისთვის ხელის შეშლის საჭიროებით.

212.

საინიციატივო და მაკონტროლებელი უფლებამოსილება ძრითადად ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროებში განხორციელდება. ვინაიდან განკუთვნილი იქნება იმისათვის, რომ გაამარტივოს ეროვნული ეკონომიკების სვლა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისკენ, ის განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში იქნება გამოყენებული.

ამ პერიოდის განმავლობაში ფედერალურმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ დაარეგულიროს ფასები, დაასტაბილუროს ვალუტათა გადაცვლა, აღადგინოს ვალუტათა თავისუფალი გადაცვლადობა და გააერთიანოს საგადასახადო კანონმდებლობები სხვადასხვა ქვეყანაში. ყველა ამ საკითხში მას არ ექნება უფლება მიიღოს ფედერალური კანონმდებლობა და ის წევრ სახელმწიფოებს თავს მოახვიოს; მას შეეძლება მხოლოდ წახალისოს პირდაპირი შეთანხმებები. ამ მიზნით ფედერალური ტექნიკური ორგანო შეიმუშავებს დირექტივებს და გეგმებს, რომლებსაც ეკონომიკური შეთანხმებების საფუძველად გამოიყენებენ წევრი სახელმწიფოები. ფედერალური სახელმწიფო ასევე შეძლებს ეროვნული ეკონომიკური სფეროების ხელმძღვანელების შეხვედრების ინიციატივის აღებას, რათა მათ გაცვალონ თავიანთი შეხედულებები და კენჭი უყარონ შეთანხმებათა პროექტებს.

წარმოების სფეროში ის ასევე განახორციელებს ორგანიზებისა და წახალისების ქმედებებს. იგი აქაც იმით შემოიფარგლება, რომ შეიმუშაოს ევროპული წარმოების საერთო პროგრამა და წახალისოს წევრი სახელმწიფოები, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით მოარგონ თავიანთი ინდუსტრიები ამ პროგრამის გეგმებს.

დაბოლოს, ფედერალური სახელმწიფო ევროპული საბაჟო გაერთიანების ჩამოყალიბებამდე და მისი განხორციელების დასაჩქარებლად, გამოიყენებს თავის გავლენას და ხელს შეუწყობს როგორც არსებულ რეგიონულ გაერთიანებებს, ისე ახალი გაერთიანებების შექმნას და წახალისებს ევროპის ქვეყნებს შეთანხმდნენ უფრო და უფრო მნიშვნელოვან საბაჟო შეღავათებზე.

213.

სოციალურ სფეროში მისი უფლებამოსილებანი უფრო მოკრძალებული იქნება. ეს არ ნიშნავს, რომ ევროპული ფედერაციისთვის უმნიშვნელო იქნება მუშათა დაცვის, მშრომელი მასების მატერიალური და მორალური კეთილდღეობის საკითხები თუ სოციალური და ჰიგიენის პრობლემები. პირიქით, ევროპა უნდა გაერთიანდეს დასავლური ერების ცხოვრების დონის ამაღლებისა და თანასწორობის და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების მიზნით. ფედერალურმა კონსტიტუციამ ეს უნდა განაცხადოს და მიანდოს ფედერაციას ამ უმნიშვნელოვანესი მიზნების განხორციელება. მაგრამ სოციალური რეჟიმების მრავალფეროვნებისა და ჯერ კიდევ მტკიცე ეროვნული ტრადიციების გამო ნაადრევი იქნება ფედერალურ სახელმწიფოსთვის ამ საკითხებზე ეფექტიანი მმართველობის პოლიტიკის განხორციელება. მისი როლი უნდა შემოიფარგლოს სხვადასხვა სოციალური პრობლემის შესწავლით, რომ საერთო საკითხები გამოიკვეთოს. მოცემულ საკითხებზე დაყრდნობით ის შემდეგს შესთავაზოს წევრ სახელმწიფოებს სოციალური კანონმდებლობების ჰარმონიზება და ამას მთელი თავისი ავტორიტეტი მოახმაროს. ფედერალური სახელმწიფო ამ კანონმდებლობების ჰარმონიზებამდეც იზრუნებს მუშახელის გადაადგილების გაიოლებაზე და წევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციის შემდეგ ფედერალური მუშახელის გადაადგილებას უხელმძღვანელებს ფედერაციის შიგნით. ის უბიძგებს ქვეყნებს მათთვის ისეთივე შეღავათები და უსაფრთხოება უზრუნველყონ, როგორც თავისი მოქალაქეებისთვის.

214.

საკითხავია, იქცევა კი ერთ დღეს რეალობად ფედერალური ევროპის ძირითადი სურათი, რომელიც ახლა მოვხაზეთ? ფედერაციის მოწყობა და ფედერალურ სახელმწიფოსა და წევრ სახელმწიფოებს შორის ძალათა გადანაწილება იმუშავებს კი ისევე ჰარმონიულად, როგორც ეს ქალაღზეა? უდავოდ წარმოიშობა სირთულეები, „შეხლა-შემოხლა“, გაუგებრობები, მეტ-ნაკლებად გულწრფელი დაპირისპირებები. ასეთი დელიკატური და გრანდიოზული საქმის განხორციელება ერთ დღეში ვერ მოხდება. ამერიკული გაერთიანება, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო შენატრის, ერთი ხელის მოსმით არ შექმნილა. დაახლოებით ასი წელი დასჭირდა მას იმისათვის, რომ ხორცი შეესხა და ამერიკის შეერთებული შტატები ძლიერ რეალობად ქცეულიყო. როგორც მშვიდობა, *ფედერაციაც მუდმივი ქმნილებაა*. ჯერჯერობით უმთავრესია მყარი ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომელიც

საკმარისად მოქნილი უნდა იყოს, რათა შეითვისოს ევროპული რეალობის მთელი სიმდიდრე და სირთულე.

სწორედ ევროპის ხალხებმა, რომლებიც ყოველდღე უფრო და უფრო აცნობიერებენ საკუთარ სოლიდარობას და უფრო მეტად განიმსჭვალებიან ახალი სულისკვეთებით, უნდა ააგონ ამ ჩარჩოს შიგნით ცოცხალი თანამეგობრობა.

დასკვნა

მხოლოდ მომავალი დაუწერს ამ წიგნს ნამდვილ დასკვნას. მისი ერთადერთი მიზანი იყო, სრული ობიექტურობით ეჩვენებინა, რომ ევროპისა და მისი ხალხების ისტორია გადამწყვეტ მომენტამდე მივიდა, რომ თითოეული ევროპელის მოვალეობაა დაფიქრდეს, აირჩიოს და მერე პასუხისმგებლობა აიღოს.

ამჟამად ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილი დასავლური ერები, ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაპარტახებულნი, უფრო დიდი ძალების მიერ დამონების რისკის ქვეშ მყოფნი, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას დაიბრუნებენ მხოლოდ მაშინ, როცა დაამსხვრევენ ყველა იმ ზღუდეს, რომელიც მათ ერთმანეთისგან აცალკევებს და ხშირად აპირისპირებს კიდევ. მხოლოდ გაერთიანებას შეუძლია მათი გადარჩენა. *გედერაცია აუცილებელია.*

მაგრამ მრავალი საშიში წინააღმდეგობა, რომელთაც ზოგიერთნი გადაულახავად მიიჩნევენ, უშლის ხელს მის განხორციელებას. არავინ დათმობს ნებაყოფლობით საკუთარ მიწაზე ბატონპატრონობის უფლებას. კაშკაშა მომავლის განუსაზღვრელ უპირატესობებს, ბევრი მდარე აწმყოს გარანტირებულ უპირატესობებს ამჯობინებს. ის, რაც ხელთ გვაქვს, ყოველთვის უფრო მეტად გვირჩევნია იმას, რისი მოპოვებაც შეგვიძლია. *გედერაცია რთული რამაა.*

ნუთუ ეს დაბრკოლებები დაუძლეველია? ნუთუ მართლა საჭიროა ყველა არსებული სიკეთე შევწიროთ უკეთესი მომავლის იმედს? გაერთიანება ასეთ ფასს არ მოითხოვს. მას

შეუძლია დააფასოს მისი შემადგენელი ქვეყნების ეროვნული იდენტობები. მას შეუძლია მოერგოს ეროვნულ მრავალფეროვნებებს და თუ ის მოითხოვს რამეზე უარის თქმას, მხოლოდ იმისთვის, რომ უკეთ უზრუნველყოს მისი წევრების დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება. *ფედერაცია შესაძლებელია.*

ფედერალიზმი შეიძლება ევროპის გადარჩენის გზა იყოს.

დანართი

ევროპის კონსტიტუციის პროექტი

პრეამბულა

ორი ომით ძალაგამოცლილნი, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და საკუთარი თავისუფლების დაკარგვის საშიშროების ქვეშ მყოფნი, ეკონომიკურად განადგურებულნი და უზადრუკი ცხოვრების დონეზე დასულნი, მუშათა და მათი ოჯახების არსებობის გაუსაძლისი პირობებით დამძიმებულნი, მათი ეკონომიკების ჩამოშლით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური ქიშპობით შეწუხებულნი, **ევროპის ხალხები**, პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის პრინციპების ერთგულნი, რომელთაც გადაწყვიტეს დაიცვან თავიანთი ეროვნული არსებობა და სულიერი და მორალური ღირებულებები, რაზეც მათი ცივილიზაცია დგას, აღადგინონ თავისი ეკონომიკური წინსვლა, გააუმჯობესონ მშრომელთა კლასის ბედი და დაამკვიდრონ მშვიდობა და სოციალური სამართლიანობა წესრიგსა და თავისუფლებაში, ამავე დროს დარწმუნებულნი, რომ განმარტოებით ვერ გადარჩებიან და ვერ წამოდგებიან ფეხზე, იღებენ გადაწყვეტილებას გაერთიანდნენ და შექმნან ფედერაცია.

ევროპის ფედერაციის მიზანია:

1/

- დაიცვას პოლიტიკური დამოუკიდებლობა და უზრუნველყოს თითოეული წევრი ერის ტერიტორიული მთლიანობა;

- აღმოუჩინოს მხარდაჭერა და გაუწიოს დახმარება თითოეულ სახელმწიფოს ქვეყნის შიგნით სიმშვიდისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად;

- უზრუნველყოს ინდივიდებისთვის ეროვნული კონსტიტუციებითა და წინამდებარე კონსტიტუციით მინიჭებული პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება და მათით სარგებლობა;

- ხელი შეუწყოს ჯერ კიდევ წვერი სახელმწიფოების ხელისუფლებას დაქვემდებარებული ზღვისიქითა ხალხების ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს, წახალისოს წვერი ქვეყნების ძალისხმევა გაიყვანონ ეს ხალხები ემანსიპაციის გზაზე.

2/

- აღადგინოს ერების ეკონომიკური წინსვლა და აამაღლოს ინდივიდების მატერიალური კეთილდღეობა;

- უზრუნველყოს კერძო პირებისა და დაჯგუფებების ეკონომიკური და სოციალური უფლებებით სარგებლობა, რომელთაც მათ ეროვნული კონსტიტუციები და წინამდებარე კონსტიტუცია ანიჭებს;

- სასამართლოს ძალით უზრუნველყოს მშვიდობა და სოციალური უსაფრთხოება და მოუტანოს ინდივიდებს და მათ ოჯახებს პიროვნების ღირსებისა და პატივისცემის შესაბამისი ცხოვრების პირობები.

- ყველა საშუალებით ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებასა და აზრთა გაცვლას იმისათვის, რომ თითოეულს მოუპოვოს ევროპული თანამეგობრობის თვითშეგნება.

თავი I

ფედერალურ უფლებათა ქარტია

ნაწილი I - სახელმწიფოთა ფედერალური უფლებები

მუხლი 1 – ფედერაციის წევრი ევროპის სახელმწიფოები ინარჩუნებენ თავიანთ შიდა სუვერენიტეტსა და საერთაშორისო იდენტობას წინამდებარე კონსტიტუციით დადგენილ საზღვრებში.

მუხლი 2 - ისინი თავიანთ ეროვნულ და კოლონიალურ ტერიტორიებზე თავად ახორციელებენ მმართველობასა და ადმინისტრირებას და იყენებენ ყველა იმ ძალაუფლებას, რომელიც ფედერალურმა კონსტიტუციამ მათ შეუნარჩუნა.

მუხლი 3 - პოლიტიკური და იურიდიული კავშირები, რაც მათ არაევროპულ თანამეგობრობებთან აერთიანებს, შენარჩუნებულია ფედერაციის ინტერესების ფარგლებში.

მუხლი 4 - სახელმწიფოებს შეუძლიათ იქონიონ ფედერალური სახელმწიფოსგან განცალკევებული დიპლომატიური ურთიერთობები სხვა ქვეყნების ხელისუფლებებთან, იმ პირობით, თუ ისინი ხელს არ შეუშლიან ფედერაციის დიპლომატიურ საქმიანობას.

მუხლი 5 - ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლება გააფორმონ საერთაშორისო ხელშეკრულებები, რაც მათ კომპეტენციაში რჩება იმ პირობით, რომ ფედერალური კონსტიტუციის დებულებები, ასევე ფედერალური სახელმწიფოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები და მისი ინტერესები იქნება დაცული.

მუხლი 6 - მათ შეუძლიათ განცალკევებულად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო გაერთიანებებში და ორგანიზაციებში, რომელთა მიზანი და საგანი წინააღმდეგობაში არ მოდის წინამდებარე კონსტიტუციის პრინციპებთან, იმ პირობით, რომ ფედერაციის ინტერესებს ზიანი არ მიადგება.

მუხლი 7 - გარდა საკუთარი თავდაცვის ლეგიტიმური უფლებისა, სახელმწიფოებს ეკრძალებათ ძალის გამოყენება როგორც ერთმანეთთან მიმართებაში, ისე უცხო ქვეყნის წინააღმდეგ.

ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტი უნდა მოგვარდეს ფედერალური ორგანოების მიერ წინამდებარე კონსტიტუციის დებულებების ფარგლებში, სხვა დანარჩენი კონფლიქტები უნდა მოგვარდეს საერთაშორისო საჯარო სამართლის წესების დაცვით.

მუხლი 8 - ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფედერალური სახელმწიფოს მოწყობასა და ფუნქციონირებაში.

მუხლი 9 - მათ აქვთ ფედერალური გარანტიის უფლება.

ფედერალურმა სახელმწიფომ მათ უნდა აღმოუჩინოს დახმარება და მხარდაჭერა წინამდებარე კონსტიტუციით აღიარებული ყველა უფლების დაცვისთვის.

ნაწილი II - ინდივიდთა ფედერალური უფლებები

მუხლი 10 - ყველა ინდივიდს, ფედერაციის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს, გარდა კოლონიალური დამოკიდებულების ტერიტორიების ადგილობრივი მოსახლეობისა, აქვს ფედერაციის მოქალაქეობის სრული უფლება.

მუხლი 11 - ფედერაციის ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ფედერალური პალატის წევრების არჩევნებში (ასევე ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში, თუ ფედერალური მთავრობა საპრეზიდენტო მთავრობაა).

მუხლი 12 - ფედერაციის მოქალაქეებს აქვთ თავისუფალი გადაადგილებისა და დამკვიდრების უფლება ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე, უშუალოდ კოლონიალური ტერიტორიების ჩათვლით, ადგილობრივი პოლიციისა და უსაფრთხოების კანონების შესაბამისად.

მუხლი 13 - სამოქალაქო უფლებების თვალსაზრისით, რომელიც აქ პოლიტიკური უფლებების საწინააღმდეგოდ მოიაზრება, ფედერაციის მოქალაქეები ასიმილირებული იქნებიან ფედერაციის წევრი სახელმწიფოს ეროვნულ მოქალაქეებთან, რომლის ტერიტორიაზეც ისინი ცხოვრობენ, თუ არ არის დადგენილი, რომ სავალდებულოა ამ სახელმწიფოს კანონებისა და დებულებების პირობებს დაემორჩილონ.

მუხლი 14 - ფედერაციის მოქალაქეებს აქვთ უფლება პირდაპირ მიმართონ ფედერალურ ორგანოებს - როდესაც საუბარი ეხება მათ ფედერალურ უფლებებს, მას შემდეგ, რაც ამოწურავენ ეროვნულ სასამართლოებთან გასაჩივრების ყველა გზას, როდესაც საუბარი ეხება ფედერალური კონსტიტუციის შესაბამისად ეროვნული კონსტიტუციებით მინიჭებულ უფლებებს.

თავი II

ფედერაციის შემადგენლობა

მუხლი 15 - ევროპის ფედერაცია მოიცავს ფედერალურ სახელმწიფოს, ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს თავიანთი კოლონიალური სახელმწიფოებით, ასოცირებულ სახელმწიფოებსა და ფედერაციის მოქალაქეებს.

მუხლი 16 - ფედერაციის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს, როგორც წევრად, ასევე ასოცირებულად, მხოლოდ ის სახელმწიფო, რომელიც თავის მმართველობას თავისუფლად განახორციელებს დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად. მათი კონსტიტუციები უნდა იცავდეს საყოველთაო და საიდუმლო არჩევნებს, აზრის, გამოხატვის და შეკრების თავისუფლებას და პოლიტიკური ოპოზიციის თავისუფალ შექმნას.

მუხლი 17 - წევრ ან ასოცირებულ სახელმწიფოდ მიღება ექვემდებარება ფედერალური ყრილობის დადებით კენჭისყრას ორივე პალატის მიერ განხილვის შემდეგ და წევრთა სრული უმრავლესობის თანხმობით.

მუხლი 18 - ასოცირებულ სახელმწიფოთა განსაკუთრებული სტატუსი დადგენილ იქნება ფედერალური კანონით.

თავი III

ფედერალური სახელმწიფოს ორგანოები

მუხლი 19 - ფედერალური სახელმწიფოს ორგანოებია: ფედერალური ასამბლეა, ფედერაციის პრეზიდენტი, ფედერალური საბჭო და ფედერალური სასამართლო.

ნაწილი I - ფედერალური ასამბლეა

მუხლი 20 - ფედერალური ასამბლეა შედგება ორი პალატისგან: ფედერალური პალატა ან წარმომადგენელთა პალატა და სახელმწიფოთა პალატა.

ის კენჭს უყრის ფედერალურ კანონებსა და ფედერალურ ბიუჯეტს.

მუხლი 21 - ფედერალური პალატა მოიცავს ფედერაციის ყველა მოქალაქის მიერ საყოველთაო, საიდუმლო და პირდაპირი კენჭისყრის წესით, ერთ მილიონ მოსახლეზე, ან

500 000-ზე მეტ რაოდენობაზე ერთი ან ორი დეპუტატის ოდენობით, [4] წლის ვადით არჩეულ დეპუტატებს.

მუხლი 22 - ფედერალური საარჩევნო კანონი დაადგენს ელექტორატისა და არჩევითობის, საარჩევნო უბნების, კენჭისყრის სახეებისა და დეპუტატების სტატუსის პირობებს.

მუხლი 23 - სახელმწიფოთა პალატა მოიცავს წევრი სახელმწიფოების მიერ [9] წლის ვადით თავისუფლად დანიშნულ მათ პირდაპირ წარმომადგენლობებს. ის განახლებადია მესამედი ვადით (თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენლების რაოდენობას დაადგენს ევროპული დამფუძნებელი კრება).

მუხლი 24 - ვერცერთი კანონი და ვერცერთი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული, ორივე პალატის განცალკევებული განხილვებისა და შესაბამისი კენჭისყრის გარეშე, ასევე დამსწრე წევრების სრული უმრავლესობის გარეშე.

მუხლი 25 - ორივე პალატა შეიკრიბება პლენარული სხდომის ფარგლებში, ფედერაციის პრეზიდენტის მიმართვების მოსასმენად და ზოგიერთი უფლებამოსილების განსახორციელებლად, რომელთაც წინამდებარე კონსტიტუცია მათ ანიჭებს (ეს შეიძლება იყოს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა).

მუხლი 26 - ფედერალური სახელმწიფოს მიერ გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, რომელიც ფედერალური კანონმდებლობისთვის გადაცემულ სფეროებს შეეხება, ასევე ის ხელშეკრულებები, რომლებიც ფედერაციის ტერიტორიის ცვლილებას ეხება, ვერ იქნება დამტკიცებული ორივე პალატის მიერ განცალკევებულად მათი დამტკიცების გარეშე.

ნაწილი II - ფედერაციის პრეზიდენტი

მუხლი 27 - ფედერაციის პრეზიდენტი არჩეულია... (ფედერალური კონსტიტუციის მიერ არჩეული მთავრობის ფორმის შესაბამისად) მიერ, ... ვადით.

მუხლი 28 - მას აქვს უფლებამოსილება:

- უზრუნველყოს ფედერალური კანონებისა და გადაწყვეტილებების, ასევე უზენაესი სასამართლოს დადგენილებების შესრულება;

- აწარმოოს მოლაპარაკება და დაამტკიცოს საერთაშორისო ხელშეკრულებები;

- რეგულარულად დამტკიცებული და გამოქვეყნებული ხელშეკრულებები, სრული უფლებითა და სხვა ფორმალობების გარეშე, გახდება ფედერალური კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი და მათი მოთხოვნების შესრულება სავალდებულო იქნება ყველა ფედერალური ორგანოსათვის მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო საკანონმდებლო დებულებისა. ისინი ძალაში დარჩება საერთაშორისო საჯარო სამართლის წესების შესაბამისად ვადის ამოწურვამდე.

- დანიშნოს და მიიღოს დიპლომატიური მოხელეები;

- განკარგოს სამხედრო ძალა;

- შეინარჩუნოს ფედერაციის შიგნით წესრიგი და უსაფრთხოება;

- გამოაცხადოს სააღყო მდგომარეობა ფედერალური ასამბლეის თანხმობით;

ფედერალური კანონი განსაზღვრავს სააღყო მდგომარეობის გამოცხადებისა და გამოყენების შესახებ პირობებს.

- დანიშნოს ფედერალური სახელმწიფოს ყველა მოხელე;

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და ელჩების დანიშვნა უნდა დაამტკიცოს სახელმწიფოთა პალატამ;

- მიმართოს წერილობითი სახით ფედერალურ ასამბლეას.

ნაწილი III - ფედერალური საბჭო

მუხლი 29 - ფედერალური საბჭო შედგება... (რაოდენობა დასადგენია) წევრისგან, რომელთაც ნიშნავს (დანიშვნის ფორმა უნდა განისაზღვროს) ვადით (ან რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ასამბლეის წინაშე).

მასში შედის ყოველი იმ სახელმწიფოს სულ მცირე ერთი წარმომადგენელი, რომლის მოსახლეობაც 30 მილიონს აჭარბებს. დანარჩენი წევრები წარმომადგენენ გეოგრაფიული, ეთნიკური და კულტურული ნიშნით გაერთიანებული სახელმწიფოების ჯგუფებს.

მისი თავმჯდომარეა... (რომელსაც ირჩევენ საბჭოს წევრები ან ნიშნავს ფედერაციის პრეზიდენტი).

თავი IV

ფედერალური სახელმწიფოს უფლებამოსილებანი

მუხლი 34 - ფედერალური სახელმწიფო უფლებამოსილია:

- უზრუნველყოს ფედერალური ტერიტორიის დაცვა, გამოაცხადოს ომი ან დაამყაროს სამშვიდობო შეთანხმება;

ფედერაციას აკრძალული აქვს წამოიწყოს ნებისმიერი დამპყრობლური თუ თავდასხმითი ომი;

- აწარმოოს დიპლომატიური ურთიერთობები უცხო ქვეყნებთან;

- მოლაპარაკება აწარმოოს და გააფორმოს ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ფედერალური ტერიტორიის უსაფრთხოებას, სამშვიდობო, ალიანსის, საგარანტიო და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებებს, ასევე ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც მის კომპეტენციაში შედის;

- მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციებში და დასთანხმდეს თავისი სუვერენიტეტის შეზღუდვებს ურთიერთმომგებიანობის პირობით.

მუხლი 35 - ფედერალური სახელმწიფო ასევე უფლებამოსილია:

- ორგანიზება გაუკეთოს ფედერალურ არმიას, რომელშიც შევლენ ფედერაციის წევრი სახელმწიფოების ეროვნული სახმელეთო და საზღვაო ძალები, შექმნას და მართოს ფედერალური ავიაცია, იქონიოს იარაღის წარმოების ქარხნები და გააკონტროლოს წევრი სახელმწიფოების იარაღის წარმოებები;

- უზრუნველყოს და დააწესოს ფედერალური კანონებისა და უზენაესი სასამართლოს დადგენილებების შესრულება ფედერაციის ტერიტორიაზე, მიუხედავად ეროვნული კანონმდებლობების ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულებებისა;

- შექმნას და მართოს ნახშირის, ფოლადის, ჰიდროელექტროენერგიის და ატომური ენერგიის ფედერალური ბიუროები;

- გააუქმოს ფედერაციის შიგნით საქონლის თავისუფალი გადაადგილების ნებისმიერი შეზღუდვა;

- კანონით დაარეგულიროს ვაჭრობა ფედერაციის შიგნით და უცხო ქვეყნებთან;

- კანონით დაარეგულიროს შიდა ფედერალური ტრანსპორტი, ასევე შიდა ფედერალური სახმელეთო, მდინარისა და საზღვაო კომუნიკაციები და ტელეკომუნიკაციები;
- დააარსოს ფედერალური ბანკი, შექმნას ფედერალური ვალუტა ან მართოს ფედერაციის მონეტარული პოლიტიკა და კოორდინაცია გაუწიოს საკრედიტო პოლიტიკას;
- ჩამოაყალიბოს ფედერალური ბიუჯეტი, განაგოს ფინანსები, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების შენატანებისგან, მათი ეროვნული შემოსავლის პროპორციულად, ასევე ფედერალური მოსაკრებლებისა და გადასახადებისგან;
- ფედერალური კანონი განსაზღვრავს შენატანების, მოსაკრებლებისა და გადასახადების ოდენობას, ასევე მათი დაწესებისა და მოკრების წესებს;
- გააფორმოს სესხები;
- გამოსცეს კანონები ფედერაციის ტერიტორიაზე უცხოელი მუშახელის იმიგრაციასთან დაკავშირებით და წევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციის შემდეგ მართოს ფედერალური მუშახელის გადაადგილება ფედერაციის შიგნით;
- გააერთიანოს წონისა და ზომის აღმნიშვნელი ერთეულები და სტატისტიკური მეთოდები;
- მხარი დაუჭიროს ფედერაციის წევრი სახელმწიფოების საგადასახადო და სოციალური კანონმდებლობების ჰარმონიზებას.

მუხლი 36 - ყველა უფლებამოსილება, რომელსაც წინამდებარე კონსტიტუცია არ ანიჭებს ფედერალურ სახელმწიფოს, ასევე იმ უფლებამოსილებათაგან ყველა, რომელსაც არ ჩამოართმევს მას, ეკუთვნის წევრ სახელმწიფოებს.

თავი V

კონსტიტუციის გადახედვა

მუხლი 37 - კონსტიტუციის მთლიანი თუ ნაწილობრივი გადახედვა შეიძლება მოითხოვოს ან ფედერალურმა საბჭომ, ან ფედერალური ასამბლეის ორიდან ერთ-ერთი პალატის წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ან წევრი ქვეყნების უმრავლესობამ.

კონსტიტუციის ცვლილებებს კენჭი უნდა უყაროს ორივე პალატის წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რომლებიც მას განიხილავენ განცალკევებულად, და დაამტკიცოს ფერაციის წევრი ქვეყნების 2/3-მა [ან 3/4-მა].

მუხლი 38 - წინამდებარე კონსტიტუციის მე-3 და 23-ე მუხლებიდან გამომდინარე უფლებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაუქმებული და არც შეცვლილი დაინტერესებული ქვეყნების თანხმობის გარეშე.

თავი VI

გარდამავალი დებულებები

მუხლი 39 - წინამდებარე კონსტიტუცია ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს მის შემუშავებაში მონაწილე ქვეყნების უმრავლესობა [ან 2/3].

მის ძალაში შესვლამდე ევროპის დამაარსებელი ასამბლეის ბიურო იღებს ვალდებულებას, მოიპოვოს საჭირო რატიფიკაციები.

მუხლი 40 - ფედერაციის ჩამოყალიბებისთანავე წევრი სახელმწიფოები პასუხისმგებლობას იღებენ, რომ გონივრულ ვადებში ყველა საჭირო ზომას მიმართავენ იმისათვის, რათა თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებები, ეროვნული კონსტიტუციები და კანონმდებლობები შესაბამისობაში მოიყვანონ წინამდებარე კონსტიტუციის დებულებებთან.

მუხლი 41 - ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ჩამოყალიბებამდე ფედერალურ სახელმწიფოს ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში ექნება მხოლოდ შემდეგი უფლებამოსილებანი:

- შექმნას და მართოს ფედერალური ბიუროები ნახშირის, ფოლადის, ჰიდროელექტრო- და ატომური ენერგიების წარმოებისა და ექსპლუატაციისთვის;
- გააუქმოს ფედერაციის შიგნით საქონლის თავისუფალი მიმოსვლის შემაფერხებელი ყველა დაბრკოლება, საბაჟო მოსაკრებლების გარდა;
- კოორდინირება გაუწიოს საკომუნიკაციო გზებს, ტრანსპორტსა და შიდაფედერალურ ტელეკომუნიკაციებს;
- ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებებს, რომელთა მიზანიც იქნება ვალუტათა გადაცვლის დასტაბილურება, ვალუტათა თავისუფალი გადაცვლა, საგადასახადო კანონმდებლობების გაერთიანება და ფასების დარეგულირება, და ამასთან, წახალისოს ისინი;
- ხელი შეუწყოს რეგიონული საბაჟო კავშირების განვითარებას და წახალისოს წევრ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებები საბაჟო გადასახადების შემცირების მიზნით;
- შეიმუშაოს წარმოების გეგმები, წახალისოს წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობისა თუ სამეწარმეო სპეციალიზაცია და დაეხმაროს მათ ამ გეგმის განხორციელების გაადვილების მიზნით;

- უხელმძღვანელოს დაინტერესებული წევრი სახელმწიფოების კონსულტაციის შემდეგ ფედერალური მუშახელის ფედერაციის შიგნით გადაადგილებას და წაახალისოს ქვეყნები იგივე პირობები შესთავაზონ მათ, როგორსაც ეროვნულ მუშახელს სთავაზობენ;

- კვლევების საფუძველზე მოამზადოს სოციალური კანონმდებლობის ჰარმონიზების გეგმები და წაახალისოს სახელმწიფოები შეცვალონ თავიანთი კანონმდებლობა ამ გეგმის მიხედვით.

კონფედერაცია თუ ევროპული ფედერაცია?

მიშელ მუსხელი

უნივერსიტეტთაშორისი ფედერალისტური გაერთიანება და სამეცნიერო კვლევების
განყოფილება

ახალგაზრდობის ევროპული კამპანია და ფედერალისტების ევროპული კავშირი

ანრი ფრენე

წინააღმდეგობის მოძრაობა *ბრძოლის* (Combat) დამაარსებელი, საფრანგეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრი ქალაქ ალჟირში 1943 წლის ნოემბრიდან 1945 წლამდე და გერმანიის ოკუპაციისგან გათავისუფლების პერიოდში დე გოლის მინისტრი ანრი ფრენე 1988 წლის 6 აგვისტოს პორტო-ვეკიოში გარდაიცვალა 83 წლის ასაკში.

ფრანგულმა პრესამ ანრი ფრენეს პატივი მიაგო, მაგრამ, ამავდროულად, „თავშეკავებულები“ იყო მის ევროპულ ფედერალისტურ შეხედულებებთან დაკავშირებით - წინააღმდეგობის მოძრაობის პირველივე წლებიდან თავდაცვის ევროპული გაერთიანებისთვის (CED) ბრძოლამდე და დემოკრატიული და ზეეროვნული ევროპული პოლიტიკური გაერთიანების (CPE) პარალელურ დაარსებამდე.

აქ აღარაფერს ვიტყვით ანრი ფრენეს საქმიანობის შესახებ ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოებისთვის სოციალისტურ მოძრაობაში (MSEUE), შემდგომ კი ევროპელი ფედერალისტების კავშირში (UEF), რომელსაც იგი მეთაურობდა ომის დამთავრებიდან ათი წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ანრი ფრენე ყოველდღიურად სულ უფრო დიდი მონდომებით ცდილობდა მილიტანტური მოქმედებების თავიდან არიდებას, კიდევ უფრო მეტად რჩებოდა თავისი შეხედულებების ერთგული, როგორც ეს მოგვიანებით, 1984 წელს, დადასტურდა ალტიერო სპინელის ინიციატივით ევროპის პარლამენტის მიერ მიღებული ევროპის კავშირის დაარსების ხელშეკრულების პროექტის მხარდაჭერით.

ჩვენ გვინდა მხოლოდ შეგახსენოთ რამდენიმე შეხედულება, რომელმაც პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდიდანვე განსაზღვრა მისი მოქმედება.

ანრი ფრენე 1905 წლის 19 ნოემბერს დაიბადა ლიონში, კონსერვატორი სამხედროების ოჯახში. სწავლობდა სენ-სირში, შემდეგ სამხედრო სკოლაში, რომელიც 1934 წელს კაპიტნის ჩინით დაამთავრა. სტრასბურგში ანრი ფრენემ გაიარა გერმანული სწავლების ცენტრის კურსები, სადაც იგი შეიგრძნობს ნაციონალ-სოციალიზმის შემზარავ ხასიათს და მოახლოებული ომის საფრთხეს.

1938 წელს ანრი ფრენემ აღნიშნულ თემაზე ტულუზაში ჩაატარა კონფერენციები ოფიცრებისთვის, სადაც ამბობდა: „ადამიანი ან ხალხი ძალიან ძლიერია, როდესაც რაიმე მითით შეიარაღებული ერთვება ბრძოლაში, თუმცა ნაციონალ-სოციალიზმმა გერმანელ ხალხს აღმოაჩენინა მითების მთელი მწკრივი: რასის მითი, პოლიტიკური ჯარისკაცის მითი, გერმანული სოციალიზმის მითი, რამაც ხალხის სულში ღრმა გამომახილი ჰპოვა...“; 1939 წელს კი ასკვნიდა, რომ „გერმანია გატაცებულია ფიურერით და პარტიით და მათ ეკუთვნის. რაიხის მისია, ომი, მას მოეჩვენება ჯვაროსნულ ლაშქრობად მწვალებლობის (ცრუ მოძღვრების) ამოსადირკვად და საბოლოო სიმართლის გასამარჯვებლად“.

„ერეტიკოსები არიან დემოკრატები, რაციონალისტები, ჰუმანისტები და ლიბერალები ასევე ომი, რომლის გადატანაც შეიძლება მოგვიხდეს, იქნება იდეათა ომი, რომლის ნაღმები იქნება პირველი არგუმენტები“⁴

1940 წლის ივნისში ანრი ფრენე დააპატიმრეს, მაგრამ ის იმავე თვეს ახერხებს გაქცევას, მაშინვე იწყებს „ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე“ აქტიურ საუბარს და საინფორმაციო ბუკლეტების ფარულად დაბეჭდვას, რომელიც 1941 წლის დეკემბრიდან გადაიქცევა მიწისქვეშა გაზეთად *ბრძოლა (Combat)* და რომლის 100 000 ეგზემპლარსაც გამოუშვებს.

ფრენე უკვე ევროპელია მთელი თავისი არსებით და მისი წინააღმდეგობა არასდროს იქნება ნაციონალისტური ან ანტიგერმანული.

1942 წლიდან ევროპის გაერთიანებული ქვეყნების საჭიროება დიდი შემართებითაა დადასტურებული ბრძოლის მანიფესტში, რომლის სამი დამაარსებლიდან იგი ერთ-ერთია: „რევოლუცია, რომელსაც ჩვენს თავში ვატარებთ, არის ახალი ცივილიზაციის განთიადი. ეს არის მსოფლიო ცივილიზებული ომის აზრი. ისტორია გვასწავლის საზღვრების მუდმივ გაფართოებას. ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოები - პირველი ეტაპი მსოფლიოს ერთიანობის გზაზე - მალე იქცევა რეალობად, რომლისთვისაც ვიბრძვით. ევროპის ნაცვლად, რომელიც თავისივე სიძლიერით გაბრუებული გერმანიის უღელქვეშ გაერთიანებული კი არ არის, არამედ დამონებულია, ჩვენ სხვა ხალხებთან ერთად ავაშენებთ სამართლებრივ

საფუძველზე თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის პრინციპზე გაერთიანებულ ევროპას“⁵

იმავე დროს, ლონდონში ხანმოკლე პერიოდით ყოფნისას, იგი დე გოლისგან განსხვავებულ განცხადებებს აკეთებს: „მინდა გითხრათ, რომ უკმაყოფილო და აღშფოთებული ვარ ვიწრო ნაციონალიზმის სულისკვეთებით, რომელსაც თქვენი თანამშრომლების დიდ ნაწილში და თქვენს გარემოცვაში ვხედავ. ასევე უნდა ვთქვა ისიც, რომ მე ვიყავი საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი და ისინი, ვისაც საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობა ებრძოდა, იყვნენ არა გერმანელები, არამედ ჰიტლერის მხარდამჭერები. ჩვენ ვებრძოდით ევროპის იძულებით გაერთიანებას ტოტალიტარული რეჟიმის სამსახურში, მაგრამ მისი გათავისუფლების შემდეგ, თავისუფალი და დემოკრატიული ევროპის ააშენებლად ჩვენ მათთან ერთად ვიშრომებთ, ვისაც დღეს ვებრძვით“⁶

1944 წლის მარტში ქ. ალჟირში ანრი ფრენე ისევ ავითარებს თავის შეხედულებებს *ბრძოლის* უკვე პირველ არამიწიქვეშა კონგრესზე და წინააღმდეგობის ყველა ევროპელ წევრს ბრძოლისკენ მოუწოდებს, თუმცა იქვე აღნიშნავს, თუ რა ადგილი უნდა ჰქონდეს დამარცხებულ გერმანიას ომისშემდგომ ევროპაში. გაზეთი *ბრძოლა* იმავე თვის ნომერში წერდა: „დღეს გერმანელი ხალხის საშინელი ტანჯვა გვგონია ერთადერთი საშუალება, ავსახოთ ამ ტრაგიკული ერის სხეულზე ომის საშინელება; მაგრამ ხვალ არ გვსურს, რომ თითოეული გერმანელის ცხოვრება ტანჯვად ვაქციოთ. ნაციზმი არის პრუსიულ მილიტარიზმს დაქვემდებარებული გერმანული სიდიადის უკანასკნელი გამოვლინება სიგიჟით, რომელიც აგონიაში მყოფმა კაპიტალიზმმა გამოიყენა. იმისთვის, რომ გერმანია გახდეს „სიცოცხლისუნარიანი“, საკმარისი არ იქნება ომის ყველა დამნაშავეს დასჯა, და არც რეჟიმის შეცვლა. საჭიროა გერმანიას მივცეთ დაცემის გარეშე ცხოვრების საშუალება, თუმცა რამდენიმე წლის განმავლობაში ის უნდა დარჩეს პოლიტიკური და კულტურული მეურვეობის ქვეშ. როგორ უნდა იმუშაოს ამ მეურვეობამ? ევროპის ყველა სახელმწიფოს მიერ ევროპული ფედერაციის სასარგებლოდ ნაციონალური სუვერენიტეტის გარკვეულ ნაწილზე უარის თქმით... ჩვენ არ გვავიწყდება, რომ გერმანული წინააღმდეგობა პირველი იყო, ვინც

5

Op. Cit., pp 576-578 (extrait de *Combat et révolution*).

6

ნაწყვეტი ანდრე ფილიპის გამოსვლიდან შრომის ევროპულ კონგრესზე პარიზში, 1956 წლის 27 აპრილს, IN Hubert Halin, *L'Europe unie, objectif majeur de la Résistance*, éd. de l'URPE, Bruxelles, pp. 22-23

მას შეეწინააღმდეგა, არ გვავიწყდება დახაუ და ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული უამრავი სოციალისტი, კათოლიკე და კომუნისტი სამხედრო“⁷

გარდა ამისა, საინტერესოა, რომ იმავე დროს ყველაზე მაღალი ჩინის მქონე ნაცისტები, რომელთაც ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა, და თავად ჰიტლერიც, შესანიშნავად იყვნენ ინფორმირებულნი ფრენეს ევროპეისტული იდეების შესახებ, 1943 წლის 27 მაისის მოხსენებით: „*Die Armée secrète in Frankreich*“, რომელიც რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრს, ფონ რიბენტროპს გაეგზავნა. მოხსენებაში ვკითხულობთ: „სისულელე იქნებოდა გვეიძულებინა გერმანელი ხალხი, ისე როგორც 1918 წელს, დიდი ხნის განმავლობაში ეტარებინა მარცხის ტვირთი, რაც ახალ კატასტროფებსა და გერმანელი ხალხისთვის აჯანყების ბიძგის მიცემას გააღვივებდა. გერმანიის დანაწევრება თავიდან უნდა ავიცილოთ და უნდა მოხდეს გერმანიის შენარჩუნებული ერთიანობის ინტეგრირება ევროპულ ერთიანობაში. მსოფლიოს ეკონომიკურ ერთიანობას შედეგად აუცილებლად მოჰყვება პოლიტიკური გაერთიანება. პოლიტიკური საზღვრების გაუქმება და ეკონომიკური პირობების მოშლა, რომელიც აფერხებს ცხოვრების დონის განვითარებას, საკმარისი იქნებოდა ომის ყველაზე ძირეული მიზეზების თავიდან ასაცილებლად. ამგვარად, რჩებოდა მხოლოდ ნაციონალიზმის გამოღვიძებისგან, განსაკუთრებით გერმანიაში, თავის დაცვა. მძიმე მრეწველობის სოციალიზაციითა და ინტერნაციონალური შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებით შესაძლებელი გახდებოდა მომავალში ძალის გამოყენების თავიდან აცილება“⁸

ბოლოს, გვსურს შეგახსენოთ, რომ ანრი ფრენე ნაცისტური ფაშიზმის ერთადერთი მოწინააღმდეგე არ იყო, რომელმაც მხარი დაუჭირა ევროპულ ფედერაციას. პირიქით, ევროპულ ფედერაციას მხარს უჭერდა თითქმის მთელი არაკომუნისტური წინააღმდეგობა, და მარტო საფრანგეთში კი არა, მთელ ევროპაში, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავდა უოლტერ ლიპგენსი თავის ნაშრომში: *Europa Fonderationsplane des Winderstandsbewegungen – 1940-1945*⁹

7

Op. Cit., p. 27

8

Cité in, H. Frenay, *Op. Cit.*, p. 324

9

Ed. R. Oldenburg Verlag; Munich, 1968.

გთავაზობთ ამის უკანასკნელ მაგალითს ლიონის რეგიონის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის (MLN)¹⁰ პროგრამის პროექტის ტექსტიდან: „... ვთვლით რა, რომ შეუძლებელია განვითარებული, დემოკრატიული და მშვიდობიანი ევროპის აშენება სუვერენული სახელმწიფოების გაერთიანებით, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილი არიან პოლიტიკური და საბაჟო საზღვრებით, მიგვაჩნია რა, რომ ერთიანი საზოგადოება, რომელიც ითვლება სუვერენულ სახელმწიფოთა ლიგად, შეიძლება იყოს მხოლოდ სატყუარა, ჩვენ ვაპირებთ ვიბრძოლოთ ევროპული ფედერაციის შესაქმნელად, რომელიც იქნება დემოკრატიული, ღია, ევროპის ხალხებისთვის, მათ შორის ინგლისისა და საბჭოთა კავშირისთვის... მხოლოდ ფედერაციას შეუძლია უზრუნველყოს ევროპული ხალხებისთვის მშვიდობა, განვითარება და მისცეს მათ საშუალება, სრული შემართებით იარონ ეკონომიკური პროგრესისა და ნამდვილი დემოკრატიის გზაზე. მხოლოდ ასეთ ფედერაციას ძალუძს საკუთარ მაგალითზე წაიყვანოს დედამიწაზე მცხოვრები ხალხები მსოფლიოს ფედერალური მოწყობისკენ“¹¹

წარმდგენები: ჟან-ფრანსის ბილიონი და ჟან-ლუკ პრეველი

¹⁰ ჩამოყალიბდა 1943 წელს წინააღმდეგობის სხვადასხვა მოძრაობებისგან (Combat, France Libre et Libération), რომელიც იმავე წლის მარტის თვეში გაერთიანდა ოკუპირებული ზონის წინააღმდეგობების მოძრაობებთან (საფრანგეთის დაცვა, წინააღმდეგობა და ლორენი).

¹¹ Dans Henri Michel et B. Mirkine-Guelzévitch, წინააღმდეგობის მოძრაობის პოლიტიკური და სოციალური იდეები, éd. PUF, Paris, 1954, pp. 398-399

წინასიტყვაობა

კონფუციის (მასწავლებელი) და ცზე-ლოოს (მოწაფე) დიალოგი

მოწაფე: „ვეის უფლისწული გელოდებოდათ, მას სურს თქვენთან ერთად მართოს მთავრობა. როგორ ფიქრობთ, რითი უნდა დაიწყოს?“

მასწავლებელი: სიტყვის მნიშვნელობები უნდა დავაზუსტოთ. თუ სიტყვები არაზუსტია, ენა ვერ გამოხატავს საგნების რელობას. თუ ენა ვერ გამოხატავს საგნების რეალობას, მაშინ წარმატებას ვერაფერში მიაღწევ.

XIII. –

Analectes de Confucius. – Ch. III – Livre TZEE Loo

ეს შესავალი დაიწერა და ბროშურა გამოქვეყნდა ისტორიული სხდომის მეორე დღეს, სადაც ქვანახშირისა და ფოლადის ერთობლივმა ასამბლეამ, რომლის ინიციატივაც ეკუთვნის ექვს მინისტრს, 1952 წლის 12 სექტემბერს მიიღო შეთავაზებული გამოწვევა. ასამბლეამ, უფლებამოსილების შესაბამისად, თავდაცვის ევროპული გაერთიანების (CED) ტრაქტატის 38-ე მუხლის საფუძველზე, უნდა შეადგინოს „ევროპის ფედერალური ან კონფედერალური მოწყობის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს წევრ სახელმწიფოთა მთავარი ინტერესების შეთავსებას“.

ამრიგად, კონფედერაციის ან ფედერაციის საკითხი იდგა პირველ ადგილზე, როგორც ასამბლეის მონაწილეებისთვის, ისე საზოგადოებრივი აზრისთვის. მ. მუსხელის წიგნმა

დროულად განსაზღვრა აქტუალური მწვავე საკითხი და დღის სინათლეზე გამოიტანა, რათა იგი უმეცრების, ვნების ან ინტრიგათა საშიშ ბურუსში არ გახვეულიყო.

ის, რისი შიშიც პოლიტიკაში უნდა გვექონდეს, უპირველეს ყოვლისა, არის სიტყვების ბრძოლა.

ცნებები კონფედერაცია და ფედერაცია სინამდვილეში მოიცავს ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ პოლიტიკურ რეალობას, რაც მ. მუსხელის წიგნს ერთობ საჭირო დროს გამოაქვს სააშკარაოზე. თუმცა საკმარისია ფრანგული და უცხოური ჟურნალების გადაკითხვა ან ჩვენს ეროვნულ ასამბლეაში გამართული დებატებიც კი იმაში დასაწმენებლად, რომ ზოგჯერ ეს განსხვავებები საერთოდ უგულებელყოფილია.

არის კი ეს გასაკვირი? რა თქმა უნდა, არა. უკვე ასი წელია ამ თემაზე ცხარედ კამათობენ სამართლის ცნობილი სპეციალისტები, რომელთა ნაშრომები მრავალ ტომადაა გამოცემული. გერმანელი ავტორები განსაკუთრებით აქტიურობენ კონფედერაციული სახელმწიფოსა (Staatenbund) და ფედერალური სახელმწიფოს (Bundesstaat) შედარებითი ანალიზისას. მიუხედავად განხილვებისა, არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ საზოგადოებას მოცემულ საკითხზე მკაფიო წარმოდგენა აქვს; ნათელი, რომელიც დისკუსიებმა მოჰფინა აღნიშნულ საკითხს, საერთაშორისო ან კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტების წრეს არ გასცდენია. ანკი სხვაგვარად როგორ შეიძლება მომხდარიყო, როცა ფედერაციის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი, შვეიცარია, ატარებს კონფედერაციის სახელს?

სწორედ ამიტომ ამჟამად ევროპაში არსებობენ ადამიანები, ჯგუფები და პარტიები, რომელთაც გულწრფელად სურთ კონტინენტზე ზეეროვნული ხელისუფლება, შეცდომით კონფედერალურის ეპითეტით რომ მოიხსენიებენ. მაშასადამე, ჩვენ ვდგავართ კამათის დაწყებისა და შემდგომ მისი ჩიხში მოქცევის საფრთხის წინაშე, ორ მოძრაობას შორის, რომელთაც სურთ ერთი და იგივე, მაგრამ მას სხვადასხვა სახელს არქმევენ.

საფრთხე იქნებოდა უმნიშვნელო და, ალბათ, არც კი მიიქცევდა ყურადღებას, რომ არა იმავდროულად ევროპული ფედერაციის აქტიური მოწინააღმდეგეების მიერ, ასე ვთქვათ, მიზნის აღსანიშნავად გამოყენებული სიტყვა „კონფედერაცია“. პოლიტიკური სვლების დროს სიტყვების მნიშვნელობის ერთმანეთში არევით სარგებლობა შეიძლება დასრულდეს

ალიანსის ფორმირებით, სადაც აღმოჩნდება ცნება კონფედერაციის უკან გაერთიანებული ის ხალხი, ვისაც სურს „შექმნას ერთიანი ევროპა“ და ისინიც, ვინც ამას ეწინააღმდეგება. ევროპულ ორგანიზაციებში ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ეს სულაც არ არის ვარაუდებზე დამყარებული შიში, ეს რეალური საფრთხეა, რომლის წინაშეც ყველა ევროპული ქვეყანა დგას.

ახლა, როცა ასამბლეა შეიკრიბა, სადაც ჩვენი მომავალი კონსტიტუცია უნდა შემუშავდეს, აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს განსხვავებები, ესე იგი, ფედერალური და კონფედერალური სისტემისთვის დამახასიათებელი უპირატესობები და უარყოფითი მხარეები. ვინ წაიკითხავს ამ თემაზე დაწერილ ნაშრომებს? რა თქმა უნდა, ძალიან ცოტა ადამიანი. მაშასადამე, საჭირო იყო სინთეზური შეჯამება, რომელიც დაწერილი იქნებოდა შეძლებისდაგვარად მარტივი სიტყვებით, როგორც ამის საშუალებას თემა იძლევა, ფედერალიზმის სიღრმისეული აზრისა და სამართლებრივი საფუძვლების დამახინჯების გარეშე, რომელსაც ის ემყარება. სწორედ ეს მიზანი ჰქონდა მ. მუსხელს. ვფიქრობთ, რომ მან ამ ამოცანას თავი ნამდვილად გაართვა.

ეს შემთხვევითი სულაც არ იყო. ავტორი, სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, კარგად იცნობდა პრობლემებს, რომლებზეც ის ლექციებზე ან სხვადასხვა პუბლიკაციებში საუბრობს. ამასთან, ის არის მეგრძოლი, რომელმაც ერთ ძალისხმევად გააერთიანა ფიქრი და მოქმედება. მან სხვებზე უკეთ იცოდა, რა ენით უნდა ესაუბრა ევროპის სხვა მეგრძოლებთან, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობასთან, რომ მისთვის უკეთ გაეგოთ.

მისი ბროშურა კრიტიკის საფუძველი გახდა. აღნიშნულ პრობლემაზე მომუშავე სპეციალისტები მას ზედაპირულად და არასრულყოფილად მიიჩნევენ, მაშინ როდესაც ქუჩაში შემთხვევითი ადამიანი აუცილებლად წააწყდება ისეთ კონდენსირებულ ფორმაში გამოხატულ ცნებებს, რომ მის არსში ჩაწვდომა გაუჭირდება. ეს არის ამგვარი სამუშაოს ფასი, რომელიც მეცნიერებასა და პოპულარიზაციას შორისაა გახიდილი.

ჩვენი მხრიდან მ. მუსხელის ანალიზის სიზუსტის აღიარებით, გვინდოდა უფრო მეტად გასაგები და თვალსაჩინო ყოფილიყო ის, რაც ფედერალიზაციას ახასიათებს. რა თქმა უნდა, ავტორი თავის მეგობარს, მასავით მეგრძოლს, აპატიებს თვითკმაყოფილების გამოყენებას, რომელიც მას ამ უპირატესობის მინიჭებით მიეცა, მოკლედ გადმოეცა თავისი

ნაფიქრი. ჩვენი აზრით, ფედერალური არის სახელმწიფო, რომლის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება უბრალო ან განსაზღვრული უმრავლესობით გადაწყვეტს, რომელი ხელშეკრულება თუ ფედერალური პაქტი აკავშირებს რეალურად წევრ სახელმწიფოებს შეუქცევადად, რომელსაც გააჩნია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აღსრულების საკუთარი ორგანოები და, რომელსაც, ამ ფარგლებში, შეუძლია პირდაპირ აიძულოს მოქალაქეები.

ბოლოს გვინდა ვთხოვოთ მკითხველს, რომ, როდესაც ის წაიკითხავს ამ ბროშურის ბოლო გვერდს, არ დაივიწყოს შემდეგი: ისტორიის მანძილზე კონფედერაციები ყოველთვის სუსტდებოდნენ, უთანხმოებასა და ომებში ებმებოდნენ, და პროფესორ მუსხელის ნაშრომს შეუძლია დაგვჩვენოს, რისი იმედიც ნამდვილად მაქვს, ნათლად დაგვანახოს გზა, რომელსაც დაბადების პროცესში მყოფი ევროპა უნდა გაჰყვეს.

ანრი ფრენე

ყოფილი მინისტრი

ფედერალისტების ევროპული გაერთიანების აღმასრულებელი

ბიუროს პრეზიდენტი

შესავალი

პირველივე სესიიდან ენთუზიაზმით შეპყრობილი ევროპის საბჭოს სათათბირო ასამბლეა 1949 წლის 6 სექტემბერს კენჭს უყრიდა რეზოლუციას, რომელიც იწონებდა „ევროპული ხელისუფლების დაარსებას, რომელსაც ექნებოდა შეზღუდული ფუნქციები, მაგრამ რეალური უფლებამოსილებები“.

ევროპის პოლიტიკური ხელისუფლება! ეს ბუნდოვანი და ცვალებადი ფორმულა საერთოდ არავის აყენებდა საფრთხის ქვეშ, ნაკლებად იყო გათვლილი მომავალზე და შეფასების სრულ თავისუფლებას უტოვებდა იმას, ვინც იგი მიიღო. ერთხმად მიღება მოწმობს, რომ მას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ორი წლის განმავლობაში ასამბლეაში ცხარე კამათი მიმდინარეობდა ამ პოლიტიკური ხელისუფლების შესაძლო სტრუქტურასთან დაკავშირებით. განხილვების დროს, როცა ასამბლეის წევრები ცდილობენ ზუსტად განმარტონ იგი, მიხვდებიან იმ სიღრმისეულ უთანხმოებას, რაც წარმომადგენლებს შორის არსებობს და განსხვავებული შეხედულებების საერთო მოსაზრებამდე მისაყვანად, საჭირო გახდება მოხერხებულობისა და ფანტაზიის დიდი ტალანტის გამოყენება. მცდელობა დასრულდა მარცხით, რაც დააზიანებს ევროპის საბჭოს ბრწყინვალეებასა და პრესტიჟს.

რა არის ის დამაბრკოლებელი ფაქტორი, რომელმაც 1949 წლის რეზოლუციის განხორციელების მცდელობების დროს იჩინა თავი? ეს არის სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპი. ევროპული პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუტი მოითხოვს თუ არ მოითხოვს ქვეყნის ადგილობრივი ხელისუფლებიდან თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილობრივ დათმობას? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელისუფლება, რომელიც უნდა შეიქმნას, ზენაციონალური იქნება თუ ინტერნაციონალური? ევროპის საბჭოში ყველა სახელმწიფოს არ სურს თავისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შეწირვა ევროპის კავშირის სამსხვერპლოზე.

სტრასბურგში განცდილ იმედგაცრუებას სახელმწიფო მოხელეების კონსტრუქციული მცდელობა ახალი მიმართულებით უნდა წაეყვანა. ასე დაიბადა ევროპული გაერთიანების იდეა, რომელიც შემოფარგლული იქნებოდა განსაზღვრული სფეროთი; ასეთი პირველი ხელისუფლება იყო ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (CECA). მასში კონტინენტის მხოლოდ ექვსი ქვეყანა გაერთიანდა, რომლებიც დათანხმდნენ უზენაესი ხელისუფლების პრინციპს. ქვეყნების წარმომადგენლები იმედოვნებდნენ, რომ ხელისუფლების სხვა ორგანოები ჩამოყალიბდებოდა სოფლის მეურნეობის, სატრანსპორტო, ელექტროენერგიის და ა.შ. სფეროებში. როგორც ჩანს, ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაციის იდეაზე უარის თქმით, ევროპა გაჰყვა გზას, რომელსაც „სპეციალიზებულ სახელისუფლებო ორგანოებს უწოდებენ“.

მიუხედავად ამისა, მოვლენების უკანასკნელმა განვითარებამ გააცოცხლა ევროპის პოლიტიკური მოწყობის პრობლემა. ატლანტიკური ხელშეკრულების გაფორმებამ ევროპაში წარმოშვა ხელახალი შეიარაღების საკითხი. მაგრამ ვინ შეიარაღდება ხელახლა? ევროპის თადაცვის უზრუნველყოფა გერმანელთა მონაწილეობის გარეშე? - შეუძლებელია, - თქვეს ამერიკელებმა. გერმანული არმიის გარდაქმნა და მათი ატლანტიკური მეთაურობის ქვეშ მოქცევა? - არასდროს! - უპასუხეს ევროპელებმა. საჭირო იყო ამ დილემიდან გამოსავლის პოვნა, საფრანგეთმა იპოვა ევროპული არმიის იდეა: პლევენის გეგმა ემატებოდა შუმანის გეგმას, მაგრამ რადგან ევროპული არმია ვერ იქნებოდა ცალკეული ქვეყნების მთავრობის დაქვემდებარებაში, იგი უნდა მოქცეულიყო ევროპული ხელისუფლების მმართველობის ქვეშ; აუცილებელი იყო ევროპული არმიიდან ევროპულ ხელისუფლებაზე გადასვლა. მოვლენების ზეწოლა ქვეყნების მთავრობებს აიძულებდა თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილის დაკარგვას, რაზეც ისინი დათანხმებას ვერ გაბედავდნენ მათი მერყევი ბუნების გამო.

ქვეყნების მთავრობებისთვის გამოფხიზლება იყო უცაბედი, მათი გრძნობები და ევროპული რწმენები მძიმე გამოცდის წინაშე იდგა. როგორც ჩანს, უკან დახევის არანაირი საშუალება აღარ არსებობდა. „ნახტომი გაურკვევლობაში“ - ასე უწოდებდნენ ისინი ამას, რათა გაემართლებინათ მათი მხრიდან მოვლენების გაჭიანურება და ორჭოფობა.

მოქმედების ვადა გადიოდა, საჭირო იყო პოზიციების აღიარება; ამ დროს გამოაშკარავდა, რომ ზოგიერთი მთავრობა არ ეთანხმებოდა სუვერენიტეტის ნაწილის

შეწირვას. მათზე ღიად უარის თქმა ნიშნავდა ომისშემდგომი ევროპის ერთადერთი დიდი იმედისთვის „კურთხევის“ მიცემას.

მაშინ გამოითქვა ევროპის „კონფედერაციის“ იდეა, იმ იმედით, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩებოდა. ევროპული პოლიტიკური ხელისუფლების ტიპი ხელახალი განხილვის საგნად იქცა: „კონფედერაციული“ იქნებოდა ევროპული პოლიტიკური ხელისუფლება თუ „ფედერაციული“?

პირველად ამ პრობლემაზე საუბარი ვან ზეელანდმა და რ. შუმანმა დაიწყეს 1951 წლის 10 დეკემბერს სტრასბურგის ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას და თავიანთი საუბარი კვლავაც ააგეს ტრაქტატის პროექტის 37-ე მუხლზე, რომლითაც დაფუძნდა თავდაცვის ევროპული გაერთიანება. მითითებული მუხლი ამ გაერთიანების ასამბლეას ანდობს ევროპის „ფედერალურ თუ კონფედერალურ მოწყობაზე“ პროექტის მომზადებას. ბოლოს, ეს აღნიშნული იყო ზოგად საქმეთა საბჭოს მიერ სათათბირო ასამბლეაში 1952 წლის 20 მაისს წარდგენილ დასკვნაში. არსებული დასკვნა ასამბლეაში ხანგრძლივი დისკუსიის საგნად იქცა, რის შემდეგაც მან კენჭი უყარა რეზოლუციას, რომელიც სთავაზობდა „ზენაციონალური (სახელმწიფოებს შორის) ტიპის პოლიტიკური გაერთიანების“ დაარსებას.

და აი, პრობლემის ძირითად არსთანაც მივედით: „კონფედერაცია“ თუ „ფედერაცია“? ეს ორი ტერმინი მხოლოდ ერთსა და იმავეს აღნიშნავს თუ ისინი განსხვავებულ რეალობებს გულისხმობენ?

ზოგიერთი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს განსხვავების მნიშვნელობა. ისინი ამაში მხოლოდ ტერმინებს შორის ამაო ჭიდილს ხედავენ, ან კიდევ მის მოუქნელ და ბურუსით მოცულ ერთ-ერთ წინააღმდეგობას, რაც თეორეტიკოსი იურისტების გატაცებას წარმოადგენს.

ეს არის დიდი შეცდომა, რომლის თავიდან არიდებასაც ის ცდილობს. „კონფედერაცია“ და „ფედერაცია“ არის პოლიტიკური გაერთიანების ორი რადიკალურად განსხვავებული ტიპი. წინამდებარე მოკლე კვლევის მიზანი ამის ჩვენებაა. მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ თემაზე ვისაუბრებთ, წინასწარ ორი რამ უნდა გავაკეთოთ: ერთი მხრივ, დავაზუსტოთ ფედერალიზმის ცნება, მეორე მხრივ კი - მისი მოწყობის მეთოდი

მივუთითოთ. ეს ორი ნაბიჯი გაამარტივებს თანხმობის მიღწევას იმ დისკუსიაში, რომელიც ამის შემდეგ გაიმართება.

აქვე გთავაზობთ გეგმას:

1. ფედერალიზმის ცნება
2. ფედერალიზმის მეთოდი
3. ფედერალიზმის ფორმები

ფედერალიზმის ცნება

ფედერალიზმის განსაკუთრებულობას მისი წინააღმდეგობრივი და დიალექტიკური მეთოდი წარმოადგენს. პრუდონის დამსახურება მისი აღმოჩენა კი არ არის, არამედ ის, რომ დააზუსტა და გააღრმავა ეს მეთოდი, რომელმაც მთელი მისი არსება და ნაშრომი მოიცვა.

აი, აქ წარმოგიდგენთ მთავარ სურათს. სოციალური, ისევე როგორც ინდივიდუალური ცხოვრება, წინააღმდეგობებისგან შედგება: ინდივიდი და საზოგადოება, კაპიტალი და მუშაობა, თავისუფლება და ბრძანება და ა.შ. ეს წინააღმდეგობები ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ და ცხოვრება მათი დაპირისპირებულობით საზრდოობს.

„მორალური, ისევე როგორც ფიზიკური სამყარო, აცხადებდა პრუდონი სიცოცხლის ბოლოს, ემყარება ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი დეტალების სიმრავლეს, და ეს არის ცხოვრების დეტალებისა და სამყაროს მოძრაობის ურთიერთწინააღმდეგობა“.

ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტები ერთიმეორის გარეშე არ არსებობს, ამიტომ ისინი არ შეიძლება გაუჩინარდეს, როგორც ამას ჰეგელისეული დიალექტიკა მიიჩნევს, უმაღლეს სინთეზში. ისინი ერთიანდებიან სისტემაში, რომლის შიგნითაც, თავიანთი ინდივიდუალურობის შენარჩუნებით, ერთვებიან ბალანსში, რომელიც განუწყვეტლივ იცვლება.

„საპირისპირო ტერმინები, წერდა აგრეთვე ის, ისევე არ გაქრება, როგორც ელექტრობატარების ორი დაპირისპირებული პოლუსი არ ანადგურებს ერთმანეთს; ისინი არათუ არ ანადგურებენ ერთმანეთს, მოძრაობის, სიცოცხლის, პროგრესის წარმომქმნელს წარმოადგენენ; პრობლემა მდგომარეობს არა მათი გაერთიანების პოვნაში, რაც იქნებოდა სიკვდილი, არამედ მათი ბალანსის პოვნაში, ბალანსისა, რომელიც არის მუდმივად არასტაბილური და ცვალებადი, „საზოგადოებების“ განვითარების შესაბამისად.

ჰეგელისეული სინთეზი, მესამე ტერმინი, რომელიც შთანთქმავს თეზისსა და ანტითეზისს, პრუდონის აზრით, არის „მთავრობისეული“. სწორედ მან მიიყვანა ჰეგელი და მარქსი შემდგომში „სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობამდე“ და „დაქვემდებარებამდე“.

პრუდონის დიალექტიკაში მთავარი არის „წინააღმდეგობებს შორის ბალანსის მიღწევა, რომელსაც ის აბალანსებს ურთიერთწინააღმდეგობის გაქრობის გარეშე“.

ფედერალიზმი, რომელიც ამას ეყრდნობა, უარყოფს ერთიანობას და ხოტბას ასხამს კავშირს. არაფერი ისე ნათლად არ გადმოსცემს ფედერალიზმის განსაკუთრებულობას, როგორც ეს წინააღმდეგობა ერთიანობასა და კავშირს შორის.

„ერთიანობა გულისხმობს ყველა იმ საფუძვლის შთანთქმას, რაც ამ ერთობას ქმნის. მისთვის დამახასიათებელია ცენტრიდან მომდინარე „ერთი“ ნება და „ერთი“ მიმართულება, რომლის სუვერენულობა არის აბსოლუტური. როდესაც არის ერთიანობა, მჭიდრო კავშირი იძულებით მყარდება და ნარჩუნდება დომინირებით.“

„როგორც ერთიანობა, ასევე კავშირი, გულისხმობს ერთი მთლიანის არსებობას, მაგრამ მხარეები, რომლებიც მას ქმნიან, ინარჩუნებენ თავიანთ განსხვავებულ ინდივიდუალურობას. კავშირი, გაერთიანების მსგავსად, არ არის ტრანსცენდენტული თავის წევრებზე, ის მათთვის დამახასიათებელია. კავშირი გამორიცხავს დომინირების ყოველგვარ იდეას; თანამშრომლობა მისი მთავარი მამოძრავებელიც კი არის“.

ყველაფერი ეს ძალიან კარგია! მაგრამ როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს წინააღმდეგობები, სადაც ერთი განუწყვეტლივ ეწინააღმდეგება მეორეს, მაგრამ არ ანადგურებს? როგორ ვაქციოთ რეალობად ბალანსი, რომელიც იცავს ერთმანეთის საწინააღმდეგო ტერმინებს და ამავდროულად მათ ერთ მთლიანობაში აქცევს. არის უფლება, გვეუბნება პრუდონი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება შეთავსება. „ჰარმონიულობა, ტერმინთა შორის ბალანსის დაცვა, წინააღმდეგობებს შორის ბალანსი, მხოლოდ უფლებით მიიღწევა, უფლებით, რომელსაც მოჰყვება შერიგება.... დაპირისპირებულ ძალებს შორის“. ეს წარმოადგენს „უფლების სუვერენულობის“ მტკიცებას ძალაუფლების სუვერენულობისგან განსხვავებით. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას,

რომ პრუდონისთვის ფედერალიზმი არის მხოლოდ „სამართლებრივი პრინციპით... ძალაუფლების პრინციპის...“ „სუბორდინაციის“ საშუალება.

თუ პოლიტიკურ ჭრილში განვიხილავთ, ფედერალიზმი, პრუდონის აზრით, წარმოადგენს სისტემას, სადაც „... ხელშეკრულების მონაწილე ოჯახის უფროსები, კომუნები, კანტონები, პროვინციები ან სახელმწიფოები“... „იღებენ ურთიერთვალდებულებას ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, რომელთა კომპეტენციაც განსაკუთრებით და ექსკლუზიურად ეკისრებათ ფედერაციის დელეგატებს“.

ასეთია ფედერალიზმის ძირითადი ბუნება. ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია შევეცადოთ გამოვყოთ ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისებები.

1.

ფედერალიზმი პირველ რიგში არის ბუნებრივი და სპონტანური ფენომენი. იგი არის სოციალურ წრეში ინტერესთა ახალი ერთიანობის წარმოქმნისა და გაფართოების შედეგი. სწორედ ამ განსაკუთრებულ ნიშანს გულისხმობდა ჟორჟ სელი, როდესაც „წმინდა ან არაორგანულ ფედერალიზმს“ „კონსტრუქციულ ან ინსტიტუციონალურ ფედერალიზმს“ ადარებდა“.

„განსხვავებულ პოლიტიკურ გაერთიანებაში შემავალ სუბიექტებს შორის გაცვლითი ურთიერთობის ჩამოყალიბება ქმნის“ ახალ გაერთიანებებს, რომლებიც გამოყოფენ საკუთარ ახალ სასამართლო სისტემას, რაც *ipso facto* იწვევს მანამდე არსებულ სამართლებრივ სისტემებს. ეს ინტერსოციალური ურთიერთობებისთვის საჭირო მოვლენა - ახალი საზოგადოების მოწყობის ნებისმიერი პროცესიდან გაკეთებული აბსტრაქცია - წარმოადგენს იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს „ფედერალიზმის სუფთა ან არაორგანული ფენომენი“.

მაშასადამე, ჩვენ გვაქვს ისეთივე ნორმალური და გარდაუვალი ბიოლოგიური მოვლენა, როგორც არის წელიწადის დროების მონაცვლეობა ან მცენარეთა ზრდა. თავის მოწოდებით და ფერად სტილში დენი დე რუჟემონი ძალიან ხატოვნად აღწერს ევროპული ფედერალიზმის ბუნებრივ წარმოქმნას:

„ვხედავ, როგორ ყალიბდება ნელ-ნელა ევროპის ფედერაცია, თითქმის ყველგან და ყველა საშუალებით. ზოგან ეს ეკონომიკური შეთანხმებით ხდება, ზოგან კი კულტურის სფეროში შეთანხმებით. აქეთ ორი მონათესავე აღმსარებლობის ეკლესიები კარს უღებენ ერთმანეთს, იქ პატარა ქვეყნების ჯგუფი ქმნის საბაჟო კავშირს. და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ადამიანები თანდათან ქმნიან ევროპული გაცვლების სხვადასხვა ქსელს. ეს ყოველივე საჭიროა. და ეს ყველაფერი, რაც ასე დაფანტული და ხშირად ნაკლებ ეფექტური ჩანს, ნელ-ნელა ქმნის კომპლექსურ სტრუქტურებს, ხატავს ჩონჩხის მყესებსა და სისხლძარღვთა სისტემას, რაც ერთ დღეს ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოების სხეულად იქცევა“.

2.

მაგრამ თუ საზოგადოებები ბუნებრივად მიდრეკილნი არიან და, გარკვეულწილად, საკუთარი თავისგან დამოუკიდებლად, ფედერაციად გაერთიანებისკენ, ისინი უარს ამბობენ თავიანთი ინდივიდუალურობა კავშირის სამსხვერპლოს შესწირონ. უსაფრთხოების საჭიროება მათ გაერთიანებისკენ უბიძგებს, ავტონომიის საჭიროება - დამოუკიდებლად დარჩენისკენ. ფედერალიზმი მათ ერთდროულად ორივეს დაკმაყოფილების შესაძლებლობას სთავაზობს.

„ფედერალიზმი, წერდა გ. სელი, ათავსებს ორი პოლიტიკური ჯგუფის ერთი შეხედვით ორ, ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ რეალურად დამატებით და ასევე მთავარ საჭიროებას.

ერთი მხრივ, ეს არის ავტონომიისა და თავისუფლების საჭიროება საკუთარი მიზნების ძიებაში, მათი ცალკეული საერთო ინტერესების მართვაში; თვითმმართველობის (*self-government*) საჭიროება, რომელიც არის წინსვლის პირობა, ნიჭის ან ეთნიკური თავისებურებების თავისუფალი განვითარება.

მეორე მხრივ, ეს არის არანაკლებ აუცილებელი საჭიროება წესრიგის და უსაფრთხოების, თავისუფალი და პროდუქტიული შრომისა, რომლის განხორციელებაც მოითხოვს კონტროლს, იერარქიას, ხელისუფლებასაც თუ გნებავთ, მაგრამ შეთანხმებულსა და ორგანიზებულს, ამ უფრო ფართო სხვა სოლიდარობის პატივისცემის მოსაპოვებლად, რომელიც მშიდობიანად აერთიანებს მუდმივ კონტაქტში მყოფ თანამეგობრობებს“.

მაგრამ კერძოსა და ზოგადს შორის არსებული ბალანსი სათუთი და არამყარია. ორ დაპირისპირებულ პოლუსს შორის არსებობს მუდმივი რყევა, დამაბულობა და დაუსრულებელი ბრძოლა ცენტრიდანულ და ცენტრისკენულ ძალებს შორის. ბალანსის ეს დაუოკებელი ძიება და მისი მუდმივი მორგება ევოლუციასთან და მიმდინარე სოციალურ რყევებთან, ქმნის ფედერალიზმის მეორე მნიშვნელოვან თავისებურებას.

3.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ როდესაც ფედერალიზმს ვიყენებთ, იგი ქმნის ძალიან კომპლექსურ ორგანიზაციას. ფედერალიზმი ვერ იტანს სიმარტივეს და ერთფეროვნებას. იგი ცნობს ყველა რეალობას და მათ დასაცავად ქმნის არაერთ სხვადასხვა ინსტიტუციას. მას ადარებენ „საათის მექანიზმს“, რომელსაც ფაქიზი და რთული კბილანები აქვს. განსხვავებული ორგანიზმების ამგვარ შერწყმაში ყველაზე აღსანიშნავი ის არის, რომ ერთმანეთთან წინააღმდეგობით და მათი შესაბამისი ავტონომიის დაცვით ისინი იცავენ ადამიანსა და მის თავისუფლებას.

4.

აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ ფედერალიზმი ადასტურებს თავის მოქნილობას. ეს მოქნილობა მას საშუალებას აძლევს, მოერგოს განსხვავებულ რეალურ სიტუაციებს. „... ფედერაციის შექმნა არ ნიშნავს ცენტრიდან ან ღერძიდან გეომეტრიული გეგმის შესაბამისად დალაგებას; ფედერაციის შექმნა, ეს არის უბრალოდ, მეტ-ნაკლებად ამ კონკრეტული და ნორმებიდან ამოვარდნილი ისეთი რეალობების ერთად მოწყობა, როგორებიცაა ერები, ეკონომიკური რეგიონები, პოლიტიკური ტრადიციები და მათი განსხვავებული თავისებურებების შესაბამისად მოწყობა, რაც ერთდროულად მათ პატივისცემასა და ერთ მთლიანობაში გაერთიანებას გულისხმობს“.

მაშასადამე, არ არსებობს ფედერალიზმის ერთადერთი ფორმა; მას იმდენი ფორმა აქვს, რამდენი განსხვავებული სიტუაციაც არსებობს. თითოეულ ფედერალურ გაერთიანებას გააჩნია განსაკუთრებული სტრუქტურა.

ფედერალიზმის მეთოდი

თუ ფედერალიზმის საშუალებით წარმატებით ხერხდება საერთოსა და კერძოს შეთავსება, თუკი მისი საშუალებით მიიღწევა „განსხვავებულობაში ერთიანობა“, თუ იგი წინააღმდეგობების თანაარსებობის სასწაულს ახდენს კეთილდღეობის გასაღების მორგებითა და ცივილიზაციის დაცვით, ეს იმიტომ, რომ ის ფლობს განსაკუთრებულ მეთოდს, რომელიც შეესაბამება მის გენიას და პატივს სცემს მის მოთხოვნებს. ფედერალიზმი თავად იძლევა თვითრეალიზაციის საშუალებას და თავისთავში მოიცავს ორგანიზების ისეთ საკუთარ პრინციპებს, როგორიცაა:

- ა. წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციური ავტონომია.
- ბ. სამთავრობო ინსტიტუტების სუპერპოზიცია.
- გ. წევრი სახელმწიფოების მონაწილეობა კავშირის ნების ჩამოყალიბებაში.
- დ. უფლებამოსილებათა გადანაწილება.
- ე. საარბიტრაჟო ტიპის სასამართლო ორგანოს შექმნა.

ფედერალიზმის ტექნიკური მექანიზმი ისეთივე კომპლექსური და მოქნილია, როგორც თავად პრინციპი. განვიხილოთ იგი უფრო დაწვრილებით.

ა. წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციური ავტონომია

ყველაზე ხშირად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები წყვეტენ ფედერალურ კავშირში გაერთიანებას. ბუნებრივია, ამ გაერთიანებით მათ არ სურთ თავიანთ ინდივიდუალურობაზე უარის თქმა, რის გამოც ისინი ინარჩუნებენ საკუთარ პოლიტიკურ მოწყობას და იტოვებენ უფლებას, საკუთარი სურვილის შესაბამისად შეცვალონ იგი. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ფედერაციულ გაერთიანებაში წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ კონსტიტუციური ავტონომია, ესე იგი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონსტიტუციის ქონისა და მისი თავისუფლად შეცვლის უფლება. აქ საუბარია უფლებაზე, რომელიც ეკუთვნით მხოლოდ ფედერაციის წევრ სუბიექტებს; ეს უფლება არ გააჩნიათ დეცენტრალიზებულ ადმინისტრაციულ ერთეულს და ავტონომიურ ერთეულს, რომლის კონსტიტუციური სტატუსი არის იმ სახელმწიფოს შემოქმედება, რომლის წევრებიც ისინი არიან.

კონსტიტუციური ავტონომია მოიცავს უბრალოდ ავტონომიას: თითოეულ წევრ სახელმწიფოს აქვს საკუთარი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები.

არანაირი მთავარი განსხვავებული ნიშანი არ გამოყოფს ფედერაციის წევრი სახელმწიფოების მოწყობას დამოუკიდებელი უნიტარული სახელმწიფოს მოწყობისგან. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ თუკი რაიმე მიზეზით მოხდება ფედერალური კავშირის დაშლა, წევრ სახელმწიფოებს შეეძლებათ დამოუკიდებელი ცხოვრების გაგრძელება, ისე, რომ ისინი არ იქნებიან იძულებულნი ჰქონდეთ ახალი პოლიტიკური მოწყობა, რასაც ვერ ვიტყვით კომუნაზე ან ავტონომიურ ერთეულზე.

კონსტიტუციური ავტონომია ასევე გულისხმობს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებას. ფედერალური კონსტიტუციის ფარგლებში წევრი სუბიექტების მთავრობები იღებენ საბოლოო და სუვერენულ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილებაზე ხორციელდება ზედამხედველობა, კერძოდ, ეს არის მისი კანონიერების კონტროლი ფედერალურ კონსტიტუციასთან მიმართებით და არცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს მისი მიზანშეწონილობის კონტროლს. მსგავსი კონტროლი ხორციელდება ფედერალური ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე; ეს განუყოფელია ფედერალური სისტემისგან.

ცხადია, კონსტიტუციური ავტონომია არ არის აბსოლუტური. ასე რომ იყოს, არ იქნებოდა ფედერალიზმი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფედერალიზმი არის წინააღმდეგობების შეთავსება. გაერთიანება თავისი წევრებისთვის ასევე აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს კონსტიტუციურ თავისუფლებაზე. ზოგადად, ფედერალური კონსტიტუცია შეიცავს სავალდებულო მითითებებს ცალკეული კონსტიტუციებისთვის. ფედერალური კონსტიტუცია მათ უწესებს მინიმალურ საერთო სავალდებულო პოლიტიკურ პრინციპებს, რომლებზე თანხმობის გარეშეც ვერცერთი ფედერაცია ვერ იარსებებს. აქედან გამომდინარე, ფედერაციას ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი კონსტიტუციის გადასინჯვით აიძულოს წევრები, შეცვალონ თავიანთი კონსტიტუცია. ამ მოკრძალებული მსხვერპლშეწირვით ფედერაცია იცავს და უზრუნველყოფს მისი წევრების პოლიტიკურ რეჟიმს. ამგვარად, კონსტიტუციური ავტონომია, რომელსაც გავრცელების არეალი ეზღუდება, საბოლოო ჯამში უფრო მტკიცდება და ძლიერდება.

ბ. სამთავრობო ინსტიტუტების სუპერპოზიცია

კავშირი, რომელიც პატივს სცემს კავშირში შემავალი წევრების ინდივიდუალობას, აუცილებლად გულისხმობს ორმაგ სამთავრობო მოწყობას: *სამთავრობო ინსტიტუტებს ემატება ფედერალური სამთავრობო ინსტიტუტები.*

რა თქმა უნდა, სამთავრობო ინსტიტუტების ამგვარი სუპერპოზიცია მხოლოდ ფედერალურ გაერთიანებაში არ გვხვდება. სხვა საერთაშორისო სისტემები, როგორც ვასალური დამოკიდებულება, პროტექტორატი და საერთაშორისო მეურვეობა - მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი რომ ჩამოვთვალოთ - ასევე იცნობენ მას. მაგრამ ფედერაციულ სისტემაში სუპერპოზიცია იძენს განსხვავებულ ნიშნებს, რითაც თვისობრივად განსხვავდება იმისგან, რასაც სხვა სისტემაში ვხვდებით.

აქ იქმნება მმართველებისა და მოხელეების ახალი კორპუსი, რომელიც მხოლოდ ფედერაციისთვისაა დამახასიათებელი და ექსკლუზიურად ფედერაციის მთავრობასა და

ადმინისტრაციას ემსახურება. ფედერალური მთავრობა განსხვავებული რჩება ქვეყნის ადგილობრივი მთავრობებისგან როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის, ასევე ფაქტობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით. აქ კი, პირიქით, დაინტერესებული სახელმწიფოების მთავრობები - სიუზერენული, პროტექტორული თუ მზრუნველი სახელმწიფოები მართავენ და ხელმძღვანელობენ დაცვის ქვეშ ასოცირებულ ან შერეულ გაერთიანებებს. ამგვარად, ისინი თავიანთ თავში აერთიანებენ ადგილობრივი და კავშირის ხელისუფლების თვისებებს.

ფედერალური კავშირის სამთავრობო სტრუქტურა მხოლოდ თანასწორობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებას გამოხატავს, რაც ნებისმიერი ფედერაციის საფუძველს წარმოადგენს. ის ამას იმდენად კარგად აკეთებს, რამდენადაც მჭიდროა წევრი სახელმწიფოების მონაწილეობა ფედერალური მთავრობის ზოგიერთი ორგანოების ჩამოყალიბებაში. მონაწილეობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ფედერალური ხელისუფლების არც ფორმირება და არც ფუნქციონირება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ წევრი სახელმწიფოების ავტონომიური და ცალკე არსებობის გარეშე. როდესაც ფედერალური კავშირი სუსტია, საერთო მოწყობა, როგორც წესი, საერთო ასამბლეამდეა დაყვანილი, რომელიც ამ სახელმწიფოების პირდაპირი წარმომადგენლებისგან შედგება. როცა, პირიქით, კავშირი ძლიერდება, ფედერაცია ვითარდება, უფრო სრულყოფილი ხდება და სულ უფრო მეტად უახლოვდება უნიტარული სახელმწიფოს მოწყობას, მაგრამ ამასთანავე, კარგავს განსაკუთრებულ ნიშან-თვისებებს.

გ. წევრი სახელმწიფოების მონაწილეობა კავშირის ნების ჩამოყალიბებაში

ძირითადად იგი განსხვავდება წევრი სახელმწიფოების მონაწილეობით ფედერალური ხელისუფლების მოწყობისა და განხორციელებისგან. მონაწილეობის კანონი, როგორც ამას ჟორჟ სელი ამბობს, შეადგენს „ფედერალიზმის მთავარ მახასიათებელს: სწორედ ამ ნიშნის გამოა, რომ იგი წარმოადგენს თანამშრომლობის და არა სუბორდინაციის უფლებას“. რაში მდგომარეობს ეს მონაწილეობა? როგორ ხორციელდება ის?

ვინაიდან ფედერალური პაქტი მათი შექმნილია, წევრი სახელმწიფოები იტოვებენ მის გადასინჯვაში პირდაპირი თანამშრომლობის უფლებას. ისინი თანხმდებიან, რომ მასში არ შეიძლება შევიდეს რაიმე სახის ცვლილება ყველა სახელმწიფოს, ან სულ მცირე, სახელმწიფოთა დიდი ნაწილის თანხმობის გარეშე. ძალიან კარგად გვესმის ამგვარი მოთხოვნის მიზეზები: ფედერალური პაქტი აღიარებს მათი, როგორც ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსს, ანიჭებს მათ კონსტიტუციურ თავისუფლებას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებას; აქედან გამომდინარე, იგი წარმოადგენს მათი არსებობის უმთავრეს გარანტიას. მისი გადასინჯვა რომ ამ სახელმწიფოების გარეშე ყოფილიყო შესაძლებელი, ეს გამოიწვევდა არა მარტო მათი უფლებამოსილებების შეზღუდვას, არამედ ამით საფრთხე შეექმნებოდა მათ დამოუკიდებლობასაც.

მაგრამ ეს გარანტია მათთვის საკმარისი არ არის. თავიანთი მდგომარეობის გასამყარებლად სახელმწიფოები საკუთარ თავზე იღებენ ასევე საერთო ორგანოების შედგენასა და მუშაობაში მონაწილეობის უფლებას. ფედერალური კავშირის სიძლიერის შესაბამისად, საერთო მოწყობა იქნება მეტ-ნაკლებად დამოკიდებული წევრ სახელმწიფოებზე: ზოგჯერ ორგანიზაცია მხოლოდ წევრი სახელმწიფოების პირდაპირი წარმომადგენლებისგან იქნება შედგენილი, როგორც, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემთხვევაში; ზოგჯერ პირიქით, როგორც ფედერალურ სახელმწიფოში, სახელმწიფოები წარმოდგენილი იქნებიან მხოლოდ ზოგიერთ ორგანოში. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში და კავშირის სიძლიერის მიუხედავად, ფედერალურ ორგანიზაციაში მათ საკუთარი წარმომადგენელი ეყოლებათ. მაშასადამე, ფედერაციული ორგანიზაციის ნება, სრულად ან ნაწილობრივ, ჩამოყალიბდება წევრი სახელმწიფოების ნებიდან. კავშირის ნების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა, რა თქმა უნდა, მეტაფორულად ჟღერს და გავლენას ახდენს იმ უდავო რეალობაზე, რომ ფედერალური ორგანოების საკუთარი ნების სათავეში ყოველთვის ვხვდებით წევრების ინდივიდუალური ნების მეტ ან ნაკლებ წილს.

დ. უფლებამოსილებათა გადანაწილება

ნებისმიერი ფედერალური სისტემისთვის, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მისთვის მისაღებია კომბინირებული პოლიტიკური ინსტიტუციების არსებობა, აუცილებელია კავშირსა და მის წევრებს შორის ფუნქციათა განაწილება. რა თქმა უნდა, ფუნქციების გადანაწილება არის მართვისა და ადმინისტრირების ზოგადი მეთოდი, რომელიც საერთოა ყველა პოლიტიკური საზოგადოებისთვის. თუმცა ფედერაციულ საზოგადოებაში იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ხშირად ორიგინალურ მეთოდს წარმოადგენს. მაშასადამე, ამაში შეიძლება დავინახოთ ფედერალიზმის დამახასიათებელი ნიშანი.

გადანაწილების ტექნიკური მეთოდები, რომლებსაც ფედერალური რეჟიმი იყენებს, არის მრავალგვარი და ძალიან მოქნილი.

საფუძველში ვხვდებით მთავარ განსხვავებას ძირითად კომპეტენციასა და მინიჭებულ კომპეტენციას შორის. პირველი წევრ სახელმწიფოებს ეკუთნის, მეორე – ფედერალურ ორგანოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კავშირს აქვს მხოლოდ უფლებამოსილებები, რომლებიც ექსპრესიულად და კონკრეტულად არის აღიარებული ფედერალური პაქტით; შედეგად, ყველა დანარჩენი უფლებამოსილება რჩება წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში. ამგვარი გადანაწილება სახელმწიფოების სასარგებლოდ, აიხსნება მათი მხრიდან პრეროგატივებზე უარის თქმის სურვილის არქონით. ისინი იძულებულნი არიან გაერთიანდნენ და საერთო ხელისუფლებას დაექვემდებარონ, ისინი მათ აძლევენ შეზღუდულ უფლებამოსილებას, რომელიც აუცილებელია კავშირის მიზნის განსახორციელებლად.

აქედან გამომდინარე, მისი განსაკუთრებულობის გამო, ფედერალური ხელისუფლების კომპეტენცია არ შეიძლება გასცდეს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებს. პირიქით, ქვეყნებს გააჩნიათ ძირითადი კომპეტენცია, მათი უფლებამოსილება ვრცელდება ყველაფერზე, რისი ფორმალურად გადაცემაც კავშირისთვის არ მომხდარა. გაურკვევლობის შემთხვევაში სახელმწიფოთა კომპეტენცია არის ფედერაციის კომპეტენციაზე უპირატესი.

ეს გამოსავალი ძალიან სასარგებლოა წევრი ქვეყნების ავტონომიისთვის. თუმცა არ არის საჭირო მისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კომპეტენციები აქვს მინიჭებული ფედერალურ

ხელისუფლებას: ფართო გაგება ფედერაციას ყოველთვის მისცემს თავისი საკონსტიტუციო უფლებამოსილებების გაზრდის შესაძლებლობას. რაც უფრო მეტად გამყარდება კავშირი გაერთიანების წევრებს შორის, რაც თავისთავად მოითხოვს საერთო საერთო ზომების მიღებას, და რაც, შესაბამისად, გაამართლებს ფედერალური ხელისუფლების ჩარევას, მით უფრო მარტივად შეძლებს ამის გაკეთებას.

ამ ძირითად კომპეტენციასთან დაკავშირებული რეგულაციის გარდა, და იმისათვის, რომ იგი უფრო სრულყოფილი გახდეს, მას ემატება ექსკლუზიური კომპეტენციის მეთოდი. ექსკლუზიური კომპეტენცია ეწინააღმდეგება მსგავს კომპეტენციას. როდესაც კომპეტენციის მიკუთვნება ხდება ექსკლუზიურად, სფერო, რომელსაც ექსკლუზიური უფლება მოიცავს, მხოლოდ ამ კომპეტენციის მფლობელის მიერ შეიძლება დარეგულირდეს. თუ კომპეტენცია არის მსგავსი, იგი თანაბრად ეკუთვნის კავშირს და მის წევრებს; საჭირო იქნება მხოლოდ შესაძლო კონფლიქტის მოგვარება ფედერალურ და ქვეყნის კანონმდებლობას შორის; ფედერალური კავშირის სიძლიერიდან გამომდინარე, უპირატესობა ხან ერთს მიენიჭება, ხან მეორეს.

ასევე შესაძლებელია, რომ ზოგჯერ ფედერალურმა პაქტმა ფედერალურ ხელისუფლებას მიაწოდოს ახალი კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის უფლება და წევრ სახელმწიფოებს დაუტოვოს შესაძლებლობა, ყველა საჭირო დამატებითი ზომის მისაღებად და მის განსახორციელებლად. აქ ჩნდება ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დელიკატური შეკითხვა: დამატებითი ღონისძიებები არის თუ არა შესაბამისობაში იმ პრინციპებთან, რომლებიც მის საფუძველს წარმოადგენს? ნამდვილად დამატებით ზომებზეა საუბარი?

ბოლოს, მათი ძირითადი კომპეტენციის მიუხედავად, ზოგჯერ სახელმწიფოები ცდილობენ ერთმნიშვნელოვნად შეინარჩუნონ გარკვეული უფლებამოსილებები. როგორც წესი, ეს არის მათთვის განსაკუთრებით ძვირფასი უფლებამოსილებები, რომელთა დაკარგვაც არავითარ შემთხვევაში არ სურთ. ფედერალური კონსტიტუციის გადასინჯვასაც კი არ შეუძლია მათი თანხმობის გარეშე სახელმწიფოებისთვის ამ უფლების ჩამორთმევა.

ე. საარბიტრაჟო ტიპის სასამართლო ორგანოს შექმნა

უფლებამოსილებათა გადანაწილების მეთოდების მრავალფეროვნება და კომპლექსურობა, მმართველთა ორი სახის მითითება, ურთიერთქმედება და ნებისმიერი ფედერაციული სისტემისთვის დამახასიათებელი უთანხმოებები აუცილებლად გამოიწვევს კონფლიქტებს. თუ ისინი ვერ მოძებნიან მშვიდობიან გამოსავალს, გრძელვადიან მომავალში ამით საფრთხე შეექმნება თავად კავშირის არსებობას. სადავო საკითხების მშვიდობიანი მოგვარების გზა მით უფრო აუცილებელია, რომ ფედერალური პაქტით მკაცრად იკრძალება ფედერაციის შიგნით ძალის გამოყენება. ამასთან, ყოველთვის არის შესაძლებლობა სასამართლო გზით დავის წარმოებისა და სპეციალური ორგანოს შექმნისა, რომელიც მას წარმართავს. ყველა ფედერაციული სისტემა დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს შექმნას მოითხოვს.

ფედერაციული სასამართლო ორგანოს ტიპი დამოკიდებულია ფედერაციული საზოგადოების სიმჭიდროვის დონეზე.

არის თუ არა თუ ეს სიმჭიდროვე სუსტი, ცენტრიდანული ძალები საკმარისად ძლიერი, ხოლო პარტიკულარიზმი ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანი? იმისათვის რომ კავშირი შედგეს, საკმარისია მან მოირგოს საერთაშორისო საზოგადოებისგან ნასესხები სარეგულაციო სისტემა. ფედერალური პაქტი წევრ-სახელმწიფოებს ავალდებულებს მიმართონ შერიგების გზას - უმეტესად არბიტრაჟს, ამიტომ მათ უტოვებს უფლებას, ან თავად იზრუნონ სასამართლოს შექმნაზე ან დავები მოსაგვარებლად გადასცენ ფედერალურ ხელისუფლებას.

უფრო განვითარებულ ფედერალურ გაერთიანებაში პაქტი თავად დააარსებს სასამართლო ორგანოს. ეს იქნება ფედერალური უზენაესი სასამართლო, რომელიც დაკომპლექტდება პროფესიონალი მოსამართლეებით. პროფესიონალი მოსამართლეების დასახელებაში სახელმწიფოები ფედერალურ მთავრობასთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას. საარბიტრაჟო ტიპი, რომელიც უკვე მგრძნობიარეა სასამართლოს შემადგენლობაში, ასევე გამოირჩევა მისთვის მიცემული კომპეტენციით. სასამართლომ უნდა

განიხილოს ყველა კონფლიქტი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფედერაციის შიგნით, როგორც წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში, ასევე მათ ფედერალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. სასამართლო კონფლიქტებს მოაგვარებს ფედერალური პაქტის პირობების შესაბამისად, რომლის გამომხატველიც და ამავდროულად დამცველიც ის არის.

სწორედ სასამართლო უზრუნველყოფს სამართლებრივი ნორმის უზენაესობას, მოცემულ შემთხვევაში კონსტიტუციური პაქტით, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ, არის ფედერალიზმის მამოძრავებელი ძალა.

სასამართლოს როლი უფრო მნიშვნელოვანიც კი არის. კონსტიტუციაში საჭირო ცვლილებების შეტანის მიზნით, მას მოუწევს ფეხი აუწყოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობების მუდმივ ცვლილებებს. ადაპტირებისა და შეცვლის ამ დელიკატურ სამუშაოში სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეცადოს, არსებული ინტერესების ჯანსაღი ჰარმონიზაციით აღადგინოს ფედერალური ბალანსი, რაც აუცილებელია კავშირის შესანარჩუნებლად. რეალურად, შეუძლებელია ფუნქციის მნიშვნელობის გადაჭარბება, რომელიც ფედერალურმა მართლმსაჯულებამ უნდა შეასრულოს ფედერაციაში.

ასეთია იმ მექანიზმის სხვადასხვა მამოძრავებელი ძალა, რომელსაც ფედერალიზმი თავისი მიზნების შესასრულებლად იყენებს. იგი შესანიშნავად ეფარდება ფედერაციული პრინციპის უმთავრეს ნიშან-თვისებებს და ეს არის მისი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ასპექტი.

პირველ რიგში იგი პატივს ცემს მის სულისკვეთებასა და დიალექტიკას. ურთიერთსაწინააღმდეგო ტერმინების არსებობა და დაბალანსება იურიდიულ თეორიაში გამოიხატება ერთი მხრივ, წესწყობილებითა და გლობალური ერთობით, ხოლო მეორე მხრივ წევრი სახელმწიფოების საბოლოო გადაწყვეტილების უფლებით. ბალანსის იდეა გამოიხატება უფლებამოსილებების გადანაწილებაში და, როგორც ბალანსის შემადგენელი ნაწილები მუდმივად განიცდიან რხევებს, ისე ფედერალური და ადგილობრივი მთავრობებისთვის მინიჭებული უფლებების მოცულობა იცვლება მუდმივად ფედერალურ ურთიერთდამოკიდებულებაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად. ის მისგან შეიძენს მოქნილობას და კომპლექსურობას. მოქნილობა ფედერალიზმს საშუალებას აძლევს გამოყენებულ იქნეს ფედერალიზმის ნებისმიერი პოზიტიური მიღწევის დროს - როგორც

ყველაზე მარტივზე, ისე - ყველაზე რთულზე. მეორე მხრივ, კომპლექსურობა მას საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს ფედერალური ინსტიტუტების ექსტრემალური სხვადასხვაგვარობა.

ფედერალიზმის ფორმები

ფედერალიზმის კონკრეტული გამოხატულება იცვლება დაუსრულებლად. თითოეულ პოზიტიურ გამოცდილებას აქვს საკუთარი მახასიათებლები, რომლებიც სხვა გამოცდილების მახასიათებლებისგან განსხვავდება. თითოეულს გააჩნია განსაკუთრებული ასპექტი, რომელიც განპირობებულია იმ დროს არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოებებით. ფორმულა იმდენად მოქნილია, რომ უამრავ სხვადასხვა სახის ფაქტს შეესაბამება გამოყენების ასევე მრავალფეროვანი ფორმა. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს აბსოლუტურად იდენტური ფედერაციული სისტემა.

თუმცა, რეალობის გაუთვალისწინებლობა იქნება, თუკი არ შევეცდებით და ფედერალისტების ყველანაირი გამოცდილების სინთეზსა და სისტემატიზაციას რამდენიმე ძირითად ტიპამდე არ დავიყვანოთ. ამგვარი კლასიფიკაცია გამართლებულია იქიდან გამომდინარე, რომ იგი ეყრდნობა მნიშვნელოვან პოლიტიკურ განსხვავებებს და, ამავდროულად, გვეხმარება ფაქტების უკეთ გათავისებაში. თუ ცოტათი რეალობასაც გადავხედავთ, ეს დაგვეხმარება მის უკეთ გაგებაში.

იმის მტკიცება, რომ არავითარი განსაკუთრებული ნიშანი არ განასხვავებს 1815 წლის გერმანიის კონფედერაციას 1871 წლის გერმანული იმპერიისგან, არაბულ სახელმწიფოთა ლიგას - ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებისგან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისგან, ეს უდავოდ არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური რეალობის უგულებელყოფა. ერთი მხრივ, ჩვენ მოწმენი ვართ სუვერენული სახელმწიფოების უბრალო გაერთიანებისა, მეორე მხრივ - ნამდვილი ფედერაციისა. ურთიერთობების პოლიტიკურმა გავლენამ შექმნილ გაერთიანებასა და გაერთიანებაში შემავალ სუბიექტებს შორის არ შეიძლება მიიღოს იგივე ფორმა ან ორივე შემთხვევაში იყოს მსგავსი ტიპის; გაერთიანებაში მთავარ როლს წევრი სახელმწიფოები ასრულებენ, გაერთიანება ეყრდნობა მათ, იგი მხოლოდ მათით ცოცხლობს და მათგან იღებს თავის ძალასაც და ძალაუფლებასაც. ფედერაციაში მთავარი როლი ფედერალურ სახელმწიფოს ეკისრება; წევრ სახელმწიფოებზე დაყრდნობით ის საკუთარ ძალაუფლებას პირდაპირ ხალხისგან იღებს და ეს მას მნიშვნელოვან ძალას აძლევს. განსხვავება აშკარაა და

სწორედ ამ განსხვავებაზე დაყრდნობით, იურიდიულმა მეცნიერებამ დაადგინა კარგად ცნობილი განსხვავება სახელმწიფოთა კონფედერაციასა (Staatenbund) და ფედერალურ სახელმწიფოს (Bundestaaten), ფედერაციული მოწყობის ორ მთავარ ფორმას შორის.

A. სახელმწიფოთა კონფედერაცია

სახელმწიფოთა კონფედერაცია საერთო ხელისუფლებისმქონე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირია, რომელიც წარმოადგენს სამართლის სუბიექტს და რომელსაც გააჩნია მუდმივმოქმედი ორგანოები.

სახელმწიფოთა კონფედერაცია არის სახელმწიფოთაშორისი კავშირის ფორმა, რომელიც არასდროს შეწყვეტს არსებობას. ის პასუხობს საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივ საჭიროებას. ყოველთვის, როცა რამდენიმე მეზობელი ქვეყანა გაერთიანებულია მატერიალური და სულიერი კავშირებით, განსაკუთრებით, თუ მათ ემუქრებათ საერთო საფრთხე, ის იღებს გადაწყვეტილებას მათი კავშირის შესაქმნელად, რათა ერთობლივი ძალისხმევით იბრძოლონ და ამ გზით უფრო იოლად მიაღწიონ საერთო მიზანს. ისინი აფორმებენ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლითაც, საკუთარ დამოუკიდებლობაზე უარის თქმის გარეშე ქმნიან ახალ საერთაშორისო გაერთიანებას, რომელიც იმოქმედებს ყველას სახელით გარკვეულ სფეროებში.

1. სახელმწიფოთა კონფედერაციის სამართლებრივი ხასიათი

ვინაიდან სახელმწიფოთა კონფედერაციის ძირითადი მახასიათებელია ხელისუფლების არსებობა, რომელიც საკუთარ თავზე იღებს ზოგიერთი უფლებამოსილების განხორციელებას ყველა მოკავშირე სახელმწიფოს სახელით, პირველ რიგში ისმის კითხვა, როგორია ამ ორგანოს სამართლებრივი ხასიათი? ეს არის მოკავშირე სახელმწიფოებზე

ზემდგომი სახელმწიფო? და თუ არ არის სახელმწიფო, მაშინ რა სამართლებრივი კვალიფიკაცია შეესაბამება მას?

- a. - სახელმწიფოთა კონფედერაცია არ არის მის სუბიექტ სახელმწიფოებზე ზემდგომი სახელმწიფო.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომელიც ხელს გვიშლის ვადიაროთ კონფედერაციის სახელმწიფოებრივი ხასიათი.

უპირველეს ყოვლისა, კონფედერაციას არ გააჩნია ნამდვილი სახელმწიფოებრივი მოწყობა. დროის უმეტეს ნაწილში მას მხოლოდ ერთი ორგანო, კონგრესი ან სეიმი აქვს, რომელიც სახელმწიფოების მიერ დანიშნული თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებისგან შედგება. თითოეულ წარმომადგენელს, საგარეო საქმეთა მინისტრს ან მის უფლებამოსილ პირს აქვს მხოლოდ ერთი ხმა. ის ექვემდებარება მითითებებს, რომლებსაც მთავრობისგან იღებს. კონგრესი ან სეიმი იკრიბება საერთაშორისო კონფერენციაზე, ოღონდ იმ მცირე განსხვავებით, რომ ეს მუდმივი კონფერენცია პერიოდულად იკრიბება და ახორციელებს საერთაშორისო უფლებამოსილებას. რა თქმა უნდა, არც ის არის გამორიცხული, რომ სახელმწიფოთა კონფედერაციას გააჩნდეს უფრო განვითარებული მოწყობა: პრეზიდენტი, როგორც ამერიკის კონფედერაციის ქვეყნებს ან ნიდერლანდების გაერთიანებულ პროვინციებს, სამდივნო და შესაბამისი მოხელეები, როგორც არაბული სახელმწიფოების ლიგას, მაგრამ როგორც უნდა იყოს მისი განვითარება, წევრი სახელმწიფოები ყოველთვის ინარჩუნებენ პოლიტიკურ ასამბლეაში პირდაპირ წარმომადგენლობას და ამ პოლიტიკური ასამბლეის წევრები მის მითითებებს ემორჩილებიან.

არც ნამდვილი საკანონმდებლო ფუნქცია არსებობს კონფედერაციაში; არ არსებობს ორი სახის კანონი, როგორც ფედერალურ სახელმწიფოში: კონფედერაციული და სახელმწიფოს კანონი. ყველაზე ხშირად კონფედერაციის გადაწყვეტილებები იძენენ რეკომენდაციის სახეს, რაც წევრ სახელმწიფოებზე აუცილებლად ვრცელდება, მაგრამ ცალკეულ სუბიექტებთან მიმართებით მხოლოდ მათი ქვეყნის კანონმდებლობაში ასახვის შემდეგ გამოიყენება. მაშასადამე, ცალკეული სუბიექტები პირდაპირ არ ექვემდებარებიან

კონფედერაციის ორგანოებს, რადგან არა აქვთ მათთან უშუალო კავშირი და, აქედან გამომდინარე, გაერთიანების ნაწილად ავერ გრძნობენ თავს. კონფედერაციაში არც აღმასრულებელი ხელისუფლება და საერთო სასამართლოები არსებობენ. დაბოლოს, თითოეული სახელმწიფო ინარჩუნებს ეროვნულ არმიას და იღებს ვალდებულებას, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იყოს არმია კონფედერაციის განკარგულებაში. ყველა ამ თვალსაზრისით, კონფედერაციული ორგანო მთლიანად არის დამოკიდებული კონფედერაციის წევრ სახელმწიფოებზე, რომელთა ხელში კვლავ რჩება უზენაესი ძალაუფლება. შედეგად, კონფედერაცია მათ ვერ მოახვევს თავის ნებას; მას არ შეუძლია იმ უფლებამოსილების წრიდან გამოსვლა, რომელიც მას კონფედერაციის წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარი ნებით გადასცეს.

ამ ბოლო დასკვნაზე კი განსაკუთრებით მკვეთრ ხაზგასმას ვერ გავაკეთებთ: კონფედერაციის სუბიექტები არიან თავად სახელმწიფოები და არა ცალკეული სუბიექტები, რომლებიც მას შეადგენენ. კონფედერაციაში არ არის საერთო ხალხი, ერთიანი ეროვნება, მაგრამ იმდენივე ხალხი და ეროვნებაა, რამდენ წევრსაც კონფედერაცია ითვლის. ამას შედეგად მოსდევს ის, რომ კონფედერაციას არ შეუძლია წევრი სახელმწიფოების ცალკეულ სუბიექტებთან ურთიერთობაში შესვლა, მაგრამ ამ პრინციპს, მიუხედავად იმისა, რომ ის შეესაბამება სახელმწიფოთა კონფედერაციის ტიპს, არ გააჩნია აბსოლუტური წვდომა; არაფერი უშლის ხელს წევრ სახელმწიფოებს, კონფედერალური ორგანოსთვის ამგვარი უფლების გადაცემით, მას ამავედროულად გადასცენ ამ უფლებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ორგანოების პირდაპირი იძულების უფლება. რეალურად, კონფედერაციის პირდაპირი ძალაუფლება ცალკეულ სუბიექტებზე ხშირად არ გვხვდება.

b. - კონფედერაცია არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი

თუ კონფედერაცია არ არის სახელმწიფო, არ უნდა დავასკვნათ, როგორც ეს ზოგიერთმა ავტორმა გააკეთა, რომ მას არ გააჩნია საკუთარი სამართლებრივი იდენტობა და რომ იგი მხოლოდ სამართლებრივ ურთიერთობას - *vinculum juris* - წარმოადგენს ზოგიერთი

ამხანაგობის სახელწოდებას, რომელიც კონფედერაციულ კავშირში შემავალ სახელმწიფოებს აღნიშნავს და, შესაბამისად, მხოლოდ ამ სახელმწიფოებს ეკუთვნის კონფედერაციის მიერ განახორციელებული უფლებები.

ასევე ხშირად იმასაც ამტკიცებენ, რომ არავითარი არსებითი განსხვავება არ არსებობს კონფედერაციასა და უბრალო ალიანსს შორის, კონფედერაცია რეალურად მხოლოდ „მუდმივი და ორგანიზებული ალიანსია“, მაშასადამე კონფედერაცია არის ალიანსის ყველაზე სრულყოფილი ფორმა.

გარკვეული თვალსაზრისით, ეს განსხვავებული შეხედულებები შეესაბამება რეალობას. თუმცა ისინი ცდებიან, როცა სიმართლის მხოლოდ ნაწილს გვიჩვენებენ და არა იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

ის, რომ *casus foederis* და მუხლი ურთიერთდახმარების შესახებ კონფედერაციასა და ალიანსში ერთი და იგივეა, ამას არავინ უარყოფს. მაგრამ კონფედერაციაში აღარ გვხვდება ერთი უდავო გარემოება, კერძოდ: ახალი პოლიტიკური გაერთიანების შექმნის ნება. ალიანსი მხოლოდ წარმავალ კავშირს ქმნის: როცა საფრთხე გაჩერება, პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვლება, ალიანსი დაიშლება. ეს დადასტურდა 1936 წლის ინგლის-ეგვიპტის კავშირის შესახებ ხელშეკრულების გაუქმებით. ეს არის ყველაზე შესაფერისი მაგალითი, რადგან საქმე ეხება ერთიმეორისგან გეოგრაფიულად ორ ძალიან დაშორებულ ქვეყანას. მანძილი ხელს არ უშლის კავშირის არსებობას.

განვიხილოთ, პირიქით, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა ან დასავლეთ კავშირი (ბრიუსელის 1948 წლის ხელშეკრულება), ორივე წარმოადგენს კონფედერაციის სუსტ ტიპს. ორივე შემთხვევაში ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც აერთიანებს გეოგრაფიულად ახლო მდებარე ქვეყნებს, ნაკლებ აქცენტს აკეთებს გარანტიის მუხლზე, ვიდრე ხელშემკვრელი სახელმწიფოების ხალხებს შორის არსებულ მატერიალურ და სულიერ კავშირებზე.

ამ ხელშეკრულებებით ჩვენ მოწმენი ვართ უფრო ხანგრძლივი კავშირის, ახალი და უმაღლესი პოლიტიკური გაერთიანების შექმნისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯის.

ზუსტად ამ მიზეზის გამო კონფედერაციას გააჩნია საკუთარი მოწყობა და გადაეცემა ზოგიერთი საერთაშორისო უფლებამოსილება, ზოგჯერ ცალკე, ზოგჯერ წევრ სახელმწიფოებთან ერთობლივად. ასევე ხშირად კონფედერაციულ გაერთიანებაში გადაწყვეტილება მიიღება უმრავლესობით, რაც ადასტურებს, რომ კონფედერაციის ნება არ არის დაფუძნებული კონფედერაციაში შემავალი სახელმწიფოების ინდივიდუალურ ნებაზე.

საბოლოოდ, კონფედერაცია წარმოადგენს საერთაშორისო გაერთიანებას, რომელიც საერთაშორისო სამართლიდან მომდინარეობს და გააჩნია საკმაოდ შეზღუდული უფლებამოსილებები ფედერალური ხელშეკრულების ფარგლებში.

2. - წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი მდგომარეობა

კონფედერაციაში შესვლით სახელმწიფოები არ კარგავენ სახელმწიფოს თვისებას საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. მაშასადამე, ისინი ინარჩუნებენ თავიანთ სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას. შედეგად საერთაშორისო სამართალი მათ მიმართ, შეიძლება ითქვას, რომ გამოიყენება. მაგრამ კონფედერალური ხელშეკრულების პირობების პროპორციულად კერძო საერთაშორისო სამართალი ანაცვლებს ზოგად საერთაშორისო სამართალს. წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი მდგომარეობის გარკვევა ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რა განსაკუთრებული წესები ცვლის საერთაშორისო სამართლის ჩვეულებრივ წესებს. ხელშეკრულებით გარკვეულწილად იზღუდება წევრი სახელმწიფოების დამოუკიდებლობა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს წევრი სახელმწიფოების ნებაყოფლობით ხდება, შეზღუდვები მაინც გარკვეულ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული.

a. - უფლებამოსილებების გადანაწილება კონფედერაციასა და წევრ სახელმწიფოებს შორის

საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვაოთ:

- უფლებამოსილებები, რომლებიც ხორციელდება უცხო ქვეყნებთან ურთიერთობაში;
- უფლებამოსილებები, რომლებიც ხორციელდება შიდა ურთიერთობებში კონფედერაციის შიგნით.

უცხო სახელმწიფოებთან მიმართებით ცალკეული სახელმწიფოები ინარჩუნებენ თითქმის ყველა საერთაშორისო კომპეტენციას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვების გარდა.

ომის უფლება წარმოადგენს კავშირის არსებობისთვის ყველაზე სახიფათო უფლებას. იგი ასევე განიცდის მნიშვნელოვან შეზღუდვებს. ხშირად ქვეყნები საერთოდ კარგავენ მას, უფრო ხშირად მათ ომის წარმოება შეუძლიათ უცხო სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში და იმ პირობით, რომ იგი მოუხმობს კონფედერაციას.

სამაგიეროდ, მათ აქვთ დიპლომატიური მისიის კანონი, რომელსაც ისინი ხშირად კონფედერაციასთან ერთად ახორციელებენ. სხვათა შორის, ეს კომპეტენცია მჭიდროდაა დაკავშირებული ხელშეკრულების გაფორმებისა და უცხო სახელმწიფოებთან პირდაპირი მოლაპარაკების წარმოების უფლებასთან. და, როგორც კონფედერაციების დიდ ნაწილში, ქვეყნები გარკვეულწილად ინარჩუნებენ უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დადების უფლებას, პაქტი ამავდროულად ცნობს მათ დიპლომატიური მისიის აქტიურ და პასიურ უფლებას. როგორც წესი, თუ კონფედერაციის დიპლომატიური წარმომადგენლობა არსებობს, ის ბევრად უფრო ძლიერადაა ორგანიზებული, იმდენად ძლიერად, რომ თითოეული წევრი სახელმწიფოს ორგანიზება უკანა პლანზე გადადის.

რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმებას, კონფედერაციის შეთანხმებები თითქმის არასდროს შეიცავენ ზოგად დებულებებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენებოდეს ყველა ხელშეკრულებასთან მიმართებით. რაღა თქმა უნდა, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ პოლიტიკური ხელშეკრულებები, სავაჭრო და უცხო ქვეყნის მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის შესახებ ხელშეკრულებები და ა.შ.. როგორც წესი, ქვეყნები კარგავენ პოლიტიკური ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობას, როგორცაა, მაგალითად, კავშირის ან ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც ხელშეკრულების

მიზანთან შეუთავსებელია, მაგრამ მათ რჩებათ ეკონომიკური ხელშეკრულების ან სხვა ისეთი ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა, რომელიც ისეთივე სახიფათო არ ჩანს.

ერთმანეთთან ურთიერთობაში კონფედერაციის წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან ბევრად უფრო მნიშვნელოვან შეზღუდვებს. მათ სრულად ეკრძალებათ ომის წარმოება. მათ შორის წარმოქმნილი ყველა დავა სავალდებულოა მოგვარდეს მშვიდობიანად, ან არბიტრაჟის, ან ფედერალური სეიმის ჩარევის გზით. მაგრამ ვის დაეკისრება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ან სეიმის რეკომენდაციის აღსრულება? რადგან კონფედერაციისთვის უცნობია ის, რასაც „ფედერალურ აღსრულებას“ უწოდებენ, აღსრულება თავად სახელმწიფოებს დაეკისრება. რამდენიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში, და გარდა ურჩი სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის წარმოებისა, საარბიტრაჟო სასამართლოს ან სეიმის გადაწყვეტილება შეიძლება დარჩეს ფარატინა ფურცლად. ასე იქნება ყოველთვის, როცა განწირული სახელმწიფო ჩათვლის, რომ მისი „სასიცოცხლო ინტერესები“, მისი „ევროვნული ღირსება“ საფრთხის ქვეშ დგება.

კონფედერაციის წევრმა სახელმწიფოებმა, რომელთა სრულუფლებიანობა სისტემატურად ხვდება სეიმში, შეუძლიათ სახელმწიფო ფინანსების სასარგებლოდ, ისე რომ ამით არანაირი უხერხულობის არ იგრძნონ, უარი თქვან თავიანთ დედაქალაქებში დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუფუნებაზე. თუმცა, რეალურად, პრესტიჟისა და ეროვნული თვითშეგნების გამო, ისინი კვლავ განაგრძობენ დიპლომატიური მოხელეების გაგზავნას.

შეუძლიათ თუ არა მათ ერთმანეთში ხელშეკრულების დადება? ისევე როგორც უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, კონფედერაციული შეთანხმება არ ადგენს რაიმე ზოგად წესს. ყველაფერი დამოკიდებულია შეთანხმების ხასიათზე. საზოგადოებრივი ხელშეკრულებების დადება სრულადაა აკრძალული: დაუჯერებელი იქნებოდა, რომ კონფედერაციის წევრ სახელმწიფოებს ამ კავშირის შიგნით შეექმნათ ალიანსი, მჭიდრო კავშირიც კი, ისე რომ ფედერაციისთვის საფრთხე არ შეექმნათ. სამაგიეროდ, მათ შეუძლიათ ერთმანეთთან გააფორმონ ნაკლებად მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, როგორცაა, მაგალითად, მართლმსაჯულების ადმინისტრირების ან ეკონომიკური საკითხების მოგვარება.

b. - კონფედერაციის წევრი ქვეყნების მონაწილეობა კონფედერაციული ორგანოს შექმნაში

საერთო ორგანო მომდინარეობს სახელმწიფოებიდან, კონსტიტუციური სტატუსი, უფრო მეტად კონსტიტუციის მსგავსი ხელშეკრულება, არის მათი ნების გამოხატულება. ყველა ხელშეკრულების მსგავსად, იგი შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ ხელშემკვერელი მხარეების საერთო შეთანხმებით. თუ კონკრეტული ხელშეკრულება ითვალისწინებს სხვა ტიპის გადასინჯვას, მაგალითად, ორი მესამედის უმრავლესობით, მხარეები თანხმდებიან, რომ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხმა წინააღმდეგ მისცეს, შეეძლებათ დატოვონ კავშირი.

მხარეები ასევე მონაწილეობენ კონფედერაციის ყველა გადაწყვეტილების შემუშავებაში. სეიმი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, შედგება, როგორც ვნახეთ, „სრული უფლებამოსილებით“ და სავალდებულო მითითებებით აღჭურვილი სახელმწიფო წარმომადგენლებით. მაშასადამე, სეიმი არ არის პარლამენტი, სადაც უმრავლესობის ნება უმცირესობას აიძულებს. უმრავლესობის წესი რომც მოქმედებდეს, მიღებული გადაწყვეტილებები უფრო მეტად დაემსგავსება დიპლომატიურ გამოსავალს, რომელიც კომპრომისს უფრო წააგავს, ვიდრე საპარლამენტო ასამბლეების მიერ მიღებულ კანონს

ასე, რომ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება მთლიანადაა დამოკიდებული კონფედერაციის წევრი სახელმწიფოების კეთილ ნებაზე. კონფედერაცია მოკლებულია ყველანაირ შესაძლებლობას, თავად უზრუნველყოს მისი შესრულება. ყველაზე ბევრი, რაც შეუძლია კონფედერაციას, არის ის, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფოს შეახსენოს მის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება, არ დაარღვიოს ფედერალური შეთანხმების პირობები.

ანულირების და გამოყოფის უფლებამ კიდევ უფრო განამტკიცა კონფედერაციის წევრი ქვეყნების სამართლებრივი მდგომარეობა. ეჭვგარეშეა, ყველაზე ხშირად კონფედერაციის ხელშეკრულება თავს იკავებს მათი *expressis verbis* ჩამოთვლისგან, მაგრამ ეს პასიურობა

სახელმწიფოებს ხელს არ უშლის ისინი თავიანთ სასარგებლოდ მოითხოვონ. ამისათვის იშველიებენ სუვერენიტეტის პრინციპს და უფლებას, რომელიც მათგან გამომდინარეობს - იმოქმედონ თავიანთი შეხედულებისამებრ, როდესაც საქმე მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან ინტერესებს ეხება.

ანულირების უფლებით სახელმწიფოები იტოვებენ შესაძლებლობას, უკუაგდონ კონფედერაციული ორგანოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ზიანს აყენებს მათ ფუნდამენტურ უფლებებს ან, კლასიკური ფორმულირებით, მათ „სასიცოცხლო ინტერესებს“. ასევე, როდესაც კავშირის გაგრძელება საფრთხის ქვეშ აყენებს მათ დამოუკიდებლობას, ისინი დაუყოვნებლივ ტოვებენ კავშირს, მათი კავშირიდან გასვლის შედეგების ბოლომდე გათვალისწინების გარეშე.

ყველაფერი ეს ხსნის, თუ რატომ წარმოადგენს კონფედერაცია ავტორთა საერთო შეხედულებით, და ამგვარი მოსაზრება შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულად დადასტურებულად, ორგანიზაციის ნაკლებად დამაკმაყოფილებელ და მდგრად ფორმას. კონფედერაცია, რომელსაც არ შეუძლია მისთვის დაკისრებული მიზნის შესრულება - სახელმწიფოების დაცვა გარეთ და შიგნით წესრიგის შენარჩუნება - შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ გარდამავალი ფორმის ერთ სახეს. კონფედერაცია უძლურია უცხო სახელმწიფოთა პირისპირ, სუსტი საკუთარი წევრების მიმართ. კონფედერაცია არის წარუმატებელი ფორმა, რომელიც, როგორც ეს 1815 წლის გერმანიის კონფედერაციასთან დაკავშირებით აღინიშნა: „ის გარეშე ქვეყნებისთვის დაცინვის საგანია, ხოლო წევრი ქვეყნებისთვის სევდის მომგვრელი“.

თეორია, ისევე როგორც ისტორია, ადასტურებს, რომ ადრე თუ გვიან, კონფედერაცია განწირულია დაშლისთვის ან, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ის გადაიზრდება უფრო მჭიდრო კავშირში - ფედერაციაში.

B. ფედერაცია თუ ფედერაციული სახელმწიფო

ფედერაცია არის სახელმწიფო, რომელიც ერთდროულად შედგება ინდივიდებისა და სახელმწიფოებისგან, სადაც წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ თავიანთ ინდივიდუალურობას და მონაწილეობენ ფედერალური ხელისუფლების შედგენასა და მუშაობაში.

ნებისმიერი ფედერაციისთვის დამახასიათებელია ორმაგი ასპექტი: გარკვეულწილად იგი წარმოადგენს დამოუკიდებელი გაერთიანებების კავშირს, მეორე მხრივ, იგი სუბიექტებისგან შემდგარი უნიტარული სახელმწიფოა. ფედერალური სახელმწიფოს ეს ორმაგი ბუნება, რომელიც შეესაბამება ფედერალისტურ დიალექტიკას, არ არსებობს სირთულეებისა და გართულებების გარეშე, თუმცა ის გარდაუვალია, რადგან პასუხობს წევრი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის მოთხოვნას, ამავდროულად კი, სათანადოდ მოწესრიგებულ ერთ მთლიანობაში აქცევს მათ.

1. ის, რომ ფედერალური სახელმწიფო წარმოადგენს სახელმწიფოთა ერთობლიობას, მის ურთიერთობებში ორი მიმართულებით იჩენს თავს:
 - ერთი მხრივ მის პოზიციაში ფედერაციის წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში;
 - მეორე მხრივ - მის პოზიციაში უცხო სახელმწიფოებთან მიმართებაში.

- a) რაც შეეხება მის ურთიერთობებს ფედერაციის წევრ სახელმწიფოებთან, საკმარისი იქნება იმის შეხსენება, რაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ფედერალიზმის მოწყობის მეთოდებთან დაკავშირებით.

1. კომპეტენციების გადანაწილება ფედერალურ ხელისუფლებასა და წევრ სახელმწიფოებს შორის

უკვე ამ პირველი საკითხის თვალსაზრისით, კონსტიტუცია ფედერალურ სახელმწიფოს დუალისტურ სტრუქტურას აძლევს. გადანაწილების სხვადასხვა ტექნიკურ მეთოდზე ხელახლა საუბრის გარეშე უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგადი წესით ფედერაციის წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ ძირითად კომპეტენციას და ფედერალურ ხელისუფლებას მხოლოდ შეზღუდულ უფლებამოსილებებს გადასცემენ. ეს უფლებამოსილებები განსაკუთრებით გამოიხატება უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობაში; რეალურად იშვიათია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა დაიტოვეს საერთაშორისო უფლებამოსილებები. შიგნით, ფედერალური სახელმწიფოს უფლებამოსილებები მხოლოდ საერთო ინტერესის ზოგიერთ სფეროზე ვრცელდება, როგორცაა, მაგალითად, არმია, ეკონომიკა, ტრანსპორტი და ა.შ.. ყველა დანარჩენი უფლებამოსილება წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების კომპეტენციას.

თუმცა შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ფედერალური სახელმწიფოს უფლებამოსილებები არის მუდმივი და უცვლელი. პირიქით, საწინააღმდეგო შეხედულებაა სწორი. ფედერალური კავშირის განმტკიცებას ყოველთვის ახლავს თან ფედერალური უფლებამოსილებების გაფართოება. ეკონომიკური და სოციალური განვითარება, მეორე მხრივ კი, ის ცვლის საჭიროებების ხასიათს, ზრდის იმ საქმიანობათა რიცხვს, რომელიც სცდება ქვეყნის ფარგლებს და მოითხოვს ისეთსავე გაფართოებას. როდესაც კონსტიტუციის ტექსტი ამგვარი გაფართოების საშუალებას არ იძლევა, გამოიყენება სამართლებრივი თუ მატერიალური ხასიათის ნებისმიერი საშუალება. ასეთია, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოდგენილი საგულისხმო უფლებამოსილებების ან სუბსიდირების მეთოდის შესახებ ცნობილი დოქტრინა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა. იგი ფედერალურ მთავრობას საშუალებას აძლევს მოახდინოს წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის სტიმულირება სახელმწიფოთა შორის სახელმწიფო ორგანოების შესაქმნელად, რომლის საქმიანობა შეიძლება გავრცელდეს რამდენიმე მათგანის ტერიტორიაზე. ამ სტრუქტურების მართვა დაეკისრება დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ მითითებულ ორგანოებს, ხოლო ფედერალური მთავრობა შემოიფარგლება მათი ფინანსური მხარდაჭერით. აქ საყურადღებოა ფედერალურ მთავრობასა და ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ფორმა.

2. **კონსტიტუციური ავტონომია.** ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც განსხვავდება ფედერალური სახელმწიფოს კონსტიტუციისგან. კონსტიტუციური ავტონომია იშვიათად არის აბსოლუტური; იგი შეზღუდულია, გამომდინარე იქიდან, რომ ფედერალური კონსტიტუცია განსაზღვრავს ქვეყნების კონსტიტუციათა ნორმებს. კერძოდ, საუბარია გარკვეულ ძირითად პრინციპებზე, რომლებიც წარმოადგენს ყველას საერთო მემკვიდრეობას და რომლებსაც ეფუძნება ფედერაციის მშენებლობა. ვერცერთი პოლიტიკური გაერთიანება ვერ იარსებებს ამ საერთო პოლიტიკური მრწამსის გარეშე. ევროპის საბჭოს წესდება სწორად აღნიშნავს ამის შესახებ თავის პრეამბულაში.

საერთო და სავალდებულო ნორმების შესაბამისად, ქვეყნების კონსტიტუცია დამოკიდებულია ფედერალურ კონსტიტუციაზე: მასში ზოგიერთი ცვლილების შეტანას *ipso facto* მივყავართ წევრი სახელმწიფოებისთვის ვალდებულებამდე, გადასინჯონ საკუთარი კონსტიტუცია, რათა ქვეყნის კონსტიტუციასა და ფედერალურ კონსტიტუციას შორის არსებობდეს აუცილებელი შესაბამისობა.

3. **მონაწილეობა ფედერალური ნების ჩამოყალიბებაში** წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან გარანტიას. პირდაპირი მონაწილეობით სახელმწიფოები ინარჩუნებენ უფლებას დაამტკიცონ ან არ დაამტკიცონ ფედერალური კონსტიტუციის ნებისმიერი ცვლილება. არაპირდაპირი მონაწილეობა ხორციელდება სახელმწიფოთა პალატების არსებობით, რომლის შემადგენლობაში შედიან წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები. ზოგადად, მისი მნიშვნელობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად, როგორც ეს მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და შვეიცარიაშია, თითოეული სახელმწიფო აგზავნის პალატაში თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელს. ამასთან, მას იგივე უფლებები აქვს, როგორც საყოველთაო არჩევნების გზით არჩეულ ქვედა პალატას.

ასევე უნდა აღინიშნოს აღმასრულებელ ფუნქციებში ან ადმინისტრაციაში მონაწილეობა, სულ მცირე ისეთ ფედერაციებში, რომლებიც იყენებენ მედიალური ადმინისტრირების პრაქტიკას.

არის კი საჭირო ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს შორის ამგვარი თანამშრომლობის შედეგების ხაზგასმა ფედერალური ხელისუფლების საქმიანობაზე? არაპირდაპირი მონაწილეობა სპეციალური პალატის საშუალებით, რომელიც მათ წარმოადგენს, სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, გააკონტროლონ ფედერაციის საკანონმდებლო საქმიანობა და დარწმუნდნენ, რომ იგი არ სცდება ფედერალური კონსტიტუციის მიერ დაწესებულ ჩარჩოებს. მათ მიერ კონსტიტუციაში ნებისმიერი ცვლილების რატიფიცირება არის მათი დამოუკიდებლობისა და მისგან გამომდინარე უფლებების დაცვის გარანტი. მაშასადამე, შეუძლებელია რაიმეს გაკეთება ყველა სახელმწიფოს, ან სულ მცირე, მათი უმრავლესობის თანხმობის გარეშე.

4. დაბოლოს, ფედერალური სახელმწიფოთა ერთობლიობის ასპექტი გამოიხატება კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპით. თითქმის სრულიად უსარგებლოა ფედერაციაში კონსტიტუციის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება. ფედერალიზმის მიზანი მხოლოდ კონსტიტუციის მონდომებული და ფრთხილი შედგენით მიიღწევა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ფედერალურ ხელისუფლებასა და წევრ სახელმწიფოებს შორის ხელისუფლების ზუსტი და გონივრული გაყოფა, კერძოდ, პირველს მიანიჭოს უფლებამოსილება ყველაფერზე, რაც ქვეყნების ერთობლივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, ხოლო მეორეს დაუტოვოს ყველაფერი, რაც მათ კერძო ინტერესს წარმოადგენს.

კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა ხდება დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს დაფუძნებით, რომლის მიზანს წარმოადგენს აიძულოს ერთდროულად ფედერალური ხელისუფლება და წევრი სახელმწიფოები დაიცვან კონსტიტუცია. მას გააჩნია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გამოცემული აქტების კონსტიტუციურობის გაკონტროლებისა და მათი გაუქმების ან აღსრულებისთვის ხელშეშლის უფლება, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას. არავინ აყენებს ეჭვს იმ გარემოებას, რომ სასამართლოს არსებობა და კონსტიტუციურობის მიუკერძოებლად და

ზედმიწევნით დაცვა მთელ ფედერალისტურ გაერთიანებაში მნიშვნელოვანია. მაგრამ სასამართლოსთვის მინიჭებულ უფლებამოსილებაში ფედერალური სახელმწიფოს კომპოზიციური ასპექტი მის არსებობაში ნაკლებად გამოიხატება.

b) ფედერალური სახელმწიფოს ორმაგი შემადგენლობის შედეგები მხოლოდ მის ფედერაციის წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში არ შეიგრძნობა. ეს შედეგები ასევე აისახება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. აქ ვითარება გაცილებით უფრო საინტერესოა, რადგან ჩნდება დელიკატური და კომპლექსური პრობლემების მთელი ჯაჭვი.

როგორც წესი, ფედერაციის წევრი სახელმწიფოების საერთაშორისო კომპეტენცია იმდენად შემცირებულია, რომ ისინი იშვიათად ურთიერთობენ უცხო სახელმწიფოებთან. ამ მოვალეობას ფედერალური სახელმწიფო ასრულებს, როგორც მისი, ასევე მასში შემავალი სუბიექტების სახელით. ის გარკვეულწილად მათი წარმომადგენელია უცხო სახელმწიფოებთან, როგორც აქტიური, ასევე პასიური თვალსაზრისით. ფედერალური სახელმწიფოს ორმაგი სახე - უნიტარული - საერთაშორისო სამართლის ჭრილში, და შედგენილი - შიდა საჯარო სამართლის შესაბამისად, ორიგინალურ თვისებას ანიჭებს მის პოზიციას საერთაშორისო სამართალმოწყობაში.

აქ ორ პრობლემას ვაწყდებით. ესენია:

- ა. საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება და შესრულება.
- ბ. წევრი სახელმწიფოების უკანონო აქტების გამო საერთაშორისო პასუხისმგებლობის პრობლემა.

როგორც უკვე ვნახეთ, ხელშეკრულების დადების კომპეტენცია, შეიძლება ითქვას, ფედერალურ მთავრობას ეკუთნის. თუმცა ხელშეკრულება, ფედერალური კონსტიტუციის შემდეგ, შეიძლება შეეხებოდეს სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაში შემავალ სფეროს. ხელშეკრულება მისი დადების შემდეგ უნდა შესრულდეს. ექნება თუ არა ფედერალურ მთავრობას ყველა საჭირო საკანონმდებლო და დადგენილებით მიღებული განკარგულების

გამოცემის უფლება? თუ, კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების გადანაწილების მიუხედავად, ფედერალური მთავრობა ამას გააკეთებს, ხომ არ იქნება მისი მოქმედება არაკონსტიტუციური და ხომ არ არსებობს ასეთ შემთხვევაში მისი საქმიანობის კანონიერების შესაფასებლად ფედერალური სასამართლოსადმი ნდობის საფრთხე? თუ ვივარაუდებთ რომ ფედერალური სახელმწიფო ვერ გააკეთებდა ამას *motu proprio* და იძულებული გახდებოდა მიემართა სახელმწიფოებისთვის, რა მოხდებოდა მაშინ, თუ ისინი უარს იტყოდნენ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომების მიღებაზე? ისევე როგორც, რა მოხდებოდა, თუ, დავუშვათ, მისი რომელიმე წევრი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების წინააღმდეგ მისცემდა ხმას?

ასევე შეიძლება, და პრობლემა აქ უფრო ზოგად სახეს იძენს, რომ წევრი სახელმწიფო იყოს დამნაშავე უკანონო საერთაშორისო ქმედების ჩადენაში. თუ ეს სავარაუდოდ ასეა, ამ მოქმედებით დაზარალებული უცხო ქვეყანა ფედერალურ სახელმწიფოს მოსთხოვს აიძულოს წევრი ქვეყანა, გამოასწოროს დარღვეული მდგომარეობა? შეძლებს თუ არა ფედერალური მთავრობა თავის გასამართლებლად მოიშველიოს ფედერალური კონსტიტუცია და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ მოქმედების შეუძლებლობა? ასეთ შემთხვევაში უნდა გამოასწოროს თუ არა თავადვე ვითარება და უნდა აუნაზღაუროს თუ არა დაზარალებულს ზიანი ისე, რომ ვერ შეძლოს პასუხისმგებლობის თავიდან არიდება?

პრობლემას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ფედერალურ სისტემებში, რომლებიც აღიარებენ წევრი ქვეყნების ფართო უფლებამოსილებებს და ფედერალურ ორგანოს უარს ეუბნებიან მათ წინააღმდეგ რაიმე იძულების უფლების გამოყენებაზე. ამ სირთულეების დასაძლევად, ფედერაცია სწორად მოიქცევა, თუკი საგარეო სფეროში არანაირ ინიციატივას არ აიღებს მასში შემავალი წევრების თანხმობაში დარწმუნების გარეშე.

ასე რომ, შიდა საქმეებზე იქნება საუბარი თუ საერთაშორისო ურთიერთობებზე, ფედერაციულ სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ მასში შემავალი სახელმწიფოების თანხმობითა და ხელშეწყობით.

2 - ფედერალური სახელმწიფოს უნიტარული ასპექტი

ფედერაციული სახელმწიფო რომ მხოლოდ სახელმწიფოთა კავშირი იყოს ყველა იმ სირთულით, რაც მისგან მომდინარეობს, სამართლიანად გვეჩვენება მის სიმტკიცეში ეჭვის შეტანის უფლება, დღიდან მისი დაარსებისა. ძალზე სასიხარულოა, რომ ის ამავედროულად არის სუბიექტების რესპუბლიკა და აქედან გამომდინარე ვეხებით მის *უნიტარულ ასპექტს*, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

- a) უნიტარული ასპექტი, პირველ რიგში, გამოიხატება *ფედერაციის მოქალაქეობის* არსებობაში. ნებისმიერ ფედერაციაში არსებობს ორმაგი მოქალაქეობა. თითოეულ ადამიანს გააჩნია ორმაგი მოქალაქეობა: იგი არის ფედერაციის სუბიექტი და ამავედროულად წევრი სახელმწიფოს სუბიექტი. ფედერაციის მოქალაქეობას მოჰყვება მნიშვნელოვანი შედეგი: ფედერაციის მოქალაქეები თითოეულ სახელმწიფოში სარგებლობენ ყველა უფლებით და უპირატესობით, რაც ამ ქვეყნის მოქალაქის სტატუსს მოაქვს.

ფედერაციის მოქალაქეობა ამასთან, ქმნის საერთო კავშირს ყველა სახელმწიფოს ხალხებს შორის და, გარკვეული თვალსაზრისით, მათგან ქმნის ერთიან ხალხს. ფედერაციის მცხოვრები ხალხი გახდება ფედერალური სახელმწიფოს ხელისუფლების საყრდენი და მათზე დაყრდნობით ის შეძლებს ეფექტიანად დააბალანსოს წევრი სახელმწიფოების მოქმედება. ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს ფედერაციული სისტემისთვის დამახასიათებელ ურთიერთსაწინააღმდეგო ძალების ერთ-ერთი ბალანსის არსებობაზე.

- b) არსებობს მხოლოდ *ერთი ფედერაციის მოქალაქეობა*, ისევე როგორც არსებობს *ერთი ფედერალური ტერიტორია*. თუ ჭეშმარიტებაა ის, რომ ფედერალური ტერიტორია იყოფა რამდენიმე სახელმწიფოდ, ეს დაყოფა ფედერალური ტერიტორიის

ერთიანობას უფრო მეტად არ აზიანებს, ვიდრე უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორიის დაყოფა ადმინისტრაციულ ოლქებად. რეალურად, ნაციონალური ბარიერები ბოლოს ქრება: ადამიანები, ტვირთი და კაპიტალი დაბრკოლების გარეშე მოძრაობს ფედერაციის ერთი ტერიტორიული წერტილიდან მეორეში.

- c) ფედერალური სახელმწიფო ჯერ კიდევ ჰგავს უნიტარულ სახელმწიფოს *თავისი პოლიტიკური მოწყობის სრულყოფით*. მას აქვს ნამდვილი სახელმწიფოს ყველა ნიშანი: ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, აღმასრულებელ ხელისუფლებას და სასამართლო ხელისუფლებას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილება, რომელსაც იგი იღებს, არის ნამდვილი კანონი და სავალდებულოა ყველასთვის, როგორც ცალკეული სუბიექტისთვის, ისე სახელმწიფოებისთვის. სახელმწიფოთა კონფედერაციისგან განსხვავებით, მისი უფლებამოსილება ცალკეულ პირებზე ხორციელდება. მაშასადამე, იგი არ არის იძულებული ჰქონდეს წევრი სახელმწიფოების კეთილი ნების იმედი იმისათვის, რომ უზრუნველყოს მის მიერ მიღებული ზომების გატარება.
- d) ფედერალური სახელმწიფოს უნიტარული ხასიათი იკვეთება *თავისი უფლებამოსილების სამართლებრივი უპირატესობით*. თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებში მისი ნება უპირატესია წევრი სახელმწიფოს ნებაზე. ექსკლუზიური კომპეტენციის სფეროში და ასევე მოცილე კომპეტენციის ფარგლებში ფედერალური უფლება არის უპირატესი ქვეყნის უფლებაზე. ფედერალური უფლების უპირატესობის უზრუნველსაყოფად და იმისათვის, რომ წევრი სახელმწიფოები აიძულოს, დაიცვან ის, კონსტიტუცია ფედერალურ ხელისუფლებას ანიჭებს ეფექტურ იარაღს, ეს არის ფედერალური აღსრულების უფლება.

ნამდვილი ორგანოს შექმნით, რომელსაც გააჩნია გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების უფლებამოსილება, ქვეყნების ავტონომიის დაცვით, უფლებამოსილებათა სწორი გადანაწილებით, საერთო ორგანოს ნაწილების მოხერხებული მოწყობით, ფედერალური სახელმწიფო უდავოდ არის ფედერალისტური ფორმულის ბევრად წარმატებული განსახიერება, ვიდრე სახელმწიფოთა კონფედერაცია. კონფედერაციის შემთხვევაში ბალანსი დარღვეულია სახელმწიფოების სასარგებლოდ; კონფედერაციას გააჩნია თანდაყოლილი სისუსტე; მას არ შეუძლია წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების ეფექტიანი უზრუნველყოფა. ფედერაციის შემთხვევაში ბალანსი უკეთაა დაცული; სახელმწიფოები ინარჩუნებენ თავიანთ ინდივიდუალურობას, მაგრამ იმისათვის, რომ

ჰქონდეთ მშვიდობა და უსაფრთხოება, ისინი ემორჩილებიან უმაღლეს ხელისუფლებას და თავიანთი სუვერენული უფლებების ნაწილს მას გადასცემენ.

ფედერალური სახელმწიფოს ეს თეორია, რომელიც მოყვანილია არსებულ და განვლილ ფაქტებზე დაკვირვებით, ისევე როგორც ყველა სხვა თეორია, იძლევა, რეალობის სქემატურ, დამახინჯებულ სურათს, რომელიც უფრო მდიდარი და დეტალურია. მაშასადამე, არ უნდა გამოგვრჩეს იმის აღნიშვნა, როგორც ამას ევროპული ფედერაციის მოწინააღმდეგეები აკეთებენ, რომ ამ ფედერაციის ფორმირება ევროპის სახელმწიფოებს შვეიცარიული კანტონების მდგომარეობამდე ან ბონის რესპუბლიკის ქვეყნებამდე შეამცირებდა. ეს იქნებოდა ფედერაციული პრინციპის სიმდიდრისა და მოქნილობის უგულებელყოფა, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერ არსებით სიტუაციას, როგორი კომპლექსური და დელიკატურიც უნდა იყოს ის. არავის ეპარება ეჭვი, რომ ევროპის ფედერაცია იღებს განსხვავებულ ფორმას, რომელიც მორგებულია დღევანდელი ევროპის განსაკუთრებულ პირობებზე.

მაგრამ როგორიც უნდა იყოს ეს განსაკუთრებული ფორმა, ევროპის კავშირი ვერ შეძლებს გაექცეს დილემას: კონფედერაცია თუ ფედერაცია? ამ ჭრილში სამართლებრივი თეორია გვიწევს შეუფასებელ დახმარებას: პოზიტიური უფლების გამოსავლების სისტემატიზაციით იგი წინასწარგანზრახულად უგულებელყოფს დეტალებს იმისთვის, რომ უკეთ ჩავწვდეთ მთავარ პუნქტებს. ჩვენ ყურადღება განსაკუთრებით ორ მათგანზე უნდა გავამახვილოთ: ერთი დაკავშირებულია ფედერალური ხელისუფლების მოწყობასთან, მეორე - ფედერალური გადაწყვეტილებების იურიდიულ ძალასთან.

ფედერალური ხელისუფლების ორგანოები მხოლოდ ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებისგან შედგება? მისი წევრები მხოლოდ სახელმწიფოების მთავრობის წევრებიდან მოდიან? მაშასადამე, ჩვენ გვაქვს *ასოცირების კონფედერაციული ფორმა*. პირიქით, ხომ არ სურთ შექმნან ფედერალური ტიპის კავშირი, რისთვისაც საჭირო იქნება ფედერალურ ხელისუფლებას მიეცეს განსხვავებული ორგანიზაცია და მთავრობის საკუთარი წევრები. ამის მიღწევა მხოლოდ არჩევნების დემოკრატიული მეთოდის გამოყენებით მიიღწევა.

ხალხებმა - უფრო სწორად ხალხმა - უნდა მიიღონ მონაწილეობა ფედერაციის ზოგიერთი ორგანოს შექმნაში.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამასთან საჭიროა, რომ ფედერალურმა ხელისუფლებამ შეძლოს პირდაპირ მიმართოს ფედერაციის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს. მის გადაწყვეტილებებს, კანონებსა თუ დადგენილებებს, რომლებიც მიიღება კონსტიტუციურ ფარგლებში, უნდა ჰქონდეს *იგივე იურიდიული ძალა*, როგორიც სახელმწიფოს მიერ მიღებულს. მათი ყოველგვარი წინასწარი მოწონების გარეშე ისინი სრულუფლებიანად უნდა იყოს დაცული ყველას მიერ, როგორც სახელმწიფოების, ასევე სუბიექტების მხრიდან. თუ ასე არ მოხდება, თუ, მაგალითად, სახელმწიფოები ჩაერევიან ფედერალური გადაწყვეტილებების ძალაში შესვლაში ან შესრულებაში, კავშირი დაშორდება ფედერალურ ტიპს და მიუახლოვდება კონფედერაციულ ტიპს.

ევროპული კონფედერაცია, ცხადია, ეროვნული სუვერენიტეტების ახლანდელ ანარქიას ნამდვილად სჯობს, მაგრამ შეძლებს კი იგი ნაციონალურ ეგოიზმზე გამარჯვებას და ამჟამად არსებული მთავარი სირთულეებისთვის რადიკალური გამოსავლის შეთავაზებას, რომელსაც ისინი მოითხოვენ?

გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ეჭვი გაგვიჩნდეს ამასთან დაკავშირებით.

მიშელ მუსხელი

სტრასბურგის სამართლისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის თავმჯდომარე

ამონარიდი

ამონარიდი ჟურნალიდან *სამართალი და პოლიტიკური მეცნიერება საფრანგეთში და
საზღვარგარეთ*

აპრილი-ივნისი 1952 წ.

თავმჯდომარის მოვალეობა იმდენად რთულია, რომ სტატუსიდან და შიდა რეგლამენტიდან გამომდინარე, მას არ შეუძლია დებატებში მონაწილეობის მიღება. თავმჯდომარის როლი, და ამას ქვემოთ ვნახავთ, სამუშაოების მართვაში, რეგლამენტისა და წესრიგის დაცვაში მდგომარეობს. ერთადერთი იარაღი, რომლის ფარგლებშიც მას ყველაფერი ხელეწიფება, არის რეგლამენტი. რეგლამენტის გარეშე თავმჯდომარეს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მისი, როგორც ევროპის საბჭოს პირველი პირის, ვალდებულებაა ასამბლეას თავიდან ააცილოს შეცდომების დაშვება. ასამბლეა, სადაც არ არიან პოლიტიკური დაჯგუფებები, შესაბამისად, არ ექვემდებარება გარედან თავსმოხვეულ დისციპლინას, რომელმაც ადვილად შეიძლება დააყენოს საშიშ გზაზე, მიაღებინოს დაუფიქრებელი ან არასაკმარისად ნაფიქრი წინადადებები, რამაც შედეგად შეიძლება მისი ღირსება და პრესტიჟი დააზარალოს. მსგავს სიტუაციებთან გასამკლავებლად საჭიროა, რომ ავტორიტეტულ, ყველასგან პატივცემულ და საზოგადო ნდობით აღჭურვილ პირს შეეძლოს გამოხატოს თავისი აზრი და მისცეს დებატებს სასარგებლო მიმართულება. საკონსულტაციო ასამბლეაში ეს პირი სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა თავმჯდომარე. მაგრამ თავმჯდომარეს ჩუმად ყოფნა აქვს მისჯილი (Cf. ბ-ნი პ.პ. სპააკის გამოთქმული აზრი 1951 წლის 16 მაისის პრესკონფერენციაზე. «Public» ევროპის საბჭოს ინფორმაციის სამმართველო, 10-11 გვ.).

ასამბლეის საკონსულტაციო შინაარსი თავმჯდომარის ფუნქციას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. ასამბლეა, რომელიც მხოლოდ თათბირობს, მთელ დროს საკითხის შესწავლასა და დისკუსიაში ატარებს და შემოიფარგლება რეზოლუციებისა და რეკომენდაციებისთვის კენჭისყრით, რომელთა ბედიც მინისტრების „კეთილ“ თუ „ბოროტ“ ნებაზეა დამოკიდებული, მოდუნებისა და იმედგაცრუების საფრთხის წინაშე დგება. ასამბლეა შედგება ეროვნული პარლამენტების წევრებისგან, ე.ი. პოლიტიკოსებისგან, რომლებიც შინ ეყრდნობიან რეალურ პოლიტიკურ ძალებს, ფლობენ ეფექტიან ძალაუფლებას. და აი, იგივე ადამიანები, რომლებიც მართვას, სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღებას, მინისტრების კრიტიკასა და მათ გადაყენებას არიან მიჩვეულნი, სტრასბურგში ჩამოსვლის შემდეგ კარგავენ ყველა ამ პრეროგატივას და უბრალო მრჩევლის ფუნქციას ასრულებენ. კონტრასტი საკუთარ ქვეყანაში ნათამაშებ როლსა და იმ როლს შორის, რომელსაც მათ სტატუსი ანიჭებთ ევროპის საბჭოში, იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია, ეს არ ასახულიყო მათ ქცევაზე ასამბლეაში. მართლაც, ამ უკანასკნელის არსებობის მანძილზე აღმავლობაც იყო და დაცემაც. მაგრამ მე-2 სესიიდან დაწყებული,

სამწუხაროდ, შეიმჩნევა ასამბლეის ნების აშკარა დაქვეითება. არადა, პოლიტიკური ასამბლეა, რომელიც კარგავს საკუთარი მისიის რწმენას და აღარ სჯერა საკუთარი სარგებლიანობისა, გამოფიტვისთვისაა განწირული. შესაბამისად, საჭიროა შერყეული ნდობის გაცოცხლება, დაუძლურებული ნების გაძლიერება, ერთი სიტყვით, ინსტიტუციისთვის იმ იმპულსის მიცემა, რომელიც მას ასე სჭირდება. მხოლოდ თავმჯდომარეს ხელეწიფება ამ ტვირთის ტარება წარმატებით.

ასამბლეაში თავმჯდომარის ფუნქციებით მისი ვალდებულებები არ იწურება. ის ამასთანავე ასრულებს წარმომადგენლობით მისიას, რომელიც მდგომარეობს მინისტრთა კომიტეტთან და ევროპის საბჭოს გარეთ, საზოგადოებრივ აზრთან მის ურთიერთობაში. შესაბამისად, ადმინისტრატორის პასუხისმგებლობას მან უნდა დაუმატოს დიპლომატიისა და სახელმწიფო მოხელის თვისებებიც.

ასამბლეასა და მინისტრთა კომიტეტთან ურთიერთობა ყოველთვის არ გამოირჩევა დიდი სითბოთი¹² ხანდახან კომიტეტი ასამბლეასა და მის მიერ წამოყენებულ ინიციატივებს ნაკლებ ყურადღებას უთმობს. თავმჯდომარის, რომელიც წარმომადგენს ასამბლეას კაბინეტთან ურთიერთობაში, ვალდებულებაა ასამბლეის პრეროგატივების მხარდაჭერა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაცვა. თავმჯდომარის მოქმედებაზე დიდწილადაა დამოკიდებული ასამბლეის პოზიციის გამოხატვა კომიტეტის პირისპირ და ამ ორთა შორის თანამშრომლობის განვითარება.

დაბოლოს, საზოგადოებრივი აზრიდან გამომდინარე, ასამბლეის თავმჯდომარე ევროპის საბჭოს განასახიერებს. აქ საქმე გვაქვს ინსტიტუციის მომავლისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციასთან, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია საბჭოს დამსახურებების შესახებ, და იმის თაობაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლია და რისი არა, და მისთვის უზრუნველყოს ხალხების სიმპათია და მხარდაჭერა. ამ მოვალეობის შესრულება, რომელიც სრულიად იგნორირებულია მთავრობების მიერ, პირველი ევროპული ასამბლეის თავმჯდომარის პასუხისმგებლობაა. ის არ შეასრულებს საკუთარ მოვალეობას, თუ, მიუხედავად საზღვრებისა, პირდაპირ არ მიმართავს ხალხებს, თუ არ ეცდება მათში ევროპული

¹² Cf. ჟან ზულუი, *ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის წარდგენილი საკონსულტაციო ასამბლეის ანგარიშები*, 1952, გვერდები 105 და შემდეგი.

ცნობიერების გაღვიძებას, თუ ის ერთდროულად არ იქნება მათი გიდიც და წარმომადგენელიც.

მსგავსი მრავალფეროვანი ფუნქციების შესასრულებლად და ყველა ვალდებულების მართებულად აღსასრულებლად, საჭირო იყო განსაკუთრებული ნიჭის ადამიანი, ერთდროულად კარგი ადმინისტრატორიც, გამჭრიახი დიპლომატიცა და დიდი ტრიბუნიც. ასამბლეა იმაზე უკეთეს არჩევანს ვერ გააკეთებდა, ვიდრე ბატონი პ.პ. სპაკის თავმჯდომარედ არჩევა იყო 1949 წელს.

საკუთარი ქვეყნის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და მოგვიანებით მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე, ყველა ევროპული ორგანიზაციის მმართველი ორგანოს წევრი მრავალი წლის განმავლობაში, ვინც კარგად იცნობს თავის ყოფილ კოლეგებს მინისტრთა კომიტეტიდან, ბატონი სპაკი ყველაზე უფრო შესაფერის კანდიდატურას წარმოადგენდა ასამბლეისა და კომიტეტს შორის კარგი ან, უფრო ზუსტად რომ ითქვას, ნაკლებად ცუდი ურთიერთობის დასამყარებლად. ეს ადვილი საქმე არ იყო. და თუკი, მიუხედავად ნაკლებად იმედისმომცემი დასაწყისისა, ამ ორ ორგანოს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და თითქმის შეგვიძლია ვილაპარაკოთ „გულითად ურთიერთგაგებაზე“ კი, ამაში არანაკლებ მნიშვნელოვანია თავმჯდომარის პირადი წვლილი.

ბატონმა სპაკმა, საოცრად ნიჭიერმა ორატორმა, მჭევრმეტყველების ვირტუოზმა, ფანტაზიის გამღვიძებელმა განსაცვიფრებელი, ხშირად სახიფათო ფორმულების გამოყენებით, რომელთა საიდუმლოსაც ის ფლობს, იმ თავისუფლების ფარგლებში, რამდენადაც ამის შესაძლებლობას თანამდებობა აძლევს, სცადა ხალხების სამსჯავროზე გამოეტანა ასამბლეის მიერ განხილული პრობლემები. უეჭველია, რომ ამის გამო დაყაბულდა ევროპის საბჭოს საინფორმაციო სამმართველოს მიწვევას ყოველი სესიის შემდეგ პრესკონფერენციის გამართვაზე განცხადების გასაკეთებლად და ჯვარედინი დაკითხვების ცეცხლში გასავლელად. უეჭველია, რომ იმავე მიზეზის გამო, როცა ამის შესაძლებლობა მიეცემოდა, ის აკეთებდა ვრცელ მოხსენებას, რომელიც განკუთვნილი იყო როგორც მისი აუდიტორიისთვის, ასევე საზოგადოებრივი აზრისათვის ზოგადად.

მაგრამ, სწორედ ასამბლეაა ის ადგილი, სადაც ყოველმხრივ გამოჩნდა ბატონი სპაკის თვისებები.

(1) „თავმჯდომარე ხსნის, წყვეტს და ასრულებს სხდომას: ყოველი თათბირის შემდეგ ის სთავაზობს მომავალი სეანსის თარიღს, საათსა და დღის წესრიგს. ის უძღვება ასამბლეის მუშაობას, უზრუნველყოფს რეგლამენტის დაცვას, ამყარებს წესრიგს, აძლევს სიტყვის უფლებას, აცხადებს დისკუსიებს დასრულებულად, აყენებს საკითხებს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს...“.

(2) ის მონაწილეობას არც დებატებში იღებს და არც კენჭისყრაში...“.

შინაგანაწესის მე-10 მუხლის მშრალი და ლაკონიური ფრაზები განსაზღვრავენ ასამბლეის თავმჯდომარის სხვადასხვა კომპეტენციას. ისინი სამუშაოებისა და დებატების წარმართვითა და წესრიგის შენარჩუნებით იფარგლებიან. თავისი კომპეტენციების განხორციელებისას თავმჯდომარე უნდა დაეყრდნოს შინაგანაწესს, რომლიდანაც გამომდინარეობს მისი ავტორიტეტი. უნდა შევთანხმდეთ, რომ მისი პასუხისმგებლობის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მისი ფუნქციის შესრულება იოლი არაა.

დასაწყისშივე ბატონმა სპაკმა თავმჯდომარის საქმიანობა საუკეთესო საპარლამენტო ტრადიციების დონემდე აამაღლა. ასამბლეის ინტერნაციონალური შემადგენლობის გათვალისწინებით და მასში ბრიტანელი პარლამენტარების არსებობის გამოც, რომელთაც მაგალითის მიმცემად საკუთარი სპიკერი ჰყავდათ, თავისი მისიის წარმატებით განსახორციელებლად და ყველას ნდობის მოსაპოვებლად, მას თავმჯდომარის პოსტი უნაკლო, სანიმუშო ინსტიტუციად უნდა გადაექცია.

ამრიგად, საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას ის მოქმედებდა რეგლამენტის მიხედვით. ის აქ თავს მყარად გრძნობდა: თვით ასამბლეის ნების გამომხატველად. ამ ნებით გაძლიერებულს, მას შეეძლო იმდენად შორს წასულიყო, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ყოველგვარი წინააღმდეგობისა და უნდობლობის გარეშე. მაშინაც კი, როცა ის ახორციელებდა სტატუსით ან რეგლამენტით მინიჭებულ თავის უფლებამოსილებას, ცდილობდა ამ უკანასკნელისთვის ვიწრო ინტერპრეტაცია მიეცა, რათა არ გადაეჭარბებინა თავისი უფლებებისთვის, და არც მცირედი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ერიდებოდა ეთხოვა

ასამბლეისთვის საკუთარი პოზიციის დაფიქსირება (1950 წლის 11 აგვისტოს სეანსი, C. R. მე-2 სესია, ტ. I, გვ. 158).

„ბატონებო, რაღაც მომენტში მეგონა, რომ მხედველობიდან გამომჩა ზოგიერთი ჩემი უფლებამოსილება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბ-ნი მაკკეი ცდება. ის, რისი დამოუკიდებლად გადაწყვეტაც შემიძლია, რაიმე საკითხის დღის წესრიგში შეტანა-არშეტანაა, მაგრამ არ შემიძლია მარტომ მივიღო გადაწყვეტილება იმ საკითხის შესახებ, რომელიც ჩემს უფლებამოსილებას სცილდება... ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან საქმე სერიოზულ და დელიკატურ საკითხს ეხება, ჩემი სურვილია, ასამბლემ კენჭისყრით დააფიქსიროს თავისი პოზიცია...“.

ის ისეთივე მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა ასამბლეის წევრებს, როგორც საკუთარ თავს. მიუხედავად ტოლერანტული დამოკიდებულებისა, მათგან მოითხოვდა რეგლამენტის სკრუპულოზურ დაცვას, როდესაც ასამბლეის ინტერესი ან პრესტიჟი იდო სასწორზე. ამ შემთხვევაში ის იყენებდა თავმჯდომარის ავტორიტეტს და ულმობლად იცავდა რეგლამენტის დებულებებს.

„...მე ვერ დავუშვებ, რომ დღის წესრიგის ერთი საკითხის ირგვლივ გამართული დისკუსია პოლიტიკურ დებატებში გადაიზარდოს, რაც ამჯერად უადგილოა...“.

(1951 წლის 30 ნოემბრის სეანსი, A. C. მე-3 სესია, 25-ე სეანსი. C. R., t. V, გვ. 639-640 ; იხილეთ ასევე 1951 წლის 10 დეკემბრის სეანსი, A. C. მე-3 სესია, 38-ე სეანსი, C. R., t. VII, გვ. 1033 ; 1951 წლის 15 მაისის სეანსი, A. C. მე-3 სესია, მე-16 სეანსი, C. R., t. III, გვ. 416 ; მე-17 სეანსი, C. R., t. III, გვ. 423, 435 და 438).

იმ შემთხვევაში, თუ რეგლამენტი აფერხებდა და თუ დებატების შესაფერისად ჩატარება მოითხოვდა მისდამი გარკვეულწილად თავისუფალ დამოკიდებულებას ისე, რომ ეს უკანასკნელი პრეცედენტად არ შერაცხულიყო, როგორც მაგალითად, მოცემულ სიტუაციაში გარკვეული დებულების მისადაგება, მაშინ ის მიმართავდა ასამბლეს და ერთდროულად ისე დამაჯერებლად და მოხერხებულად წარუდგენდა მას საკითხს, რომ ეს უკანასკნელი დიდი წინააღმდეგობის გარეშე იზიარებდა მის შეხედულებას. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ რეგლამენტი არ შეიცავდა დებატების ხანგრძლივობის შეზღუდვის არანაირ დებულებას, თავმჯდომარე გამოსვლებს ხშირად ზღუდავდა დროში, როგორც ასამბლეის ზოგადი განწყობის გამომხატველი პირი.

„...საჭიროა, რომ შემოთავაზებული რეზოლუციების საფუძველზე დისკუსიით შემოვიფარგლოთ. უფრო მოწესრიგებულად უნდა ვიმუშაოთ, რათა მოცემული საკითხების განხილვის დასრულება დამის განმავლობაში შევძლოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს აბსოლუტურ წესს არ წარმოადგენს, შეგახსენებთ, რომ ზოგადად ასამბლეა საუკეთესო გამოსვლებად ისეთებს მიიჩნევს, რომლებიც არ სცილდება ოც წუთს და რომ თავმჯდომარე უფლებამოსილია ჩაერიოს, როდესაც აღნიშნული დრო ამოიწურება. თავიდანვე მოგახსენებთ, რომ ვაპირებ ამ მონიჭებული უფლების გამოყენებას...“.

(A. C. მე-3 სესია, 38-ე სეანსი, 1951 წლის 10 დეკემბერი. C. R., t. VII, გვ.1010-1011).

სტატუსი და რეგლამენტი მას დებატებში მონაწილეობის მიღებას უკრძალავს. როგორც კომუნების პალატის სპიკერმა, მანაც უნდა დაიცვას სიჩუმე. მხოლოდ ამ პირობითაა შესაძლებელი პოლიტიკური ასამბლეის თავმჯდომარის¹³ თანამდებობისთვის ასე მნიშვნელოვანი სამართლიანი და ნეიტრალური ხასიათის შენარჩუნება. უფრო შორსაც უნდა წავიდეთ და მოვიყვანოთ პასკალის ციტატა: „საკმარისი არ არის, რომ ის მიუმხრობელი იყოს, ასევე საჭიროა, რომ ის ასეთად გამოიყურებოდეს“. აქ გარეგნული მხარე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც რეალობა.

რეგლამენტისა და კოლეგების მიერ მისადმი გამოხატული ნდობის პატივისცემით, ბატონმა სპაკმა ერთგულად დაიცვა წესი. თუკი ის ხანდახან სიტყვით გამოსულა და დისკუსიაში მონაწილეობა მიუღია, ეს მხოლოდ ასამბლეის ინტერესიდან გამომდინარე ხდებოდა, იმისათვის, რომ დებატები დარეგულირებულიყო, უსარგებლო მოსაწყენ დეტალებში არ გადაზრდილიყო და საწყისი, მთავარი თემიდან არ გადაეხვიათ.

ის ამას აკეთებდა საკუთარი ფუნქციების საზღვრებიდან გაუსვლელად: სამუშაოების წარმართვა მათ ზედამხედველობას, ლოგიკურ დასასრულამდე მაქსიმალურად ეფექტიანად

¹³ ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე მოქმედი მინისტრის კანდიდატურის წამოყენებასთან დაკავშირებით ბატონი ჩერჩილი ძლიერი და მჭევრმეტყველი ფრაზებით ხაზს უსვამდა თავმჯდომარის ფუნქციის თვისებას. „მყარი იმედი მაქვს, აცხადებდა ის, რომ ჩვენ გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას ჩვენი კენჭისყრით, რათა ნათლად განვსაზღვროთ იმ თვისების ღირსეულობა და ავტორიტეტი, რომელიც თავმჯდომარის ფუნქციას ახლავს. ამგვარად გარანტირებული თავმჯდომარის მიუკერძოებლობითა და მისი დამოუკიდებლობით ყველა სახის გარე აღმასრულებელ ხელისუფლებისგან, ჩვენს ასამბლეას შეეძლება დაიწყოს საქმიანობა საუკეთესო ხელმძღვანელობით და საპარლამენტო და დემოკრატიული მმართველობის უმაღლესი ტრადიციების შესაბამისად.“ (პირველი სესია, მე-2 სეანსი, C. R. 1949, t. I, გვ. 15).

მიყვანას გულისხმობს. ასამბლეაში, რომელიც არ იცნობს არც პოლიტიკურ ჯგუფებს, არც მთავრობას და არც „გილიოტინას“, რომლის წევრებიც მრავალ ენაზე მეტყველებენ და სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ძველი კონტინენტის ყველანაირი ტენდენციის შეხედულებები, დებატების ხელმძღვანელობა სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა:

„მას შემდეგ, რაც თქვენი სახელით მადლობა გადავუხადე ბ-ნ სტიკერს, სასარგებლოდ მეჩვენება, რომ ვცადოთ დებატების მოწესრიგება და მათი შეძლებისდაგვარად გამარტივება“.

(A. C. მე-3 სესია, მე-2 სეანსი, 1951 წლის 7 მაისი, C. R., t. I, pp. 28-29 ; Cf. მე-17 სეანსი C. R., t. III, გვ. 444-445 ; მე-3 სესია, 28-ე სეანსი, C. R., t. V, გვ. 729-730, 38-ე სეანსი, C. R., t. VII, გვ. 1010-1011).

ის მაშინაც ერევა ასამბლეის მუშაობაში, როცა მიაჩნია, რომ განსახილველი წინადადება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და საჭიროა მისი საფუძვლიანი განხილვა, რათა საკითხში არასათანადოდ გათვითცნობიერებულმა ასამბლემ ისეთი გადაწყვეტილება არ მიიღოს, რომელიც მოგვიანებით შესაძლოა სანანებლად ექცეს. ამ შემთხვევაში ის ანიმატორის როლს თამაშობს: აცოცხლებს დისკუსიას, ამხნევებს კოლეგებს, გამოთქვან საკუთარი აზრი, თუ საჭიროა ხელს უწყობს დაპირისპირებასაც, ერთი სიტყვით, შეძლებისდაგვარად აკეთებს ყველაფერს, რათა ასამბლემ ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან საკითხზე და მასზე პასუხისმგებლობა აიღოს (Cf. A. C. მე-3 სესია, 25-ე სეანსი, 1951 წლის ნოემბერი. C. R., t. V, გვ. 627-628, თავმჯდომარის სიტყვა სტატუსის რეფორმასთან დაკავშირებულ ზოგად საქმეთა კომისიის ანგარიშის შესახებ):

„მე არ მსურს ასამბლეის წევრებთან კამათი. მე ჩემი შიშები გამოვთქვი“.

„თუ ჩვენ მინისტრთა კომიტეტს გავუგზავნით დოკუმენტს, რომელიც სრულყოფილი არ არის, ან ჩვენ მივიჩნევთ ასეთად, და ვიტყვით, რომ ის ნამდვილად ასამბლეის აზრს წარმოადგენს, ჩვენი პრესტიჟი საგრძნობლად დაეცემა. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივაწოდოთ მათ დოკუმენტი - რომლის განხილვასაც ახლა ვიწყებთ - მუხლიდან მუხლამდე და ერთი შესწორებიდან მეორემდე მისი საფუძვლიანი გაცნობის გარეშე“.

„თუ ჩვენ სხვანაირად მოვიქცევით, იმ ექსპერტთა კომიტეტის წინაშე, რომელიც შეიძლება მოწვეულ იქნეს მინისტრების მიერ, სერიოზულ რისკს ვწევთ, რადგან იმის გამო, რომ ჩვენ წარვადგინეთ არასაკმარისი, წინააღმდეგობრივი ან დაუსაბუთებელი ტექსტი, შეიძლება აღმოვჩნდეთ საკმაოდ

უხერხულ სიტუაციაში. მაშინ, ვიმეორებ, მინისტრთა კომიტეტის წინაშე ჩვენი ასამბლეის პრესტიჟი დაეცემა. აი, ამისი მეშინია ყველაზე მეტად“.

„ამის ლოგიკური არგუმენტი შემდეგში მდგომარეობს: არის თუ არა ჭკვიანური გადაწყვეტილება ჩვენი სტატუსის რეფორმირება მაშინ, როცა ჩვენ უნდა შევთავაზოთ ევროპის შეცვლა თუ განახლება? განა ჩვენი სტატუსი არ უნდა განიხილებოდეს იმასთან მიმართებაში, რაც ჩვენ განგვიხორციელებია სხვა სფეროებში? თუმცა ვისურვებდი, შედგეს ზოგადი დისკუსია სტატუსთან დაკავშირებით“.

„კიდევ რაზეც ვშიშობ, ნება მომეცით ღიად განვაცხადო ამის შესახებ, არის ის, რომ ჩვენი კოლეგები ამ დოკუმენტს ყურადღებით არ გასცნობიან და, აქედან გამომდინარე, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით ცოტა გაურკვეველად ვუყაროთ მას კენჭი“.

(იხ. ასევე *ibid.*, გვ. 643, 649 ; 26-ე სეანსი, 1951 წლის 30 ნოემბერი, *ibid.*, გვ. 668, 669).

ის ასევე ერევა ასამბლეის მუშაობაში მაშინ, როცა ალლოთი ხვდება, რომ ასამბლეა მძიმე შეცდომის დაშვების პირასაა. ასეთ დროს ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ის დროებით ივიწყებს თავმჯდომარის უფლებებს, საუბრობს პრობლემაზე და იყენებს მთელ თავის ავტორიტეტს, რათა ასამბლეს თავიდან ააცილოს მძიმე შეცდომა. ამგვარი მიდგომით მან ორჯერ ისეთი სასარგებლო სამსახური გაუწია როგორც ასამბლეს, ასევე სრულიად ევროპის საბჭოსაც, რომ არასწორი იქნებოდა მისთვის საყვედური გვეთქვა თავმჯდომარის როლის მცირედი გადამეტების გამო. ალბათ, უფრო პირიქითაა.

ბ-ნი პოლ რენოს წინადადებასთან დაკავშირებით გამართული დებატების დროს, რომელიც შეეხებოდა ასამბლეის წარმომადგენლებისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრების ერთობლივი თათბირის ორგანიზებას, ასამბლეის ბიუროზე ერთი წინადადება იქნა დარეგისტრირებული. ეს უფრო შორსმომავალი, ვიდრე თავდაპირველი წინადადება, არც მეტი, არც ნაკლები, გვთავაზობდა ევროპის საბჭოს ინტეგრაციას ატლანტიკურ გაერთიანებაში.

როცა ნახა, რომ ასამბლეა ვერ აცნობიერებდა აღნიშნული წინადადების შედეგებს, ამ საკამათო საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრის თავიდან ასაცილებლად, თავმჯდომარემ ყოველგვარი თავშეკავების გარეშე პირდაპირ გააფრთხილა ასამბლეა:

„ქალბატონებო, ბატონებო, ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო ჭკვიანური იქნება, თუ ამ საკითხს კომისიას დავუბრუნებთ?“.

„ბატონო პოლ რენო, თქვენ რომ ერთსულოვანი თანხმობისთვის მიგელწიათ, მე თქვენს წინადადებას კენჭისყრაზე დავაყენებდი, მაგრამ არ ვიცი, ხვდებით თუ არა თქვენ არსებულ განსხვავებებსა და იმ საკითხების მნიშვნელობას, რომლებსაც ამჟამად განვიხილავთ“.

„ბ-ნი ფინ მოესა და მისი მეგობრების წინადადება გვთავაზობს, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის საბჭოს ატლანტიკურ საბჭოდ გადაქცევას“.

„არ ჩანს, რომ ეს აუდიტორიას აღაფრთოვანებს, მაგრამ სინამდვილეში საქმე, ამ წინადადების მიხედვით, ევროპის საბჭოს ატლანტიკურ საბჭოდ გადაკეთებას ეხება. ვფიქრობ, რომ აქ მსჯელობაა საჭირო და არ მგონია, რომ ჩვენ შეგვეძლოს ამ განხილვით მსგავსი საკითხის გადაწყვეტა. ვისურვებდი, გაგვეგრძელებინა დებატები, მაგრამ ამით ვერაფერს მივაღწევთ და იძულებულნი ვიქნებით საკითხი კომისიას დავუბრუნოთ“.

„უფრო მეტიც, ბ-ნი ფინ მოესა და სხვათა მიერ წინადადება დღეს იქნა შემოტანილი და მას შესწორების რეგლამენტური ფორმაც კი არ აქვს. ზოგად საქმეთა კომისიის მიერ შემოტანილი წინადადებაც ბ-ნი ფინ მოეს წინადადებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ვერ ვპოულობ სხვა ზედსართავ სახელს გარდა „უცნაურისა“ ამ დისკუსიის დასახასიათებლად“.

(მე-3 სესია, მე-11 სეანსი, 1951 წლის 11 მაისი, *ibid.*, t. II, გვ. 265).

სხვა გარემოებაში, ზოგად საქმეთა კომისიის მიერ „სპეციალიზებულ ხელისუფლებაზე“ წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით, რომლის ზოგიერთი დებულება მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხების გადაწყვეტას ეხებოდა, თავმჯდომარე ჩაერია იმ კენჭისყრის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, რომელიც ასამბლეას უნდა განეხორციელებინა.

„ვფიქრობ, ქალბატონო კლომპე, რომ უკეთესი იქნებოდა, კომისიას დაეკითხოთ იმის თაობაზე, თუ რას უპასუხებთ შემდეგ ორ კითხვაზე: რა არის კენჭისყრის ზუსტი არეალი, და ვისთვისაა განკუთვნილი რეზოლუცია თუ რეკომენდაცია, რომელსაც დოკუმენტი შეიცავს?“.

„თავს უფლებას მივცემ დავამატო, შესაძლოა ჩემი, როგორც თავმჯდომარის უფლებების ცოტა გადამეტებით, რომ რაც ამ დოკუმენტში სახიფათოდ მიმაჩნია, ის არის, რომ თეორიული დისკუსიის

წყალობით, და მე მას მეორეხარისხოვნადაც შევაფასებდი, გადაჭრილ იქნეს ჩვენი ასამბლეის ყველაზე მნიშვნელოვანი საკამათო საკითხი“.

„მაგალითად მოვიყვან აზრთა სხვადასხვაობას ზეეროვნულ ხელისუფლებაზე: ვეჭვობ, კარგია თუ არა ამ საკითხის გადაწყვეტა იმ დირექტივის საშუალებით, რომელიც, ვიმეორებ, არ ვიცით, ვისთვის იქნება განკუთვნილი და არც მისი გავრცელების სფეროს შესახებ მოგვეხსენება რამე“.

„ვეჭვობ, რომ ასამბლეისთვის გონივრული იყოს მსგავსი საკითხის ასე სასხვათაშორისოდ გადაწყვეტა“.

(მე-3 სესია, 35-ე სეანსი, C. R., t. VI, გვ. 938 ; იხილეთ ასევე მე-16 სეანსი, t. III, გვ. 407 და, განსაკუთრებით გვ. 413 ; მე-17 სეანსი, *ibid.*, გვ. 426).

მტკიცე, როცა კი ამას საჭიროება მოითხოვს, მაგრამ ყოველთვის თავაზიანობით გამორჩეული, ხან მეოცნებე და ხანაც სერიოზული, მუდამ მზად მყოფი საკუთარი შეცდომების აღიარებისთვის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ღირსებისა და ასამბლეის ავტორიტეტის წესს ემორჩილება - ამგვარად ესახება ბატონი სპაკი ყველას, ვისაც ის უხილავს საკონსულტაციო ასამბლეის თავმჯდომარის როლში. სინამდვილეში მან შექმნა „საპარლამენტო თავმჯდომარის ევროპული ფუნქცია“, რომელსაც საკუთარი პიროვნული დადი დაასვა და მისცა ის თვისებები, რომლებიც სამუდამოდ დარჩება. მან იგივე გააკეთა ევროპული ასამბლეის თავმჯდომარის ფუნქციისთვის, რაც არტურ ონსლოუმ კომუნათა პალატის „Speakership“-სთვის: მან მოდელი შექმნა.

მიშელ მუსხელი

სტრასბურგის სამართლისა და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

Europa Aeterna

მარადიული ევროპა

ევროპისა და მისი ხალხების ცხოვრების ერთიანი ხედვა

მისი კულტურა / მისი ეკონომიკა / სახელმწიფო და ადამიანი

ტომი II

გამომცემლობა Max S. Metz ციურიხი

ლოზანა – ლიეჟი – სენტ ლუი (ზემო რაინი) – ფრაიბურგი (Br.)

გამომცემელი: მაქს ს. მეცი, ციურიხი

მთავარი რედაქტორი: ერნეს ბ. სტეფანი, ლოზანა

COPYRIGHT BY ÉDITIONS MAX S. METZ S. A. ZÜRICH 1956

ბეჭდვა: IMPRIMERIE WINTERTHOUR S. A.

კლიშეები: SCHWITTER S.A. BALE

ქაღალდი: PAPIERS BALSTHAL ET BIBEIST

აკინბვა: SCHUMACHER BERNE

დაბეჭდილია შვეიცარიაში

ფრანგული სახელმწიფო

მიშელ მუსხელი

როგორც ვიცით თანამედროვე ფრანგული სახელმწიფოს შექმნა 1789 წლის რევოლუციით თარიღდება. სიმართლეს რომ ცოტა დავესესხოთ, შეგვეძლება ვთქვათ, რომ ორმა კაცმა იშრომა მისი აშენებისთვის - სეიესმა და ნაპოლეონმა. პირველისგან მან მიიღო მისი კონსტიტუციური და პოლიტიკური პრინციპები, მეორისგან კი მისი ადმინისტრაციული, სოციალური და მორალური საფუძვლები.

სეიესი ბურჟუაზიას განეკუთვნებოდა. ის ფიქრობდა, რომ რევოლუციის ნაყოფს, ე.ი. პოლიტიკურ ძალაუფლებასა და ეკონომიკური თავისუფლებას, ბურჟუაზია უნდა დაპატრონებოდა. მაგრამ, რამდენად იყო ეს შესაძლებელი 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის დარღვევის გარეშე, რომელიც ამკვიდრებდა „ბუნებრივ და ხელშეუვალ უფლებებს“, მათ შორის თავისუფლებასა და თანასწორობას? გამოსავლის საპოვნელად, სეიესმა გამოიყენა ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპი, როგორც საყრდენი მისგან კონსტიტუციური წესრიგის შესაქმნელად. სუვერენული ერი, მეფეზე ადრინდელი და მასზე ზემდგომი, მისი შემადგენელი 25 მილიონი ფრანგის სახით, წარსულის ფესვებითა და, ამავე დროს, მომავლისკენ მიმართული, გარდაიქმნება შეკრულ ერთობად, მორალურ არსებად, რომელსაც გადაეცემა წმიდათაწმიდა სუვერენული ძალაუფლება. მისი გამარცხის შიშით სუვერენიტეტი ცხადდება განუსხვისებლად, განუყოფლად და ხელშეუვალად. ამასთანავე, ერს უზრუნველყოფენ წარმომადგენლებით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ისაუბრონ და იმოქმედონ მისი სახელით. ამ წარმომადგენლებს შორის უპირატესობას არჩეული ასამბლეა ფლობს, რომელიც მოგვიანებით მონოპოლიაში გადაიზრდება. კანონი „საჯარო ინტერესის გამოხატულებად“ გადაიქცევა და ეროვნულ სუვერენიტეტს პარლამენტი განახორციელებს. აი, ამგვარად, დასაწყისშივე წარმომადგენლობითი რეჟიმი აცლის ფრანგ ხალხს ძალაუფლებას და აფუძნებს ძლევამოსილი და უპასუხისმგებლო ასამბლეის უმცირესობის მთავრობას.

ამგვარად, სეიესმა დაიწყო 1789 წლის დიდი პრინციპების სუბვერსია. შემდგომ კი ნაპოლეონი გააგრძელებს და გააფართოვებს მის ღვაწლს. ის შექმნის კეისრის რეჟიმს, გარეგნულად დემოკრატიული იდეებით გამსჭვალულს, რითაც მოახერხებს

ძალაუფლებისადმი ეჭვიანი ფრანგების ყურადღების გადატანას სხვა რამეზე. მაგრამ, თუ პოლიტიკის სფეროში ნაპოლეონის მემკვიდრეობა გამანადგურებელია, ადმინისტრირებისა და სოციალურ სფეროებში მისი ბალანსი უეჭველად პოზიტიურია. რევოლუციამ გააუქმა ძველი რეჟიმი მისი ინსტიტუციებით, პრინციპებითა და ტრადიციებით. ნაპოლეონმა მისცა საფრანგეთს ახალი სამართლებრივი და მორალური საყრდენი, რომელმაც შეძლო ჩარჩოში მოექცია ფრანგები და აღედგინა ეროვნული ერთობა.

ის მას აღჭურავს იმ ადმინისტრაციით, რომელმაც შექმნა და ახლაც ქმნის საფრანგეთის სახელმწიფოს სიძლიერეს. ადმინისტრაციული მექანიზმი იმგვარად მოეწყო, რომ ცენტრალურ ძალაუფლებას ყველგან ემორჩილებიან და არსად ეწინააღმდეგებიან. ის მოიცავს კონსულტაციურ ტექნიკურ ორგანოს - სახელმწიფო საბჭოს, რომელიც შემდგომში კანონისა და თავისუფლების ფხიზელ დარაჯად გარდაიქმნება. კონკორდატით ნაპოლეონმა მოაგვარა წმინდა ტაძართან ურთიერთობები და დაამყარა რელიგიური მშვიდობა. კანონების კოდიფიცირებით, მან წესრიგი და უსაფრთხოება დაამყარა სოციალურ ურთიერთობებში და განათლების რეფორმით ინდივიდის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბება მოახერხა.

მაგრამ ის მანამდე დაეცა, სანამ საკუთარ ნაშრომს დაასრულებდა. ვენის კონგრესმა, რომელმაც ნაპოლეონის „ავანტიურას“ საბოლოო წერტილი დაუსვა, საფრანგეთში მონარქია აღადგინა, ღვთაებრივი უფლების პრინციპები ლეგიტიმურად შერაცხა და მის დასაცავად ჩამოაყალიბა წმინდა ალიანსი და ევროპული კავშირი. პირველის დანიშნულებას რევოლუციური ხასიათის ყველა საქმიანობის მცდელობის აღკვეთა შეადგენდა, მეორისას კი - ევროპაში ხელისუფლებისა და მშვიდობის შენარჩუნება.

ეგონათ, რომ რევოლუციური ციებ-ცხელებით შეპყრობილი დაბნეული საფრანგეთი ევროპულ ოჯახს უბრუნდებოდა.

მაგრამ კალმის ერთი მოსმით ვერ წაშლი ბრწყინვალე რევოლუციური რყევებისა და ნაპოლეონის ეპოპეის კვალს. ბურბონებმა ეს მალევე შეამჩნიეს. ამ მნიშვნელოვან ფრაზას ლუი XVIII-ს მიაკუთვნებენ : „მე არ მსურს ორი ხალხის მეფე ვიყო“. სხვა რას უნდა ნიშნავდეს ეს, თუ არა იმას, რომ მონარქიის აღდგენამ საფრანგეთის უკიდურესად დაყოფა გამოიწვია? „ამ მომენტიდან იწყება, წერს შარლ სენობოსი თავის „ფრანგი ერის ისტორიაში“, ფრანგი ერის

მუდმივი დაპირისპირებით ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებულ ორ ბანაკად დაყოფა, რაც საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ფარულ საყრდენს წარმოადგენს დღესაც“.

ორი საფრანგეთი! ერთი, რომელიც ენერგიულად და ნოსტალგიურად ეჭიდებოდა წარსულს: ტრადიციონალისტური საფრანგეთი, მოგვიანებით კი - რეაქციული და კონსერვატიული საფრანგეთი; მეორე კი, აწმყოს გადასწრებით, საკუთარ თავში ატარებდა მომავლის იმედს, იმედს უკეთესი მომავლისა: განათლებული საფრანგეთი, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა სოციალურ პროგრესს და საერთაშორისო მშვიდობას.

რევოლუციითა და მონარქიის აღდგენით გამოწვეული საფრანგეთის ორ ბანაკად დაყოფა გრძელდება. იცვლება მხოლოდ ფორმები და შინაარსი. ეს დაპირისპირება ფრანგული პოლიტიკური ცხოვრების დომინანტია და ღრმა გავლენას ახდენს ქვეყნის წონასწორობაზე.

ლუი XVIII-ს კარგად ესმოდა ამ მდგომარეობის სერიოზულობა. როგორც ნაპოლეონმა, მანაც სცადა წარსულსა და აწმყოს შორის ხიდის გადგმა. შერიგების მისეული მცდელობა ისეთივე კრახით დასრულდა, როგორც წინამორბედის, მაგრამ განსხვავებული მიზეზების გამო. პირველ წინაღობას თვითონვე წარმოადგენდა. ლუი XVIII თვითონ იყო ამ განხეთქილების მსხვერპლი, რომელიც საფრანგეთს ტვირთად აწვა: იგი ძველი რეჟიმის ერთგული რჩებოდა, თუმცა ამავე დროს იცოდა, რომ ის რეალურად განწირული იყო. 1814 წლის ქარტიის შინაარსის დიდი ორაზროვნებაც ამის შედეგია. მეფის გულუხვი საჩუქარი თუ ერთან დადებული შეთანხმება? ღვთაებრივი უფლების ლეგიტიმაცია თუ დემოკრატიული ლეგიტიმაცია? ულტრამონარქისტებისთვის პასუხი მარტივი იყო: ისინი თავდაუზოგავად და ყველა საშუალებით ცდილობდნენ წარსულის გაცოცხლებას. ლუი XVIII-ის სიკვდილმა და ფანატიკოსი და ჯიუტი შარლ X-ის ტახტზე ასვლამ ძლიერი რეაქცია გამოიწვია, რომელსაც 1830 წლის აჯანყება, მეფის გაქცევა და ივლისის მონარქიის დაბადება მოჰყვა.

ამჯერად ბურჟუაზია საბოლოოდ იმარჯვებს ფულისა და სისხლის არისტოკრატიაზე. მაგრამ, ამასთანავე, ჩნდება მისი ახალი მტერი - პარიზელი ხალხი, რომლის ძალადობრივმა მოქმედებამ ივლისის დღეებში უცნაურად გაახსენათ დიდი რევოლუცია თავისი ტერორით, ხიფათითა და რესპუბლიკით. მონარქია, რომლის პრესტიჟიც კვლავ მაღალია ქვეყანაში, დამცავი კედლის როლს ასრულებს, მაგრამ მისთვის საშიში წვეტის მოსაქლიბად მის „გაბურჟუებას“ მიმართავენ: ლუი-ფილიპს ართმევენ „საფრანგეთის მეფის“ ტიტულს, ის

„ფრანგთა მეფის“ ტიტულით უნდა დაკმაყოფილდეს. ბურჟუაზიული დემოკრატია იმარჯვებს მონარქიულ პრინციპზე: 1830 წლის ქარტია ნამდვილი კონვენციის ძალას იძენს.

მაგრამ ბურჟუაზიაც (რა გასაკვირია?) ისევე უფრთხილდება საკუთარ ძალაუფლებასა და პრეროგატივებს, როგორც ძველი მმართველი კლასი. საარჩევნო ცენზი, რომლის ბარიერმაც მსუბუქად დაიწია, არჩევნების უფლებას 170 000 ფრანგს აძლევს. გამორიცხული მასების სანუგეშოდ, გიზო მათ თავის ცნობილ რჩევას აძლევს: „გამდიდრდით!“ ივლისის მონარქიამ მადა მართლაც გააღვიძა: კოლოსალური საქმიანობა იწყება, საწარმოები ერთიანდებიან და მრავლდებიან, ვაჭრობა ვითარდება, ეროვნული სიმდიდრე იზრდება. იმედოვნებენ, ცოტა გულუბრყვილოდ, რომ ყველა ისარგებლებს ამით. რეალობა კი, სამწუხაროდ, ნაკლებად კაშკაშაა. მუშათა კლასის სიღატაკე სიბრაღულს იწვევს. დაბალი ხელფასები, 15-16-საათიანი სამუშაო დღე, ქალთა და ბავშვთა დასაქმება ქარხნებში, არანაირი დაცვა მეპატრონის თავნებობისგან: ზოგიერთი, სისმონდის მსგავსად, ხმას იმაღლებს ამ ტკივილის წინააღმდეგ, რომელიც უსამართლოდ ტანჯავს მილიონობით ფრანგს და მათ რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრებს. სხვადასხვა, უკვე მრავალ პოლიტიკურ ჯგუფს, არ სურს აღიაროს სოციალური პრობლემის არსებობა და თავს იკავებს რაიმე ძალისხმევისგან მის მოსაგვარებლად. განსხვავება „ოფიციალურ ქვეყანასა“ და „რეალურ ქვეყანას“, პრივილეგიებულ უმცირესობასა და მუშათა უმრავლესობას, მთავრობისგან განზე გაწეულ ხელოსნებსა და მცირე ვაჭრებს შორის, რეჟიმს ჩამოშლისკენ უბიძგებს. 1848 წლის რევოლუციას მისი გადატრიალება არ გაუჭირდება.

1789 წლიდან ნახევარზე მეტი საუკუნეა გასული! მცირე შესვენება აუცილებელია ფრანგული გამოცდილების პირველი ანგარიშის შესადგენად; ანგარიში სულ უფრო მეტადაა საჭირო, იმის გამო, რომ 1848 წლიდან ახალი ეპოქა იწყება. აქტივში ჩავწერთ: საფრანგეთის მნიშვნელოვან როლს ევროპასა და მსოფლიოში, მისი ხალხის დინამიზმს და უზომო რწმენას, რომელიც შეუჩერებლად იკვალავს გზას მომავლისკენ და ამგვარად გაკვალულ გზაზე მიუძღვის თავის მეზობლებს. პასივში კი: პოლიტიკურ არასტაბილურობას - საფრანგეთი უძღური ჩანს დამაკმაყოფილებელი სამთავრობო სისტემის მოძიებაში; და სოციალურ არასტაბილურობას - ბურჟუაზია, რომელიც არ მიდის აუცილებელ დათმობებზე, თავის წინ წამოჭრილ პროლეტარიატის ავბედით ჩრდილს ხედავს.

თავისი შედეგებით 1848 წლის რევოლუცია გაცილებით მეტია, ვიდრე სამთავრობო გუნდის მარტივი ცვლილება. ის უდავოდ ახალ ერას უხსნის გზას ფრანგული სახელმწიფოს ისტორიაში. ჯერ სოციალიზმის ერას: ეს პრუდონისა და მარქსის, „კომუნისტური მანიფესტის“, კლასთა ბრძოლისა და სოციალური მოთხოვნების ეპოქაა; შემდეგ, რესპუბლიკელთა ეპოქას: ხელახლა იხსენებენ დიდი რევოლუციის რესპუბლიკურ ტრადიციას, მაგრამ მის „იაკობინურ“ და ცენტრალიზებულ ასპექტში; დაბოლოს, თავს უფლებას მივცემ ვთქვა, „ბონაპარტისტულ“ ერას: ერთი ადამიანის გარშემო, რომლის პოპულარიზაციასაც ხელს უწყობენ, ძალაუფლებას მოწყურებულ აქტივისტთა ჯგუფის ჩამოყალიბება. საკუთარი მნიშვნელობით 1848 რევოლუცია არაფერში ჩამორჩება მის დიდ წინამორბედს. და, რაც კიდევ უფრო მეტად აახლოებს, ეს მათ მიერ ნაშობი რეჟიმის არამდგრადობაა. მიუხედავად განსხვავებული ტიპებისა, 1789 წლისა და 1848 წლის კონსტიტუციებს ერთი და იგივე ნაკლი გააჩნიათ. კომპლექსურობა, სიმძიმე, სისტემატიზაცია, ფაქტების არცოდნა თუ უარყოფა... უამრავი ნაკლი, რაც მათ გამოუსადეგარს ხდის. 1848 წლის სისტემა წარმოადგენს საპარლამენტო ხელისუფლების, ასამბლეის ხელისუფლებისა და საპრეზიდენტო ხელისუფლების უცნაურ ნარევს. „ყველაფერ ამაში“, წერს ბ-ნი ჟ.ჟ. შვეალიე, „არანაირი სინთეზი: წინააღმდეგობრივი პრინციპების შეერთება, „მოზაიკა“, პოლიტიკური კაკოფონია, რომელიც ერთმანეთში ურევს შეუსაბამო ნოტებს *იაკობინელებისა* და დიდი *პლემბისციტური* არიებიდან, შეუმჩნევლად მიყურებული *საპარლამენტო* არიის თანხლებით“. „ასეთი იყო“, ამატებს ის, „ღმერთის თანდასწრებითა“ ... და „ფრანგი ხალხის სახელით“ „დამფუძნებელი ასამბლეის ნაბუშარი ნაშრომი“.

ამასობაში, საყოველთაო არჩევნების შედეგად ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტი რესპუბლიკის პრეზიდენტი ხდება მაშინ, როცა ნაციონალურ ასამბლეაში უმრავლესობას მონარქისტები ფლობენ. „პრინცი-პრეზიდენტი“ და მონარქისტთა უმრავლესობა ერთმანეთს ეკვრება ახალგაზრდა რესპუბლიკის მოსაგუდად, მაგრამ თითოეულს მხოლოდ თავისთვის სურს ნანატრი მემკვიდრეობის ხელში ჩაგდება. გამარჯვება ყველაზე მოხერხებულს რჩება: ლუი-ნაპოლეონი, სიჯიუტისა და შეუპოვრობის წყალობით, მოხერხებულად იყენებს ასამბლეის ყველა შეცდომას და 1851 წლის ოქტომბერში პირველ შეტევას იწყებს. ის მოითხოვს საყოველთაო არჩევნების შეზღუდვის მიზნით ასამბლეის მიერ 1850 წლის 31 მაისს დამტკიცებული კანონის გაუქმებას. ეს აშკარა მახეა, რომელშიც ასამბლეა გაებმება. ამ დიადი პრინციპის „დასაცავად“ 1851 წლის 2 დეკემბერს ოსტერლიცის ბრძოლის თარიღის

აღნიშვნისას, მას ძლიერ დარტყმას მიაყენებენ. მეორე რესპუბლიკის დასასრული მეორე იმპერიის დასაწყისს ანონსებს.

მეორე იმპერია კარგი რეპუტაციით არ სარგებლობს. მას აღწერენ, როგორც მისი ცნობილი წინამორბედის უფერულ ფალსიფიკაციას. ეს მკაცრი შეფასება გადამეტებულად გვეჩვენება.

მართალია, რომ 1852 წლის მმართველობის სისტემა პირველი იმპერიის არსებობის VIII წლიდან იღებს შთაგონებას: სახელმწიფოს მეთაური, სახელმწიფო საბჭო, საკანონმდებლო ორგანო და სენატი... მათში პირველი იმპერიის მსუბუქად სახეცვლილ სქემას ვხედავთ. თუმცა რეალურად მისი დამსახურებაა საყოველთაო არჩევნებთან დამახლოებელი მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება. ისიც მართალია, რომ ახალი რეჟიმი იმავე წარმატებით მანიპულირებდა დემოკრატიული ინსტიტუტებით, როგორც მისი წინამორბედი. საყოველთაო არჩევნების „მოსათვინიერებლად“ ყველა საშუალება გამოიყენებოდა: ერთგულების ფიცი, საარჩევნო ოლქების წინასწარგათვლილი დაყოფა, ოფიციალური კანდიდატები... იმპერატორის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, დროდადრო მიმართავდნენ პლემისციტსაც. საბოლოო ჯამში იმპერია დემოკრატიზაციისკენ მიმართულ რეფორმების გზას ადგება... განა მის კრედიტში არ უნდა აისახოს ეკონომიკური ლიბერალიზმი, სუეცის არხის გაყვანა, შიდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, სახელმწიფო საბჭოს ლიბერალური იურისპრუდენცია, რომელიც უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება მოქალაქეებისთვის, მუშების სასარგებლოდ მიღებული პირველი საკანონმდებლო აქტები და კანონი ანონიმური საზოგადოებების შესახებ, რომელთაც დადებითი იმპულსი მისცეს ინდუსტრიულ განვითარებას? იმპერიამ განსაკუთრებულად საგარეო პოლიტიკაში შესცოდა: მისი მოქმედება, ავანტიურიდან ავანტიურამდე, სამხედრო მარცხით, დამარცხებული არმიითა და დაპატიმრებული იმპერატორით სრულდება. მეორე დღესვე, 1870 წლის 4 სექტემბერს, პარიზელი ბრბო ბურბონების სასახლეს იკავებს, იმპერიას გაუქმებულად აცხადებს და გადადის ქალაქის მერიაში ახლად შექმნილი ეროვნული თავდაცვის დროებითი მთავრობის მხარდასაჭერად.

უკვე მესამე რესპუბლიკასთან მივდივართ. გზა გრძელი და რთულია. ქვეყანა ჯერ კიდევ საომარ მდგომარეობაშია. რა გზას დაადგენ? მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ თუ გააგრძელონ წინააღმდეგობა? ორივე იდეას საკუთარი მხარდამჭერები ჰყავს მთავრობაში. შიდა აჯანყების რისკი კიდევ არსებობს. ამასთანავე, საჭირო იყო ქვეყნის ახალი

პოლიტიკური რეჟიმით აღჭურვა, მაშასადამე, დამფუძნებელი ასამბლეის სასწრაფოდ მოწვევა იყო საჭირო. დროებითი მთავრობა ორი საკითხით კავდება: დებს საზავო ხელშეკრულებას და ნიშნავს არჩევნებს. ერთი გაუგებრობა, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვება, გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე. მაშინ, როცა ძირითადი დებატები ომისა და მშვიდობის პრობლემაზეა კონცენტრირებული, ამომრჩეველი დამფუძნებელ ასამბლეაში მშვიდობის მომხრეებს, მონარქისტების უმრავლესობას არჩევს გამბეტასა და რესპუბლიკელებს, რომლებიც ბრძოლის გაგრძელების მომხრენი არიან (450 მანდატი 250-ის წინააღმდეგ).

ეროვნული ასამბლეა ოთხი წელი იფუნქციონირებს. მმართველობის ფორმის საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობით მნიშვნელოვნად დაყოფილი ასამბლეა ფეხს ითრევს იმ იმედით, რომ დრო ყველაფერს თავად მოაგვარებს. ამასთან ერთად, ის დროებით ნიშნავს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ჯერ ტიერის, შემდეგ კი მარშალ მაკ-მაჰონის ხელმძღვანელობით. რადგანაც იმ მომენტისთვის მონარქიის რესტავრაცია შეუძლებელია, ეროვნული ასამბლეა გამოუვალი მდგომარეობის გამო რესპუბლიკურ რეჟიმს უბრუნდება (ვალონის შესწორება), მაგრამ მას მონარქიული შინაარსით გააჩერებს. ის იმედოვნებდა, რომ როგორც კი დაბრკოლებები გაქრებოდა, სამეფო ტახტი ჩაანაცვლებდა რესპუბლიკის პრეზიდენტს. ამ ცვლილების გასამარტივებლად ის საჯარო ხელისუფლების ორგანიზების შესახებ მცირე რაოდენობის ზოგადი წესების დამტკიცებით იფარგლება, რომლებიც ასახვას ჰპოვებს 1875 წლის თებერვალსა და ივლისში მიღებულ სამ კონსტიტუციურ კანონში, რასაც პირობითად „1875 წლის კონსტიტუცია“ უწოდეს.

გარემოებები, რომლებიც წინ უსწრებდნენ ახალი რეჟიმის შექმნას, მისი მომავლის სასარგებლოდ არ მეტყველებდნენ. უდავოდ, მესამე რესპუბლიკა არასასურველ ახალშობილად მოევიდნა ქვეყანას: თვით მისი ნათლიებიც კი, ვინც ის საკუთარი სურვილის წინააღმდეგ დააფუძნა, მის უახლოეს დასასრულს ელტვოდნენ. თუმცა მას საოცარი ბედი ხვდა წილად: მიუხედავად იმისა, რომ არც მტერი აკლდა და არც გადასალახი სირთულეები, მაინც მოახერხა და ისეთი ძალაუფლება შეიძინა, რომ ყველა რთულ გამოცდას, შიდა კრიზისსა და ომს გაუძლო. ის 65 წლის განმავლობაში საფრანგეთს კონსტიტუციურ სტაბილურობას მოუტანს. წინამორბედ რეჟიმებთან შედარებით მართლაც შთამბეჭდავი სიცოცხლისუნარიანობაა.

როგორ შეიძლება, რომ 1875 წლის სისტემის ემპირიულობასა და მოქნილობაში და, აქედან გამომდინარე, მისი ადაპტაციის უნარში, ვერ დავინახოთ მისი წარმატების ძირითადი მიზეზები? როგორც პოლიტიკური შემთხვევითობის ნაყოფი, მისი კონსტიტუციური არქიტექტურა მხოლოდ ინსტრუმენტული ხასიათის რამდენიმე დებულებით შემოისაზღვრება, რომელიც გარიგებისა და ოპორტუნიზმის ალლოთია გაჯერებული, რაც თითქოს ეწინააღმდეგება ეპოქის ფრანგულ პოლიტიკურ გენიას. აი, სქემაც: ეროვნული სუვერენიტეტი, წარმომადგენლობითი რეჟიმი, საპარლამენტო ხელისუფლება და ორპალატიანი პარლამენტი, რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო, ამ ბოლო ორს შორის დამაკავშირებელი ძაფია. რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული მინისტრები ინდივიდუალურად და კოლექტიურად პასუხისმგებლები იყვნენ ორივე პალატის წინაშე. სამაგიეროდ სენატის თანხმობით პრეზიდენტს შეეძლო დაეთხოვა დეპუტატთა პალატა და ახალი არჩევნები დაენიშნა. ამ ყველაფერში სიახლე ბევრი არაფერია, გარდა იმისა, რომ პარლამენტარიზმი რესპუბლიკასთან ასოცირდება და მექანიზმში პრაქტიკას დიდი ადგილი უკავია.

თუმცა თავიდანვე პრაქტიკა ასამბლეის მომხრე და რევოლუციური ტრადიციის მიმდევარია. პოზიციების კრისტალიზებაში ორი კაცი ითამაშებს მნიშვნელოვან როლს: მარშალი მაკ-მაჰონი და ჟიულ გრევი. პირველის გვარზე გვახსენდება 1877 წლის 16 მაისი, სამახსოვრო დღე, როცა პირველი დიდი კონფლიქტი წარმოიშვა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. ქვეყანაში აღმავლობის გზაზე მდგარი რესპუბლიკური მიმდინარეობის უგულებელყოფით რესპუბლიკის პრეზიდენტმა გადააყენა საბჭოს თავმჯდომარე და მისი მემკვიდრის შერჩევის მიზნით დაითხოვა დეპუტატთა პალატა. მაგრამ ახალ არჩევნებზე ქვეყანამ 323 რესპუბლიკელი დეპუტატი აირჩია და ამით მან დასაჯა სახელმწიფოს მეთაური ფარული გადატრიალების მცდელობისთვის და შეარყია ინსტიტუციის ავტორიტეტი. მას შემდეგ ვერცერთი პრეზიდენტი ვეღარ გაბედავს ამ იარაღის გამოყენებას.

ამ ინციდენტმა დაასუსტა რესპუბლიკის პრეზიდენტის ინსტიტუცია. ჟიულ გრევი, რომელმაც მაკ-მაჰონი ჩაანაცვლა, თავის მხრივ დაუპირისპირდება აღმასრულებელი ხელისუფლების მეორე შტოს - კაბინეტს. იმდენად სძულს გამბეტა, რომ უარს აცხადებს მის დანიშვნაზე. მაგრამ ეს დიდი ტრიბუნი პალატაში მნიშვნელოვან ძალაუფლებას ფლობდა. ამგვარად, ორი წლის განმავლობაში საფრანგეთს ორი მთავრობა ეყოლება: ოფიციალური

მთავრობა რეალური ავტორიტეტის გარეშე და ფარული მთავრობა, რომელსაც დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის პოსტიდან გამბეჭა ხელმძღვანელობდა. საკუთარი სურვილის მიხედვით სამინისტროების შექმნითა და გაუქმებით, პარლამენტი რეალურად მართავს მთავრობას და ფრანგულ პრაქტიკაში მუდმივი სამთავრობო არასტაბილურობის ჭირს შემოიტანს.

ძლიერი საკანონმდებლო ხელისუფლება - სუსტი აღმასრულებელი ხელისუფლება, ასეთია ფრანგული მთავრობის დომინანტური ხასიათი, რომელსაც მეოთხე რესპუბლიკა მესამისგან მემკვიდრეობით მიიღებს. მაგრამ ამ დაავადების სიმძიმეს მხოლოდ მოგვიანებით დაინახავენ. ახალი რეჟიმის პირველ წლებში არავის ჰქონდა რაიმე გასაკიცხი. ის რეალურად საკუთარ „ოქროს ხანაში“ ცხოვრობდა და მგზნებარებითა და დეტერმინაციით, სახელმწიფოს ტრანსფორმაციის დიდ საქმეს ეჭიდებოდა.

საშინაო სფეროში ადმინისტრაციული და სოციალური აპარატის დემოკრატიზაცია მიმდინარეობს. 1881 წლის მნიშვნელოვანი კანონით მტკიცდება კომუნალური თავისუფლებების ქარტია. რამდენიმე წლის შემდეგ სენატი კომუნების წარმომადგენლობად გადაიქცევა. 1884 წელს მუშები მიიღებენ პროფკავშირების ჩამოყალიბების უფლებას და პროფკავშირული მოძრაობა აღმავლობას განიცდის. იმავე ეპოქაში ხორციელდება განათლების დიდი რეფორმაც, რომელიც სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევებას დაუდებს საფუძველს. ფართოვდება და მყარდება სამოქალაქო თავისუფლებები. ფისკალური სისტემის ცვლილებაც მოქალაქეებს შორის საგადასახადო ტვირთის უფრო თანასწორად განაწილების წესებს ამკვიდრებს. საერთაშორისო დონეზე მესამე რესპუბლიკა იმტკიცებს მშვენიერ კოლონიებს და გერმანული საფრთხის წინაშე სასწაულად ახერხებს ანტანტის ხელშეკრულების გაფორმებას. მე-20 საუკუნის დასაწყისში რეჟიმმა განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია: ის ფლობს ყველა ელემენტს, რომელსაც საზოგადოებისთვის ბედნიერება და სიმდიდრე მოაქვს. ჯერ სახელებს რაც შეეხება: ვალდეკ-რუსო, კლემანსო, ბრიანი, ჟოზეფ კაიო... მთავრობაში და ჟორესი და გესდი - ოპოზიციაში. შემდეგ კი დოქტრინა: სოლიდარიზმი, ბრწყინვალედ მორგებული პატარა და მცირე ბურჟუაზიაზე. რწმენა: აზროვნების კულტი და ადამიანური პროგრესი. დაბოლოს, სიმდიდრე და უსაფრთხოება. რამდენიმე არსებულ პრობლემას არ შეეძლო ამ მომხიბლავი სურათის დაჩრდილვა.

1914-1918 წლების ომმა ყველაფერი ამოატრიალა. გამარჯვებული რესპუბლიკა დასუსტებულია. თავსმოხვეული სირთულეების გადასალახად უძლური რეჟიმი საკუთარ დასასრულს უახლოვდება. თავიდან ვერაფერს ამჩნევენ, მაგრამ 1926 წლიდან ვარდნის სიმპტომები უფრო იკვეთება და მრავლდება. ათი წლის შემდეგ ისინი უკვე აშკარა ხდება. ფატალურ დასასრულს ყველაფერი უწყობს ხელს. ეკონომიკური და ფინანსური სირთულეები: სავალუტო კრიზისი, ინფლაცია, უმუშევრობა, ფასების ზრდა... რესპუბლიკის მხრივ მათი მოგვარების მცდელობა მარცხით მთავრდება. 1932 წლიდან ევროპაში დიქტატორული რეჟიმების მომრავლებით, საერთაშორისო დამაბულობა მიიმდება. სოციალური კრიზისიც, თავის მხრივ, უფრო და უფრო ფართოვდება: პროფკავშირები მუშათა კლასს ხელისუფლებას უპირისპირებს, რომელსაც ფულთან კონსპირაციაში ადანაშაულებენ. სახალხო ფრონტის შექმნა აშინებს მდიდარ ფენას და მრავალი მათგანი ფაშიზმის მომხრედ გადაიქცევა. ფრანგული საზოგადოების ორივე მხარე ერთმანეთს ისე ჯიუტად უპირისპირდება, როგორც არასდროს. ადამიანური რესურსის კრიზისი: ომისგან დაქცეულ ქვეყანაში მმართველ ელიტას განახლება ძალიან უჭირს, რეჟიმს აკლია კადრები მაშინ, როცა მას ეს ყველაზე მეტად სჭირდება. დაბოლოს, ინსტიტუციების კრიზისი: ქვეყანაში პარტიული ამბიციების გაძლიერება და პარლამენტის შიგნით - სამთავრობო ძალაუფლების დამბლა, სამინისტროების „ბინძური ვალსი“, საკანონმდებლო ხელისუფლების კაპიტულაცია, კაბინეტების მზარდი ძალაუფლება, საკანონმდებლო „ქაოსი“, კონსერვატიზმის ციტადელად გადაქცეული სენატის სკლეროზი – ეს ყველაფერი მმართველი ინსტიტუციებისა და პოლიტიკოსების მიმართ ფრანგების ნდობას ამსხვრევს. 1934 წლის 6 თებერვლის მანიფესტაცია და მის მიერ მთავრობაში გამოწვეული პანიკა შემამფოთებლად ააშკარავებს რეჟიმის სისუსტეს. ცდილობენ დინების საწინააღმდეგო ცურვას, მაგრამ უკვე ძალიან გვიანია. 1940 წლის კატასტროფა საბოლოოდ დაასამარებს მესამე რესპუბლიკას: 1940 წლის 10 ივლისს ეროვნული ასამბლეა ანიჭებს „რესპუბლიკის მთავრობას მარშალ პეტენის ხელმძღვანელობით სრულ უფლებამოსილებას, ერთი ან მრავალი აქტის საფუძველზე მიიღოს საფრანგეთის სახელმწიფოს ახალი კონსტიტუცია“. ამგვარად, გამბეტას, ფერის, ვალდეკ-რუსოს, კლემანსოს, ბრიანისა და სხვათა რესპუბლიკა საკუთარ თავს გაუქმებულად აცხადებს.

ოთხი წლის განმავლობაში – 1940-დან 1944-მდე – საფრანგეთის სახელმწიფო ორმაგ არსებობას ეწევა: მეტროპოლს მართავს ვიშის სახელმწიფო და მის გარეთ კი - წინააღმდეგობის მოძრაობა, რაც ორმაგად ტრაგიკული იყო, როგორც ფრანგული

საზოგადოების გახლეჩის თვალსაჩინო მაგალითი. ოთხწლიანი ტანჯვა, მაგრამ ასევე ფიქრი და მედიტაცია. ვცდილობთ გავერკვეთ არეულობასა და მწუხარებაში: ვეძებთ უბედურების მიზეზებს, ვიხედებით მომავლისკენ, როგორც იმედების კერისკენ. წინააღმდეგობის მოძრაობა შობს ახალ ადამიანებს და აღჭურავს მათ საფრანგეთის შეცვლის სურვილითა და ნებით, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანონ.

გათავისუფლებისთანავე ქვეყანა აღმშენებლობას იწყებს. ტრადიციის დარღვევით ხალხმა უნდა გადაწყვიტოს მომავალი რეჟიმის ფორმა. 1945 წლის 21 ოქტომბერს ამომრჩეველი ნიშნავს დამფუძნებელ ასამბლეას, საზღვრავს მისთვის მინიჭებულ ძალაუფლებას და იტოვებს უფლებას დაამტკიცოს ახალი კონსტიტუცია. ბრწყინვალე დაბრუნებაა რევოლუციურ ტრადიციებთან, რომელთაც, სამწუხაროდ, გაგრძელება არ უწერია!

დასაწყისი იმედისმომცემი იყო, მაგრამ გაგრძელება - ნაკლებად. პირველ ასამბლეაში სამი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფორმაცია ჩნდება: კომუნისტები, სოციალისტები (S. F. I. O.), სახალხო რესპუბლიკური მოძრაობა (M. R. P.). დეპუტატთა უმრავლესობა წინააღმდეგობის მოძრაობის იდეებისგან განსხვავებულად აზროვნებს: რადგანაც შეთანხმება აღარ არსებობს, ურთიერთთაგება რთულდება. პოლიტიკა საკუთარ უფლებებს იბრუნებს და მასთან ერთად ხელახლა იწყება ვაჭრობა და კომბინაციები. 1946 წლის 19 აპრილის პროექტი ამ მენტალიტეტითაა გაჟღენთილი. სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის წინააღმდეგობისა და გენერალი დე გოლის მოწოდებით ხალხი უკუაგდება პროექტს. მაგრამ შემდეგი პროექტიც მხოლოდ წინამორბედის ასლია, მცირეოდენი წმინდა ფორმალური ცვლილებებით. ბატონი პრელო მას ახასიათებს, როგორც „ახალ კომპრომისს, კომპრომისის კომპრომისს, სუპერკომპრომისს“. სახალხო კონსულტაციის შედეგად პროექტი მცირე უმრავლესობით მიღებულია. 1946 წლის 27 ოქტომბერს ის ძალაში შედის და მეოთხე რესპუბლიკაც სასწორზე დებს საკუთარ ბედს.

და რა იქნება მისი ბედი? რომელი ახალი ჰორიზონტებისკენ გაუძღვება ის ფრანგულ სახელმწიფოს? რა არის აქ დასამალი? პირველი ათი წლის არსებობის ანგარიში განსაკუთრებულად იმედისმომცემი არაა. საყვედურებით დატვირთული ახალი რეჟიმი ზოგადი ანტიპათიითაა მოცული. მაგრამ მართლესი ვართ კი მის მიმართ? შეეძლო კი მას უკეთესად და მეტი გაეკეთებინა ომის შემდგომ განსაკუთრებულ პირობებში? ის ჩარჩო, რომელშიც ის კონსტიტუციურმა ტექსტმა მოაქცია, აძლევს კი მას თამამად და

სრულფასოვნად განვითარების საშუალებას? ნამდვილად არა! კონსტიტუცია საკუთარ თავში ატარებს ბრწყინვალე იმედებს, რომელთა შერბილებასა და გადაფარვასაც თვითონვე ცდილობს. მისი „სუპერკომპრომისული“ ხასიათი მას დაუსრულებელ ან ნახევრად დასრულებულ ნაშრომად აქცევს. ამ პირობებში როგორ უნდა შეასრულო დაპირებები? როგორ უნდა აიცილო თავიდან ყოყმანი, უკანდახევა და დათმობა? განა ფატალური არაა, რომ დაწყებული ნამუშევრები დაუსრულებელი ან ნახევრად დასრულებული რჩება? განახლების უდავო ნება, მაგრამ ცვალებადი ნება, რომელიც მიზნისკენ პირდაპირ არ მიიწევს - აი, ის დომინანტური შთაბეჭდილება, რასაც ომის შემდგომი საფრანგეთის მოქმედება გვიტოვებს.

განახლება *ჯერ სახელმწიფოს შიგნით*. რა პრობლემები ახასიათებდა 1875 წლის რეჟიმს? პარლამენტის ყოვლისშემძლეობა, აღმასრულებელი ხელისუფლების სისუსტე, პარტიული თამაშები, ადმინისტრაციული ცენტრალიზაცია. მათ გადასალახად შესაბამის ზომებს მიიღებენ. თავიდან საჭიროა პარლამენტის სუვერენიტეტის დასრულება. ამისთვის ხალხს მიენიჭა სუვერენიტეტის მფლობელის ტიტული და ის ხელმეორედ შემოიყვანეს პოლიტიკურ სცენაზე. ასევე გამოცხადდა პარლამენტის ვალდებულება, დაემორჩილოს კონსტიტუციას. ამისთვის შეიქმნა სპეციალური ორგანო, კონსტიტუციური კომიტეტი. ყველაფერი ეს მთიელთა ტრადიციის მსგავსად წმინდა დემოკრატიულ სტილში განხორციელდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ზედაპირულად! სუვერენულად გამოცხადებული ხალხი საკუთარ სუვერენიტეტს მხოლოდ კონსტიტუციურად ახორციელებს და მისი ჩამორთმევაც პარლამენტს ძალუძს. რაც შეეხება კონსტიტუციურ კომიტეტს, მისი მოწყობა და ძალაუფლება უკრძალავს მას კანონმდებლის ნებასთან დაპირისპირებას. ასე რომ, საბოლოოდ პარლამენტი ისეთსავე ძალაუფლებას ინარჩუნებს, როგორიც უწინ ჰქონდა.

სახელმწიფოს მოწესრიგების შემდეგი საკითხი აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებაა. რატომ არ უნდა გადმოვიდოთ ბრიტანული მოდელი, მთავრობის სათავეში ნამდვილი წინამძღოლით? მეორე მხრივ, პროცედურული ფეიერვერკებით იყო მინისტრთა კაბინეტის დათხოვნის გართულების მცდელობაც. დაბოლოს, აღდგა პარლამენტის დათხოვნის უფლებაც, როგორც პასუხისმგებლობისთვის აუცილებელი ეკვივალენტი. ამაო მცდელობები! კონსტიტუცია და პრაქტიკა შეავსებს ერთმანეთს წარმოსახული მკურნალობის ეფექტის გასაწესებლად. და ისე კარგად, რომ საბოლოო ჯამში აღმასრულებელი ხელისუფლება ისეთივე სუსტი აღმოჩნდება, როგორიც წარსულში იყო.

იგივე დემონსტრაცია შეიძლება გავიმეოროთ პარტიებთან, ადმინისტრაციულ ცენტრალიზაციასთან, კაბინეტთა ძალაუფლებასთან დაკავშირებით და ა.შ.... განახლების მცდელობა სახელმწიფოს შიგნით მარცხით სრულდება.

რაც შეეხება *სახელმწიფოს* განახლებას... მაშასადამე, სახელმწიფოს შიგნიდან განახლების მცდელობა მარცხით სრულდება. უკვე 1848 წლის ოცნების განხორციელების დროა: პოლიტიკური დემოკრატიის დაკომპლექტება ეკონომიკური და სოციალური დემოკრაციით, ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც ერთდროულად იმეფებს თავისუფლება და თანასწორობა, წესრიგი და სამართალი. ამისათვის აუცილებელია ფეოდალური ეკონომიკის დამარცხება, იმ ფულის ძალაუფლებისა, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში და საკუთარი სარგებლობისთვის ახდენდა პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიზაციას. ნაციონალიზაციის პრინციპი ფიგურირებს კონსტიტუციაში. განხორციელდა ნახშირის, გაზისა და ელექტროენერგიის წარმოების, დიდი საკრედიტო ბანკების, დიდი სადაზღვევო კომპანიების ნაციონალიზაცია... ეკონომიკის მთელი სექტორი გადადის სახელმწიფო კუთვნილებაში. ასევე განსაკუთრებით საჭიროა მუშის რეაბილიტაცია, ის აღარ უნდა იყოს განხილული, როგორც მხოლოდ წარმოების ფაქტორი, მას უნდა დაუბრუნდეს მოქალაქის სტატუსი და მონაწილეობა მიიღოს საწარმოს მართვასა და სამუშაო პირობების განსაზღვრაში. მხოლოდ ამ პირობით იქნება შესაძლებელი მშრომელთა ეროვნულ ერთობაში რეინტეგრაცია და მათი სრულიად ლეგიტიმური უკმაყოფილების დასრულება. კონსტიტუცია აღნიშნულ პრინციპებს საზეიმოდ გამოაცხადებს, იქმნება შესაბამისი ინსტიტუციებიც: ეკონომიკური საბჭო, საწარმოების კომიტეტები... სამწუხაროდ, წამოწყებული სამუშაო აქაც მხოლოდ ესკიზად რჩება: სოციალური დაზღვევის გამოკლებით, ისევ შორსა ვართ ეკონომიკური და სოციალური დემოკრატიისგან. სახელმწიფოს განახლების ეფექტიანობა სასურველზე ნაკლებია.

ასევე ხდება *კოლონიალური იმპერიის* განახლებაც ორმა მსოფლიო ომმა ძველ კოლონიალურ მმართველობას წყალი შეუყენა. შეგნებული და ენერგიული ელიტის წინამძღოლობით დაპყრობილი და ექსპლუატირებული ხალხები მოითხოვდნენ, ზოგჯერ იარაღით ხელში, უფლებას თვითონ ემართათ საკუთარი თავი. ასე თუ ისე, ევროპის ქვეყნები ერთიმეორის მიყოლებით დაადგნენ ავტონომიურობისა და ემანსიპაციის გზას. კოლონიზებული ხალხების აქტიური მონაწილეობა ომში, მათი მრავალი წლის განმავლობაში დაუძლურებული მეტროპოლიისადმი ერთგულება, ავალდებულებდა საფრანგეთს

გაეთვალისწინებინა იმ ხალხების მოთხოვნები, რომლებიც მისი პასუხისმგებლობის ქვეშ იყვნენ. ახალ საფრანგეთს ეს უნდა გაეთავისებინა: 1944 წლიდანვე, დროებითი მთავრობის ინიციატივით ბრაზავილში შეკრებილმა „აფრიკულმა კონფერენციამ“ გაახმოვანა ფრანგული ფედერაციის იდეა, რომლის მიზანიც მეტროპოლიის კოლონიებთან ურთერთობების რევოლუციურ ცვლილებებში მდგომარეობდა. კანონმდებლებმა აიტაცეს ეს იდეა და მასზე დააფუძნეს „ფრანგული კავშირი“, რომელსაც, მნიშვნელობის ხაზგასასმელად, სპეციალური კონსტიტუციური კანონიც მიუძღვნეს. „საფრანგეთი, აცხადებს პრემიულა, ზღვისიქითა ხალხებთან ერთად ქმნის უფლებებისა და ვალდებულებების თანასწორობაზე დაფუძნებულ კავშირს...“ სწორედ ესაა დომინაციისა და თვითნებობის სინონიმის, კოლონიზაციის კატეგორიული უარყოფა და თავისუფალი გაერთიანებების, როგორც ახალი გაერთიანების საფუძვლის ასევე კატეგორიული აღიარებაც. კანონმდებლები უფრო შორსაც წავლენ: ისინი გაიმეორებენ 1794 წლის 4 თებერვლის (*მონობის გაუქმება - მთარგმნელი*) ლამაზ ჟესტს და მიანიჭებენ საფრანგეთის მოქალაქის სტატუსთან დაკავშირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს ზღვისიქითა ტერიტორიების ყველა მცხოვრებს მიუხედავად კანის ფერისა თუ რელიგიისა და შექმნიან ცალკეულ ეროვნულობაზე ზემდგომ კავშირის მოქალაქის სტატუსს.

ეს დიდი ჰუმანიზმით გაჯერებული კონცეფცია აღტაცებას იწვევს. მაშ, რატომ მოხდა ისე, რომ მისი განხორციელება შუა გზაზე შეჩერდა და გაღვიძებული იმედებიც გააცრუა? ტექსტის მე-8 თავიდან ირკვევა, რომ ფრანგული კავშირი არ აუქმებს კოლონიურ იმპერიას: ზღვისიქითა დეპარტამენტები და ტერიტორიები საფრანგეთის რესპუბლიკის მფლობელობაში რჩებიან და მათზე ისევ ვრცელდება ფრანგული კანონმდებლობა. თვით კავშირის შიგნით თანასწორუფლებიანობა დაცული არაა: საფრანგეთს პრივილეგირებული მდგომარეობა უკავია. ფრანგული პარლამენტი ფლობს მთელ საკანონმდებლო ძალაუფლებას: მისი განხორციელება ყველა სფეროში შეუძლია და ასევე ექსკლუზიურად, ზოგიერთ მნიშვნელოვან სფეროშიც. ფრანგული კავშირის ასამბლეას მხოლოდ საკონსულტაციო ძალაუფლება გააჩნია, მისი წინადადება პარლამენტისთვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. კავშირის ზოგადი მართვა საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას აკისრია კავშირის უზენაესი საბჭოს დახმარებით, რომელსაც მხოლოდ უბრალო კავშირის, კონსულტაციისა და განხილვის უფლება გააჩნია. დაბოლოს, თვითონ კონსტიტუციის მიხედვით, კავშირის პრეზიდენტობა ფრანგული სახელმწიფოს ხელმძღვანელს ეკუთვნის. საბოლოო ჯამში ფრანგული კავშირი ადგილს იკავებს ფედერაციულ სისტემასა (რომელიც

გაერთიანებების თავისუფლების პრინციპს ეყრდნობა) და კოლონიალურ სისტემას შორის (რომელიც დომინაციის პრინციპით ფუქციონირებს). კოლონიური იმპერიის განახლების მცდელობაც არასაკმარისია.

დაბოლოს, ევროპის განახლება. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ ევროპის განახლებაზე საუბარი ფრანგული სახელმწიფოს კონტექსტში. განა ევროკავშირი ყველას გაერთიანებული ძალისხმევის შედეგი არაა? უეჭველად! მაგრამ ყველა სხვა ქვეყანაზე მეტად საფრანგეთმა გამოხატა თავისი ევროპული მოწოდება. მხედველობაში რომ არ მივიღოთ მისი წვლილი დასავლურ ცივილიზაციაში, თვით ევროკავშირის იდეა მის მიწაზე დაიბადა ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში, როგორც ამას პიერ დიუბუა ამტკიცებდა. ის ხელმეორედ წამოიწევს წინ სამი საუკუნის შემდეგ ემერიკ კრიუსესა და დიუკ დე სიულის მეშვეობით. აქედან დაწყებული, პოეტები, ფილოსოფოსები და პუბლიცისტები არ წყვეტენ მის მხარდაჭერას. პირველი ინიციატივებიც ასევე საფრანგეთიდან მოდის. 1929 წლის 5 სექტემბერს, ბრიანს, დიდი სახელმწიფო მოღვაწეებისთვის დამახასიათებელი მომავლის ნათელი ხედვით, ჰქონდა პირველი მცდელობა. მემორანდუმი, რომელსაც ის 17 მაისს გადასცემს კანცელარიას, სრულდებოდა ერთდროულად იმედითა და წუხილით სავსე შემდეგი ფრაზით: „გაერთიანება სიცოცხლისა და განვითარებისთვის, ასეთია ის აუცილებელი საჭიროება, რომლის წინაშეც დღეიდან ევროპის ერები დგანან“. მოწოდება ამაღელვებელი იყო. მას არავინ უსმინა, ეს შეუძლებელიც იყო: ღიად მტრული განწყობის ჩვენების გარეშე, საკუთარი სუვერენიტეტით გამსჭვალულმა და მსხვერპლის გაღებისთვის ნაკლებად განწყობილმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს იმ გზას გაჰყოლოდნენ, რომელიც მათ საფრანგეთის მთავრობამ მორიდებით შესთავაზა. ბრიანის მცდელობა სუვერენიტეტის რიფზე დაიმსხვრა. ფაქტი განსჯას იმსახურებს. თუ რატომ, ამას მოგვიანებით ვნახავთ.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ეს იდეა წინააღმდეგობის მოძრაობას არ ასვენებს. 1948 წელს ის ჯერ კიდევ ჰაერშია გამოკიდებული. ბრიუსელის 1948 წლის 17 მარტის შეთანხმება მის პირველ მოკრძალებულ შეხსენებას შეიცავს. მაგრამ საჭირო იქნება ჰააგაში 1948 წლის მაისში გამართულ ევროპის კონგრესამდე მოცდა, როცა საფრანგეთი მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს. ბელგიის მხარდაჭერით ის დაძლევს ბრიტანულ წინააღმდეგობას და ერთი წლის შემდეგ ფუძნდება ევროპის საბჭო, გაერთიანებული ევროპის პირველი ელემენტი. მაგრამ საფრანგეთი არ კმაყოფილდება ჩანასახით, რომელიც იმ მომენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის. ის აძლიერებს მცდელობას ახალი ორგანოს

გასაუმჯობესებლად. დიდი ბრიტანეთისა და რამდენიმე სხვა ქვეყნის სასტიკი წინააღმდეგობიდან გამომდინარე, საფრანგეთი გადაწყვეტს გააგრძელოს მუშაობა უფრო ვიწრო ჩარჩოში. ამგვარად, ექვსთა ევროპა იწყებს ჩამოყალიბებას: 1951 წელს ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (C. E. C. A.) მას პირველ კონკრეტულ სახეს ანიჭებს. ყალიბდება სხვა მომდევნო გაერთიანებებიც: ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ენერგიის სფეროებში... მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკური მოვლენა პრიორიტეტს თავდაცვის ევროპულ გაერთიანებას ანიჭებს (C. E. D.), რომლის პროექტიც დამტკიცდა 1952 წელს პარიზის კონფერენციაზე. თავის მხრივ, აღნიშნული გაერთიანებიდან გამომდინარეობს ევროპის პოლიტიკური გაერთიანების პროექტი, რომელსაც „ad hoc“ ასამბლეა რეკორდულ დროში ამზადებს და განსახილველად აწვდის ექვსი დაინტერესებული ქვეყნის მთავრობას.

ერთი ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო ევროპის გაერთიანებამდე. მაგრამ ეს ნაბიჯი სუვერენიტეტის დათმობას მოითხოვდა. საფრანგეთი უარს ამბობს ამგვარი უზენაესი მსხვერპლის გაღებაზე და თვითონვე ანადგურებს თავისი ხელით დათესილი მარცვლიდან მიღებულ მოსავალს. საკუთარ კონსტიტუციაში ის საზეიმოდ აცხადებს, რომ მშვიდობის ინტერესიდან გამომდინარე, მზადაა შეზღუდოს საკუთარი სუვერენიტეტი. ამ დეკლარაციით, რომელსაც სხვა კონსტიტუციებიც მიბამავენ, ის აკეთებს მკაფიო არჩევანს ორგანიზებული მშვიდობის სასარგებლოდ, რომელსაც სუვერენიტეტთან არათავსებადად განიხილავს. მაგრამ აქაც, როგორც სხვაგან, მას გამბედაობა დააკლდა საკუთარი რწმენების ცოცხალ რეალობად გადასაქცევად. ევროპის განახლების მცდელობამ მიზანს ვერ მიაღწია.

საფრანგეთი ისევ რჩება ახალი და გულუხვი იდეების სამშობლოდ. მაგრამ იმ მსოფლიოში, სადაც ის არსებობს და სადაც (უნდა ვაღიაროთ) საკუთარი თავის პოვნა უჭირს, უძლურია მარტომ განახორციელოს ისინი. ეს არის მისი შიშებისა და ყოყმანის მთავარი მიზეზი, მაგრამ ასევე იმის მტკიცებულებაც, რომ ის ძალასა და ენერგიას მხოლოდ ევროპაში და ევროპის საშუალებით პოულობს.

სარჩევი

დასავლეთი ევროპა

დასავლეთ ევროპის გეოგრაფიული ელემენტები - ჰანს ანაჰეიმი, უნივერსიტეტის პროფესორი, ბაზელი.

საფრანგეთი

საფრანგეთი და ფრანგები - პოლ გუტი, უნივერსიტეტის პროფესორი, პარიზი

პარიზი - ჟერარ ბაუერი, გონკურის აკადემიის გენერალური მდივანი, პარიზი

ფრანგული სახელმწიფო - მიშელ მუსხელი, უნივერსიტეტის პროფესორი, პარიზი

ფრანგული არმია - ანტუან ბეტუარდი, გენერალი, პარიზი

ფრანგული ეკონომიკის პრობლემების მუდმივი მონაცემები - რენე ფლერი, მთავარი რედაქტორი, პარიზი

ლიტერატურა, თეატრი, უნივერსიტეტი - პიერ მაზარი, ლიტერატურული ფიგაროს რედაქტორი, პარიზი

ფრანგული მუსიკა - კლოდ ბენერესი, ლიტერატურული ფიგაროს რედაქტორი, პარიზი

მონაკო

მონაკო - ლუი ორელია, ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი, მონაკო

ჰოლანდია

ჰოლანდიის სამეფო - ვილემ ვერკადე, იუნესკოს დელეგატი, არჟემი

ჰოლანდიის ეკონომიკური სტრუქტურა STRUCTURE ECONOMIQUE DES PAYS-BAS, par ***

ბელგია

პეიზაჟი და პოპულაცია - ფრან დიუსარტი, ლიეჟის უნივერსიტეტის ლექტორი

ბელგიური სახელმწიფო და მისი უახლესი ისტორია, ფლორან ჟ.პ. პეტერსი, უნივერსიტეტის პროფესორი, გრადი

ბელგიის შეიარაღებული ძალები, პოლ ბერბენი, გენერალ-მაიორი, ბერშემი - ანტვერპენი

ბელგიის ეკონომიკა - ფერნან ბოდუენი, უნივერსიტეტის პროფესორი, ლუვენი

ბელგია, ევროპის ინტელექტუალური და სახელოვნებო გზაჯვარედინი - ანტუან ისაე, ბრიუსელი

ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო

ლუქსემბურგი, სითეზის ქვეყანა - პიერ ფრიედენი, ეროვნული განათლების მინისტრი, ლუქსემბურგი

დიდი საჰერცოგოს პოლიტიკური გეოგრაფია და ისტორია (რედაქცია)

ლუქსემბურგის საზოგადოებრივი ცხოვრება - პიერ პესკატორი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური სამსახურის მდივანი, ლუქსემბურგი

ლუქსემბურგის ეკონომიკა - ჟერომ ანდერსი, მთავრობის მრჩეველი, ლუქსემბურგი

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო - ლოურენს დადლი სტამპი, უნივერსიტეტის პროფესორი, ლონდონი

დიდი ბრიტანეთი, მისი სავაჭრო და საკომუნიკაციო ურთიერთობები მსოფლიოში - ლეო ტ. ლითლი, privat-docent, ლონდონი

გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკური სტრუქტურა და მისი თანამედროვე ისტორია - ჰენრი ვილსონ ჰარისი, „Spectator“-ის ყოფილი მთავარი რედაქტორი, ლონდონი

ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები - სირილ ფალსი, კოლეჯის პროფესორი, ოქსფორდი

კულტურული მდგომარეობა ინგლისში - ბ. აიფორ ევანსი, უნივერსიტეტის პროფესორი, ლონდონი

ლონდონი - მარჯორი ბ. ჰოეზორნი, privat-docent, ლონდონი

სტრასბურგის სამართლის, პოლიტიკურ მეცნიერებათა და ეკონომიკის ფაკულტეტის
ანალები

X.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვა ევროპულ ჩარჩოში

ამონარიდი

ადამიანის უფლებათა საფუძვლები

ბატონი მ. მუსხელის ანგარიში:

ადამიანის უფლებათა ფილოსოფიური და სოციოლოგიური საფუძვლები

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ რომის კონვენციის განსახილველად.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველად არ ხდება, როდესაც საერთაშორისო სამართალი უღრმავდება ადამიანის უფლებებს. უფრო შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ, რომ ყველაზე სასტიკი ტრაგედიის, რომელიც კი მსოფლიოს გადაუტანია და ცუდად ჩამქრალი ციებ-ცხელების მომდევნო დღეს, 1945 წლის 26 ივნისს სან-ფრანცისკოში ხელმოწერილი გაერთიანებული ერების ქარტია, სხვა საკითხთა შორის, ავალდებულებდა ახალ ორგანიზაციას „უზრუნველყო საერთაშორისო თანამშრომლობა... ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განვითარებითა და მხარდაჭერით ყველასათვის განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა“ (მუხლი 1 § 3, 55 c) და 56), ანიჭებდა გენერალურ ასამბლეასა და ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს უფლებამოსილებებს „კვლევების სტიმულირებისა“ და „რეკომენდაციების მომზადებისა... ყველასათვის ადამიანის უფლებებითა და ძირითად თავისუფლებებით სარგებლობის ხელმისაწვდომობის გასაიოლებლად განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა“ (მუხლები 13 § 1, 62 § 2 და 63), და ა.შ..

თავის მხრივ, 1947 წელს ლოზანაში შეკრებილმა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა ამავე საკითხზე მოისმინა შარლ ვიშერის შესანიშნავი ანგარიში. თუკი მანამდე არცერთ ომს არ მოჰყოლია ამდენი მატერიალური და ასევე მორალური ნგრევა, რომელიც ამ ეს-ესაა დამთავრებულმა ომმა გვისახსოვრა, არც მანამდე დაუტოვებია არცერთ მათგანს კაცობრიობისთვის ისეთი კაშკაშა სინათლით სავსე გაკვეთილები, როგორც ამ უკანასკნელმა

დატოვა; და ინსტიტუტმა, რომელიც მუდამ ცდილობდა „ცივილიზებული მსოფლიოსთვის შესაფერისი სამართლებრივი ცნობიერებისთვის ამ მეცნიერების ზოგადი პრინციპების ფორმულირებას“, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ისე არაფერს შეეძლო მისი მისიის გამოხატვა, როგორც საერთაშორისო სამართლის აღდგენის საყრდენად ადამიანის ძირითადი უფლებების გამოცხადებას. ამ ბრწყინვალე რეზოლუციებით, რომლებიც ამ აზრთა სხვადასხვაობის პერიოდში ხაზს უსვამდნენ ჩვენი მასწავლებლებისა და მეგობრების დიდ ინტელექტს, ინსტიტუტი აღიარებდა ადამიანის თანდაყოლილ უფლებებს.

ის ფუნქციონალური კონცეფციით („სახელმწიფო უნდა მსახურებდეს და არა ამსახურებდეს ადამიანებს“) ამტკიცებდა ვიწრო კავშირს სახელმწიფოს შიგნით ადამიანის პატივისცემასა და საერთაშორისო მშვიდობას შორის. დაბოლოს, ის გამოხატავდა იმ ტრადიციას, რომელიც „სუვერენულ სახელმწიფოს, უსაფრთხოების ორგანოსა და ძალაუფლების ინსტრუმენტს სამართლებრივი წესრიგის ყველაზე სრულყოფილ ფორმად მოიაზრებს (კატალოგი, 1947 წ., გვ. 175)“.

მომდევნო წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ „მიიჩნია რა, რომ კაცობრიობის ოჯახის ყველა წევრისთვის თანდაყოლილი ღირსებისა და თანასწორობა განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველს მსოფლიოში“, 1948 წლის 10 დეკემბერს პარიზში მიიღო „ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია“. ეს უდავოდ დიდსულოვანი მისწრაფებით განმსჭვალული მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ოცდაათი მუხლის საშუალებით შეიცავდა როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების საკმარისად გრძელ ჩამონათვალს, რომელიც მე-19 საუკუნის მემკვიდრეობისა და მე-20 საუკუნის მონაპოვრებისა და მისწრაფებების შერიგების ერთგვარი მცდელობის ესკიზს წარმოადგენდა. თუმცა მას აკლდა სავალდებულო ძალა და, აქედან გამომდინარე, დამსჯელი მექანიზმიც: დეკლარაცია უბრალოდ წარმოადგენილი იყო „როგორც ყველა ხალხისა და ერისთვის დასახული იდეალი, რათა ყველა ინდივიდსა და საზოგადოების ყველა ორგანოს მუდამ, აღნიშნული დეკლარაციის გათვალისწინებით, მცდელობა არ დაეკლო სწავლებითა და განათლებით განეხილათ უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და პროგრესული საშუალებებით უზრუნველყო მათი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უნივერსალური და ეფექტიანი გავრცელება, როგორც

თვით წევრი ქვეყნების მოსახლეობაში, ასევე მათ იურისდიქციაში მოქცეულ ტერიტორიებზეც“.

საერთო ჯამში საქმე ეხებოდა კეთილშობილურ სურვილებს, რომელსაც ატარებდა ცივილიზაციის მომავლის რწმენა და რწმენა იმისა, რომ ერთ დღეს გონება გაიმარჯვებდა მატერიაზე, რასაც ჩვენი მმართველების დიდი გამოცდილება, ფართო განსწავლულობა და აზრთა გაღრმავებული ურთიერთგაცვლა შთააგონებდა ჩვენს უფროს თაობას.

მცდელობამ შედეგი მოიტანა. 1947 წლის ლოზანის ადამიანის ძირითადი უფლებები მშველელად მოეწოდინა საერთაშორისო სამართალს. 1950 წელს რომში უკვე საერთაშორისო სამართალი მოეწოდინა მხსნელად საფრთხის ქვეშ მყოფ ადამიანის უფლებებს. დიდებულმა ადამიანებმა, რომელთაც ეკისრებოდათ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა როგორც საკუთარ სახელმწიფოებში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში, გააგრძელეს დაწყებული საქმე და საკუთარი წვლილი შეიტანეს სამართლის იმ შენობის ასაშენებლად, რომელსაც დასავლურმა სამყარომ თავისი წარმატება დაუკავშირა. ამ ნაშრომში, მოკლე დროში, ჩვენ, ვისთვისაც, იმედია, ანალიტიკურ აზროვნებას ჯერ კიდევ არ წაურთმევია აღტაცების უნარი, შევეცდებით უკეთესად გავერკვეთ. და თქვენ იცით, ამ ლამაზ სიტყვას - *ცოდნა*, თუ როგორ დასრულებულ, ღრმა, სრულყოფილ შინაარსს აძლევს სამეცნიერო ენა. მაშასადამე, ჩვენ გამოვიკვლევთ და შევაფასებთ რომის კონვენციას.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ კონტექსტის განხილვის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ მის შეფასებას და ვერც მისი რეალურ ღირებულებას ვერ დავადგენთ.

რომის კონვენცია სამართლებრივი ფაქტია და თავიდან ვერ ავიცილებთ მის განხილვას იმ პირობებში, სადაც ის წარმოიშვა ჩვენს დროში, ფაქტების ცვლისა და იდეების ევოლუციაში.

ამგვარად, როგორც თეატრში ამბობენ, თავის კონტექსტში ჩაყენებით ჩვენ შევძლებთ მის გაანალიზებას. ამასთანავე, გავიხსენოთ, რომ ადამიანის უფლებათა გამოცხადებასთან ერთად, ის შეიცავს მისი დაცვის მექანიზმსაც და ასე გავაანალიზოთ მის მიერ შექმნილი სამართლებრივი სისტემა. მართლაც, საკმარისი არაა აღიარო უფლებები და თავისუფლებები, ასევე საჭიროა მათი შინაარსის დაზუსტება, მისი განხორციელება და დარღვევის შემთხვევაში სანქციების საშუალებაც.

არსად და არასდროს არ მიუქცევიათ ამდენი ყურადღება ადამიანის ფიზიკური მდგომარეობისთვის და მისი სულიერი მხარისთვის. ჩვენ ვიცით ის მრავალი ორგანიზაცია და ინსტიტუცია, რომლებიც შექმნილია სხეულის მოსავლელად, გამოსაკვებად, სამკურნალოდ, მოსასვენებლად, ჯანმრთელი სამუშაო რეჟიმის შესაქმნელად და, ბოლოს, უსაფრთხოებისთვის. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რამდენად დაუცველია ადამიანის ეს აუცილებელი ღირებულება, რომელიც მოიცავს ყველა უფლებასა და თავისუფლებასაც.

ადამიანები ჰუმანიზმის წინააღმდეგ ამხედრდნენ. მათი ჰუმანურობა ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო იფიტება სოციალური წნეხის ქვეშ და პოლიტიკა, ეს ხარბი ლევიათანი, მათ დამორჩილებას ცდილობს.

1 ადამიანის დეგრადირება

დღეს ჩვენ ვიხდით იმ პრივილეგიების საფასურს, რომლებიც უკვე მოვიხმარეთ. მე-18 საუკუნის გამარჯვებებმა ჩვენ თავისუფლება მოგვიტანა და ჩვენ მისი ეგიდის ქვეშ ისე ფამილარულად ვიცხოვრეთ, რომ მას უგუნურად მივეჩვიეთ. ჯერ კიდევ ყრმა ასაკიდან იმდენად გარემოცული ვიყავით იმ ლიბერალური კლიმატით, რომელიც მთელ ევროპაში გავრცელდა და მე-19 საუკუნის განმავლობაში გამყარდა, რომ ჩვენ დავივიწყეთ თავისუფლების სასწაულებრივი მხარე, ისე გავითავისეთ ის, როგორც ადამიანის არსებობის ბუნებრივი და მუდმივი ფორმა.

სინამდვილეში ის დასავლური ერების ახალი შენამენია. დროსა და სივრცისგან დამოუკიდებლად, ის პირობით, შემთხვევით ღირებულებას წარმოადგენს. უეჭველია, რომ ადამიანი მეტ-ნაკლებად ყოველთვის აღიარებდა კულტს, რომელსაც იდეურ თავისუფლებას ვუწოდებდი. მაგრამ ეს არაა ის თავისუფლება, რომელიც ქმნის ლიბერალიზმს, მას რეალური თვისუფლება ქმნის მისი პოზიტიური განხორციელების ფორმაში. მაგრამ აღნიშნული მიღწევა არც აუცილებელია და არც ყოველთვის შესაძლებელი. ადამიანს შეუძლია იცხოვროს თავისუფლების გარეშე, ეს მან უკვე დაამტკიცა და უეჭველად, კიდევაც დაამტკიცებს. მან შეძლება იმ სამყაროში ცხოვრება ისურვოს, რომელიც თავისუფლებას არ ცნობს. ამასთანავე, თავისუფლება არ იზრდება და არ ვითარდება ყველანაირ ნიადაგზე, ის იზადება და არსებობს გარკვეულ პირობებში.

თავისუფლება, ჩვენი თავისუფლება, ბუნებრივი მდგომარეობა არაა. ის ადამიანის საკუთარ თავზე გამარჯვებაა, წამიერი, ქროლვადი გამარჯვება. ის ადამიანისა და შესაბამისი ინსტიტუციების ერთგვარ ენთუზიაზმს მოითხოვს. მაგრამ ამ ორ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს ეპოქას ანტილიბერალური დამოკიდებულება აქვს.

ადამიანმა თავი დაანება აღტაცებას, როგორც ერთდროულად პრიმიტიულმა და უზენაესმა ღირებულებამ. ის დეპერსონალიზაციას, მასიფიკაციას განიცდის. აქ საქმე არ ეხება ჩვენი დროის დაავადების დიაგნოსტიკას. სხვა, ჩემზე უფრო კომპეტენტურმა ადამიანებმა უკვე სცადეს ეს... და, ოჰ, რამდეჯერ აღიარეს საკუთარი ანალიზისადმი უკმაყოფილება! გარდა ამისა, ეს მცდელობა გაცდება თქვენ მიერ ჩემთვის მონიჭებულ საზღვრებს. მაგრამ აკრძალული ხომ არ არის იმის თქმა, რომ ადამიანი თავისივე შექმნილი პროგრესის მსხვერპლი გახდა. მოხდა მისი ნიველირება და ადამიანი უსაფრთხოების წყურვილით უპასუხისმგებლო მასაში ჩაიკარგა; მასაში, რომელიც ამორფული არაა, მაგრამ მისი ფორმა თვით მასზე კი არა, მისი ბელადის სურვილზეა დამოკიდებული. კინოს, რადიოს, ტელევიზიის გამოყენებამ ინტენსიური პროპაგანდისტული მიზნებისთვის ადამიანი გარემო სამყაროზე სრულიად დამოკიდებული გახადა და, მას გამოუმუშავა ჩვევა მიეღო ცხოვრება როგორც მოცემულობა, ვიდრე მას თვითონ ემართა საკუთარი; შთაბეჭდილება ენაცვლება რეფლექსად, კლიშე - აზროვნებას, გართობა - მედიტაციას; ჩვენ აზროვნების ნამდვილი სტანდარტიზაციის მოწმენი ვართ; აზროვნება ინდივიდის კი არა, საზოგადოების საკუთრებაა; იმ სხეულისა, რომელშიც ცხვრის ფარის მსგავსად, თითოეული სრულ ანონიმურობაში ითქვიფება.

ყველამ ვიცით, თუნდაც პოლიტიკურად ლიბერალურ საზოგადოებაში როგორ მოქმედებს, როგორც ამერიკელმა მეცნიერებმა მონათლეს - „social control“-ის (სოციალური კონტროლის) წნეხი საზოგადოებაზე ჯგუფის მიერ დადგენილი ღირებულებების, ტაბუების, აღტაცებისა და სიძულვილის საშუალებით. საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლება პროფესიული შერჩევის ზოგიერთი მეთოდიდან და ფილმებიდან თუ წიგნებიდან, რომელთაც დიდი წარმატება ხვდა წილად: ის, ვინც სხვებივით არ ფიქრობს, ე.ი. ისე, როგორც საშუალო მოქალაქე უნდა ფიქრობდეს, რათა არ უღალატოს ჯგუფს, ავადმყოფად ირაცხება. ის მხოლოდ ასოციალური კი არა, მემკვიდრეობითობის, განათლების მსხვერპლია; ის უპასუხისმგებლო ადამიანია, რომლის გარიყვასაც კი არ ჩათვლიან საჭიროდ: მას

უმკურნალებენ. ინტელექტუალიზმი, აზროვნების ორიგინალურობა, ღირებულებების საკუთარი საზომის ქონა დანაშაულია თავისი მიზეზშედეგობრივი კავშირით.

და ამ აგრეგატებში იკარგება ადამიანის შეფასებისა და ინიციატივის უნარი და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებული და ჯოგურ სოლიდარობას დამორჩილებული, ცვლის საკუთარ უფლებებს ერთ თეფშ ბარდაზე, ემორჩილება უსაფრთხოების იდეალს. ის უკვე დომინაციის მსხვერპლია.

გ. გურვიჩი წერს: „დომინაციის ახალი ინსტრუმენტები დაკავშირებულია თანამედროვე მძლავრი ტექნიკური საშუალებების ფლობასა და მათი მართვის შესაძლებლობაზე... ამყარებს ჩეულებრივი მოკვდავების საგნებისა და მანქანებისადმი დაქვემდებარებასა და დამონებას და მათზე გავლით, ელიტებისაც, რომელთაც იციან მათი გამოყენება“ (*სოციალური უფლებების დეკლარაცია* – გვ.52). და ამატებს: „თანამედროვე ინდუსტრიული ტექნოლოგიის უსაზღვრო განვითარებამ, რომელიც აშკარა დისპროპორციაშია ინსტიტუციურ თამაშებთან და სამართლებრივ, სოციალურ და პოლიტიკურ გარანტიებთან მიმართებაში, შექმნა ტექნოლოგიური და ბიუროკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბების საფრთხე, რომელიც დაფუძნებულია *ტექნიკური კომპეტენციებიდან* გამომდინარე უკონტროლო არბიტრალურ ძალაუფლებაზე“ (*id.* – გვ. 59).

კონფორმიზმის წნეხი, თუ სიფრთხილეს არ გამოვიჩენთ, კოლექტიური ცხოვრების სასარგებლოდ და ინდივიდუალური ცხოვრების ატროფირებით, აყალიბებს ურეაქციო, უცნობისმოყვარეო, დისციპლინირებულ (უფრო მორჩილ) საზოგადოებრივ აზრს. ამავე დროს, აზრის გამოხატვის თანამედროვე ტექნიკა მის მფლობელს აძლევს ტვინებსა და აზროვნებაში შეჭრის საშუალებას, სადაც ცხოვრების ყველა ასპექტი განიცდის სოციალიზაციას, რეკლამირებას და ექცევა ძალაუფლების ინტერვენციისა და კონტროლის ქვეშ მაშინ, როცა სახელმწიფოს ჩარევა შეუქცევლად იზრდება, უფრო მეტად ტექნიკური და უფრო ნაკლებად კონტროლირებადი რომ გახდეს. კოლექტივების ზომა მატულობს, ძალაუფლების გამოვლინებაც იზრდება, ადამიანური არსებობის წმინდად კერძო ასპექტები უფრო იშვიათდება (გნებავით, ქრება კიდეც), მოქალაქე, რომლის ყოველი ნაბიჯი უკვე მართულია, იკარგება პასიურ მასაში, რომელიც გუდავს ინდივიდუალიზმს და რომლის თანამედროვე კონტროლის ტექნიკაც ძალადობს გონებაზე. რაღა რჩება თავისუფლებისგან?

2 ადამიანის ნაციონალიზაცია

„თავისუფლება წინააღმდეგობაშია“ - ამბობდა რუაიე-კოლარი. წინააღმდეგობის ლეგიტიმურობას კი, რომელსაც სოციალური სტრუქტურა ნაკლებად შესაძლებელს ხდის, ძალაუფლება არ აღიარებს. ეს თავისუფლების მუდმივი პრობლემაა: როგორც ძირითადი ადამიანური ღირებულებების გამოხატულება, ის სოციალურ საკითხს აწყდება. სურს თუ არა მას, ადამიანი ჯგუფში ცხოვრობს და მისგან თავის დაღწევას ვერ მოახერხებს. მაგრამ არ არსებობს ჯგუფი დისციპლინის გარეშე და დისციპლინა კი ძალაუფლების გარეშე. თავისუფლება ძალაუფლებასთან მუდმივი და აუცილებელი დაძაბულობით არსებობს. ადამიანის უფლებებს სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნები უპირისპირდება და, როგორც ჩანს, სახელმწიფო იმარჯვებს.

უეჭველია, რომ ამის მიზეზი მისი მრავალი ვალდებულებიდან მომდინარეობს და ის არასოდეს ერიდება იმ საკითხთა უზურპირებასაც, რომლებიც მას არ ევალება. იმის გამო, რომ იგი ვალდებულია უზრუნველყოს დიდი საზოგადოებრივი სერვისების ორგანიზება, უსაფრთხოება და ეკონომიკური პროგრესი, ყველას უფლებების პატივისცემა და დაკმაყოფილება, ის ბუნებრივად ხდება თითოეულის უფლებების მსაჯული.

ადმინისტრაციულმა მანქანამ ეფექტიანად რომ იმუშავოს, მან უნდა დაადგინოს წესები, მაგრამ ამ წესების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური სიტუაციების უნიფორმიზაციის ფასად. რაიმე ზომის გამოყენება, სერვისის ფუნქციონირება რთულად განსაზღვრულია და მათი უსაზღვრო მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ყოველთვის ვერ ხერხდება ყველა სიტუაციის გათვალისწინება, ვერც თითოეული სიტუაციის მახასიათებლისა. სახელმწიფო სერვისებისთვის შეუძლებელია ერთდროულად იმოქმედოს ყველა ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით. ამიტომაც უნდა განვახორციელოთ უნიფორმიზაცია და სტანდარტიზაცია. დავაჯგუფებთ სიტუაციებს ან ოჯახურ საჭიროებებს და თითოეული ოჯახის შიგნით განვსაზღვრავთ ერთადერთ სიტუაციას ან ერთადერთ საჭიროებას. ასე ინდივიდის პირისპირ ადმინისტრაციას აღარ შეუძლია ცალკე განიხილოს მხოლოდ ხუთი განსხვავებული შემთხვევა: ის შეარჩევს ხუთ „ტიპურ შემთხვევას“ და თითოეულ სხვა ინდივიდუალურ შემთხვევას განიხილავს მათთან მიმართებაში. მრავალ სფეროში ინდივიდს აღარ აქვს უფლება მოიქცეს ისე, როგორც მას მოესურვება და უნდა

აირჩიოს სხვადასხვა ტიპურ ქცევათა შორის ერთ-ერთი, რომლის შედეგიცა და *მკურნალობის მეთოდიც* ნაცნობია და გათვალისწინებული.

პოზიტიური თავისუფლებები ქრებიან. თავისუფლების სფერო იზღუდება და ის, რაც ხშირად გამოუსწორებელ და ხანდახან უმნიშვნელო დეტალად გვეჩვენება, გვაფიქვებს ინდივიდის სოციალური დისციპლინის მხრივ ნელ-ნელა შეზღუდვის ტენდენციას.

ესაა ყველა სახელმწიფოსა და ძალაუფლების ეფექტი, რომელსაც გარკვეული რაოდენობის პასუხისმგებლობა აკისრია. მაგრამ ეროვნული სახელმწიფოების შემთხვევაში ამ ფენომენს სხვა, უფრო მძიმე ფენომენი ემატება. ერი-სახელმწიფო, რომელიც დიდხანს მოიაზრებოდა, როგორც ადამიანის პერსონიდან გამომდინარე ინსტიტუტი, ადამიანს უპირისპირდება. შარლ დე ვისშერმა გაგვაფრთხილა: „ოცდახუთი წლის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ადამიანური ღირებულებები უღმრთოდ ეწირებოდა პოლიტიკურ ღირებულებებს. ეროვნული ჯგუფის მიმართ ლოიალობა უზენაეს ვალდებულებად განიხილებოდა. სახელმწიფო ინტერესი მხოლოდ მმართველთა გადაწყვეტილებებით განისაზღვრებოდა, თანამედროვე სახელმწიფო მორალი ბრმად, მაგრამ გზებით აერთიანებს მთელ ერს ძალაუფლების ძიებაში“ (*Annuaire de l'I.D.I.*, 1947, p. 2).

რა არის ნაციონალიზმი? პირველ რიგში, ეს რამდენიმე სიმართლის ან, ერთადერთი ჭეშმარიტების ერთობლივად ფლობის ცნობიერებაა. ისტორია გვასწავლის, რომ უფრო ხშირად, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთში, აღნიშნული ეროვნული ღირებულებები არასოდეს განიხილებოდა როგორც კერძო ხასიათის მქონე და რომელიმე ჯგუფით შემოსაზღვრული, მას განიხილავდნენ როგორც უნივერსალური ხასიათის მატარებელ ღირებულებად, რომელიც განკუთვნილი იყო მსოფლიოზე გასაბატონებლად (რჩეული ხალხის წყალობით). აქედან მომდინარეობს იმპერიალიზმი, ნაციონალიზმის ბუნებრივი გაგრძელება.

მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ერი თავს დაიცავს შურიანებისგან და ბარბაროსებისგან, თუ, საკუთარი გენიის ერთგული, სხვა ხალხებამდე თავისი სიმართლის მიტანას შეეცდება, ის მაინც ვერ აარიდებს თავს მათთან ომის დაწყებას; ომისა, რომელიც ყოველთვის არც მოქმედია და არც „ცხელი“, მაგრამ არის უწყვეტი ბრძოლა, რომელიც ყველა მეთოდის გამოყენებით მიმდინარეობს. თუმცა ომი ასე მარტივად არ მიმდინარეობს. ის მოითხოვს

დისციპლინის გამკაცრებას, დაპირისპირების გაძლიერებას. მოითხოვს უფრო მეტ მსხვერპლშეწირვას თითოეულისგან. როგორც პიერ-ანრი ტიტგენმა თქვა ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეაზე გამოსვლისას, თუ „სახელმწიფოს უკან, როგორც მუდმივი ცდუნების სახით, მიუხედავად სახელმწიფოს ფორმისა... დგას სახელმწიფო ინტერესის ცდუნება“ (1949 წლის 19 აგვისტოს სეანსი – CR გვ. 216), სახელმწიფოებს შორის ამ ცდუნებაზე ყველაზე მოწყვლადი ერი-სახელმწიფოა.

ყველა დროში ინდივიდები ვალდებული იყვნენ პერსონალურად და საკუთარი ქონებით მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის დაცვაში. თუმცა დღეს თავდაცვის საჭიროება მოითხოვს მოქალაქეთა სრულ მობილიზაციას, საიდანაც გამომდინარეობს დამატებითი შეზღუდვები. ძალაუფლება ცდილობს გავლენა იქონიოს გონებასა და ზნე-ჩვეულებებზე სამოქალაქო შეგნების განვითარების მიზნით. და სწორედ სამოქალაქო ვალდებულების იმპერატივების გაძლიერება ედება საფუძვლად საჯარო თავისუფლების შეზღუდვას, რასაც ფსიქოლოგიურ ქმედებას ვეძახით და რომლის მიზანიცაა დაიცვას ეროვნული მორალი. ის მოიცავს ზემოქმედებას გონებასა და ზნე-ჩვეულებებზე მანამდე, სანამ არ გადააწყდება ინდივიდის შინაგან წინააღმდეგობას და ქვეყანაში არეულობას არ გამოიწვევს.

საქმე უკვე ქვეყნის ან ინსტიტუციების ერთგულებაში კი აღარ არის, არამედ მთავრობისადმი ერთგულებაში. ტრადიციულად და აზრის თავისუფლების პატივისცემით, სახელმწიფო იდეოლოგიების სფეროში ნეიტრალურ პოზიციას იკავებდა. მაგრამ ძალაუფლების მსგავსი ნეიტრალიტეტი იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რომლებიც მას ემუქრება და გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბი, რომლებიც ელოდება მოწინააღმდეგის მხრივ სუბვერსიის მცდელობის აღსაკვეთად, განა მას სახიფათო სიტუაციაში არ აყენებს? და, აქედან გამომდინარე, საკითხის არსი მდგომარეობს იმაში, შეიძლება თუ არა რომ თავისუფლების პრინციპის მცირეოდენი შეზღუდვით ხელისუფლებამ დაგმოს ზოგიერთი მოსაზრება ან მისცეს ზოგიერთ მოსაზრებას ოფიციალური ღირებულება. განა სახელმწიფო ბუნებრივად არ დგება დილემის წინაშე - საჭიროა თუ არა გადაწყვეტილებების დამორჩილებაზე მეტის მოთხოვნა, მაგალითად: იმ შეხედულების პატივისცემა, რომელსაც მან ლეგალური ქმშარიტების ძალა მიანიჭა? მიუხედავად ერი-სახელმწიფოს სულისჩამდგმელი დოქტრინალური ორიენტაციების განსხვავებულობისა (და ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან), ისინი ერთმანეთს ემთხვევა იმ იდეოლოგიური სისტემის აღმოჩენისას, რომლის საყრდენიც ერია და რომლის

ტოტალიტარული, დოგმატური და პარტიზანული შინაარსიც შესაბამისობაშია ამ უკანასკნელის ერთობის სიმყარესთან. ღმერთიც, თუ ის არსებობს, ჩვენთან ერთად უნდა იყოს და თუ ის ჩვენთან არ არის, ესე იგი ის არ არსებობს! ამ შემთხვევაში, ერი ღმერთს უტოლდება. ის სახელმწიფოსთან ერთად, რომელიც მას განასახიერებს, ყველანაირი არსებობის ფუნდამენტური მოცემულობაა. სუვერენული ერი-სახელმწიფო შექმნილია, როგორც უკანასკნელი, სრულყოფილი ტერმინი და ხალხების პოლიტიკური და სოციალური ევოლუციის უზენაესი, ბუნებრივი ფორმა.

მაშასადამე, ერი-სახელმწიფოს მომატებული და დაჩქარებული ზრდა, რომელიც ექსკლუზიურად ფლობს ძალაუფლებას, რომლის განაწილებასაც ინდივიდთან არ აპირებს და რომელიც პარადოქსულად, რამდენადაც უფრო ძლიერდება შიგნით, იმდენადვე სუსტდება საგარეო ასპარეზზე. ადამიანის დამცრობა და ნიველირება - ყველაფერს ერთი და იმავე დასასრულისკენ, თავისუფლების დათრგუნვისკენ მივყავართ.

მაგრამ ეს საკმარისი არაა იმ ფაქტობრივი გარემოებების შესახსენებლად, რომლებმაც მიგვიყვანა რომის კონვენციის ხელმოწერამდე. თანამედროვე მსოფლიოში თავისუფლების ადგილის განხილვის შემდეგ ასევე საჭიროა შევაფასოთ თავისუფლების ადგილი თანამედროვე აზროვნებაში.

თავისუფლების პრობლემა იბადება ადამიანისა და საზოგადოების თანაარსებობით. ადამიანი, როგორც კი საკუთარ არსებობას აცნობიერებს, თავს მიიჩნევს აზროვნების უნარით დაჯილდოებულ ავტონომიურ უჯრედად, რომელსაც თვითგანსაზღვრის უნარი გააჩნია და აღჭურვილია თვითგამორკვევის უფლებით. თუმცა ის მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში და ექვემდებარება სოციალურ დისციპლინას, რომელიც აუცილებლად აკნინებს მის თავისუფლებას.

როგორ გადავწყვიტოთ ეს კონფლიქტი? დღესდღეობით სამი ტენდენცია არსებობს:

ერთი, ლიბერალური ტენდენცია, უშვებს ორივე ტერმინის დაპირისპირებას და მას ინდივიდის საზოგადოებაზე წინ დაყენებით აგვარებს;

მეორე, კომუნისტური ტენდენცია, ასევე უშვებს ამ დაპირისპირებას, რომელსაც ის განიხილავს, როგორც ფუნდამენტურს, მაგრამ მას აგვარებს მომავალში: ძალაუფლებამ ისე უნდა დაამუშაოს თავისუფლება ამ უკანასკნელის ინტერესიდანვე გამომდინარე, რომ მან ერთ დღეს საკუთარ სრულყოფილებას მიაღწიოს;

მესამე, ფედერალიზმი, ცდილობს ამ დაპირისპირების წაშლას. რადგანაც ადამიანი ერთდროულად აუცილებლად არის ინდივიდიც და სოციალური არსებაც, საჭიროა სოციალური დაპირისპირების შეთანხმებად ტრანსფორმირება. საკუთარი ნაწილი, რომელიც იმ საზოგადოებას უნდა დაუთმოს, რომელსაც თავად განეკუთვნება, ძალით კი არ უნდა წავართვათ, არამედ თვითონვე უნდა ისურვოს მისი გაცემა. ამისათვის საჭიროა, რომ მისმა საზოგადოებაში მონაწილეობამ დააკმაყოფილოს მისი ძირითადი ლიბერალიზმი და აღნიშნული ინდივიდუალური ინიციატივები, რომლებიც, გარდა იმისა, რომ თითოეულს საკუთარი ბედის გადაწყვეტაში რეალური მონაწილეობის საშუალებას მისცემენ, ასევე გადაიქცევიან ძალაუფლების მუხრუჭად, მისი იმპერიალიზმის დაბრკოლებად.

3 ლიბერალიზმი ანუ აბსტრაქტული ადამიანის კონცეფცია

ის იმდენად ცნობილია, რომ მასზე ვრცლად არ შევჩერდები. ინდივიდიდან გამომდინარე, რომელსაც ის დამოუკიდებელ ღირებულებას ანიჭებს და აღიარებს, რომ ის არსებობს თავის თავში და საკუთარი თავისთვის, საზოგადოებისგან დამოუკიდებლად, მის გარეთ და მასზე უპირატესად, ის ადგენს, რომ ადამიანი ფლობს ბუნებრივ და ხელშეუვალ უფლებებს. აღნიშნული უფლებები მან ნაწილობრივ დათმო სოციალური ხელშეკრულების ხელმოწერისას, მაგრამ ინდივიდი საზოგადოების უზენაეს მიზნად რჩება და სოციალური ხელშეკრულებით დაფუძნებულმა მოქმედმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ უნდა დაიცვას ეს მიზანი. თავისუფლება, რომელიც ადამიანისთვის ბუნებრივი წესრიგის პატივისცემისა და საერთო სიკეთის მიღწევის საშუალებაა, გარანტირებული იქნება ძალაუფლების ლიმიტირებითა და ადაპტირებით: სახელმწიფო იქნება ლიბერალური და ასევე დემოკრატიულიც. რადგან ადამიანს არ შეუძლია საკუთარი თავის შევიწროება, სწორედ ის იქნება ხელისუფლების მფლობელი. ხალხი, რომელიც საკუთარ თავს მართავს, თავისუფალი იქნება.

ამ კონცეფციის რამდენიმე ნაკვალევს მე-17 საუკუნის სხვადასხვა ტექსტებში ვხვდებით. ესენია: დამოუკიდებლობის ამერიკული დეკლარაცია, ვირჯინიის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის დეკლარაცია. ის იმ ეპოქის ფილოსოფიაშიც მონაწილეობს. ნაწილობრივ, როგორც ეს პოლ აზარმა აღწერა საკუთარ საუცხოო ნაშრომში, ამ ფილოსოფიის სისუსტეების შედეგიცაა ის ფაქტი, რომ მან ვერ შეძლო თავისუფლების სრულად და საბოლოოდ დამკვიდრება. მართლაც, ის თავის თავში მოიცავდა საკუთარი დესტრუქციის მარცვლებს: ადამიანი ბუნებრივად არც კარგი იყო და არც რაციონალური; ინდივიდი ვერ აღმოჩნდა ბუნებრივი და ღვთაებრივი წესრიგის ბუნებრივი მმართველი; სპონტანური მოძრაობის ზოგადი ინტერესის დახმარების ნაცვლად ინდივიდუალურმა ინტერესებმა მისი კომპრომეტირება მოახდინა და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

მისი მარცხი კიდევ უფრო ღრმაა. ლიბერალიზმის კრიზისი მხოლოდ იმ ფაქტიდან არ გამომდინარეობს, რომ თავისუფლებამ დაპირებების მიუხედავად ვერ შეძლო ინდივიდის თავისუფლების დაცვა და მისი უფლებების პატივისცემა.

პრუდონი წერდა: „მონა-სახელმწიფო დესპოტ-სახელმწიფოდ გადაიქცევა; მსახურებისას მორჩილების ნაცვლად უფრო და უფრო მეტ ბრძანებას იძლევა“. და რუსოც: „ინგლისელ ხალხს ჰგონია, რომ თავისუფალია. ის ძლიერად ცდება; ის თავისუფალი მხოლოდ პარლამენტის წევრების არჩევნების განმავლობაშია. არჩევნების შემდეგ კი ის მონაა, ის არაფერია“.

კლასიკური საკონსტიტუციო სისტემის ლიბერალური ძალა ორ საყრდენზე იდგა: კანონის როლი და კანონის დემოკრატიული წარმომავლობა. კანონი არის „ტრანსცენდენტური წესი, რომელიც იცავს ხალხს სუვერენისგან“ (რუსო - *წერილები მთაზე* – II, L. VII); „კანონმა უნდა დაიცვას საზოგადოებრივი და ინდივიდუალური თავისუფლება მმართველი მჩაგვრელებისგან“ (*1793 წლის უფლებათა დეკლარაცია* - მუხლი 9). ნათელია, რომ კანონი მხოლოდ მაშინაა კანონი, როცა ის ისეთ რამეს უპირისპირდება, რაც მას არ ეკუთვნის და რომ პირველი ლიბერალები მას განიხილავდნენ, როგორც მთავრობის მოქმედებას ან ნებას; კანონი ლიბერალურია იმიტომ, რომ ის აბრკოლებს ძალაუფლების მოქმედებას და აღნიშნული ძალაუფლების წინაშე აღმართული ბარიერი მის არსებობასაც გულისხმობს.

ორიდან ერთია: ან სუვერენიტეტის საფუძველი ღვთაებრივ უფლებას ეყრდნობა და, მაგალითად, სუვერენიტეტს მეფე განასახიერებს, მაგრამ რა ძალა ექნება მაშინ სუვერენთან მიმართებაში კანონს, რომელიც მხოლოდ ხალხის ნების გამოხატულებაა? ან კიდევ, სუვერენიტეტი ხალხს ეკუთვნის და კანონი გამოხატავს სუვერენის ნებას, მაგრამ რომელი ძალაუფლება შეძლებს მასთან დაპირისპირებას? ვერანაირი. საკანონმდებლო კორპუსი სწრაფად გადაიქცევა ძალაუფლების მფლობელ ერთადერთ ორგანოდ, კანონი კი მის ერთადერთ გამოხატვის საშუალებად. მაგრამ ამ შემთხვევაში კანონი კარგავს საკუთარ, ბარიერის როლს იმის წინაშე, ვინც წინააღმდეგობას უწევს. ის მეფობს (მარტივად); და ძალაუფლების საპირწონედან ის მის ერთადერთ და განმსაზღვრელ წონად გადაიქცევა. დესპოტიზმის პირველი პირობა: ძალაუფლება მუხრუჭის გარეშე უკვე შემდგარია. და შეგვიძლია დავეკითხოთ საკუთარ თავს, საკმარისი იქნება კი კანონის დემოკრატიული წარმომავლობა დესპოტიზმის დაბრუნებისთვის ხელის შესაშლელად?

დემოკრატია ხალხის მიერ მართული სახალხო მთავრობაა; ჩვენთვის ცნობილი ზომების საზოგადოებებში ის ვერ იქნება პირდაპირი: ის აუცილებლად წარმომადგენლობითია. წარმომადგენლობითი რეჟიმი ძალაუფლების მოწყობის ისეთი სისტემაა, რომელიც დელეგირებას ეყრდნობა; წარმომადგენლები მოქმედებენ წარდგენლების მაგივრად და მათი სახელით. მაგრამ როგორ შევძლებდით იმის გაგებას, ისინი წარდგენილების „სასარგებლოდ“ მოქმედებენ თუ ისე, „როგორც“ წარდგენილები, მათი პირდაპირი მონაწილეობა შესაძლებელი რომ ყოფილიყო? თუ ისინი მოქმედებენ როგორც წარდგენილები, მაშინ, ერთმანეთს დაემთხვევა სუბიექტისა და მმართველის მოქმედება და მართულთა მონაწილეობა მმართველობაში ავთენტიკური იქნება; თუ ისინი მოქმედებენ „სასარგებლოდ“, არ არსებობს იმის საჭიროება, რომ იურიდიულად მათი ნება გაიგივდეს წარმდგენელთა ნებასთან, რის შედეგადაც, მართულების უფლება, ჩაერიონ მმართველობაში, ილუზორულ სახეს მიიღებდა. იმ პირობების წყალობით, რომლებიც განსაზღვრავენ დელეგირების ფორმას - წარმომადგენლობითი რეჟიმის საყრდენს - წარმომადგენლები მოქალაქეებისგან სრული თავისუფლებით სარგებლობენ.

ფაქტობრივად, წარმომადგენლები ამომრჩევლებს კი არა, არამედ ერს („Nation“, პრობლემის ფრანგული ტერმინოლოგია რომ გამოვიყენო) წარმოადგენენ. მაგრამ ამომრჩეველთა კორპუსი, რომელიც საკუთარ თავს ერად არ მოიაზრებს და არც ხმის მიცემით არ ანიჭებს წარმომადგენლის სტატუსს მათ, ვისაც ირჩევს (მართლაც, ცნობილია, რომ მათ ამ სტატუსს

კონსტიტუცია ანიჭებს), რა უფლებით მისცემს მმართველებს ამომრჩეველთა კორპუსი ბრძანებებს? ვინც ამას დაემორჩილებოდა, ერის ნაწილის მონად იქცეოდა და უღალატებდა საკუთარ მისიას; ყველა წარმომადგენელს შეუძლია და უნდა გაიმეოროს კონდორსეს სიტყვები: „ხალხმა მე ჩემი იდეების გამოსახატავად ამირჩია და არა თავისი; ჩემი მოსაზრებების აბსოლუტური თავისუფლება მისდამი ჩემი უპირველესი ვალდებულებაა“.

თუ იმასაც ვიტყვით, რომ დესპოტიზმის ამ ჩანასახებს, როგორცაა ლეგალური ძალაუფლების აბსოლუტური ხასიათი და ამ ძალაუფლების ორგანოების დამოუკიდებლობა ინდივიდებთან დაკავშირებით, ემატება დესპოტიზმის სხვადასხვა ფერმენტები: მმართველი ოლიგარქიის ჩამოყალიბება, რომელიც ცდილობს გაიხანგრძლივოს ძალაუფლება, ზოგიერთი ფორმის კენჭისყრის შემოღება, რაც რჩეულებს მათი ამომრჩეველების განაჩენისგან თავის დაღწევის საშუალებას აძლევს, ახალი ლეგიტიმურობის წარმოშობა, რომელიც ეფუძნება ზოგიერთი ინდივიდის მხოლოდ პირად თვისებებსა და შეხედულებებს, ვნახავთ, რომ ლიბერალური რეჟიმი თავისუფლების თავისუფლების გარანტირებისგან ძალიან შორს იყო.

განა იმას, ვინც სახელმწიფოს ადამიანი დაუმონა, არ შეგვიძლია მოვთხოვოთ ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების დაბრუნება?

4 კომუნიზმი, ანუ მითური ადამიანის კონცეფცია

ერთი ფრაზით შეიძლება შემოვიფარგლოთ: თავისუფლება ბუნების კი არა, საზოგადოების საჩუქარია.

კომუნისტი მოაზროვნეებისთვის ინდივიდი საკუთარ თავში და საკუთარი თავისთვის არ არსებობს; ადამიანი სოციალური გარემოს პირმშოა. სოციალურ გარემოში კი პირველადი როლი ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას უკავია: საწარმოო ძალებსა და წარმოების ურთიერთობებს. თავისუფლება მხოლოდ ზედნაშენი ელემენტია. კაპიტალისტურ რეჟიმში ბურჟუაზია (რომელიც უმცირესობაშია) ფლობს მმართველობის სადავეებს და დომინირებს პროლეტარიატზე (რომელიც უმრავლესობაშია). ეს ექსპლუატატორული რეჟიმი გულისხმობს ადამიანის შეზღუდვას, ე.ი. მის დამონებას. მონობა შენიღბულია

თავისუფლებების ფორმალური აღიარებით, რომლის განხორციელებაც პროლეტარიატისთვის მიუწვდომელია.

სოციალისტურ რეჟიმში თავისუფლება გამოჩენას იწყებს. მოქალაქეების ყველა თავისუფლება გარანტირებულია: რწმენის თავისუფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება, ადამიანისა და მისი საცხოვრებლის ხელშეუხებლობა, კორესპონდენციის საიდუმლოება, დაბოლოს გამოხატვის თავისუფლება მისი ყველა ფორმით (ადამიანის უფლებათა ქვაკუთხედი). თუმცა მარქსიზმის კონტექსტში ამ უფლებების ღირებულება პირობითია. მართლაც, თავისუფლება განსაზღვრულია, როგორც „საჭიროების გაცნობიერება“; სოციალისტური ფაზის დასასრულამდე ის მხოლოდ თავისუფალ მორჩილებაში შეიძლება გამოიხატებოდეს. ამ მიჯნას ვერცერთი თავისუფლება ვერ გადალახავს თავისუფლების მომავლის კომპრომეტირების გარეშე.

ეს მხოლოდ კომუნისტების რეჟიმის დროს განვითარდება თავისუფლება სრულად, რადგან კაპიტალიზმის მიერ თავსმოხვეული ყველანაირი შეზღუდვისგან თავის დაღწევით, ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე გამარჯვებით, ყველანაირი ფსიქოლოგიური და მატერიალური ზეწოლისგან გათავისუფლებული ადამიანი ბოლოს და ბოლოს მიაღწევს რეალურ თავისუფლებას.

დღეს უკვე შესაძლებელია ამ კონცეფციის ღირებულებაზე მსჯელობის მცდელობა.

საბჭოთა კავშირი არა რეპრესიული, არამედ პრევენციული რეჟიმია: ადმინისტრაციული დაკავება და დაპატიმრება, ცენზურა, აკრძალვები, წინასწარი ნებართვების საჭიროების რაოდენობა იზრდება ბოლოდროინდელ რუსეთში. ხელისუფლებას შეუძლია აკრძალოს გამოსვლა, თუ ის მას რეჟიმისთვის საფრთხის შემცველად მიიჩნევს; ყველა შეკრება, ყველა მანიფესტაცია საჭიროებს ნებართვას, რომელსაც ადმინისტრაცია ან გასცემს, ან არა, საკუთარი შეხედულებისამებრ; ყველა სტატია, თითოეული ნამუშევარი, გამოქვეყნებისთვის საჭიროებს ცენზურის ნებართვას. რაც შეეხება საბჭოთა მოქალაქეების ფიზიკურ თავისუფლებას და თვითნებური დაპატიმრებებისგან დაზღვევას, მათ ვერასოდეს შეძლეს, თვით ხელმძღვანელების აღიარებით, შეეჩერებინათ უძლიერესი ინსტიტუციის, პარტიის ბელადების ექსკლუზიურ სამსახურში მყოფი სპეციალური პოლიციის მოქმედებები. განა პრევენციული სისტემა არ ემუქრება ინდივიდის სამართლებრივ სტატუსს? ის დიქტატურებს

ახასიათებს, რომლებიც თავისუფლების ყველანაირი ფორმის წინააღმდეგნი არიან. როგორ შეიძლება სერიოზულად ვისაუბროთ თავისუფლებაზე იქ, სადაც მისით სარგებლობის უფლება ადმინისტრაციის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული? ჯერ ისედაც შეზღუდული გავრცელების სფეროში, სოციალისტური თავისუფლებები დამატებით იზღუდებიან არა მარტო განხორციელებისას, არამედ შინაარსობრივადაც.

მომავლის რეალური თავისუფლებაც არანაკლებ საკამათოა. როგორც გვეუბნებიან, რეალური თავისუფლება მხოლოდ კომუნისტურ რეჟიმში მიიღწევა. ე.ი. კარლ მარქსის ფრაზა, რომ გამოვიყენოთ, მაშინ, „როცა გაქრება ინდივიდების მონობრივი სუბორდინაცია შრომის განაწილებასთან და, მასთან ერთად, ინტელექტუალური და ფიზიკური სამუშაოების დაპირისპირება; როცა მუშაობა არ იქნება მხოლოდ ცხოვრების საშუალება და თვითონვე გადაიქცევა პირველად საჭიროებად; როცა, ინდივიდების მრავალჯერადი განვითარებით მწარმოებელი ძალები გაიზრდება და კოლექტიური სიმდიდრის ყველა წყარო უხვად ამოხეთქავს“ (*გოტას პროგრამის კრიტიკა*), ერთი სიტყვით, მაშინ, როცა მიიღწევა მატერიალური სიუხვე, სახელმწიფოს გაქრობა დასრულებული იქნება, ადამიანი კი - ტრანსფორმირებული. არა მხოლოდ საბჭოთა კავშირი რჩება ჯერ კიდევ ძლიერ დაშორებული ამ მდგომარეობისგან, ამ იდილიური კეთილდღეობისგან, არამედ ზოგიერთი საბჭოთა ხელისუფალიც იწყებს დაეჭვებას, შეძლებენ თუ არა ერთ დღეს ამის მიღწევას. სრული თავისუფლების დაპირება, დღევანდელი თავისუფლების მსხვერპლის გაღების გამართლებად გამოიყენება. უსამართლო იქნება, დაპირება რომ ვერ შესრულდეს, განსაკუთრებით, როცა არის რისკი, რომ ის არასოდეს შესრულდება.

როგორც ჩანს, საწინააღმდეგო მტკიცებულებამდე კომუნისტური კონცეფცია ისეთივე ნაკლებსახარბიელოა ადამიანისა და მისი უფლებებისთვის, როგორც ლიბერალური კონცეფცია.

5 ფედერალიზმი ანუ კონკრეტული ადამიანის კონცეფცია

ლიბერალიზმისგან განსხვავებით, რომელიც საწყის წერტილად ადამიანს მიიჩნევს და მაინც ვერ ახერხებს მის შერიგებას მოქალაქესთან, ინდივიდის - საზოგადოებასთან, და კომუნიზმისგან განსხვავებით, რომელიც პრეტენზიას აცხადებს, რომ მიაღწევს ადამიანამდე გზის ბოლოს, მანამდე კი მას საზოგადოებას უქვემდებარებს, ფედერალიზმი ადამიანს

განიხილავს მისი არსების მთელი სისრულითა და მისი მომავლით, როგორც „ადამიან-პიროვნებას“, ერთდროულად როგორც ინდივიდსა და როგორც მოქალაქეს, თავისუფალსა და საზოგადოების ნაწილს. ამ ადამიანი-პიროვნებისთვის დამახასიათებელია საზოგადოებაცა და ინდივიდიც, რაც გამორიცხავს ინდივიდისა და საზოგადოების გაყოფას, რომელიც ჩნდება ლიბერალიზმში, და საზოგადოების ინდივიდზე უპირატესობას, რასაც მარქსიზმი ქადაგებს. ადამიანი განხილულია მისი არსების მთელი სისრულით, მის სხვადასხვა განზომილებაში. ის გააზრებულია როგორც კონკრეტული არსება, სისხლი და ხორცი, გონი და მატერია, მოქმედება და აზროვნება.

ფედერალიზმი ანგარიშს უწევს ამ რეალობას და ხსნის მის პლურალისტურ ბუნებას, მის მცდელობას უზრუნველყოს ცხოვრება და ავტონომია ყველა ჰუმანური საზოგადოებისა, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის მიღწევებისა და კეთილდღეობის ადგილებს. ფედერალიზმი სხვადასხვა სახის საზოგადოების თვითმმართველობაა. აღარავის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ინდივიდი მონაწილეობს მისი გარემოს განვითარებაში.

მისი მემკვიდრეობითობით, განათლებით, საჭიროებებით, ტენდენციებით, საკუთარი თავის შეფასების საშუალებითა და თვითგამორკვევის უნარით ინდივიდი დინამიკური და ავტონომიური ერთობლიობაა. მაგრამ საზოგადოებაც, რომელიც მხოლოდ აგრეგატს არ წარმოადგენს, ავტონომიური დინამიკური ერთობაა. და ეს ორი ერთობლიობა ერწყმის ერთმანეთს, მათი დაშორება არ შეიძლება, არც დაყოფა, ფიქრის დონეზეც კი. საზოგადოებისა და ინდივიდის გადაკვეთის ხაზები არ შეიძლება დაშორდეს ერთმანეთს, რადგან ისინი ერთ ძირითად ბირთვს ქმნიან. არ შეიძლება, გამოსახულებას რომ მივმართოთ, წარმოვიდგინოთ ინდივიდი ორი კონცენტრირებული წრის სახით, რომელთაგანაც ერთი (შიდა) წარმოადგენს მის საკუთარ მეს, მაშინ როცა გარე წრე წარმოადგენს საკუთარ ზონას, რომელიც მის სოციალურ ურთიერთობებს შეესაბამება. ინდივიდი ერთიან ჰომოგენურ ფორმას ქმნის, რომელიც ღრმად იჭრება საზოგადოებაში, როგორც ეს უკანასკნელი მასში. ინდივიდის ყოველი ურთიერთობა გარემომცველ სამყაროსთან, მისთვის მნიშვნელოვანია, და ამიტომაც მისი თავისუფლება უნდა გამოიხატოს და დავამყოფილდეს თითოეულ ამ ურთიერთობაში.

ინდივიდმა დაჩაგრულად რომ არ იგრძნოს თავი, საჭიროა, თითოეულ ჯგუფში, თითოეულ ადგილობრივ გაერთიანებაში, რომელშიც ის მონაწილეობს, შეეძლოს მას ისარგებლოს საკუთარი თავისუფლებით; ე.ი. პირველ რიგში უფლება და შემდეგ - გრძნობა, რათა თვითონ

გადაწყვეტის საკუთარი ბედი. მაგრამ საკმარისი არ იქნება ძალაუფლების ილუზიის ქონა, საჭიროა, რომ რეალობაშიც ჰქონდეს ის. ეს კი გულისხმობს შეზღუდული ზომის ჯგუფებსა და ადგილობრივ გაერთიანებებს: თავიდან უნდა იქნეს აცხადებული ის ფაქტი, რომ მოქალაქეების წინაშე დაისვას იმ მასშტაბის პრობლემები, რომ მათზე ზემოქმედების საშუალება დაკარგონ (უკვე ვნახეთ, თუ რამდენად დგებოდა თავისუფლება საფრთხის ქვეშ, როცა პრობლემებს უზარმაზარი სახელმწიფოს, არაადამიანური მასშტაბის დონეზე სვამდნენ). ასევე ნებისა და ინიციატივების გამოხატვის დროს, საწყისი ბაზიდან მწვერვალამდე მისვლის პროცესში, საბოლოო გადაწყვეტილება საწყის გადაწყვეტილებებს არ უნდა დაშორდეს, ან არ უნდა დაუტოვოს ადგილი საწყისი ნების დეფორმაციის რისკს.

ადგილობრივი გაერთიანებებისთვის, რომლებიც ფედერალური სისტემის საყრდენს წარმოადგენენ, შეზღუდული ზომის მისაცემად კიდევ ერთი მიზეზი არსებობს: ასეთი გაერთიანებები მრავლად უნდა იყოს, რომ თითოეული აზრის რაც შეიძლება ბევრი ნიუანსის განხილვა და რეალიზება გახდეს შესაძლებელი. თუ, მაგალითად, წარმოდგენილია მხოლოდ ორი ინდუსტრიული გაერთიანება, იქნება მაქსიმუმ ორი სოციალური სისტემა ერთდროულად. თუ წარმოდგენილია ოცი, მაშინ ჩვენ შევესწრებით ოცი სისტემის თანაარსებობას. გაერთიანებების მცირე ზომა, რაც მათი სიმრავლის პირობაა, მრავალფეროვნების საშუალებას იძლევა, ეს კი ერთ-ერთი პირველი ფაქტორია თავისუფლებისთვის (რადგანაც ჩვენ რეალურად თავისუფლები არ ვართ ერთადერთი უფლებით ზემოქმედება ვიქონიოთ გადაწყვეტილების მიღებაზე ჩვენი სურვილის მითითებით; უკეთესია ჩვენ თუ იმას გავაკეთებთ, რაც გვინდა).

ფედერალიზმი, რომელსაც სურს თავისუფლების უზრუნველყოფა მისი მონაწილეობით, ფიქრობს მის უკეთ უზრუნველყოფას ძალაუფლების შეზღუდვით. მრავალი გაერთიანება ასევე ავტონომიური ცენტრია, რომელსაც შეუძლია დაამუხრუჭოს ან შეაჩეროს ცენტრალური ხელისუფლების იმპერიალიზმი. დაჯგუფებები კომპლექტდებიან, იზღუდებიან ერთმანეთით, წონასწორდებიან.

ამგვარად, ფედერალიზმი ამტკიცებს, რომ თავისუფლება მისი არსებობის აზრია; ის საკუთარ აზრს პოულობს ადამიანის პირად კონცეფციაში: იყო პასუხისმგებელიანი, ინდივიდი და მოქალაქე, საკუთარი ღირებულებისა და ვალდებულებების გაცნობიერებით... და

საზოგადოების პირად კონცეფციაში: ავტონომიური საზოგადოებების ეკვივალენტური და თანასწორუფლებიანი გაერთიანებების დაჯგუფება, რომლებიც ერთმანეთს ზღუდავენ.

ფედერალიზმი, რომელიც ფიქრობს, რომ თავისუფლებისთვის უზრუნველყოფს მისი არსებობის ორ საფუძველს: ადამიანის პოზიციასა და ინსტიტუციურ სტრუქტურებს, თავის თავს მოიაზრებს, ჟაკ მარიტენის სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც „გმირული ჰუმანიზმს“.

უფრო შორიდან რომ შევხედოთ, სიამოვნებით შევაჯამებდი ამ სამ კონცეფციას შემდეგი ფრაზით - ჩვენს წინაშეა სამი დიალექტიკა:

უარყოფის დიალექტიკა - ანარქიული ლიბერალიზმით, რომელიც წარმოგვიდგენს ინდივიდსა და საზოგადოებას, თავისუფლებასა და ძალაუფლებას, როგორც ორ დაპირისპირებულ პოლუსს, ორ შეურიგებელ ტერმინს და გარდაუვლად მიაჩნია შეუზღუდავ ბოლო, რომელშიც, როგორც ჩვენ ეს ვნახეთ, ინდივიდი მარცხდება;

სინთეზის დიალექტიკა - კოლექტიური კომუნიზმით, რომელიც წინააღმდეგობას ამარცხებს ორივე ტერმინის გაერთიანებით ზემდგომ, შემწვრ და დახურულ სინთეზში; მაგრამ ამჟამად არ ერიდება ამ თავისუფლების ტანჯვას, რომლის სრულყოფილებასაც გვპირდება ერთ დღეს;

წონასწორობის დიალექტიკა - პერსონალისტური ფედერალიზმით, რომელიც ახდენს წინააღმდეგობრივი ტერმინების ინტეგრირებას მობილურ წონასწორობაში, სადაც თავისუფლებისა და ძალაუფლების დაპირისპირება სამართლებრივი ბრძოლის პაციფისტურ ფორმას იღებს.

საჭიროდ მივიჩნიე, ჩვენი მუშაობის დასაწყისში დიდი ადგილი დამეთმო თავისუფლების ბედისთვის თანამედროვე მსოფლიოში და მისი გამოხატულებებისთვის თანამედროვე აზროვნებაში.

ისღა დაგვრჩენია, ვისაუბროთ რომის კონვენციაში თავისუფლების როლზე და თავს შევიკავებ შევიჭრა იმ კვლევით ანგარიშებში, რომელთაც თქვენ წარმოგიდგენენ. ასევე თავს შევიკავებ იმ მოსაზრებების გადმოცემისგანაც, რომლებიც თქვენში დისკუსიის სურვილს არ გამოიწვევს. ჩვენ რომ გვთხოვონ რომის კონვენციის შეფასება, ვიტყვით, რომ ამის დრო ჯერ

არ დამდგარა. ეს მოხდება მხოლოდ მისი შესაბამის კონტექსტში ჩასმისა და განხილვის შემდეგ.

პირველი პრობლემა, რომელიც დგება, რომის კონვენციის ბუნებას შეეხება. ეს კონვენციაა თუ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტი? გააჩნია თუ არა მას ექსკლუზიურად სახელმწიფოთაშორისი მოქმედების ხასიათი თუ ნაწილობრივ ფედერალურ ხასიათსაც ატარებს? გარეგნულად კლასიკური ტიპის კონვენციის სახით წარმოგვიდგება, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ტერმინი „კონვენცია“ დღესდღეობით მოიცავს განსხვავებულ და ცვალებად რეალობებს, რომელთა ერთიანობაც შეადგენს განსაკუთრებულად მრავალფეროვან სურათს: ერთი მხრივ, ამ ფორმაში, რომელსაც კონვენცია შეადგენს, ახალი შინაარსი დაემატა, რომელიც ედრება ტრადიციულ შინაარსს და მათ ჩანაცვლებასაც ცდილობს; მეორე მხრივ, მეორე ევოლუცია ნელ-ნელა აახლოებს კონვენციურ ტექნიკას შიდა საკანონმდებლო ტექნიკასთან და ეს ფენომენი პირველ რიგში ეხება ჩამოყალიბებასა და კონვენციური ადგილის დაბადებას.

ამ თვალსაზრისით რომის კონვენცია გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს. ევროპის საბჭოს კომპეტენციები ნაწილდება ორ ორგანოზე - მინისტრთა კომიტეტსა და საკონსულტაციო ასამბლეაზე. თუ პირველი სახელმწიფოთაშორისი ბუნებისაა, მეორე რამდენიმე ხაზს ფედერალური სისტემებიდან სესხულობს: მისი წევრები არ იღებენ იმპერატიულ ინსტრუქციებს საკუთარი მთავრობებიდან; მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან საყოველთაო არჩევნებისას არჩეულები, ისინი უფრო მეტად საკუთარ თანამემამულეებს და საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა ტენდენციებს წარმოადგენენ, ვიდრე საკუთარ სახელმწიფოებს (და ეს იმ სახელმწიფოებსაც ეხება, სადაც ჩემი დანიშვნა პარლამენტის კომპეტენციაში არ შედის). ასამბლეა ნამდვილად იმსახურებს აზრის ევროპული პალატის ტიტულს.

უდავოა, რომ ეს ორგანოები სახელმწიფოთაშორისი ხასიათისაა: მაგალითად, ასეთია მინისტრთა კომიტეტი, ასევე ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც ყველაზე დიდ როლს თამაშობს კონვენციის შემუშავებაში, მაგრამ აქვე, არ უნდა დავივიწყოთ წმინდად „ევროპული“ ელემენტის, ასამბლეის, მნიშვნელობაც. ასამბლეამ აიღო ინიციატივა, როდესაც მას ჩაენაცვლებინა იურიდიული კომისია და მუდმივი კომისია. ის აკვირდებოდა მოლაპარაკებების მიმდინარეობას, ხანდახან განიხილავდა ექსპერტების მიერ შედგენილ

ტექსტებს და არც საკუთარი აზრის გამოხატვას ერიდებოდა მაშინ, როდესაც ამას არავინ სთხოვდა. ამგვარად, კონვენცია წარმოადგენს ერთგვარ კომპრომისს სახელმწიფოთაშორისა და ევროპულს შორის, საერთაშორისოსა და ფედერალურს შორის, ამავე დროს პირველის მნიშვნელოვანი უპირატესობით.

კონვენციის მიერ ჩამოყალიბებული სისტემაც განხილვას მოითხოვს სამი მიმართულებით - ნორმატიული, პროცედურული, ორგანული. რომის კონვენცია ამტკიცებს სახელმწიფოების ვალდებულებას; უკეთესი იქნება ვიცნობდეთ ამ ვალდებულების შინაარსსა და მისი მოქმედების არეალს, მისი განხორციელების ფორმას, სანქციების სახეს.

7 შინაარსი და ვალდებულების მასშტაბი

ნორმატიული თვალსაზრისით, ორი ძირითადი კითხვა არსებობს: კონვენციისა და პროტოკოლის რომელი მოდელი აირჩიეს იმ ვალდებულების შინაარსის დასაზუსტებლად, რომელიც შემოაქვთ და რა მნიშვნელობა აქვს ამ არჩევანს? ეს ორი ინსტრუმენტი ყველა მხარეს ერთნაირი ტერმინებით ავალდებულებს თუ უშვებს ინდივიდუალური სამართლებრივი სიტუაციების ზოგიერთ დიფერენციაციას?

ჩვენ ბევრი და დიდხანს ვისაუბრეთ იმის გასარკვევად, შეთანხმებებს ჩამონათვალის მეთოდი უნდა გამოეყენებინათ თუ განმარტებისა, როცა საქმე შეეხება გარანტირებულ უფლებებს, რადგან ეს საკითხი ძირითადად პოლიტიკური ხასიათისაა. მართლაც, ჩამონათვალის მეთოდი, რომელიც გულისხმობს, რომ უფლებების შინაარსი და მათი მოქმედების არეალი მოგვიანებით დაზუსტდება (რადგან ადამიანის უფლებები სავალდებულო ნორმები გახდა, რომლებიც განკუთვნილია კონკრეტული სიტუაციებისთვის), საერთაშორისო - განსაკუთრებით იურიდიული - ორგანოების მრავალფეროვანი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა, რომლებმაც უნდა მოახდინონ ტექსტების აღსრულება; და ვიცით, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს გამოცდილებიდან გამომდინარე, თუ რა მოქნილ და პროგრესულ ფაქტორს წარმოადგენს პრეტორიული სამართალი. განმარტების მეთოდს, პირიქით, თუ აქვს უპირატესობა დააფიქსიროს დარწმუნებით სახელმწიფოების მიერ შეთანხმებული ვალდებულებების არეალი, გააჩნია ნაკლიც - შეთანხმებების შინაარსს ის ვიწრო საზღვრებში კეტავს და აღარ აძლევს მას განვითარების საშუალებას; თანხმდება მხოლოდ გადახედვის მძიმე პროცედურაზე.

განსაზღვრება, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია, საერთაშორისო ორგანოებზე გაიცემა მხოლოდ საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ *ab initio* ეროვნულ ორგანოებზე. ახლა ალბათ გასაგებია კონვენციის ამ არჩევანის მთელი მასშტაბი, რომლის მიზანია, რამენაირად დაიმორჩილოს ეროვნული მთავრობები და შეზღუდოს მათი მოქმედების თავისუფლება.

როგორც ჩანს, განმარტების თეზისი იქნა გამოყენებული. უფლებებისა და თავისუფლებების უმრავლესობა ფიგურირებს ორივე დოკუმენტში, დებულებების განსაკუთრებულად დეტალური ფორმით, რომელიც მათ ზუსტ განმარტებასაც აძლევს და, ამავე დროს, აფიქსირებს მოქმედების არეალს შეზღუდვების მთელი სერიით (სიცოცხლის უფლება, მუხლი 2: სამი გამონაკლისი; ოთხი იძულებითი სამუშაოს აკრძალვისთვის; ექვსი პიროვნულ თავისუფლებებში ჩარევისთვის); ზოგიერთი უფლება იკავებს კონვენციის მთელ გვერდს და იქ, სადაც უნივერსალური დეკლარაცია ერთი მუხლის ორი ხაზით შემოიფარგლება, კონვენციაში ორმოცდაათ ხაზამდე ადის (DU, მუხლი 3 – C, მუხლი 2 და 5).

მაგრამ ნუმერაციის კონცეფცია მთლიანად არ არის უარყოფილი (მუხლი 3 – მუხლი 4/1 – მუხლი 12 – მუხლი 13, სხვათა შორის); ამასთანავე, განსაკუთრებით კონვენციის პირველი სათაური მოიცავს ინტერპრეტაციის მრავალ ზოგად წესს, რომლებიც საერთოა ყველა გარანტირებული უფლებისა და თავისუფლებისთვის: არადისკრიმინაციული პრინციპი, მე-18 ნაწილის დებულება, რომელიც შესაძლოა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების კონტროლის საშუალებას იძლეოდეს; მე-17 მუხლის წესი, რომელზეც იურისდიქციებმა უნდა გადაწყვიტონ, აძლევს თუ არა ის მთავრობებს საშუალებას, ჩამოართვან თავისუფლება თავისუფლების მტრებს.

რაც შეეხება შეთანხმებული ვალდებულებების არეალს, რომის კონვენცია იკავებს უფრო გამამხნეველ პოზიციას. უეჭველია, რომ ის მხარეების სამართლებრივი მდგომარეობის დიფერენციაციისკენ იხრება და არბილებს და დივერსიფიკაციას უკეთებს აღებულ ვალდებულებებს; ასევე უეჭველია, რომ კონვენციის 64-ე მუხლი რეზერვსაც განიხილავს. მაგრამ ის მას სხვადასხვა პირობას უმორჩილებს: კონკრეტულად, საჭიროა, რომ არსებობდეს შიდა კანონი, რომელიც კონვენციას ეწინააღმდეგება; ის კრძალავს ზოგადი ხასიათის რეზერვს. ჩნდება კითხვა, ეს უფლებები რეზერვის შესახებ ხომ არ მიგვიყვანს ფედერალური პაქტის დასუსტებამდე, ან, როგორც ზოგჯერ პირიქით ამტკიცებენ, მის გაძლიერებამდე,

რაც გულისხმობს მკაცრი ვალდებულებების აღებას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება განსაკუთრებული სიტუაციები. ამავე დროს, შეიძლება ბევრ სახელმწიფოს გაუჭირდეს ამ გადაწყვეტილებას მიიღება და დიდხანს იორჭოფოს, რადგან ისინი ამ გადაწყვეტილებით საკუთარ ინტერესებს ვეღარ შეინარჩუნებენ. ჩვენ კიდევ შევისწავლით კოლონიალურ რეზერვებს, რომლებიც განსხვავებულნი არიან.

8 ვალდებულების განხორციელება

პროცედურული თვალსაზრისით, აღებული ვალდებულებების განხორციელება ორ პრობლემას ქმნის: ინდივიდის წვდომას გათვალისწინებულ იურისდიქციებთან და გასაჩივრების შიდა რესურსის ამოწურვას.

პირველი საკითხი კარგადაა ცნობილი საერთაშორისო სამართალში, მაგრამ რომის კონვენციამაც შემოიტანა ინოვაციები. თავს უფლებას არ მივცემ შევჩერდე ამ საკითხზე მაშინ, როცა კოლოკვიუმის დროს მრგვალი მაგიდის მიმდინარეობისას პრეზიდენტმა როლენმა და ჩემმა ბრწყინვალე კოლეგამ ბალადორ-პელიერმა ვრცლად და ხაზგასმით ისაუბრეს ინდივიდუალური წვდომის მნიშვნელობის ყველა იმ ასპექტის შესახებ, რომელიც ეფექტიანს ხდის კონვენციის სისტემას, მაგრამ ასევე გაამახვილეს ყურადღება ისეთ სირთულეებზეც, როგორიცაა: საჩივრების უზომო რაოდენობა; მთავრობათა ზიზღი, დათანხმდნენ მისი რომელიმე მოქალაქის მიერ თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვითა და საჯაროდ, მათთვის ბრალის წაყენებას; ასევე სასამართლოში წამოწყებული პროცესისთვის დიდი ოდენობით ფინანსური ხარჯის გაღება.

მეორე საკითხი ეხება 26-ე მუხლში მოცემულ შიდა სამართლებრივი გზების ამოწურვის თემას, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია და ეს გასაგებიცაა: მაშინვე, როგორც კი საკითხი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დაყენებას ეხება, ლოგიკურია დავრწმუნდეთ იმაში, რომ თვითონ არ აპირებდა სარჩელის დაკმაყოფილებას; მაგრამ როგორ უნდა დადგინდეს ეს? ყველა იურისტმა იცის, თუ როგორ იძლევა პროცედურა სხვადასხვა პასუხისმგებლობიდან თავის არიდების შანსებს და როგორ შეიძლება საქმე განხილულ იქნეს ფაქტობრივად. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის სწრაფი მიმოხილვა გვამშვიდებს: კომისია იყენებს იმ წესებს, რომლებიც საერთაშორისო იურისდიქციების მიერ იქნა მიღებული; კონკრეტულად ის აღიარებს, რომ შიდა პროცედურების არაეფექტიანობა,

უსარგებლობა თუ უკმარისობა შესაძლებელია, და ფაქტი, რომ დაინტერესებულ პირს არანაირი შანსი არ აქვს შიდა დონეზე, მას ამ პროცედურის გავლის ვალდებულებისგან ათავისუფლებს. ნება მომეცით ერთი სურვილი გამოვთქვა: სურვილი, რომ კომისიამ ყველა შემთხვევაში, როცა კონვენცია მას ამის საშუალებას აძლევს, იურისტებს მისცეს განხილული საქმეების გაცნობის უფლება. მხოლოდ კონკრეტული საქმეების ცოდნა მოგვცემს საშუალებას სარჩელის დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილებების გარდა, დავადგინოთ ის კრიტერიუმები, რომლებითაც კომისია ხელმძღვანელობს დასაშვებობის გადაწყვეტილების მიღებისას.

9 სანქცია

ისლა დაგვრჩენია, გადავხედოთ ორგანულ გეგმას, გავიაზროთ მისი ბუნება, სტრუქტურა და იმ ორგანოების ფუნქციონირება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კონვენციისა და მის მიერ დადგენილი ვალდებულების შესრულება. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო მნიშვნელობა უპირატესია ფედერალურზე.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მინისტრთა კომიტეტის შემთხვევაში, რომლის კომპეტენციაც ამ სფეროში არ გაგაკვირვებთ. არცერთ სტატუსში მას არ გააჩნია იურისდიქციული ხასიათი. თუმცა კონვენციის 32-ე მუხლი მას აძლევს უფლებას გარკვეულ პირობებში მიიღოს გადაწყვეტილება დარღვევის არსებობასთან დაკავშირებით.

შესაძლოა უფრო ნაკლებად შესამჩნევია, მაგრამ აშკარად საგრძნობია კომისიის საერთაშორისო ბუნებაც. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვისაუბრეთ პირველ „შემდგარ ევროპულ ორგანოზე“. გარკვეული თვალთახედვით ის იმსახურებს ამ „კეთილშობილურ სათაურს“: ის ევროპულია თავისი კონცეფციით, იმ ფორმით, რომლითაც ის ასრულებს თავის მოვალეობას, იმ გონიერებით, რომელიც ახლავს მის გადაწყვეტილებებს. მხოლოდ იმ შეზღუდვებზე ვწუხვართ, რომლებსაც მას კონვენცია უწესებს და რომლებიც მას მომრიგებელ-მოსამართლედ, ნახევრად დიპლომატიურ, ნახევრად სამართლებრივ ორგანოდ აქცევს. აი, ასე აიხსნება დახურული სეანსები და ანგარიშების გამოუქვეყნებლობა.

სასამართლოც ატარებს კონვენციური წარმოშობის რამდენიმე ნიშანს. ის მოიცავს იმდენივე მოსამართლეს, რამდენი სახელმწიფოცაა ევროპის საბჭოში. ის ასევე ცნობს ეროვნულ სასამართლო ინსტიტუტებსა და *ad hoc*. ინდივიდს მასზე წვდომა არ აქვს, მხოლოდ - სახელმწიფოებსა და კომისიას. დაბოლოს, სასამართლოს გადაწყვეტილებას მოქმედების შეზღუდული არეალი გააჩნია, მას შედეგად უკანონო აქტის გაუქმება არ მოჰყვება, მაგრამ უბრალოდ შეიცავს „სამართლიან დაკმაყოფილებას“ და ასე მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როცა შიდა სამართალი სრულიად არ წაშლის დარღვევის შედეგებს. საბედნიეროდ, სხვა ასპექტებში, რომლებიც არანაკლებ მრავლადაა, ის ნამდვილი იურისდიქციის ფუნქციებს ასრულებს.

უდიდეს საფრთხეებთან დაპირისპირებისას, რომლებიც დღესდღეობით თავისუფლებას ემუქრება, კონვენცია შეიძლება სუსტი გამოჩნდეს, თუმცა ის იმსახურებს პატივისცემას. სინამდვილეში კონვენცია მრავალ ფუნქციას ასრულებს. ის ხელახლა აცხადებს ევროპულ ფარგლებში თავისუფლებისადმი დასავლეთის მიერ უცვლელი მხარდაჭერის შესახებ. ის ამასთანავე შეიცავს გაფრთხილებას სახელმწიფოთა საყურადღებოდ, რომელსაც ეს უკანასკნელნი, გვერდს ვერ აუვლიან. მისი არასაკმარისობებითაც ის ჩვენ მიგვითითებს იმ სამუშაოზე, რომელიც ჯერ კიდევ განსახორციელებელია. ეს ის რამდენიმე თემაა, რომელიც დაფიქრებას საჭიროებს.

აწმყოს რეალობები

ტექსტი და დოკუმენტები – N°2

მიშელ მუსხელი

ფედერალური სტრუქტურები

წინასიტყვაობა - ალექსანდრ მარკისა

ევროპის პრესა

ფედერალური სტრუქტურები

აწმყოს რეალობები

ტექსტი და დოკუმენტები – N°2

მიშელ მუსხელი

ფედერალურისტრუქტურები

წინასიტყვაობა - ალექსანდრ მარკისა

კოლექცია გამოქვეყნებულია ევროპული სწავლების საერთაშორისო ცენტრის პატრონაჟით

Presses d'Europe

ტრევიზის ქ.6, პარიზი 9

© 1964 Presses d'Europe (Société d'études, de recherches, d'éditions et de documentation, 23-25, avenue Franklin Roosevelt, Paris 8). თარგმანის, რეპროდუქციისა და ადაპტაციის ყველა უფლება დაცულია ყველა ქვეყანაში.

წინასიტყვაობა

ამ ბროშურის ავტორის წარდგენა რამდენიმე აბზაციტ ჩემთვის დიდი სიამოვნებაა.

სტრასბურგის სამართლის, პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერების ფაკულტეტის პროფესორი, ს.ს.რ.კ.-ისა და აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ კვლევითი ცენტრის დირექტორი მიშელ მუსხელი ერთგული ადამიანია. და სიტყვა ერთგულება, ჭეშმარიტად, იმ სიტყვებს შორის ყველაზე მშვენიერია, რომელიც კი ადამიანების ენას შეუძლია გამოიყენოს.

აღნიშნული დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ მრავალ სხვა სტატიას, დოკუმენტს, სხვადასხვა ტექსტსა და კვლევასთან ერთად მიშელ მუსხელმა ფედერალიზმს შემდეგი ნაშრომებიც მიუძღვნა:

- **ევროპა ფედერალიზმის პირისპირ** (გ. სტეფანისთან თანამშრომლობით, სტრასბურგი 1949 წ.)

- **სახელმწიფოთა კონფედერაცია და ფედერაციული სახელმწიფო** (ანრი ფრენეს წინასიტყვაობით, პარიზი 1953 წ.)¹⁴

რასაც ჩვენს მეგობარში განსაკუთრებულად ვაფასებ, ისაა, რომ ის მხოლოდ მასწავლებელი და „თეორეტიკოსი“, მწერალი და პროფესორი კი არა, არამედ აქტივისტიცაა. უკვე ოცი წელი იქნება, რაც მუსხელის გვარი ფიგურირებს მრავალი ევროპული და ფედერალისტური ინიციატივების სათავეში, რომელთა შორისაა: უნივერსიტეტთაშორისი ფედერალისტური კავშირი (U.F.I. – რომლის დამფუძნებელიცა და პრეზიდენტიც იყო), ევროპის სამეცნიერო მუშაკთა ასოციაცია (რომელიც მან დააფუძნა და რომლის გენერალური მდივანიცაა), ევროპის ხალხთა მუდმივი კონგრესი (რომლის თავმჯდომარეც იყო დაარსების დღიდან),

¹⁴ პროფესორ მუსხელის სხვა ნაშრომები:

- **საჯარო სამართლის ელემენტები**, მმ. დიუბუა-რიშარდთან და ე. გორდონთან თანამშრომლობით - კაირო, 1937 წ.

- **კანონი და კანონქვემდებარე აქტი**, შედარებითი საჯარო სამართალი - კაირო, 1943 წ.

- **სახელმწიფოს ჩარევები და საჯარო სამსახურის ცნება** - კაირო, 1945 წ.

- **ს.ს.რ.კ.-ის მთავრობა**, ზ. ჟედრიკასთან თანამშრომლობით, პარიზი 1961 წ.

ევროპული ფედერალისტური მოძრაობა (რომელსაც მან საკუთარი დროის დიდი ნაწილი დაუთმო) და კიდევ მრავალი სხვა! მიშელ მუსხელის დეტალური ბიოგრაფიის დაწერის დრო ჯერ არ დამდგარა: საკმარისია მოუსმინოთ ფედერალისტური კვლევის საუნივერსიტეტო კოლეჯის სტუდენტებს, რომლებიც მისი, როგორც მთამსვლელის სიმამაცეზე საუბრობენ, და მიხვდებით, რომ ეს გამოცდილი აქტივისტი ჯერ კიდევ ახალგაზრდა სპორტსმენია.

ბროშურის ტექსტი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ და ვისურვებდი, რომ მას ყველა ფედერალისტი გაეცნოს, ეფუძნება იმ სასწავლო კურსს, რომელსაც მიშელ მუსხელი უწყვეტი წარმატებით ატარებდა ათასობით სტაჟიორისთვის საერთაშორისო ევროპული ტრენინგცენტრის დაარსებიდან (1954 წლის დასასრული) მოყოლებული და რომელიც არასდროს გამხდარა კრიტიკის საგანი. თუმცა სხვებისგან განსხვავებით ის არ ერიდება კონცეფციას, რომელსაც შეგვიძლია კლასიკური ფედერალიზმი ვუწოდოთ, განავრცოს მე-20 საუკუნის განზომილებაშიც.

რადგანაც ფედერალისტური პრინციპები და მეთოდი ძირითადად პოლიტიკის სფეროს მიუსადაგეს, ფედერალიზმს ყველა განიხილავს როგორც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მოწესრიგების ფორმას. მიშელ მუსხელი არ უშვებს ასეთ შეცდომას, რომელიც იმდენად გავრცელებულია, რომ არა მხოლოდ ამცრობს გლობალური ფედერალიზმის შინაარსს, არამედ თვით ფედერალიზმის პოლიტიკურ ეფექტიანობასაც კი უთხრის ძირს. მართალია, რომ ამ ბროშურაში ფედერალიზმის ნამდვილი მასშტაბები მხოლოდ მოკლედაა განხილული *in fine*, მაგრამ როცა ვიცით მიშელ მუსხელის როლის მნიშვნელობა საკუთარ კოლეგასთან გი ეროსთან ერთად ფედერალისტური ქარტიის შემუშავებაში, აქედან გამომდინარე გასაგებია, რომ მისი ნააზრევია გამსჭვალულია ფედერალიზმის ახალი, თამამი, რევოლუციური კონცეფციით, კონცეფციით, რომელიც ოსტატურადაა წარმოდგენილი სასწავლო კურსში ფედერალური ინსტიტუციების შესახებ და წიგნში, რომელსაც პროფესორ გი ეროსთან თანაშრომლობით იმავე თემას უძღვნის.

„აქტივისტებს“ და ასევე ყველა იმ ადამიანს, რომელიც აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობასა და ამ გამოწვევის მნიშვნელობას, ისღა დარჩენიათ, რომ აღნიშნული

ნაშრომები გამოიყენონ იმ გადამწყვეტი ბრძოლისთვის, რომელზეც ჩვენი მომავალია დამოკიდებული.

ალექსანდრ მარკი

შესავალი

1 – ფედერაციული გაერთიანებების ძირითადი ტიპები

ფედერალური სტრუქტურები, სხვადასხვა გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან განსხვავდება. ფედერალიზმი ისეთი მოქნილია, ისე დიდია მისი სწრაფვა მოერგოს განსაკუთრებულ სიტუაციებს, რომ თითოეულ ფედერალურ გაერთიანებას საკუთარი ორიგინალური ფორმა გააჩნია. ამასთანავე, სპეციფიკურობის გარდა, აღნიშნულ გაერთიანებებში შეიმჩნევა საერთო ხაზები, რომლებიც ზოგიერთ მათგანს ერთმანეთთან აახლოებს და მათ სხვებისგან გამოარჩევს. ფედერალური სტრუქტურების განსასაზღვრად საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მათ საერთო მახასიათებლებს, მეტი ხაზგასმითაც კი, რათა გამოვყოთ რამდენიმე ზოგადი ტიპი. თეორიული ხასიათის კლასიფიკაცია პოზიტიური ინსტიტუციების ლაბორინთში გარკვევისა და არგუმენტირებული მსჯელობის საშუალებას მოგვცემს.

მაგრამ აღნიშნული კლასიფიკაციის ინტერესი მხოლოდ სამეცნიერო სფეროს არ განეკუთვნება. მასში ღრმა პოლიტიკურ შინაარსიცაა ჩადებული - იგი განიხილავს ძალთა ბალანსსა და მათ განლაგებას ფედერაციულ გაერთიანებაში.

ის ორმაგად ფასეულია: რჩება რეალობის ერთგული და, ამასთანავე, ხელს უწყობს მის გააზრებას ზოგიერთ მახასიათებელზე აქცენტირებით.

ტრადიციულად, ორ ფედერაციულ გაერთიანებას გამოვარჩევთ:

ა) საერთაშორისო გაერთიანება, რომელსაც ზოგჯერ კონფედერაციას უწოდებენ. მაგალითად: 1815 წლის გერმანული კონფედერაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, არაბული ქვეყნების ლიგა, ევროსაბჭო...

ბ) ფედერაციად ან ფედერალურ სახელმწიფოდ წოდებული ფედერალური გაერთიანება. მაგალითად: ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია, კანადა, ავსტრალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა...

საკმარისია ამ რამდენიმე მაგალითის დასახელება, რათა გავერკვეთ იმ ძირითად განსხვავებებში, რომლებიც ამ ორ ტიპს ერთმანეთისგან განასხვავებს.

2 – ზეეროვნული საზოგადოების არამდგრადობა

ამასთანავე, შემოთავაზებული კლასიფიკაცია დღესდღეობით სერიოზული კრიტიკის საგანია. მას ახასიათებენ, როგორც მოძველებულს, ხელოვნურსა და ხისტს.

კრიტიკოსების აზრით, ის იმ ეპოქას განეკუთვნება, როცა სუვერენული სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის ერთადერთ სუბიექტებს წარმოადგენდნენ. დაჯგუფებებს, რომლებსაც ისინი ქმნიდნენ, შეეძლოთ მხოლოდ შემდეგი ორი ფორმის მიღება: ან სახელმწიფოები ხელშეუხებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ სუვერენიტეტს გაერთიანებიდან გასვლის შესაძლებლობით ან ისინი უთმობდნენ საკუთარ სუვერენიტეტს ზემდგომ სახელმწიფოს და მის მარტივ დანაყოფად ტრანსფორმირდებოდნენ.

ამგვარად, სუვერენიტეტის კონცეფცია საფუძვლად ედო კლასიკურ განსხვავებას კონფედერაციულ სახელმწიფოსა და ფედერალურ სახელმწიფოს შორის.

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება მისი განსხვავებული ინსტიტუციებით, მრავალი და მრავალფეროვანი იურიდიული მექანიზმებით, ვეღარ მოერგება ამ ორსახოვან კლასიფიკაციას. ერთი მაგალითის, ევროპული გაერთიანებების, მოყვანაც საკმარისია: ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (C.E.C.A.), ევროპის ეკონომიკური გაერთიანება (C.E.E.), ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება (Euratom) – არ მიეკუთვნება არც საერთაშორისო გაერთიანებების ჯგუფს და არც ფედერაციულ გაერთიანებებს, მაგრამ ქმნის ახალ, ორიგინალური შინაარსის ჯგუფს, ზეეროვნულ გაერთიანებას.

იურიდიული თვალსაზრისით, აღნიშნული კრიტიკა უსაფუძვლო არაა. კლასიკურ თეორიას, თავის დროზე, შესაძლოა ჰქონდა იმის არგუმენტი, რომ განემარტა სუვერენიტეტი, როგორც

უფლებამოსილების განუყოფელი ბლოკი, რომელიც არ ექვემდებარება გაზიარებას. ცნობილი განმარტების მიხედვით, სუვერენიტეტი არის „განუყოფელი, ხელშეუვალი და განუსხვისებელი“: ის ან არსებობს ან არა, არ შეიძლება ერთდროულად ეკუთვნოდეს ორ პირს.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი გმობს სუვერენიტეტის მსგავს, დოგმად გადაქცეულ, ხისტ კონცეფციას. ის განიხილება როგორც კომპეტენციების ერთობა, რომლის განხორციელებაშიც სხვადასხვა ხელისუფლების მონაწილეობას ხელს არაფერი უშლის.

უკვე მოყვანილი მაგალითი რომ გამოვიყენოთ, ევროპის გაერთიანებებში უფლებამოსილებები ისეა განაწილებული, რომ მათი განხორციელება მოითხოვს ეროვნული ინტერესების გამტარებელ მინისტრთა საბჭოსა და გაერთიანების ინტერესების გამტარებელი კომისიის მუდმივ თანამშრომლობას. ორივე ორგანიზმის უფლებამოსილება პირდაპირ ვრცელდება კერძო პირებზე სახელმწიფოთა შუამავლობის გარეშე. დაბოლოს, იმ სფეროებში, რომლებშიც მოქმედებს სახელმწიფოთა ექსკლუზიური ძალაუფლება, კომისიას გააჩნია ინიციატივების ფართო უფლებამოსილება. შედეგად, სრული უფლებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ წევრი სახელმწიფოები, სამართლებრივი თვალსაზრისით, უკვე აღარ ახორციელებენ სრულ უფლებამოსილებას, ე.ი., სუვერენიტეტს - ამიერიდან, ის უკვე გაზიარებულია.

რამდენადაც კრიტიკა გამართლებულია იურიდიული თვალსაზრისით, იმდენად კარგავს ძალას პოლიტიკურ ასპექტში. სუვერენიტეტი უკვე აღარ წარმოადგენს სამართლებრივ კონცეფციას, ის უფრო და უფრო მეტად იძენს პოლიტიკურ შინაარსს, გვევლინება ძალაუფლების სინონიმად და მოიცავს ძალის გამოყენების უფლებას უფრო მეტად, ვიდრე სამართლებრივი გადაწყვეტილება. ამ თვალსაზრისით ტრადიციული განსხვავება ინარჩუნებს თავის ინტერესს და ზეეროვნულობა ქრება.

გადავხედოთ ევროპის გაერთიანებათა მაგალითს. ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება გადაწყვეტილებების მიღების საკუთარი ძალაუფლებითაა აღჭურვილი, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებული თავშეკავებით გამოიყენა. მან წევრი მთავრობების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების კლასიკური მეთოდის გზა აირჩია. 1958-1959 წლების ქვანახშირის კრიზისი და მისი, როგორც უპირატესი ძალაუფლების უძღურება, დაედო

მთავრობების წინააღმდეგობა, უდავოდ წარმოაჩენს წევრი სახელმწიფოების რეალური ძალაუფლების კონცეფციას. მან ვერ შეძლო მათი იძულება მის მიერ შემუშავებული კრიზისის დაძლევის ზომების გასატარებლად.

რაც შეეხება ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას და ატომური ენერგიის ევროპულ გაერთიანებას, მათი ზეეროვნული სტატუსი მნიშვნელოვნად შეიზღუდა ჯერ კიდევ დამფუძნებელ ხელშეკრულებაში და, უფრო მეტად, პრაქტიკაში. როცა ყველაფერი კარგადაა, სახელმწიფოები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე თანხმდებიან გაერთიანების ორგანოების მიერ მიღებულ ნორმატიულ ინიციატივებს. მაგრამ როგორც კი სირთულეები წამოიჭრება, რომლებიც სახელმწიფოების უმაღლეს ინტერესებს შეეხება, ძალა თავისას შვრება და სამართალი უკან იხევს პოლიტიკის წინაშე. სახელმწიფოებს განსაკუთრებული გადაწყვეტილების მიღების უზენაესი ძალაუფლება ჩამორთმეული არ აქვთ. ამგვარად, პოლიტიკური თვალსაზრისით, ევროპის გაერთიანებები ემსგავსება სახელმწიფოთა კონფედერაციას. ამ თვალთახედვით კლასიკური განსხვავება სრულიად რელევანტურია.

სახელმწიფოთა კონფედერაციასა და ფედერალურ სახელმწიფოს შორის განსხვავებები სამ მიმართულებაში გამოიხატება:

- საფუძველში,
- ინსტიტუციებში,
- ძალაუფლებაში.

რიგრიგობით განვიხილოთ საკითხთა ეს სამი ჯგუფი.

I. – საფუძველი

სახელმწიფოთა კონფედერაცია ეყრდნობა საერთაშორისო ხელშეკრულებას, ფედერაციული სახელმწიფო კი საკონსტიტუციო ქარტიას. ერთიც და მეორეც წარმოადგენს ახალ ორგანიზაციას - წინარეარსებული ორგანიზაციებისგან შედგენილ ორგანიზაციას. მაგრამ ისინი ერთსა და იმავე ინსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოში არ ვითარდებიან: სახელმწიფოთა კონფედერაცია საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტს წარმოადგენს, ფედერალური სახელმწიფო კი შიდა საჯარო სამართლით ხელმძღვანელობს.

– A –

1 – სახელმწიფოთა კონფედერაციის ოლიგარქიული ბუნება

სახელმწიფოთა კონფედერაცია საერთაშორისო, უფრო ზუსტად, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ჩარჩოში მდებარეობს. ის აერთიანებს სახელმწიფოებს და არა ხალხებს. ზოგადად ინდივიდთან არასოდეს აქვს მას პირდაპირი შეხება. ამ უკანასკნელსა და გაერთიანებას შორის სახელმწიფოებრივი მმართველობის მთელი ბლოკი დგას. მისი ნება ქარწყლდება იმ სახელმწიფოს ნების ფონზე, რომლის სუბიექტსაც ის წარმოადგენს. როდესაც, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვალისწინებს გაერთიანებასა და კერძო პირს შორის პირდაპირ ურთიერთობას, ის კონკრეტულად ადგენს ამ ურთიერთობის არეალს და, ამ გზით, ასევე კონკრეტულად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როცა მსგავსი ურთიერთობა შეიძლება შედგეს.

ამრიგად, სახელმწიფოთა კონფედერაცია არ ცნობს საერთო მოქალაქეობის ცნებას და არ გააჩნია საკუთარი ტერიტორია. ის შედგება იმდენივე ერისა და ტერიტორიისგან, რამდენი სახელმწიფოცაა მასში გაერთიანებული. შესაბამისად, თითოეული ინდივიდი თავს მიაკუთვნებს მხოლოდ იმ სახელმწიფოს, რომლის ნაწილიც თვითონაა. მას არანაირი ლოიალობის შეგრძნება არ აკავშირებს კონფედერაციასთან.

ასე რომ, სახელმწიფოთა კონფედერაცია ერთგვარი არისტოკრატიული, ოლიგარქიული გაერთიანებაა. ის არ ცნობს დემოკრატიის პრინციპს.

2 – ფედერაციის დემოკრატიული ბუნება

ფედერაცია კონსტიტუციურ, ე.ი. შიდასახელმწიფოებრივ ჩარჩოშია მოქცეული. ის აერთიანებს არა მხოლოდ სახელმწიფოებს, არამედ ხალხებსაც. ის ერთბაშად სახელმწიფოთა გაერთიანებაცაა და ინდივიდების გაერთიანებაც. ესე იგი, მას პირდაპირი ურთიერთობა აქვს ამ უკანასკნელებთან, რომლებიც ერთდროულად ფედერირებული სახელმწიფოების სუბიექტებსაც წარმოადგენენ და ფედერაციული სახელმწიფოსიც. საიდანაც გამომდინარეობს მათი ორმაგი კუთვნილების შეგრძნება როგორც მთელი გაერთიანებისადმი, ასევე უფრო ვიწრო კოლექტივისადმი, რომლის წევრებიც თვითონ არიან.

ამასთანავე, ფედერაცია ფლობს ერთადერთ ტერიტორიას, რომელიც შეიცავს მხოლოდ ადმინისტრაციულ საზღვრებს ისევე, როგორც უნიტარული სახელმწიფო. ამგვარად, ადამიანები, ქონება, კაპიტალი და სერვისები თავისუფლად მოძრაობენ, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

ფედერაციის ძალა გამომდინარეობს ამ ორი საყრდენი წერტილიდან: ხალხზე დაყრდნობით ის სახელმწიფოებზე დომინირებს, ხოლო სახელმწიფოებზე დაყრდნობით - მართავს ხალხს. შესაბამისად, ის კოლექტიური და ინდივიდუალური ნების კვეთაზე მდებარეობს, საიდანაც გამომდინარეობს მისი მოქნილობაცა და სიმტკიცეც.

ამგვარად, ფედერაცია დემოკრატიული გაერთიანებაა, რომელიც შუა გზაზე იმყოფება საერთაშორისო გაერთიანებათა ანარქიასა და უნიტარული სახელმწიფოების ავტორიტარზმს შორის.

– B –

1 – კონფედერაციული შეთანხმების გადახედვის საერთაშორისო პროცედურა

კონფედერაციული შეთანხმება ხელშეუხებელი არაა, მისი გადახედვა შესაძლებელია. თუმცა, რადგანაც ის დაფუძნებულია მხოლოდ სახელმწიფოთა მიერ გამოხატული ნების შედეგად, მისი რევიზია მოითხოვს მათ ერთსულოვან თანხმობას და საჭიროებს საერთაშორისო

ხელშეკრულებების გაფორმების ხანგრძლივ პროცედურებს: მოლაპარაკებას, ხელმოწერას და, განსაკუთრებით, რატიფიკაციას. თუ დავუშვებთ რომ მისი ცვლილებისთვის სახელმწიფოთა უმრავლესობის თანხმობაც საკმარისი იყოს, მოწინააღმდეგე ბანაკის სახელმწიფოებს მასთან არანაირი ვალდებულება არ დააკავშირებთ და მათი წინააღმდეგობა აუცილებლად გამოიწვევს გაერთიანების დაშლას.

აქედან გამომდინარე, შინაარსობრივად მტკიცე შეთანხმება გაურკვეველი დროით ახდენს პოლიტიკური სიტუაციისა და, ძირითადად, დროებითი ძალთა ბალანსის კრისტალიზებას. სახელმწიფოთა კონფედერაციისთვის სრულიად უცნობია სოციალური დინამიზმი.

2 – ფედერაციული შეთანხმების გადახედვის კონსტიტუციური პროცედურა

ფედერაციისთვის კონსტიტუციური პაქტი ხელშეუხებელი სულაც არ არის. მისი გადახედვისთვის ის არ საჭიროებს ფედერირებული სახელმწიფოების ერთსულოვან თანხმობას. ყველა ცვლილება ხორციელდება მის მიერვე განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, რომელიც ზოგადად მოითხოვს გარკვეული რაოდენობის სახელმწიფოთა თანხმობას (შტატების სამი მეოთხედი - ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანტონების უმრავლესობა - შვეიცარიაში), ასევე, სხვა შემთხვევაში, მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ რეფერენდუმის საშუალებით გამოხატულ თანხმობას. უფრო მეტიც, კონსტიტუციური პრინციპების შემსუბუქებასა და გამდიდრებაზე ადათ-წესები სასარგებლოდ ზემოქმედებენ. ამგვარად, ფედერალურ წყობილებას შეუძლია საზოგადოების ევოლუციისა და დამყარებულ ძალთა თანაფარდობაზე მორგება ზედმეტი რყევებისა და კონფლიქტების გარეშე.

– C –

1 – კონფედერაციის სისუსტე

კონფედერაციას, თანდაყოლილი სისუსტის გამო, არ შეუძლია საკუთარ წევრებს შორის ურღვევი კავშირის დამყარება. ეს უკანასკნელნი ინარჩუნებენ გამოყოფის უფლებას, როცა კი ამას საჭიროდ ჩათვლიან. სავალდებულო არაა, რომ გამოყოფის უფლება სპეციალურად ფიგურირებდეს შეთანხმებაში, ის უკვე ნაგულისხმევია. როგორც ყველა მუდმივი და

გრძელვადიანი ხელშეკრულება, შეთანხმებაც მოიცავს ცნობილ მუხლს rebus sic stantibus: ვალდებულება ვეღარ იარსებებს მის მიერ წარმოშობილი სიტუაციის შემდეგ. უფრო მეტიც, გაერთიანებასთან კავშირის გაწყვეტა უფრო წმინდა პოლიტიკური საკითხია, ვიდრე სამართლებრივი: ის გამომდინარეობს იძულების იმ უფლებიდან, რომლის უფლებამოსილებაც მხოლოდ სახელმწიფოებს გააჩნიათ.

2 – ფედერაციის ურღვეობა

ფედერაცია, როგორც სახელმწიფოთა და ინდივიდთა საზოგადოება, ქმნის ურღვევ გაერთიანებას, რომელიც დაცულია სახელმწიფოთა ეგოისტური ინტერესების ცვალებადობისგან. ის უარყოფს გამოყოფის უფლებასა და ცნებას rebus sic stantibus. თუ შემთხვევით, როგორც ეს მოხდა 1861 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რამდენიმე შტატი გამოხატავს გამოყოფის სურვილს, აქ აჯანყებასთან და არა სამართლებრივი უფლების გამოყენებასთან გვაქვს საქმე. იძულების უფლებით აღჭურვილ ფედერალურ მთავრობას საშუალება აქვს აჯანყებულთა წინააღმდეგ დაიწყოს რეპრესიული ქმედება და აიძულოს ისინი პატივისცემით მოეკიდონ გაერთიანებას.

– D –

1 – პოლიტიკის უპირატესი გავლენა კონფედერაციაში

კონფედერაციული ცხოვრება უფრო მეტად პოლიტიკას ემორჩილება, ვიდრე სამართალს. და, როცა ვამბობთ პოლიტიკას, ვგულისხმობთ თვითნებობას, არასტაბილურობასა და ძალაუფლებისთვის ბრძოლას. ასოცირებული სახელმწიფოები, რომლებიც თვითონ განაგებენ საკუთარ მომავალს, ასოციაციის შიგნით აგრძელებენ იმავე ბრძოლას, რასაც გაერთიანების დაარსებამდე. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია გადავხედოთ არაბული სახელმწიფოების ლიგის კონვულსიებს და ნატოს წევრების ურთიერთობას. კონფედერაცია, რომელიც საფუძველშივე მხოლოდ ორგანიზებულ ალიანსს წარმოადგენს, მუდმივად განიცდის პოლიტიკურ გავლენას.

2 – სამართლის უპირატესი გავლენა ფედერაციაში

ფედერაციაში სამართალი ჯაზნის ძალას. სახელმწიფოები, ფედერაციაში გაწევრიანებით, თმობენ ძალის გამოყენების უფლებას. ისინი საკუთარი ნებით ემორჩილებიან სამართლებრივ რეჟიმს. უეჭველია, რომ ბრძოლა ამით არ წყდება, მაგრამ ის გრძელდება სამართლებრივ ჩარჩოში და გვარდება „ნეიტრალური მესამე პირის“, ე.ი. მოსამართლის გადაწყვეტილებით. დიპლომატიური პროცედურების თვითნებობის მაგივრად ფედერაცია ლეგალური პროცედურების გარანტიას იძლევა. ამგვარად, წესრიგი და მშვიდობა ისევე ეფექტურადაა დაცული, როგორც უნიტარულ სახელმწიფოში.

II. – ინსტიტუციები

ინსტიტუციების მხრივ, სახელმწიფოთა კონფედერაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ფედერალური სახელმწიფოსგან.

პირველი, როგორც სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება, მხოლოდ მთავრობათაშორის სტრუქტურებსა და დიპლომატიურ მექანიზმებს ცნობს.

მეორე კი, როგორც სახელმწიფოთა და ინდივიდთა გაერთიანება, უფრო ორგანიზებულია და მოწყობილი და უფრო კომპლექსურ მექანიზმებს იყენებს.

– A –

1 – კონფედერაციისა და კონფედერირებული სახელმწიფოების მოწყობა

რასაკვირველია, გაერთიანებული სახელმწიფოები ინარჩუნებენ საკუთარ წყობას. კონფედერაციის არსებობა არანაირად არ ცვლის მათი ორგანოების სტრუქტურას.

რაც შეეხება კონფედერაციას, თუკი მას გააჩნია წევრებისგან განსხვავებული წყობა, ეს უკანასკნელი რუდიმენტული ხასიათისაა.

წარსულში სახელმწიფოები კმაყოფილებოდნენ მისთვის მხოლოდ ერთი ორგანოს ჩამოყალიბებით, რომელსაც კონგრესს ან სეიმს უწოდებდნენ. ეს სახელმწიფოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ორგანო სხვა არა იყო რა, თუ არა მუდმივი დიპლომატიური კონფერენცია.

თანამედროვე კონფედერაციებს – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნატო, ევროგაერთიანებები და ა.შ. – გააჩნიათ უფრო განვითარებული მოწყობა და იყენებენ უფრო დამაკმაყოფილებელ პროცედურებს. გარკვეული თვალსაზრისით, მათი ორგანოები მოგვაგონებს ფედერალური სახელმწიფოს ორგანოების საწყისებს: მეტ-ნაკლებად წარმომადგენლობითი ასამბლეა, მინისტრთა საბჭო, ერთგვარი სახელმწიფოთა პალატა,

სასამართლო. სხვა მხრივ, მაჟორიტარული პრინციპი პროგრესულად ენაცვლება ერთსულოვნების პრინციპს.

თუმცა უფრო ხშირად ეს განსხვავებები ზედაპირულად რჩება და არანაირ გავლენას არ ახდენს შინაარსზე. დღეს, ისევე როგორც გუშინ, მთავრობის წარმომადგენლობა არჩევით ორგანოზე უფრო ძლიერია და სახელმწიფოს ნება იმარჯვებს გაერთიანების ნებაზე.

2 – ფედერაციისა და ფედერირებული სახელმწიფოების მოწყობა

ფედერაცია შეიცავს სამთავრობო ინსტიტუციების ორ ტიპს: ფედერაციულს და ეროვნულს. სახელმწიფოებს გააჩნიათ საკუთარი საკანონმდებლო ორგანოები, ადმინისტრაციები და სასამართლოები. თითოეული მათგანი აღჭურვილია დამფუძნებელი კონსტიტუციით, რომელიც ურთიერთობებს არეგულირებს. შესაბამისად, ისინი ინარჩუნებენ სახელმწიფოებრივ ინდივიდუალობას.

თავის მხრივ, ფედერალური კონსტიტუცია აფუძნებს ფედერაციის სხვადასხვა ორგანოებს. ზოგიერთი შეესაბამება მის ორმაგ ბუნებას და წარმოადგენს როგორც სახელმწიფოებს, ასევე ხალხსაც. ამგვარია საკანონმდებლო ძალაუფლება, რომელიც მოიცავს ორ პალატას: სახელმწიფოთა პალატა (ამერიკული სენატი, შვეიცარიის სახელმწიფოთა საბჭო) და საყოველთაო არჩევნების შედეგად დაკომპლექტებული პალატა (ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობითი პალატა, შვეიცარიის ეროვნული საბჭო). მას ასევე გააჩნია საკუთარი ორგანოებიც: ეს ეხება აღმასრულებელს, რომელიც შედგება მთავრობისა და ადმინისტრაციისგან და სამართლებრივი სისტემა ფედერალური უზენაესი სასამართლოთი სათავეში. შედეგად ფედერაციული წყობა ისეთივე სრულყოფილია, როგორიც სახელმწიფოებრივი.

ფედერირებული სახელმწიფოები, ამგვარად, მონაწილეობას იღებენ ფედერალური სახელმწიფოს ფორმირებასა და საკანონმდებლო საქმიანობაში. არაფერი უშლის ხელს იმას, რომ ეს მონაწილეობა გავრცელდეს სხვა საერთო ორგანოებზეც. იმ მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე, რომელიც ფედერაციაში უზენაეს სასამართლოს ენიჭება, სასურველი იქნება, რომ ფედერირებულმა სახელმწიფოებმა მონაწილეობა მიიღონ მისი წევრების დანიშვნაში.

1 – კონფედერაციის ნების არსი

კონფედერაციის ნება არ ისაზღვრება მხოლოდ კერძო ნებების ჯამით. ერთსულოვნების პრინციპი, როგორც ვნახეთ, არ განიხილება. ამასთანავე, მისი არსიდან გამომდინარე, ის სახელმწიფოების მიერ დაშვებულ კომპრომისს წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნული კომპრომისი, თითქმის ყოველთვის, მორგებულია ყველაზე ძლიერი წინააღმდეგობის პოზიციაზე, ე.ი. ყველაზე ჯიუტი სახელწიფოს ნებაზე. შედეგად, მიღებულ გადაწყვეტილებებს ხარისხი აკლია, „ცუდად არის გარანდული“. ისინი პრობლემებს რეალურად ვერ წყვეტენ, ლავირებითა და მიკიბ-მოკიბვით ცდილობენ ყველას ინტერესი გაითვალისწინონ, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი ერთმანეთს ვერ ეთავსებიან. ამგვარად, ისინი მხოლოდ ნაწილობრივ გამოსავალს პოულობენ, რადგან არანაირად არ შუძლიათ საჯარო ინტერესის, გაერთიანების „საერთო საკუთრების“ დაცვა. ამიტომაცაა, რომ კონფედერაციათა უმრავლესობა უსუსურად და სტერილურად გამოიყურება, რაც მათ უცხოს თვალში აკნინებს.

2 – ფედერაციის ნების არსი

ამ თვალსაზრისით, ფედერაციის უპირატესობა ეჭვგარეშეა. მისი ნება არ შემოისაზღვრება, როგორც ეს კონფედერაციაშია, წევრების ცალკეული ნების მეტ-ნაკლებად წარმატებული კომბინაციით. ის სრულიად განსხვავდება და გამომდინარეობს სახელმწიფოთა და ხალხთა ნების ერთობლიობიდან. ძალაში შესვლამდე, წინასწარ განსაზღვრული პროცედურის მიხედვით, ფედერალურ კანონებს ამტკიცებს ორივე - სახალხო და სახელმწიფოთა პალატა. მათ შესაქმნელად კოჟლი კომპრომისის გამოძებნის არანაირი საჭიროება არ არსებობს, რადგან ისინი შეძლება ჩამოყალიბდეს საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, როგორც ეს უნიტარულ სახელმწიფოში ხდება.

1 – კონფედერაციის ფუნქციონირების დიპლომატიური მეთოდები

როგორც ძველ, ისე თანამედროვე კონფედერაციაში, სახელმწიფოთაშორისი ასპექტი დომინირებს. მას, ფაქტობრივად, არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელი ძალაუფლება არ გააჩნია. მისი გადაწყვეტილებები უფრო ხშირად წევრი სახელმწიფოებისადმი მიმართული რეკომენდაციის ფორმას იძენენ. მათ გასაცოცხლებლად და განსახორციელებლად დიპლომატიური პრაქტიკაა საჭირო: ეს გადაწყვეტილებები კონვენციაში აისახება, რომელსაც სახელმწიფოები აწერენ ხელს და უკეთებენ რატიფიცირებას და, შესაბამისად, ეს უკანასკნელნი უზრუნველყოფენ მათ ძალაში შესვლასა და განხორციელებას შიდა რეგლამენტებით, რომლებსაც თითოეული მათგანი გამოსცემს.

მაშინ, როცა დამფუძნებელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში კონფედერაციას შეუძლია სავალდებულოდ განსახორციელებელი გადაწყვეტილებების მიღება, მათი განხორციელება პირადად მის კომპეტენციაში არ შედის. მათი ცხოვრებაში გატარება მხოლოდ სახელმწიფოთა ადმინისტრაციებს ხელეწიფებათ და კონფედერაციას არანაირი იძულების ძალა არ გააჩნია, რათა დაავალდებულოს უყურადღებო თუ არაკეთილსინდისიერი სახელმწიფოები აღასრულონ საკუთარი ვალდებულება.

იგივე სიტუაციაა კონფლიქტების დარეგულირების სფეროში, რომლებიც შესაძლებელია კონფედერაციის შიგნით წარმოიშვას. მათ მოსაგვარებლად უმეტეს შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლის მეთოდებს - მოლაპარაკებებს, შეხვედრებს, მედიაციას, მორიგებას, არბიტრაჟს - იყენებენ. სპეციალიზებული სასამართლოს შექმნა და მისი იურისდიქციის კონფედერირებული სახელმწიფოებისთვის თავსმოხვევა ძალზე იშვიათია. თუმცა ყველას კარგად მოეხსენება დიპლომატიური პროცედურების ამპარტავნება, რომლებიც სახელმწიფოს, როგორც მხარისა და ამასთანავე მოსამართლის კეთილ ნებაზეა დამყარებული.

2 – ფედერაციის ფუნქციონირების კონსტიტუციური მეთოდები

საკუთარი ნების გამოსახატავად, ფედერაცია ინსტიტუციურ გზებს უფრო მეტად მიმართავს, ვიდრე დიპლომატიურს. მისი გადაწყვეტილებები კანონის ფორმას იღებს შესაბამისი სტანდარტული ატრიბუტით: სავალდებულო აღსრულების ძალით. მნიშვნელობა არ აქვს, კანონის ამოქმედებას საკუთარი ორგანოები, პირდაპირი ადმინისტრაციული სისტემა თუ ფედერირებული სახელმწიფოების არაპირდაპირი ადმინისტრაციები უზრუნველყოფენ. ნებისმიერ შემთხვევაში ეს ფედერალური მთავრობის ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ განხორციელდება.

ფედერაციაში კონფლიქტების მოგვარებაც ინსტიტუციური საშუალებით ხორციელდება. სახელმწიფოთაშორისი დავა იქნება ეს, დავა ფედერაციასა და სახელმწიფოს შორის თუ ერთ სახელმწიფოსა და მეორე სახელმწიფოს მოქალაქეს შორის, ეროვნული, ფედერალური თუ ორივე ერთად, ყველა ისინი, რიგითობის მიხედვით, სასამართლოების მიერ განიხილება. როგორც სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება, მიღებული განაჩენი „ლეგალური სიმართლის ძალითა“ აღჭურვილი და მისი აღსრულება შეიძლება სავალდებულო პროცედურით განხორციელდეს, თუ საჭირო იქნა, ძალის გამოყენებითაც (*manu militari*).

როგორც ვხედავთ, ფედერაციის მთელი პოლიტიკური ცხოვრება ინსტიტუციურ ჩარჩოებშია მოქცეული, შესაბამისად მოწესრიგებული და მშვიდობიანი. თუმცა ეს ინსტიტუციური ჩარჩოები ხელს არ უშლის უფრო მოქნილი მეთოდების გამოყენებასაც, რომლებიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს ახასიათებს. მართლაც, ფედერაცია ხშირად იყენებს დარწმუნების მეთოდს, სახელმწიფოებს ამა თუ იმ სფეროებში ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას აიძულებს. ისეც ხდება ხოლმე, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე ის მათთან არაოფიციალურ კონსულტაციებსაც ეწევა. თანამშრომლობა, რომელიც არ არის ეფექტიანი, როცა საქმე სუვერენულ სახელმწიფოებს ეხება, ნაყოფიერი ხდება, როცა ის ინსტიტუციურ ჩარჩოში ვითარდება.

III. – ძალაუფლების განაწილება

ყველა იმ განსხვავებას, რომელიც აქამდე წარმოვაჩინეთ, ემატება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, რომელიც გაერთიანებასა და მის წევრებს შორის ძალაუფლების განაწილებაში მდგომარეობს.

რაციონალური თვალსაზრისით, ძალაუფლების განაწილება არანაირ გადაულახავ სირთულეს არ ქმნის. ის უნდა განხორციელდეს სუბსიდიარობის პრინციპის წესების მიხედვით: ასოცირებულებს ყველა ის ძალაუფლება, რომლის განხორციელებაც თვითონ შეუძლიათ, გაერთიანებას კი ექსკლუზიურად ის ძალაუფლება, რომელიც აღემატება წევრების ინდივიდუალურ ძალას და რომლის განხორციელებაც ყველას მონაწილეობას მოითხოვს. მაშასადამე, ძალაუფლება მინიჭებულია გადასაწყვეტი ამოცანის სიდიდის მიხედვით.

შეესაბამება თუ არა არსებული პრაქტიკა აღნიშნულ ობიექტურ კრიტერიუმს?

– A –

1 – ძალაუფლების განაწილების ტექნიკა კონფედერაციაში

აქ განაწილება პოლიტიკურ კონიუნქტურას ექვემდებარება. საკუთარი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვის იდეით შეპყრობილი სახელმწიფოები, როგორც ამას იურიდიულ ენაზე ვეძახით, თავისთვის იტოვებენ ძირითად კომპეტენციებს და გაერთიანებას მხოლოდ მინიჭებულ კომპეტენციებს უთმობენ. შესაბამისად, კონფედერაცია მხოლოდ იმ ძალაუფლებას ფლობს, რომელიც მას დამფუძნებელი აქტით აქვს სპეციალურად მინიჭებული. ის ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებებს ვერ გასცილდება, ვერც მათ ფართო ინტერპრეტაციას მოახდენს, რაც ძალაუფლების გადამეტების ტოლფასი იქნება. გაურკვევლობის შემთხვევაში, უპირატესობა კონფედერაციაზე სახელმწიფოთა კომპეტენციას ენიჭება. როგორც ვრწმუნდებით, ძალაუფლების განაწილებაში ექსკლუზიურ უპირატესობას სახელმწიფოები ფლობენ.

2 – ძალაუფლების განაწილების ტექნიკა ფედერაციაში

ფედერაციაში ძალაუფლების განაწილება უფრო რაციონალური პრინციპებით განისაზღვრება. ფედერალურ სახელმწიფოს, ისევე როგორც ფედერირებულ სახელმწიფოებს, საკუთარი ექსკლუზიური კომპეტენციების სფერო გააჩნიათ, რომელთაც ისინი სრულიად დამოუკიდებლად ახორციელებენ. დანარჩენ კომპეტენციებს ორივე თანაბრად ინაწილებს. შინაარსიდან გამომდინარე, მათი სფერო შესაძლებელია განსაკუთრებული კანონმდებლობით განისაზღვროს. მაგრამ თუ პრინციპის Budesrecht bricht Landesrecht შესაბამისად, ფედერალური სახელმწიფო მათ მიიკუთვნებს, უპირატესობა ფედერალურ კანონმდებლობას ენიჭება. დაბოლოს, არსებობს კომპეტენციები, რომელთა განხორციელება ორივეს თანამშრომლობას საჭიროებს: ამ შემთხვევაში სახელმწიფოთა დამატებითი კანონმდებლობა ავსებს ფედერალური სახელმწიფოს კანონმდებლობას, რომელიც უფრო ზოგადია.

მიუხედავად იმისა, რომ ძალაუფლების განაწილების ტექნიკური ფორმები შემთხვევებისა და მიხედვით დივერსიფიცირებულია, ყველა ფედერაცია, შესაძლებლობის ფარგლებში, დელიკატურად ცდილობს განსაზღვროს ფედერალური სახელმწიფოსა და ეროვნული მთავრობების კუთვნილი ძალაუფლება.

– B –

1 – კონფედერაციაში ძალაუფლების განაწილების რეალობა

ძველი კონფედერაციების ძალაუფლება ერთი ან ორი სფეროთი შემოიფარგლებოდა: თავდაცვა და საგარეო პოლიტიკა. თანამედროვე კონფედერაციები უფრო ამბიციურები არიან: კონვენციური უფლებამოსილებების ჩარჩო მოიცავს ეკონომიკას, სამართალს, სოციალურ კანონმდებლობას, კულტურას და ა.შ.

თუმცა მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი უფლებამოსილების კონფედერაციისთვის მინიჭება სახელმწიფოთა მიერ ამ უფლებამოსილების უცილობელ დაკარგვას არ ნიშნავს. თუ სახელმწიფოები უარს ამბობენ ომის წამოწყების უფლებაზე, როგორც ერთმანეთს შორის, ასევე უცხო სახელმწიფოებთან მიმართებაში, ან კიდევ,

ვალდებულებას იღებენ არ დადონ გაერთიანების მიზნებთან შეუთავსებელი საერთაშორისო ხელშეკრულებები, ისინი არანაკლებად ინარჩუნებენ საკუთარ საერთაშორისო იდენტობას, რაც გამოიხატება საკუთარი დიპლომატიის, საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნებაში. სწორედ ამის გამოხატულებაა კონფედერირებული სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო საკითხებზე განსხვავებული პოზიციის დაკავება, რაც საფრთხეს უქმნის კონფედერაციის შიდა ერთიანობას და, შესაბამისად, მის საერთაშორისო პრესტიჟს. ისიც მართალია, რომ ეროვნულ სუვერენიტეტებს სძულთ მსგავსი მსხვერპლშეწირვები, მიუხედავად იმისა, რომ მსგავს შეზღუდვებს საკუთარი ნებით დათანხმდნენ.

2 – ფედერაციაში ძალაუფლების განაწილების რეალობა

როგორც უკვე ვნახეთ, ფედერაციას მინიჭებული აქვს ფედერალური მასშტაბის ძალაუფლება, რომლის განხორციელებასაც ფედერირებული სახელმწიფოების მიერ სასარგებლო შედეგის მოტანა არ შეუძლია. პირველ რიგში, ეს შეეხება ეროვნულ თავდაცვას: სახელმწიფოთა არმიები გაერთიანებულია ერთ არმიად, რომელსაც ფედერალური მთავრობა ხელმძღვანელობს. შესაბამისად, საკითხი ასევე მოიცავს თავდაცვისთვის აუცილებელი ზოგიერთი ინდუსტრიის მართვასაც, როგორცაა შეიარაღების წარმოება თუ ატომური ინდუსტრია. საგარეო პოლიტიკაც ფედერაციის ექსკლუზიური კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება. უცხო ძალის პირისპირ ეს უკანასკნელი მოქმედებს როგორც უნიტარული სახელმწიფო: მათთვის ის ერთადერთი მოპასუხეა და მხოლოდ მას შეუძლია მისი შემადგენელი სახელმწიფოების სახელით ვალდებულებების აღება. შესაბამისად, ის არ ცნობს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის მრავალფეროვნებას, რაც სისუსტისა და განხეთქილების წყაროს წარმოადგენს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფედერაციის ძალაუფლება ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში: საერთაშორისო თუ სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო ურთიერთობები, ფულის ერთეული, ბანკი, გადასახადები, ბიუჯეტი ფედერალიზებულია. აღნიშნული ძალაუფლების მასშტაბურობა და შინაარსი მას საშუალებას აძლევს წარმატებით შეასრულოს ის მოვალეობები, რომელთა განხორციელების მიზნითაც შეიქმნა.

რაც შეეხება ფედერირებულ სახელმწიფოებს, ისინი ფლობენ ყველა იმ უფლებამოსილებას, რომელიც ოფიციალურად ფედერალური სახელმწიფოს კუთვნილება არ არის. ეს

უფლებამოსილება მოიცავს ეროვნული მასშტაბის საკითხებს, რომელთა განხორციელებაც მათ თავადაც მშვენივრად შეუძლიათ. ამის რამდენიმე ნათელი მაგალითია: განათლება, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, შიდა სახელმწიფოებრივი ტრანსპორტი, ჰიგიენა, სახელმწიფო დახმარება.

ძალაუფლების მსგავსი განაწილება, რა თქმა უნდა, ხელშეუხებელი არ არის. ეს წესები ფედერალური კონსტიტუციითაა დადგენილი და მათი შეცვლაც ამ უკანასკნელის გადახედვით შეიძლება. ამასთანავე, ისიც ცნობილია, რომ ყოველი კონსტიტუციური ცვლილება მოითხოვს ფედერირებული სახელმწიფოების გარკვეული რაოდენობის თანხმობას. ამ გზით ისინი მონაწილეობას იღებენ იმ საქმიანობის განხორციელებაში, რასაც იურისტები კომპეტენციის კომპეტენციას უწოდებენ.

– C –

1 – ძალაუფლების კონფლიქტის რეგულირება კონფედერაციაში

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ამ ტიპის სახელმწიფოთა გაერთიანებები ძალაუფლების კონფლიქტებს პოლიტიკური საშუალებებით აგვარებენ. დავის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების უფლება კონფედერირებულ სახელმწიფოებს გააჩნიათ. ისინი ფლობენ, ე.წ. განულების უფლებას, ე.ი. მათი გადაწყვეტილება საბოლოოა და შეუძლიათ უაპელაციოდ უარი განაცხადონ კონცედერაციის იმ გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, რომლებიც, მათი აზრით, სცილდება ამ უკანასკნელის ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

2 – ძალაუფლების კონფლიქტის რეგულირება ფედერაციაში

ფედერაცია საერთოდ არ აღიარებს ე.წ. განულების უფლებას. თუ რომელიმე შემთხვევაში ფედერირებული სახელმწიფოები ჩათვლიან, რომ ფედერალური მთავრობა გასცდა საკუთარი კონსტიტუციური კომპეტენციის ჩარჩოს და ჩაერია მათ უფლებამოსილებაში, მათ მაინც არ შეუძლიათ უარი განაცხადონ მისი გადაწყვეტილების აღსრულებაზე. მათ უნდა მიმართონ უზენაეს სასამართლოს და ფედერალური კონსტიტუციის საფუძველზე მოითხოვონ კონფლიქტის გადაწყვეტა ფედერალურ სახელმწიფოსთან. სადავო საკითხის

მოგვარებისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლო გაითვალისწინებს კავშირის პოლიტიკურ მდგომარეობას და საზოგადოებრივ აზრს. ამისათვის ის დაეყრდნობა ფედერალური კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს, მაგრამ მათ განმარტავს საჯარო ინტერესიდან გამომდინარე.

დასკვნა

1 – ფედერაციის უპირატესობა

ზემოთ მოცემული მსჯელობა ამტკიცებს ფედერაციის უდავო უპირატესობას.

კონფედერაცია არასაკმარისი და დროებითი მოწყობის ფორმაა. ის შეუძლებლის მიღწევას უმაღლესი ძალაუფლებისადმი სუბორდინაციის ნაცვლად, ეროვნული სუვერენიტეტების კოორდინირებით ცდილობს. ფედერალური წონასწორობა ირღვევა სახელმწიფოების სასარგებლოდ, რომლებიც დამოუკიდებლად წყვეტენ როგორც საკუთარ, ასევე სრულიად გაერთიანების მომავალს. მეტოქეობა, ექვიანობა, განხეთქილებები, გადაუწყვეტელი კონფლიქტები ხაზს უსვამს მის უსუსურობას.

სამაგიეროდ, ფედერაცია მოწყობის ხანგრძლივი და დამაკმაყოფილებელი ფორმაა. გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განხორციელების ძალაუფლებით აღჭურვილი ნამდვილი ხელისუფლების ჩამოყალიბებით ის აფუძნებს გაერთიანების გაწონასწორებულ სისტემას, რომელიც მოიცავს ეროვნულ ავტონომიებს, ძალაუფლების სამართლებრივ განაწილებას, მოქნილი ფედერალური მექანიზმების შექმნასა და სამართლებრივ კონტროლს. მასში შემავალი სახელმწიფოები ინარჩუნებენ საკუთარ ინდივიდუალობას, მაგრამ საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად და ეკონომიკური განვითარებისთვის ისინი ემორჩილებიან უმაღლეს ხელისუფლებას და მას უკან გამოთხოვის უფლების გარეშე უთმობენ საკუთარი სუვერენული უფლებების ნაწილს.

2 – აღნიშნული უპირატესობის მიზეზები

ფედერაციის უპირატესობა ფედერალური პრინციპის უფრო ერთგულ ადაპტირებაში გამოიხატება. ფედერალიზმი, რომელიც ორი ლაკონიური ფორმულითაა განმარტებული - „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“ ან „თავისუფლება წესრიგში“ - წარმოადგენს წონასწორობას გაერთიანების უფლებებსა და მისი წევრების უფლებებს შორის: გაერთიანებულ სახელმწიფოთა ავტონომიურობა ისევე საჭიროა, როგორც გაერთიანების ავტორიტეტი. ფედერაცია ჰარმონიულად აწონასწორებს სახელმწიფოთა განსაკუთრებულ ინსტერესებს, კონფედერაცია კი საკუთარს სახელმწიფოთა ინტერესებს სწირავს.

ფედერაცია ასევე მოითხოვს ნამდვილი დემოკრატიის ჩამოყალიბებას, ე.ი. მოქალაქის ეფექტიან მონაწილეობას საჯარო საკითხების მართვაში. პოლიტიკურ ფედერაციაში კავშირი უნდა დამყარდეს, ერთი მხრივ, სახელმწიფოებსა და მათ შემადგენელ ხალხებსა და, მეორე მხრივ, გაერთიანებასა და ფედერირებულ ხალხებს შორის. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თითოეულმა ინდივიდმა უნდა შეიგრძნოს მისი ორმაგი კუთვნილება: მთლიანი გაერთიანებისა და იმ ადგილობრივი უფრო მცირე კოლექტივისადმი, რომლის წევრიცაა. ეს ორმაგი კუთვნილება მხოლოდ ფედერაციულ სახელმწიფოში არსებობს.

დაბოლოს, ფედერაცია გულისხმობს სამართლის ჰეგემონიას და, აქედან გამომდინარე, შესაბამის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების არსებობასაც. ძალაუფლების განაწილება სუბსიდიარობის პრინციპის მიხედვით, წონასწორობის დელიკატური მექანიზმი ფედერაციასა და ფედერირებულ სახელმწიფოებს შორის ქმნის გარკვეულ დამაბულობას და აღნიშნულმა დამაბულობამ შესაძლოა, თავის მხრივ, კონფლიქტების წარმოშობა გამოიწვიოს. ამ უკანასკნელის მოსაგვარებლად მშვიდობიანი გამოსავალია მოსაძებნი, მაგრამ იმგვარად, რომ დამაბულობა შენარჩუნდეს, როგორც სიცოცხლისა და პროგრესის წყარო. სამართლებრივი გზა დამაბულობის შენარჩუნებით დავების გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. თუმცაღა ამ კეთილისმყოფელი როლის შესრულებას მხოლოდ ფედერაციული სახელმწიფო გვთავაზობს, კონფედერაცია კი პოლიტიკურ საშუალებებს ირჩევს.

3 – პოლიტიკური ფედერაციიდან დემოკრატიულ ფედერაციამდე

თუ ის სიმართლეა, რომ ფედერაციული პრინციპის სწორი გამოყენება პოლიტიკური ფედერაციების წარმატების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია, მაშინ ლეგიტიმური იქნება იმაზე ფიქრი, რომ ეს პრინციპი ცხოვრების ყველა სფეროზე გავრცელდეს, პოლიტიკა იქნება ეს, ადმინისტრაცია, ეკონომიკა, სოციალური დაცვა თუ კულტურა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფედერალური დემოკრატიის დამყარებისთვის ფედერალიზმის სახელმწიფოთაშორისი ფორმიდან ფედერაცია გადადის შიდასახელმწიფოებრივ ფორმაზე.

დღესდღეობით ყველა აღიარებს მე-18 და მე-19 საუკუნეების დანატოვარი მმართველობითი ფორმის, წარმომადგენლობითი დემოკრატიის კრიზისს. წარსულში ადამიანისა და მისი უფლებების დამცველი, დღეს ის მათ იგნორირებას და უგულებელყოფასაც კი ახდენს.

ძალაუფლება ყველგან პერსონიფიცირდება, პარტიები ყველგან სკლეროტულ მდგომარეობაშია, ყველგან ბიუროკრატიის ტრიუმფია, ადამიანის უფლებების დაცვა ყველგან სუსტდება, ყველგან სახელმწიფოებრივი ინტერესი დომინირებს... და ასე თითქმის უსაზღვროდ შეგვიძლია გავაგრძელოთ იმ დაავადებების ჩამოთვლა, რომლებიც ნელ-ნელა, მაგრამ გარდაუვლად კლავენ დემოკრატიას. ერთი სიტყვით, წარმომადგენლობითი დემოკრატია, როგორც წარსული ინდივიდუალისტური საზოგადოების პროდუქტი, საერთოდ აღარ შეესაბამება დღევანდელი მასობრივი საზოგადოების განსხვავებულ მდგომარეობას. მის მსგავსად ადამიანიც სუსტდება, რომელიც დეპერსონალიზაციას განიცდის და მასაში ითქვიფება. მაგრამ არ არსებობს დემოკრატია აქტიური და ფხიზელი ადამიანი-მოქალაქეების არსებობის გარეშე. მაშასადამე, საჭიროა ისე გავაკეთოთ, რომ ადამიანმა კვლავ შეძლოს საკუთარი ინდივიდუალობის დაბრუნება, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მიღება.

ამგვარი გარდაქმნის განხორციელება მხოლოდ ფედერალიზმს ძალუძს. გამომდინარე იქიდან, რომ ის უდიდეს პატივის სცემს ადამიანის ინდივიდუალობას, მისი შესაძლებლობების სრულად გამოყენებისათვის გვთავაზობს ახალ ინსტიტუციურ სტრუქტურებს, რომლებსაც ძალუძთ ადამიანი-მოქალაქეების საზოგადოების ხელახლა ჩამოყალიბება.

4 – ავტონომიურობის პრინციპი

ის იწყებს ავტონომიურობის პრინციპის დეკლარირებით: ადამიანთა ყველა ჯგუფს, როგორ ხასიათსაც უნდა ატარებდეს ის - პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს თუ კულტურულს... - ენიჭება პოლიტიკური ფედერაციის წევრი სახელმწიფოების მსგავსი და მათი თანაბარდირებული ავტონომიური სტატუსი. ეთნოსები, პროფესიული გაერთიანებები და დასახლებები, უნივერსიტეტები და სკოლები, საქველმოქმედო და კულტურული ასოციაციები და ა.შ. წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, რომელთაც ფედერალური კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ ყველა საჭირო უფლება საკუთარი მიზნის განსახორციელებლად. ადგილობრივ საზოგადოებებს უფლება აქვთ მოიპოვონ აღიარება და თავისუფლად ჩამოაყალიბონ საკუთარი სტატუსი, ისინი სამართლებრივად ქმედუნარიანებად არიან აღიარებულნი. ფედერაციულ სამართლებრივ სივრცეში არცერთმა გარემოებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ფუნდამენტური უფლებების გამოხატვას. ამგვარად,

ავტონომიურობის პრინციპი ადამიანს აძლევს საკუთარი განსხვავებული ინსტერესების მართვის საშუალებას.

5 – მონაწილეობის პრინციპი

მაგრამ ავტონომიურობა დამოუკიდებლობას არ ნიშნავს. ყველა ავტონომიური თვითმმართველობა, უფრო მსხვილი გაერთიანებებით დაწყებული და საერთო ფედერალური საზოგადოებით დამთავრებული, ფუნქციონირებს იმ წესებით, რომელთაც მათ ფედერალიზმი სთავაზობს. მონაწილეობის პრინციპიც ამგვარ ფუნქციონირებაში მდგომარეობს: ადგილობრივი გაერთიანებები მონაწილეობას იღებენ ზემდგომი ორგანოების ჩამოყალიბებასა და საქმიანობაში. ამგვარად ყალიბდება მრავალი და კომპლექსური ფედერალური კავშირები, რომლებიც მოქმედებენ ყველა საფეხურზე, როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური მიმართულებით. ხანდახან ისინი ინსტიტუციურ ფუნდამენტს ეყრდნობიან, ხანდახან კი კონვენციური კავშირებით ვითარდებიან - როდესაც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მონაწილეობასთან გვაქვს საქმე. მოქნილი და მრავალფეროვანი ტექნიკა ყველა საზოგადოებას საშუალებას აძლევს შეავსონ ერთმანეთი და ერთად, შეთანხმებითა და ერთობლივი ინსტიტუციებით, გააგრძელონ საერთო სიკეთისთვის მუშაობა.

6 – სუბსიდიარობის პრინციპი

ამ მრავალი გაერთიანებების ავტონომიებს შორის ძალაუფლება, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კომპეტენციები, სუბსიდიარობის პრინციპით ნაწილდება. დაქვემდებარებული გაერთიანებები სრული უფლებით ფლობენ იმ კომპეტენციებს, რომელთა განხორციელებაც თვითონ ხელეწიფებათ ადგილობრივ დონეზე; ზემდგომი გაერთიანებები - მათში შედის გლობალური ფედერალური საზოგადოებაც - ფლობენ მხოლოდ იმ ლიმიტირებულ კომპეტენციებს, რომლებიც მხოლოდ მათ დონეზე ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი. კომპეტენციების მსგავსი განაწილება ორმაგად ფასეულია. ის ანაწევრებს ძალაუფლებას, ხელს უშლის მის კონცენტრაციას, საშუალებას აძლევს მოქალაქეებს დაუპირისპირდნენ სხვა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას: თავისუფლება უკეთაა დაცული. ამას გარდა, ის ხელს უშლის ცენტრალიზაციის იმ ტენდენციას, რომელსაც ვხვდებით ყველა პოლიტიკურ ფედერაციაში და რომელიც სახიფათოდ ბერავს

ფედერალური სახელმწიფოს კომპეტენციებს. ქვემდებარე გაერთიანებებს, ძირითადი კომპეტენციის ფლობიდან გამომდინარე, საკუთარი მოთხოვნილებებისთვის ახალი საჭიროებების წარმოშობის შემთხვევაში, შეუძლიათ ერთობლივად მიღწეული შეთანხმების საფუძველზე შექმნან ახალი შიდა ფედერალური სამსახურები მათ დასაკმაყოფილებლად. ამგვარად, თანამშრომლობის პრინციპი ადგილობრივი ინიციატივების ძვირფასი სტიმულატორი და მათი სოციალური ეფექტიანობის გარანტია.

7 – კანონის უზენაესობის პრინციპი

კომპლექსური საზოგადოების მართვისთვის - რომლის მონაწილეებიც თავის მხრივ ავტონომიურები არიან, მაგრამ ამავე დროს ერთიანი ძალისხმევითაც თანამშრომლობენ საერთო მიზნის მისაღწევად - საჭიროა მარეგულირებელი პრინციპის არსებობა. ამ მნიშვნელოვან ფუნქციას სამართალი ასრულებს. ფედერალური დემოკრატია კანონის უზენაესობასა და მის ბუნებრივ დამცველს, მოსამართლეს, ეყრდნობა. ამასთანავე საჭიროა, რომ სამართალი ითვალისწინებდეს იმ სიტუაციების მდიდარ მრავალფეროვნებას, რომლებშიც ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს. ამისათვის ის უნდა ეყრდნობოდეს მრავალ და განსხვავებულ წყაროებს, რათა დაარეგულიროს აღნიშნული სიტუაციები. კანონი, რეგლამენტი, ბრძანებულება და ასევე ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები, ყველა სახის შეთანხმებები ავსებენ სოციალური ურთიერთობების მოქნილ და მსუბუქ სქემას, ფუნდამენტური კანონის, კონსტიტუციის ზედამხედველობის ქვეშ.

დამყარებული წესრიგის დაცვა და მისი განვითარება სოციალური ტრანსფორმაციების პარალელურად, წარმოადგენს სასამართლო სისტემის ვალდებულებას უზენაესი სასამართლოს ზედამხედველობით.

არ შეიძლება უზენაესი სასამართლოს ადგილისა და როლის გადაჭარბებული შეფასება ფედერალურ დემოკრატიაში, რომელიც ფედერაციის შემადგენელი გაერთიანებების უფრო არბიტრის ვიდრე მოსამართლის ფუნქციით აღჭურვილი ემანაციას წარმოადგენს.

სასამართლო, როგორც პირდაპირი კონსტიტუციური ორგანო, ერთდროულად მისი დამცველიცაა და ინტერპრეტატორიც. აღნიშნული მისიის შესასრულებლად ის ვერც თვითნებურად და ვერც თავისუფლად ვერ იმოქმედებს. ის შეზღუდულია ფუნდამენტური

კანონის ტექსტითა და ასევე, განსაკუთრებით, იმ ღირებულებათა სისტემით, რომელსაც თვითონ წარმოადგენს და რომელიც ფედერალური საზოგადოების ფუნდამენტია. საშიშროება, რომ თავისი დეკრეტებით ის გადაიქცევა უზენაეს სამთავრობო ინსტანციად და იბატონებს ადამიანებსა და საგნებზე, არ არსებობს. ხელისუფლებას მოკლებული, ის მაღალი ინსტანციის სასამართლო იქნება მხოლოდ. მისი გადაწყვეტილებები, „კანონიერი სიმართლის ძალაზე“ მეტად, დიდი მორალური ღირებულებების ძალით იქნებიან აღჭურვილნი, რომელთაც თვითონ განასახიერებენ. ისინი მონაწილეობას იღებენ ინდივიდუალური ცნობიერების ფორმირებაში და მათი მეშვეობით განსაზღვრავენ ადამიანების ქცევას. და თუკი შემთხვევით სასამართლო გასცდება საკუთარ უფლებამოსილებას, საზოგადოებრივი აზრი, როგორც ეს 1936 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა, მას მაშინვე შეახსენებს თავის მოვალეობებს.

ამგვარად, საკუთარი ძლიერი ფილოსოფიითა და მოქნილი დიალექტიკით სულჩადგმული ფედერალიზმი, რომელიც აღჭურვილია საკუთარი ინსტიტუციური სხეულითა და გამოყენების ორიგინალური ტექნიკით, მომავლის დიდ იმედად გვესახება. მისი წყალობით ევროპა ისევ ადამიანებს დაუბრუნდება და დასავლური ცივილიზაცია ახალი ჰუმანიზმის კერად გადაიქცევა.

სარჩევი

წინასიტყვაობა	238
შესავალი	241
1 – ფედერაციული გაერთიანებების ძირითადი ტიპები	241
2 – ზეეროვნული საზოგადოების არამდგრადობა	242
I. – საფუძველი	245
– A –	245
1 – სახელმწიფოთა კონფედერაციის ოლიგარქიული ბუნება.....	245
2 – ფედერაციის დემოკრატიული ბუნება	246
– B –	246
1 – კონფედერაციული შეთანხმების გადახედვის საერთაშორისო პროცედურა	246
2 – ფედერაციული შეთანხმების გადახედვის კონსტიტუციური პროცედურა	247
– C –.....	247
1 – კონფედერაციის სისუსტე	247
2 – ფედერაციის ურღვეობა.....	248
– D –	248
1 – პოლიტიკის უპირატესი გავლენა კონფედერაციაში	248
2 – სამართლის უპირატესი გავლენა ფედერაციაში.....	249
II. – ინსტიტუციები.....	250
– A –	250
1 – კონფედერაციისა და კონფედერირებული სახელმწიფოების მოწყობა	250
2 – ფედერაციისა და ფედერირებული სახელმწიფოების მოწყობა.....	251
– B –	252
1 – კონფედერაციის ნების არსი	252
2 – ფედერაციის ნების არსი.....	252
– C –.....	253
1 – კონფედერაციის ფუნქციონირების დიპლომატიური მეთოდები	253
2 – ფედერაციის ფუნქციონირების კონსტიტუციური მეთოდები.....	254
III. – ძალაუფლების განაწილება.....	255
– A –	255

1 – ძალაუფლების განაწილების ტექნიკა კონფედერაციაში	255
2 – ძალაუფლების განაწილების ტექნიკა ფედერაციაში	256
– B –	256
1 – კონფედერაციაში ძალაუფლების განაწილების რეალობა	256
2 – ფედერაციაში ძალაუფლების განაწილების რეალობა.....	257
– C –	258
1 – ძალაუფლების კონფლიქტის რეგულირება კონფედერაციაში.....	258
2 – ძალაუფლების კონფლიქტის რეგულირება ფედერაციაში	258
დასკვნა	260
1 – ფედერაციის უპირატესობა.....	260
2 – აღნიშნული უპირატესობის მიზეზები	260
3 – პოლიტიკური ფედერაციიდან დემოკრატიულ ფედერაციამდე.....	261
4 – ავტონომიურობის პრინციპი.....	262
5 – მონაწილეობის პრინციპი.....	263
6 – სუბსიდიარობის პრინციპი	263
7 – კანონის უზენაესობის პრინციპი	264

დაბეჭდილი და აკინძულია 1964 წლის 1 აპრილს სტამბაში „La Renaissance“

ტრინიტეს ქუჩა 1, ტრუა

წარმოებაში ჩაშვებულია: 1964 წლის პირველ ტრიმესტრში – N°15 762

გამოცემა N°3

